

1948/6



# მნათობი

4

---

თბილისი  
1948

# მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწიკლის  
კავშირის ურველთვიური სალიბერატორო,  
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკოალიტივო  
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეხუთე

4





## ნოთელი ყაყაჩო \*



ჩვენს დაუცხრომელსა და ვულგარულსა საქმიან ევგენი პეტროვიჩს მთელი გოსპიტალი ფეხზე ჯერ ისევ დილაბნელში დაეყენებინა. მედიცინის დებიოსა და ავადმყოფთა მომვლელი ლაღების ფაციფუცმა, ლოგინიდან წამოშლილი დაჭრილებსა და გოსპიტლიდან გასაწერად გამზადებული მებრძოლების ალიაქოთმა მეც გამაღვიძა. თავი ბილს მაინც ვერ წავართვი. სახე ბალიშში უკმაყოფილოდ ჩავმალე. ერთი პირი წაძინება კიდევ ვცადე, მაგრამ ხმაურმა ისევ არ დამაყენა. აქ რკინის საწოლს პარკეტზე მოუერიდებლად მიაცურებდნენ, იქ ვილაცას ხმამაღლა უჯავრდებოდნენ, საღდაც რაღაცას კედავდნენ. სხვა გზა არ იყო, კეთილი უნდა მენებებინა, — სხვებთან ერთად მეც უნდა ავმღგარიყავი.

ხალათს რომ ვიცვამდი, ყურადღება მხოლოდ მაშინ მივაქციე. — ჩვენი ახალგაზრდა ლეიტენანტი პალატაში აღარ იყო. მის ლოგინაშლილ რკინის საწოლის უხამსად გამიშვლებულ ზამბარებს უკმაყოფილოდ გაეხედე, გული სინანულის გრძნობით აშვესო.

— ნუთუ გაემგზავრა?

ყურადღება იმასაც მხოლოდ ახლა მივაქციე, რომ ჩემსა და საეგაჩოვის ლოგინებს შორის ახალი საწოლი და-

მატებით ჩამოედგათ. ისედაც ვიწრო პალატაში საძრაობა თითქმის არ იყო. ჩვენს მოხეტყურად ჩასუქებულსა და ტანმოჩილ აკულინა ივანოვნას ზედ ახლად გარეცხილი, მაგრამ მაინც ზამბარის ამოუსვლელ ეანგისფერლაქიანი ნაალი დაეფინა, ახლა სუფთა ზეწარს შლიდა. თან ოხრავდა და თან თავისებურად, ოდნავ გასაგონად მოთქვამდა, თუ ბუზღუნებდა, კაცი ვერ გაიგებდა.

— ისევ ლოგინს ვშლი... ისიც არ ვიცი ვინ დაწვება... რა ღღეში იქნება... არ ზინდოდა, ეს სიტყვები გამეგონა, მაგრამ მაინც მესმოდა.

ეს თავისას ისევ განაგრძობდა, ბედს ისევ შესჩიოდა. თან ხელის გადასმით ზეწარს ქვემოლ მოქცეულ ნაალს სინჯავდა, რომ დაკურკუშებული ბამბა ან ნაობი რამ საღმე უშნოდ არ დაკყოლოდა და მით მწოლიარე არ შეწუხებულყო.

პირდაბანილ-თმადეარცხნილი კაბიტანი დობროხოტოვი თავის კოხტად მილაგებულ ლოგინზე ჩაცმული იწვა; ხელები თავქვეშ ამოედო. ჭერში რაღაც წერტილს ამოჩემებით მისჩერებოდა, აკულინა ივანოვნას ბუზღუნს ყურს ჩუმად უგდებდა; შავი ციმციმა თვალეზი წუხანდელი უძილობისა და დარღისაგან კიდევ უფრო მიმკრთალეზობდა.

აკულინა ივანოვნამ ალბათ თვითონვე იგრძნო, რომ გული თავისი მოთქმით აგვიღულა. ენა მუცელში ჩაიგდო,

\* იხ. „მნათობი“ № 3

მაგრამ ოხერა ხანდახან მაინც ამოხდებოდა. ზეწარს ზემოდ ახლა ჩარსავამოფენილ მათდის თხელ საბანს გულდაგულ შლიდა, იმასაც ბეჯითად ასწორებდა.

ოთახში ჰაერი კარგა ხანია რაც გაეწმინდათ, მაგრამ ჯერ ისევ საგრძნობლად მაინც ციოდა. ჩამრგვალბულუჩასუქებული პოლკოვნიკი საეგაჩოვი თავის განუყრელ წიგნს თავისივე განუყრელ ბუხართან, ჩვეულებისამებრ, ჩუმად კითხლობდა, მაგრამ კითხვას გულს, როგორც ეტყობოდა, ვერ უღებდა. აქულინა ივანოვნას ოხერა გულს უწყალებდა. ილაჯი ბოლოს იმასაც გაუწყდა. წიგნი ბუხრის თავზე წყნარად შემოსდო; თავისი დაფლეთილი ფილტვებით ერთი ღრმად ამოისუნთქა, ცეცხლს ორთავე ხელი გასათბობად მიუშვირა. ერთხანს ეგრე იყო. მერე მოხტე ლალას მშვიდი საყვედურით, თითქოს მუდარით მიმართა:

— კმარა, აქულინა ივანოვნა... ეგრეც არ იქნება. გული ამდენი დარდით, ბოლოს არის, გასკდება...

აქულინა ივანოვნა თითქოს ამას ელოდა. წელში უცებ გოროხად გაიმართა მრისხანებისაგან თითქოს სიმალღეც მოემატა. ხელში შერჩენილი ბალიშით ერთხანს უძრავად იდგა. მოულოდნელად აღძრული ბრახის ჩახშობას გულში ამოოდ ცდილობდა.

— როგორ თუ კმარა? — წამოიძახა ბოლოს თავისებური აბილპილებით და ხმას კიდევ უფრო აუწია, საწყალ საეგაჩოვს თავზე ცეცხლი გადააყარა: — გესმის თუ არა შენ, გულში რა ცეცხლი მიტრიალებს? ახლა ისიც... გესმის თუ არა შენ, რომ ის ჩვენი ბასურმანი მიდის... იცი თუ არა შენ, რომ მე მისთვის შუბლზე ჰკირის ოფლი მიწმენდია?..

საეგაჩოვმა თავი ჩაღუნა. ხმა არც მე და არც დობროხოტოვს არ ამოგვიღია. მიუხედივით, რომ ის ახლა დარდიან გულს მასზე იოხებდა.

აქულინა ივანოვნა ესევე განუყრებლად:

— ხედავ?... ხედავ ამ საწოლს? როგორ გგონია... ადვილია? — ცრემლებმა ყელი გადაუკეტეს. სუნთქვაშეკრულმა პირით ჰაერი რიყეზე გამოგდებულ თევზივით მოხაპა, მაგრამ სული მაინც რომ ველარ მოიწრუნა, ბალიში ლოკინზე გაგულისებით მიაგდო. თეძობების ქნევით, ფაჩუჩების ფრატუნით კარებისაკენ გაემართა.

საეგაჩოვმა თვალი ღიმილით გააყოლა. ვანრისხებული დედაკაცი კარს რომ მიეფარა, ღიმილით თქვა:

— ნახეთ რა დღე დამაყენა? როგორ გამცოცხა, როგორ გამითათხა ჰოდა, როცა ჩემი წასვლის ჯერი შოვა, გული ჩემ გამოც ეგრე აუღულღებდა და ვაი იმას, ვისაც ეგ მაშინ თავს იმ ცხელ გულზე დააცხრება.

პასუხი არ გამოცია. თანხმობის ნიშნად მხოლოდ გამეღიმა.

ხმა არც დობროხოტოვს ამოუღია. თავის საწოლზე ისევ პირალმა იწვა. იმ რალაც წერტილს ჰკერში ისევ ამოჩემებით მისჩერებოდა.

საეგაჩოვს, სჩანდა, ენა ისევ ექავებოდა. მხოლოდ ამ დილით გავიგე მისგან, რომ რკინიგზის ხაზი ჩვენგან თურმე სულ რალაც ორიოდ კილომეტრით ყოფილა დამორებული. პარტიზანად ნამყოფ მახლობელი სადგურის უფროსს თავისი ძველი მეგობრის, ევგენი პეტროვიჩისათვის, წუხელ მოულოდნელად ეცნობებინა, რომ ლიანდაგი უკვე აღდგენილია და დღეს სალამოს პირველი მატარებლები ჩაივლიან. ერთი მათგანი სანიტარული იქნება და თან დაჰკრილთა დიდ ჯგუფს ჩამოიყვანს, მის მისაღებად მზად ყოფილიყო.

ევგენი პეტროვიჩსაც ეს უნდოდა. სანამ ფრონტი აქვე იყო, უგზობობით გამოწვეულ სიძნელეს ის ეგრერიგად როდი გრძნობდა. განკურნებულ მეზობლებს თავისივე ნაწილებში შეღარებით იოლად გზავნიდა და სამაგო-



როსაც, დაქრილების სახით, შეუფერ-  
ხებლად იღებდა. მაგრამ მერე ყველა-  
ფერი თანდათან გაძნელდა. მტერი წი-  
თელი არმიის იერიშებს ვეღარ უძ-  
ლებდა, უკან სწრაფად იხევდა. და ეს  
შეტევა იმდენად თავბრუდამხვევი და  
შემშუსვრელი აღმოჩნდა, რომ რაღაც  
სამიოდ კვირაში საფრონტო გოსპიტა-  
ლი ღრმა ზურგში მოექცა. ასე გა-  
სინჯეთ დაბნელებაც მოიხსნა, სარკმ-  
ლებს ლურჯი ქაღალდის შტორები  
მოამოხრეს. ტანკების, საბარგო მანქა-  
ნებისა და ჯარების გამუდმებული  
წოძრაობით აოხრებულსა და გაზაფხუ-  
ლის ამდნარი თოვლით კიდევ უფრო  
ალაფებულს ნაფრონტალ-დანაბომბავ-  
სა და ჯერ კარგად გაუმართავ შარა-  
გზებზე მოძრაობა თითქმის შეუძ-  
ლებელ საქმედ იქცა. ევგენი პეტრო-  
ვიჩს ხელი ფრონტისაკენ აღარ მიუწე-  
დებოდა. განკურნებული ზებრძოლების  
უკანვე გაბრუნება ფერხდებოდა, დაქ-  
რილებს ეგრე ადვილად ვეღარ იღებ-  
და. ასეთ ღროს ეგრე იძულებით უსაქ-  
მოდ ყოფნა მას მოთმინებას აკარგი-  
ნებდა. ახლა რკინიგზის ხაზის აღდგე-  
ნით ყველაფერი ერთბაშად იცვლებო-  
და და ამ დილაადრიანად ეგრე იმიტო-  
მაც აჩქარებულობა, — მთელი გოსპი-  
ტალი ფენზე ჯერ კიდევ გაუთენებელ-  
ში დაეყენებინა. სხვებთან ერთად არც  
მაშენკას ეცალა. მაგრამ პალატაში  
ჩვენთან ერთი წამით მაინც შემოიარბი-  
ნა. ისე ჩქარობდა, რომ, არამცთუ ამ-  
ბის გამოკითხვა, სალამის მიცემაც  
აღარ დაგვაცალა. წამი წუთებად მაინც  
ექცა. წუხანდელი უძილობის გამო ისე-  
დაც მკრთალი სახე კიდევ უფრო მიბ-  
კრთალებოდა, თვალები უჩვეულოდ  
აგზნებოდა, და ყველაფერში მისთვის  
უჩვეულო მოუთმენრობას იჩენდა. პა-  
ლატაში სისუფთავე ხელდახელ შეა-  
მოწმა, ჩამატებული ლოგინიც გასინ-  
ჯა, კარგად იყო გაშლილი თუ არა, და  
მერე როგორიდაც მოუთმენატი სულ-  
წოსწრაფებით, თითქოს შიშით, რომ ხე-

ლი ღინმეს არ შეეშალა, გეითხრა, რომ  
ჩვენები მტერს კვალდაკვალ მსდევნი-  
ვართ, გონს მოსვლის საშუალებას არ აძლუ-  
ვენ; გვიამბო, რომ გზა გაიხსნა და ევ-  
გენი პეტროვიჩის ბრძანებით დაქრი-  
ლების მოლოდინში საწოლები შეამ-  
ქიდროვეს; ასე გასინჯეთ, სასადილო  
ღარბაზიც პალატად აქციეს და მაგი-  
დები თავისი სკამებითა და როიალ-ბუ-  
ფეტით ეესტიბიულში გაიტანეს, სასა-  
დილო ოთახად გამოიყენეს. ახლა გაწე-  
რილი და ჩვეულებრივ ტანისამოსში  
გამოწყობილი მებრძოლები იქ ისეთ  
ყოფაში არიან, რომ ჩვენი, აქ ღარჩე-  
ნილების, სასადილოში ჩასვლა არ იქ-  
ნებოდა, კერძს პალატებში დაგვირი-  
გებდნენ.

მაშენკამ გვიამბო ისიც, განკურნე-  
ბულ ვაქცაყებს ეჭიმები ქვემო სარ-  
თულში ყოველ შემთხვევისათვის ერთ-  
ხელ კიდევ ზედმეტად როგორ ამოწ-  
მებდნენ, სათანადო საბუთებითა და  
საგზაო ხარჯით როგორ ამარაგებდნენ  
და თან დეზინფექცირებულსა და და-  
რეცხილ-დაკერებულ ტანისამოსს უკან-  
ვე როგორ უბრუნებდნენ. ისინიც სი-  
ხარულით, რომ სიცოცხლეს ჯანსაღნი  
უბრუნდებოდნენ, გოსპიტლის რუხი  
ბამბაზიის გამაბეზრებელ ხალათებს,  
რეზინის რბილლანჩიან ფანჯრებსა და  
გოსპიტლისავე ნარმის საცვლებს იქ-  
ვე, საწყობში, ყრიდნენ, თავისი ჩვეუ-  
ლებრივი სამხედრო ტანისამოსით ხა-  
ლისიანი ქრიამულით იმოსებოდნენ.

ტანისამოსის მისაღებ არცთუ ისე  
გრძელ ჯერში იღვნენ და გუბნი მაინც  
არ უთმენდათ. ჩქარობდნენ, სული  
მისდიოდათ და, წინ მათთვის სასურ-  
ველ სიჩქარით რომ ვერ მიიწევდნენ,  
ბრაზით ილანძვებოდნენ. ზოგი თავის  
მოუთმენრობას ახალგაზრდული ჯან-  
სალი და თან მღელვარე ყვირილით გა-  
მოხატავდა, ზოგი თავისთვის უშნოდ  
წუწუნებდა და ზოგნიც, ბავშვებივით  
გაცეცქებულნი, სიცილ-ხარხარით  
თურმე იტაურობას იკლებდნენ. ხანდა-

ხან უკმეხი ან უწმინდური რამ სიტყვა რომ წამოსცდებოდათ, ეს არაფერი. ამდენხანს პალატებში ნაშეყვდევ-ნაავადმყოფარებს ვაშ რა ექნათ, ყელში მობჯენილ ვალაღებულ ქრძნობისათვის ეს გზა ხომ უნდა მიეცათ?

ჩვენი საერთო მეგობარი, ასტამურ მატახერიაც, თურმე იქ იყო. მუდამ შვეიდი და უწყინარი, ერთბაშად ისიც გამოცვლილყო, თვისი ჩვეულებრივი წონასწორობა სხვებთან ერთად იბასაც დაეკარგა და ისე ლელავდა, რომ ველარ იცნობდი. მუდამ ზრდილი და მორიდებული თავს მაინც იჭერდა. თავისი ოფიცრის მღვთმარეობით, რომელიც მას უპირატესობას ანიჭებდა, მისთვის ჩვეული მოკრძალების გამო ვერ ესარგებლნა. უნდა ითქვას ისიც, რომ, გოსპიტლის ხალაფამოსხმული და საცვლების ამარა, ჩვეულებრივ ჯარისკაცთაგან დიდად არ განსხვავდებოდა და ამიტომაც დიდად არც არავინ ებუებოდა. ერთმა ციღამტკაველა, ვერცხლის წყალოვით ფაცურა და თან ცმუტია ბიჭმა ბოლოს თავი იმდენად აიგდო, რომ მას არაჩვეულებრივი სიმაღლის გამო მასხრობაც დაუწყო. მატახერიას მისთვის ერთხანს ყურადღება არ მიუქცევია. თავი ისევ ზრდილად, თავდაჭერილად ეჭირა და ზრდილად, თავდაჭერილადვე იღიმებოდა. ის ვა-თახებდებული ბიჭი თავისას მაინც არ იშლიდა და ბოლოს თავი სულ რომ აიგდო, მატახერია მოთმინებიდან გამოვიდა. ირგვლივ მყოფთ გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ იმ შეტყინარას ხელი ბარკალში ჩაავლო და აფხარკალბული მალა ბაყაყივით აიქნია. გონს დროზე რომ არ მოსულიყო, ვინ იცის, რა უბედურებას დაატრიალებდა. თავისი საქციელის თვითონვე შერცხვა. თვაგდებული და ახლა შიშით ენაჩაეარდნილი ლაზღანდარა, რამე რომ არ ტყენოდა, ძირს ნელა დაუშვა, ფეხზე ფრთხილად დააყენა.

მისმა ეგეთმა ქცევამ ცხად-გააკვირვა, საიდანაც ხმის-გამკაცვლდა, რომ ის საღდათი კი არა, ოფიცერი იყო და ტანისამოსის მისაღებ თვეჯიროსაყენ გზა უცებ გაუხსნეს; მაგრამ მან მღვთმარეობით მაინც არ ისარგებლა, თავის ჯერს ბოღიშიანი ღიმილით, ისევ მოთმინებით ელოდა.

მატახერიას ამბავი მაშენკას დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ კაბიტანი დობროხოტოვი თავის ლამაზად მიღებულ ლოგინზე აღტაცებით წამოჯდა. ამბავს ჩვენთან ერთად ყურს ისიც ხმის ამოუღებლად უგდებდა. ისედაც უგუნებოს შუბლის კოხები ხან კუშტად ეკურებოდა, ხან აღტაცებისაგან ოღნავ ეღიმებოდა, თვალები წუთით ჩვეულებრივად აუციციმდებოდა.

მაშენკამ ისევ მარტო რომ დაგვეტოვა, მხოლოდ მაშინ მიგხვდით, — საქმე მას ჩვენთან ზოდი ჰქონია, თურმე მატახერიას ამბის სათქმელად, თავისი აღტაცების ვასაზიარებლად შეშოსულია.

დობროხოტოვს წუთით ვახსნილი სახე ისევ მოეღუშა. თვალს რატომღაც ისევ მარიღებდა. თითქოს ცდილობდა, — თავი ჩემგან შორს დაეჭირა.

გამოტეხილად უნდა ეთქვა, რომ მისი ამგვარი საქციელთ კმაყოფილი ვიყავ. საერთო მოუსვენრობამ, ფაციფუცმა ხელში მეც ამიყვანა და მისთვის საღ მეცალა. მთელი გულისყურით წამსვლელების ხმაურისაყენ ვიყავ მიქცეული, წუხანდელი უძილობით გამოწვეული დაღლილობაც არ მაგონდებოდა. მართალია, მე, ჯერ ისევ განუფრანგებლს მათთან საერთო არა მქონდა რა და, ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევდა კიდევ აქ ყოფნა, მაგრამ ყავარჯენებით სიარული ხომ მაინც შემეძლო? ჯერჯერობით ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერება იყო. მიუხედავად ამისა, ჩემს ყურადღებას მაინც არ გამოაპრვია, დობროხოტოვი თვალს ხანდახან ჩემკენ ფრთხილად, როგორღაც გამო-



ცდელი დაკვირვებით რომ გამოაპარებდა ხოლმე. მე კი თავი განზრახ ისე შევიპირა, ვითომ არაფრის ბაიბურშოც არ ვიყავ. მისი წუხანდელი გულსაკლავი ტირილი ვითომ, არამტელ არ მახსოვდა, ასე გასინჯეთ, არც შემომჩნევია. მაგრამ ჭინკასავით გონიერსა და გამჭრიახ აცხს რა შეილს ზოგატყუებდი! ვიგოძენ, — ფანდს შიმიხვდა. იმსაც მიხვდა, — უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამვდო, ეგრე იმიტომ ვიქცეოდი და თავი მოუთმენრად, ოდნავ შესამჩნევად გაიქნია. მერე თავისი განუყრელი ყავარჯნები ილღიებს ქვეშ მოუთმენრადვე, მაგრამ მარჯვედ მოიქცია და დაბინტული ფეხის კონწილით კარისაკენ საჩქაროდ გაემართა. ვიცოდი, ასეთ დროს კაცს თავი უაზრო კითხვაგამოკითხვით არ უნდა გააბეზრო. არც არაფერი მიკითხა. თვალი უსიტყვოდ გაეყოფო. დერეფანში რომ გადიოდა, გულმა, როგორც სჩანდა, მაინც არ მოუთმინა. წუთით შედგა. შავი, მაგრამ მიშქრალი თვალებით ერთხელ კიდეც, თითქოს საყვედურით, თითქოს მალღიერებისა და ცუდად დაფარული მლოღვარების ვრძნობით გამოიხვდა, კარს მიეფარა.

## 15

შუადღემდე გაძალებული ნაცრისფერი ნისლი აღრიანი გაზაფხულის ცხრათვალა მზემ ბოლოს, როგორც იქნა, გაფანტა. დღის კაშკაშმა გული სიხარულით ამივსო. ვერ მოვითმინე, სარკმელთან ზიველ. ყინულით შეკრულ მდინარის გაღმა ჩამოხვეწილ ფლატეზე აშლილი არყნალები იდუმალი, თითქოს ბედნიერი მოლოდინით გარინდებულებიყვენ. ტყეთა სიხშირედან აკურებული ორუბლის თეთრი ფარტენები ცაში მშვიდად მისრიალებდნენ. მზეს წუთით ჩამოეფარებოდნენ. მათი ჩრდილი გაკაფულ ახლებზე, მდინარისა და გოსპიტლის თავზე უცებ გადაი-

ბენდა, მერე დაღვრემილი დღე იცევ აკაშკაშდებოდა.

ყავარჯნებზე ილღიებით ჩამოყრდნობილი სარკმელთან დიდხანს ვიდევ. ნაპირიდან ნაპირზე გაბედულად გადაქნეულ ბეტონის ვრცელკამარებიან ხიდზე შავად მოფარფარე ქვებს თვალყურს ხარბად ვადევნებდი. უცქეროდი, როგორ უწესრიგოდ სხდებოდნენ ისინი ხიდის მოაჯირზე, ყარყაშით როგორ ირეოდნენ, კვლავ სხდებოდნენ და ძვე მკაფიოდ მოჩანდნენ, თითქოს სარკმელში კი არა, გამაღიღებელ შუშაში ვიქცირებოდი. ჩემთან ერთად გული განუსაზღვრელი სიხარულით თითქოს ამ მალალ ცამოწმენდილ შუადღესაც აესებოდა. გოსპიტლიდან გაწერილი ვაეკაცების ერთამული, ქვემო სართულიდან ეგრე ხალისიანად რომ მოისმოდა, ძვედაც შუიან დღეს ბრწყინვალეებას თითქოს მატებდა. აქაიქ, მყუდრო ადგარებში, ჯერ კიდევ საკმაოდ შემორჩენილი თოვლი სწრაფად ლხვებოდა. თუნუქის საწვიმარ მიღებში გაქვდილ ყინულის წიბოები შემოდნობოდა, ფეხასხლეტილი წყალთან ერთად ძირს ხრიალით ეშვებოდა, გოსპიტლის ირგვლივ შემოყოლებულ ასფალტის პანელზე დაცემული მინასავით იფშენებოდა.

მიწა ალიქყდა. მღვრიე რუები აღურღურდნენ. წყლის ხალისიანი ხმაური თანდათან მატულობდა. ბუნება გაზაფხულის საგალობელს გალობდა. სადღაც ჩქონში მჯდარი გარეული ბატი მოულოდნელად წამოფრინდა, განიერი ფრთები გაზეთივით მოიქნია, გოსპიტალს თავზე კივილით, ფარფარტით გადაუარა.

მზით გამლხვალი ნაბუქარ-ნანამქრალი თოში მდინარეზე ქრაჭუნებდა. ყინულის ტყვიის ფერი ზედაპირი მურღალი წუმპეებით დაიფარა. უცებ რაღაცამ დაგუგუნა. ხიდის მოაჯირზე შემომსხდარი ქვები დაფრთხნენ, დამწვარი ქალაღის ფერფლივით აიშალ-

ნენ. ვონს მოსვლაც ვერ მოვასწარ, რომ სავგაჩოვის ძახილი მომესმა:

— დაიძრა-ა! მდინარეზე თოში დაიძრა-ა!

და ამ სიტყვებით ჩემკენ გამოქანდა. სარკმლის რაფას ჩემ გვერდით იდაყვებით ჩამოეყრდნო. თან ცმუტავდა, სიხარულით ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, თან წარამარა მეკითხებოდა:

— ხედავთ, ამხანაგო დავლაძე? ხედავთ?

მე მის სიტყვეს უურადლებას არ ვაქცევდი. ყინულის ლეწვას, გაგიყვებულ მდინარეს თვალს ვერ ვაშორებდი...

სავგაჩოვი თავისას განაგრძობდა, ისევ მეკითხებოდა:

— ხედავთ, ჩვენი რუსული გაზაფხული რა ყოფაშია? გაქვალეხულ ზამთარს როგორ ლეწვავს, ზურგზე ბოლს როგორ ადენს? ამ უცხო სანახაობით შე ისე ვიყავ გატაცებული, რომ მის სიტყვებს უურადლებას ისევ არ ვაქცევდი, აქაფებულ მდინარეს ისევ გაფაციცებით ვაგვიჭეროდი.

ამდენ ხანს ვიყავ ამ თვალშეუღვამ ველებით გაშლილ ქვეყანაში, ამდენი მეცხოვრა აქ, მებრძოლა და როგორღაც მუდამ ისე ხდებოდა, რომ მდინარეზე სავგაჩოვლო ყინულის ლეწვა ჯერ არ მენახა. ამ სურათს ახლა თვალურს გავიხსენებდი, ვუცქეროდი როგორ დაიძრა თოში ადგილიდან როგორი ხმაურით აიხერგა უზარმაზარი ბელტები ყინულისა. მოდიღებულნი წყლის ღვართქაფიანი მდინარეებით გატაცებული ნალეწვები ერთმანერთს თავზე ახტებოდნენ, საღლაე ქვემოდ, ტყის სიხშოებისაკან, თავბირის შტვრევით მალაყს გადადიოდნენ, ხიდს ქვეშ მორევში მოქცეულნი, თავბროლამხვევი სისწრაფით ტრიალებდნენ.

დილიდანვე აფორიაქებული გოსპიტალი წუთით მიწყნარდა. მდინარეზე თოშის დაძვრამ ჩვენთან ერთად ალბათ

სხეების ყურადღებაც მიიქცია. სარკმლებს მზიანი დღის სიკეთე ჩაქანდა. ვენლა ჩვენსავე თუ მიაწყდა. გაზაფხულის ევრე ვიჭურად მოსვლასა და ზამთრის კისრის ტეხვით წასვლას თვალურს ყველა სიხარულით ადევნებდა, ირგვლივ სიწყნარე ჩამოვარდა. წუთით ალბათ იმათაც დაავიწყდათ, რომ დღეს ნასადილევს სადგურ ზასეკაში პირველი სამგზავრო მატარებელი ამ გაზაფხულის დღესავე უცებ ჩამოდგებოდა, განკურნებულ ამხანაგებს ბრძოლის ველისაკენ ისევ გააქანებდა. მაგრამ სიწყნარემ დიდხანს როდი გასტანა. გაზაფხულის მქუხარე ზეიმით გამოწვეული სიხარული თანდათან დაეცრა, დერეფანსა და პალატებში ხმაურმა ისევ თანდათან იმატა. სარკმლებს ჩვენსავე თუ ალბათ თითოთითოდ ჩამოშორდნენ, თავის ჩვეულებრივ საზრუნავსა და გოსპიტლის მოსაწყენ ყოველდღიურობას თანდათან დაუბრუნდნენ.

სამხედრო ტანისამოსით ჩვეულებრივად გამოწყობილსა და გასამგზავრებლად გამოზადებულ ჯანსაღ მებრძოლებს პალატებში თან რაიმე ინფექცია რომ არ შემოეტანათ, ამხანაგებთან გამოსათხოვებლად აღარ უშვებდნენ. თავი მათ ვესტიბიულში სახელდახელოდ გამართულ სასადილოში მოეყარათ. მათი ნახვა ევეგნი პეტროვიჩის სასტიკი განკარგულებით მხოლოდ იქ შეიძლებოდა.

თავისი ტანისამოსი ლეიტენანტ მატანერისავე ზიელო. არ ვიცი როგორ მოეხერხებინა, — იქნებ ოფიცრის მდგომარეობით ესარგებლნა, ანდა ყინულის მდინარეზე დაძვრით გამოწვეულ ალიაქოთში დრო ეხელთა? სწორედ იმ დროს, როცა მე და პოლკოვნიკი სავგაჩოვი ძირს, ვესტიბიულში მის სანახავად ჩასვლას ვაპირებდით, პალატაში თვითონ შემოვიდა. გრძელი კავალერისტული რუხი მაზარა მკლავზე დარდიმანდულად გადაეგდო, ყურებიანი



თბილი ქუდიც კინკრისხოზე ირიბულად დარდიმანდულადვე მოეგდო, კირხის ტლანქველიანი მაღალი ჩექმები, მუქ-ლურჯი მაუდის ნახევრად გალოფე შარვალი, მოლისფერი მაუდისავე ლეიტენანტის სამხრეებიანი და პორტუგეზებით მკარდშემოზღუდული გიმნასტურა და თეძოსთან მოგდებული ყვითელი ტყავის ბუღიანი ნაგანი მას, ისედაც ვეება ფაქაცს, კიდე უფრო წარმოსადგე ვაქაცად აჩენდა. გადაცმულ-გამოცვლილი წუთით ველარც ვიკანით. წელწერილი და ტანმოქნილი თავისი განიერი მხარბეკით ღია კარში რომ შემოიძვრათა, ჰერი თითქოს დაბლა დაიწია. თავისი გოლიათური აღნაგობა მან პირველად თითქოს ახლა იგრძნო. ცხენოსნური, ოდნავ მოსალტული კანკები უხერხულობისაგან თითქოს კიდე უფრო მოესალტა, თან ისე უშნოდ აიფხორა, რომ ჰერში კიდე უფრო აიწოწა, კეხიან ცხვირს ზემოდან ონაერულად გადმოშუქებული, ოდნავ აღზაცერად და ერთურთისაგან მოშორებით მსტდარი ქორისებური ჩხია თვალებით მე და სავგაჩოვს სანდომიანი, როგორიდაც ბოდიშიანი ღიმილით მოგვაჩერდა, თითქოს უსიტყვოდ გვეთხოვებოდა. მერე ერთი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

— ამხანაგებო... ამხანაგებო...

სიტყვა გაუწყდა, თავისი მღელვარების თვითონვე შერცხვა, გამოგონილი სიტლანქით განაგრძო:

— ხედავთ? ესეც გშორდებით...

თავისი ტანივითვე ვეება სიხარული, სიხარული გამოწვეული იმით, რომ აქედან ბოლოს როგორც იქნა, მიდიოდა, თან გრძნობა სინანულისა, რომ ჩვენ უგრე შეთვისებულ მეგობრებს, გვშორდებოდა ბოლოს მაინც ვერ დაიმორჩილა. სახეზე სიხარულისა და მწუხარების გრძნობა ერთად აღებეჭდა.

— გამოდის... — თქვა ისე, რომ, მგონი, თვითონაც არ იცოდა რა საიდან

გამოდინდა. — გამოდის, რომ... ესე იგი, გეთხოვებით... ვერცხვენილი გაჩუმდა ეტყობოდა, მგონი, ცხენების გამოხატვა ვერ მოეხერხებინა. უნდოდა კიდე ეთქვა, რაღაც მაგრამ სიტყვა ველარ ეპოვნა, ტუჩები ბლუსავით აეპოპრა.

ერთხანს ჩუმად ვიყავით. ერთურთს უსიტყვოდ შევეცქეროდით. არც მე და, მგონი, არც მატახერიას არ გავვიგია წავგაჩოვმა თავისი განუყრელი ბუხარი როდის მიატოვა. ახლა ის თავის ლოგინზე იჯდა. ხამალა რომ გაეცინა, მატახერიამ მისკენ გაკვირვებით მიიხედა.

— რას იცინით? — იკითხა წყნარად. ბალლური ღიმილით მოწმენდილი სახე ერთბაშად მოელრუბლა.

— არაფერს, ამხანაგო... არაფერს... წამოიძახა სავგაჩოვმა და მისკენ ფეხმძიმე დიაციხეური ნაბიჯით გაემართა, სიცილით განაგრძო:

— საწყალი ცხენი.

— რა ცხენი? — ვიკითხე გავვირეებით.

— როგორ ვერ მიხვდით, რა ვქნა! რა ცხენი და აი ის, რომელზედაც ვაპხედრდებო. ამოღენა ტვირთის ზიდვა მხოლოდ შარაბანით თუ მოხერხდება... სწორნი ყოფილან ისინი, ჩემო მეგობარო... ვინც შენ ცხენს სახელად შარაბანი შეარქვა...

და თავის არცთუ იმდენად მოხდენილ ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა, სიცილითვე განაგრძო:

— მხოლოდ ახლა მოველ საზრისში, ახლა მიგხვდი რათ გეჯავრება ვგრე ტექნიკა.

— ვინ მოგახსენათ, რომ გეჯავრება?... — იკითხა მატახერიამ გამოწვევად, მაგრამ სავგაჩოვმა მის კილოს ყურადღება არ მიაქცია, ჩემკენ მოულოდნელად შემოტრიალდა და სახე თავშეკავებულ სიცილისაგან მელოტიანად წითელ-მოლურჯოდ წამოუტყარხლდა.

— წარმოვიდგენიათ? — შემეკითხა თავისებური ჩაძიებით. — არა, თქვენ



წარმოიდგინეთ... რამოდენა უნდა იყოს ის ტანკი, რომელშიც ეგ ჩაუტევა! იცოდეთ, სანამ ჩვენი ქარხნები მაგის სარგო ტანკს არ გამოუშვებენ, მანამ ეგ ტექნიკას ვერ შეუროგდება.

საეგაჩოვი უთუოდ გადაჭარბებულად ხუმრობდა. ჩვენს მეგობარს ტექნიკა, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეჯაერებოდა. ამიტომაც მას თავისი ამხანაგის არცთუ ისე მოსწრებულ ხუმრობაზე არ გაღივებია, არც ხმა ამოუღია. თავის ლოგინალებულ რკინის საწოლისაკენ წელა გაემართა. მაზარა ზედ დაუდევრად მიაგლო და, რომ დაჯდა, გაშიშვლებულმა ზამბარებმა ქრაქუნი მოიღეს. სასთუნალთან ჩადგმულ ჩემ საზიარო ვიწრო მაგიდას მიუჩოხდა. ქვემო კარადიდან თავისი სალდათური მარტივი ნივთებით სავსე და ურუსოვის ოთხტომიანი წიგნით ჭარბად დამპიმებული მოლისფერი ზურგსაკიდი თოფრა გამოიღო.

საეგაჩოვმა მხოლოდ ახლა გაისაზრა, რომ მას, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ხედავდა, გრძნობა მოერია.

— მომე, წამოვიღებ. — თქვა და თოფრას ხელი ღვედში ჩაავლო. ბატახერიამ არ დაანება. სამხრე ღვედში ცალი მკლავი ხელდახელ გაუყარა და ბექის ფრთაზე უცებ მოიგდო. მერე წამოღგა. საწოლის დაქიმულმა ზამბარებმა შეება ძლირალით გამოხატეს.

— მოიცა, გაგაცილებთ. — წამოიძახა საეგაჩოვმა და, ცივ ვესტიბიულში მგლოტზე რომ რა შეცივნოდა, თავი პირსახოცით წაიკრა.

გასაცილებლად მეც გავემზადე. იღლიებში ყვეარჯნები მოხერხებულად მოვიქციე.

მატახერიას არა უთქვამს რა, მაგრამ სახეზე კმაყოფილების გრძნობა მაინც გამოეხატა. საწოლზე მიგდებულ მაზარა ცალი ხელით მარჯვედ აიტაცა, მკლავზე ისევ დარღიმანდულად გადაიკიდა.

ბალატაში მაშენკაც ეშეჭყეფდეს. სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კავის ყოფილ მაიორს თვალი მოჰკრა თუ არა, შეცბა, სახეზე გაკვირების იერმა გადაღრბინა მერე შუბლი კუმტად შეეკრა და განზრახ ხმამაღლა, ოდნავ ყალბად წამოიძახა:

— ეს რასა გაქვს? თქვენ აქ საიდან გახნლით, ან ეგრე ჩაცმული ვინ შემოვიშვათ?

მატახერია დანაშაულზე დაჭერილ ბავშვივით დაიბნა. მკლავზე გადაგდებული მაზარა ძირს კინალამ დაუეარდა. თოფრა ბექის ფრთაზე მაზარის აქნევით შეისწორა, ხელი ჯერ ნაგანზე როგორც თავისთავად მოისვა, მერე პორტუპეაში გაიყარა და თავი, მისი შიშით თუ მორიდებით, დაბლა დახარა.

მაშენკაცს მის საქციელზე კმაყოფილებით გაეღიმა. მისმა ყალბმა პრისხანებამ ძალა უცებ დაკარგა. ვაქაცს ხელი მკლავში მეგობრულად ჩაავლო, — მის გვერდით ჩვეულებრივზე პატარა გამოჩნდა.

— წამო, გენაცვალე, წამო. — დაუყვავა და რუსულად ნათქვამ სიტყვაში მეტის სინაზისა და სითბოსათვის რუსულივე კილოთი ნათქვამი ქართული სააღერსო სიტყვაც გაურია.

მატახერიას მის აღერსზე სახე გაუბრწყინდა. მაზარზე გადმოტარებულ პორტუპეას ხელი ისე მაგრა მოუჭირა, რომ ღვედმა საამო ქრაქუნი მოიღო.

— ესეც კარვად ხართ! — განაგრძო მაშენკამ ისე, თითქოს მის მღელვარე ბას ვერც ამჩნევდა. — ახლა ჩვენ უკვე აღარ გვეკუთვნით... სალი ხართ... ჯანლონით აივსეთ და... წადით. ძამიავ... წადით, იომეთ და, იცით, როცა იქ იქნებით... ამა მე რა ვიცი რათ, უსათუოდ, იცოდეთ, უსათუოდ მომავონდებით...

და ამ სიტყვებით ვაქაცს თვალი თვალში გაუყარა.



მატახერია გაწითლდა. გრძნობით ატიტინებულ ვოგონას მგზნებარედ დახედა.

ის კი, ის კუდრაქა და ნაზმაზუნა, თავისი ტილოს თეთრი ხალათით ისევ ნათელი, ისევ უმძრახი წყნარად იდგა. ჯერ შეუბღალა, ქალიშვილურად ოდნავ მოშალაო ზეკრდით მშვიდად სუნთქავდა.

გული სავგაჩოვსაც გრძნობით ამოვლოდა. მუდარით, თითქოს საყვედურით წამოიძახა:

— მაშენკა, ვოგო!... ეგეთი ნუ ხარ... ეგეთი ნუ ხარ-მეთქი!

სიტყვა ველარ განაგრძო.

— ეხს! — ხელი ამოხვრით ჩაიქნია.

მაშენკას მისი სიტყვები თითქოს არ გაუგონია.

— წამო, გენაცვალე. — თქვა და ვაჟაკს ხელი გაუშვა. — ევგენი პეტროვიჩმა აქ არ დაგინახოს, თორემ შევდღეს დაგვაყენებს.

— იმ იმედით, რომ ისიც თან გაჰყებოდა, კარისაკენ წყნარად ვაემართა. მატახერიაც მას უკან ისეთი მორჩილებით აედევნა, როგორც რქაში ბაწარჩაბმული ხარი ბავშვს თვინიერად აედევნებ: ხოლმე.

მე და სავგაჩოვიც თან გავყევით. მაგრამ მაშენკამ ის არც ღერეფანში დააყენა. ვესტიბიულისაკენ წყნარადვე გაუძღვა. ყავარჯნებით სიარულში ჯერ კიდევ გაუწაფავი მათთან ერთად მეც საცოდავად მივკვლანობდი.

— ბეჯან, რა გინდა? ხომ ხედავ, რომ ძლიეს დადიხარ. — შემეხეეწა მატახერია, მაგრამ მე ჩემი მინც ავიჩემე, დაბლა სართულში ხალხით გატენილ ვესტიბიულის მარმარილოს ვანიერ კობეზე ერთად დავეშვიტ.

16

ჩრდილოეთის მოკლე დღის იისფერ-ნისლიანმა საღამომაც მოატანა. განკურნებულებს ვესტიბიულში გამარ-

თულ სუფრაზე ესაღიწნათ და ახლა გამგზავრების წინ, ერთმანეთს მისაეტეხათ. ვინ სასაღიღო ვინაღიღო აქ გამოტანილ როიალზე რალაც პანგს თავაწყვეტილად აბარტყუნებდა. ვინ სტვენდა და ვინ მაგიდაზე დანა-ჩანგალს ხმის აყოლებით არახუნებდა. აქ ბაიანზე რუსულ, საცკვაო კილოს აჰყვიტინებდნენ. ვილაც სერენატი თან ცეკვავდა და თან ეშხში მოსული თავადებულად გაჰყოდა. იქ ვილაც ოზბეგი თავისთვის ღლინებდა თუ ტიროდა, კაცი ვერ გაიგებდა. სახეზე ყველას უჩვეულო გზნება აღბეჭდვოდა. არცერთს წყნარი ლაპარაკი არ ეხერხებოდა. მათგანვე ატეხილ აურ-ზაურში, ერთერთს რომ ვერას აგონებდნენ, ცდილობდნენ ერთიმეორის ხმა ყვირლით დაეფარათ, ირავლივ ყურთანშენის წამლები ვნისი იდგა.

ლოგინში ღიბხანს ნაწოლი, დასუსტებული ფეხზე დგომით მალე დავიღალე. თან ამ ხმაურმა და ვესტიბიულის ცივმა პაერმა, ცოტა არ იყოს, გამაბრუა. იქვე კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოვჯექე, დაბინტული ფეხი ქეშად წაწვენილ ყავარჯნზე ფრთხილად ჩამოვდე; მებრძოლთა ხალისიან ყრიაშულს თვალყურს ღიმილით ვადევნებდი, — რატომღაც ჩემი რედაქცია, ჩემი თანამოკალმენი და მათ შორის ზომენკო მომაგონდა, გულმა ფრონტისკენ მეც გააწვია.

აკვლინა ივანოვაც აქ იყო. ლოყაზე აფარებული ცალი ხელი იდაყვით მეორე ხელზე ჩამოეყრდნო. ახალგაზრდების სიცოცხლით სავესტრიაში თავისთვის იცინოდა, თვალი სიხარულის ცრემლით ცვესებოდა, თავის საჭიციელზე გული თვითონვე მოსდიოდა. გამოგონილი უკმაყოფილებით თავისებურად ხმამაღლა ბუზღუნებდა:

— ბალები! ნამდვილი ბალები და ჭუჭყისფერი ხალათის კალით ცრემლებს თვალეებზე სიცილით იშშრალედა. ბუზღუნს ისევ განაგრძობდა:

— მიტყვამს, ათასჯერ მიტყვამს და კიდევ ვიტყვი, რომ ბაღლი და მამაკაცი ერთია. მერე რა, რომ ღონიერია, მაინც ბაღლივით საპატრონოა. პერანგს ხეირიანად ვერ გაიხრცხავს. დილი რაა, შარვალზე დილი რომ ააწყდეს, რიგინად იმასაც ვერ დაიკერებს... სულ უკან უნდა სდით... სულ იმის შიშში უნდა იყო, რომ თავს რაიმე არ აუტეხოს...

თავის სიტყვებზე გული თვითონვე ამოუჯდა. ხელები განივრად გაშალა. თითქოს ღვთის სავედრებლად ემზადებოდა, ხმამაღლა დაიძახა:

— შეიღებო! ჩემო შეიღებო...

ცრემლებმა ყელი გადაუეჭტეს. თვლებზე ხალათის კალთა აიფარა და არ დაუნახავს ცხრამეტეოდე წლის თითქმის პირტიტველი ვიღაც გიჟმაჟი მებრძოლი მის წინ მკლავგაშლით, ბაიანის პანგს აყოლებულ ფეხის სარსალით, ჭყვილით, ბუჭნით მის წინ როგორ გაჩნდა. საცეკვაოდ როგორ იწვევდა.

აქუღინა ივანოვნამ თვლებზე აფარებული ხალათის კალთა ჩამოიშორა. კინკრინოზე დარღიმანდულად ქუდ-მოგდებულ ყმაწვილს ერთი ამრეზილად გადახედა და სიბერემდე შემონახული კოკობზიკობით ერთი გამომწვევად გაეცინა. მერე ჩაპრანჭულ-ჩანაოჭებული, მგვრამ მაინც ლაზათიანი სახე თავისი პაჭუა ცხვირიანად სასაცილოდ აიბზუა, გათაძამებულ ბიჭს ერთხელ კიდევ გამკილავედ გადახედა. შინაგანმა სიციოცხლის ძალამ თავისი ბოლოს მაინც გაიტანა. ხალათის სარტყელში გარჭობილი მტვერის საწმენდი ჩვარი მკლავგაშლილმა ხელდახელ ააფრიალა და „განი განიო“ რომ დაიძახა, ირგვლივ ქვეყნით, ლაღად ჩამოიძარა.

ისედაც ვალაღებულ მებრძოლებს ესლა აკლდათ. კივილით, სტვენით იჭაურობა სულ აიკლეს. ცეკვას ერთიმეორეს არ აცლიდნენ, ერთურთს ეცილებოდნენ, — აქუღინა ივანოვნასთან

ერთად ერთხელ მაინც ჩამოვლა ყველას უნდოდა.

— Магушка-а! Мама ты моя мамочка-а! გაკიოდნენ და თან კიდევ უფრო გაცხარებით ბუჭნადნენ, თავისი სიხარული რით გამოეხატათ, არ იცოდნენ.

თვალი მაშენკას ვიღაცამ მხოლოდ ეხლა ზოპკრა.

— მაშენკა-ა! შენც აქა ხარ! ჩვენთან ხარ, — დასძახა ყურთასმენის წამლები ჭყვილით და სიჩუმე წუთით თითქოს იმიტომ ჩამოეფარდა, რომ ხმაურს ამის შემდეგ ერთიორად ემატნა.

— მაშენკა-ა! ჩვენი მაშენკა-ა! — გაისმა აქეთ-იქიდან სიხარულის ყივინა და ყველაფერი ერთბაშად აირია, ძალი პატრონს მართლაც ვეღარ იცნობდა.

მაშენკა შეცბა. ჯერ გაწითლდა, ხელები თავის ირგვლივ როგორღაც უსაგნოდ ააფათურა. მერე სიცილი აუტყდა. როგორღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ არაბუნებრივად იცინოდა. თან დარცხვენილად, ისე, თითქოს გვეკითხებოდა, — ეს რა ხდებაო? — ხან მე გადმომხედავდა, ხან მატახერის ან საგვაჩოვს, ისევ იცინოდა, ერთსა და იმავეს დამთხვეულივით გაიძახოდა:

ძვირფასებო... ჩემო ძვირფასებო... — და ყოველ მათგანს ხელს დიდხნის უნახავსავით სათითაოდ ართმევდა ეტყობოდა, — თვითონაც არ ესმოდა, რისთვის ართმევდა ან რას სჩადიოდა. საერთო ურბამულით ატაცებულს, არ გაუგია, რომ მათი წასვლის დრო მართლაც მოახლოვებულიყო. კარი ვრცლად რომ გაიღო, მხოლოდ მაშინ მიხვდა, ისინი თურმე მიდიოდნენ, თურმე მართლა ეთხოვებოდნენ, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ ეთხოვებოდნენ.

— იციოცხლეთ... გამარჯვებით დაბრუნდით... მალე დაბრუნდით... — როგორც იქნა, იპოვა საჭირო სიტყვები და ისიც, ზაზარაჩაცმულნი, თავზე — ქუდიამოფხატულნი და შხარზე თოფ-

დამოკიდებულნი, მადლობას თანაგრძნობისათვის, მოვლისათვის, ყველაფრისათვის მღელვარედ, მამაკაცური ტლანქი მოუხერხებლობით უშნოდ უხდიდნენ; ხელს, გამოთხოვების ნიშნად, მაგრად ართმევდნენ და თავს, სააღერსო სიტყვათა თქმას უჩვევნი, რაღაც აბღაუბლას ბუტბუტებდნენ:

— შენც, დაიკო... შენც იცოცხლე... სულ... სულ იცოცხლე...

მაშენკას სიტყვის მარაგი თანდათან ემატებოდა, ისიც მღელვარედ ბუტბუტებდა:

— ნახვამდის, ძვირფასებო... ნახვამდის გენაცვალევი... იბრძოლეთ, იცოცხლეთ... თქვენს დედას, თქვენს ცოლ-შვილს, მშვიდობით, გამარჯვებით დაუბრუნდით... თქვენი სოფელი, თქვენი ზეზობლები გაახარეთ... და, იცით რა?, თქვენი მაშენკაც ნუ დაგვუწყებოდეს... წერილი, მოიწერეთ... მეც მომიგონეთ...

აქუღინა ივანოვნა იქვე გულზე ხელდაკრეფილი უძრავად იდგა. ყოველ მებრძოლს, რომლისთვისაც მას შუბლზე სიმწრის ოფლი შეეშრო, დედა-შვილური აღერსი არ დაეკლო, თავს მდაბლად უკრავდა და თან ერთსა და იმავეს ისიც დაშთხვეულივით გაიძახოდა:

— ჩემო შვილებო... ჩემო ბავშვებო... მამაზეციერმა, დედამ ღვთისა დღეგრძელობა ნუ მოგაკლოსთ...—ლოცავდა, ყოველ ზათვანს სასოებით ეთხოვებოდა და, ჯვარს რომ გადასახვედა, გულმკერდზე ხელეშს ისევ დაიკრეფდა, თავს ისევ მდაბლად უკრავდა.

მებრძოლები კარში სიცილ-ხარხარით გადიოდნენ, ისფერ საღამოს, ჩასული მზით ნარინჯისფერად განათებულ ცისიერზე ლურჯად გამოზატულ ტყვს ხალისიანი ქრამულით მიესალმებოდნენ. ვესტიბიული თანდათან ცარიელდებოდა.

მატახერია როიალთან განმარტობებით იდგა. ხელებს მღელვარებისაგან

წარამარა იშვუშნიდა. ხან იცინოდა, ხან ფითრდებოდა, —საქციეფუ... იცინოდა რა ექნა, ან როგორ მოქციეულიყო. ვესტიბიულიდან უქანასქნელი მებრძოლი რომ გავიდა, ჩამოვარდნილი სიწყნარით ისარგებლა. მხარზე მოკიდებული თოფრა მოიხსნა, როიალზე მიავლო და ზერე უქან კულუსუნამდე ცხენოსნურად კალთააქრილი მაზარის ყველა დღეგმები აირთოლებული თითებით ისე, თითქოს ვინმე მოსდევსო, საჩქაროდ შეიზნია, სარტყელი გაისწორა აქუღინა ივანოვნასაკენ ქულმობილი აღლიანი ნაბიჯებით გაემართა. საღამოს ნიშნად თავი მის წინ დახარა.

მოხუცი ქალი წუთით დაიბნა, მაგრამ გონი მალე ისევ მოიკრიფა. რაც სააღერსო რამ სიტყვები იცოდა, ყველა გულმხურვალედ გაიმეორა. მაცხოვარს, დედას ღვთისა ისიც შეავედრა. ჯვარის გადასახვა რომ დააპირა, შედგა. ალბათ მოაგონდა, რომ ის, მისი ასრით, ბასურმანი, ესე- იგი, ურწმუნო იყო.

— ღმერთმა გაკურთხოს, შვილო...— წაიბურტყუნა გაცბუნებით. — შენმა ღმერთმა გაკურთხოს, შვილო...

ხელები გულმკერდზე სასოებით დაიკრეფა. თავი მდაბლად დაუკრა.

მატახერია მიხვდა რისთვისაც შეერთა იგი. მიხვდა იმასაც, ჯვარი მას თუ რისთვისაც არ გადასახა. მაგრამ არაფერი უთქვამს არ უთქვამს, რომ სარწმუნოებით ისიც იმასავით მართლმადიდებელი ქრისტიანე იყო; არ უთქვამს არც ის, რომ მისმა მშობელმა ერნა ეს რწმენა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნის გარიყრაყზე აღიარა. თავზე ქუდი თვალეზამდე ჩამოიფხატა და ერთბაშად ისე, მისგან არასოდეს რომ არ გაგვიგონია, ხმაშალა გადიხა: ხარა. მერე მკლავები ქარის წისქვილივით განივრად გაშალა და მძლავრად ზოტორილი მოხუცი გულში ჩაიკრა. მღელვარებაში ალბათ ღონე ვერ მოზომა, — მის მკლავებში ჩაკარგული აქუღინა ივანოვნა ვითომც გაგულისე-

ბით, მაგრამ არცთუ სახუმროდ აყვირდა:

— გამიშვი, დათო! ხელი გამიშვი, შე ბასურმანო, ნეკნები არ ჩამატერიო!

მატახერიამ ხელი მაშინვე უშვა. მერე შუბლი კუშტად შეიკრა, თავი ისევ დაბლა დახარა. ბავშვით შეეხვეწა:

— დამლოცე, დედი... ნუ გეშინია, ახლა ყველას ერთი ღმერთი გვწამს. ეს ღმერთი შენი გულია... დედის გულია... ეგრე არ არის, ამხანაგებო? — ხმამაღლა რომ იკითხა, ჩვენკენ მხოლოდ შემდეგ შემოტრიალდა.

— ეგრეა, ამხანაგო. ლეიტენანტო, ეგრე! — მოისმა ნაცნობი ხმა კიბიდან. ევგენი პეტროვიჩი ჩვენ მხოლოდ ახლა შევნიშნეთ. თავისი აქ ყოფნით მებრძოლთა მზიარულებსათვის ხელი რო? არ შეეშალა, ვესტიბიულში აქამდე ამიტომაც არ გამოსულა.

აეკლინა ივანოვნა მისკენ შებრუნდა წუთით შეყოყმანდა. ერთბაშად გაეკინა. ის სახეიშო და თან მკაცრი გამომეტყველება სახისა უცებ დაკარგა. ევგენი პეტროვიჩს, მასთან ერთად კიბეზევე გადმომდგარ ექიმებს, ასისტენტებსა და მედიცინის დებს თვალეშში სათითაოდ, თითქოს რაღაცას ეკითხებო, დაკვირვებით ჩააჩერდა. მერე სახე ისევ ერთბაშად გაუბრწყინდა, წელში ამაყად გაიზარა და „ბასურმანს“ ჯვარი სასოებით გადასახა.

— ღმერთო ძლიერო, ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო, ძლევაშოსილო წმინდა გიორგი, თქვენ გაუმარჯვეთ ამ ვეკაცს გასაჰირში! — თქვა ლალადისოდ და უცებ ისე, მგონი, თვითონაც რომ არ მოელოდა, — ტირილი აუტყდა.

მატახერიამ მკლავები მხარზე შემოხვია და ყურში ალერსით ჩასჩურჩულა:

— კმარა დედი... დედაშვილობამ კმარა...

აყრემლებულ ქალს თან გულში იკრავდა და თან ისევ განაგრძობდა:

— კმარა... იმას, ვინც შენ ეგ ცრემ-

ლები დაგაღვრევინა, ბერძენული... ჩაყვები... ღვინში ჩაყვები...  
ში ჩაყვები...

— ღმერთმა გაკერთხოს, შვილო... იცოცხლე... იცოცხლე, შვილო... — ბუტბუტებდა გულამომაჯდარი აკულიონა ივანოვნა და ხალათის კალთა რატომაც დაკმუჭნა, ცრემლები ხელის ცახცახით შეიშრალა.

მატახერია მოხუცს ისევ ამშვიდებდა. თავს ისე ევლებოდა, თითქოს მისგან ორიოთხასი კილომეტრით დაშორებულსა და მისი დარდით თმაგათეთრებულ მშობელ დედას ეალერსებოდა.

— წამოდით, ამხანაგო ლეიტენანტო! ამხანაგო ლეიტენანტო, არ დაგვიანდეთ! — შემოსძახეს ეზოდან წასასვლელად გამზადებულმა მებრძოლებმა, მაგრამ მას მათი ძახილი თითქოს არ გაუგონია. ხელი ჩამომართვა. წუთით შეყოყმანდა. უნდოდა ასეთ დროს რომ შეეფერება, ისეთი რამ ეთქვა, მაგრამ სიტყვას ვერ პოულობდა. ზღელვარებისაგან დაფანტულ აზრებს თავს ვერ უყრიდა. თვითონაც არ ვიცო, ერთი მეორეს როგორ გადავეხვიეთ.

— კარგათ იყავით, ბეჯან... მალე, სულ მალე საქართველოში შევხვდებით ერთმანერთს. ღვინით სავსე ყანწები კიდევ ჩვენებურად, ქართველურად დავტრიალოთ...

ხელი ჩაიჭნია. სავგაჩოვისაყენ თავჩალუნული გაქანდა. ხელი იმასაც ჩამოართვა. არც დობროხოტოვი დაეიწყინა. ორთავ მძურად გადაკოცნა. ჯვრი მაშენკაზე რომ მიდგა, თავი მოკრძალებით დახარა, ოდნავ გასაგონად წაილულლოდა:

— მშვიდობით ზაშენკა... არ ვიცო, მატახერიამ მისი გადაკოცნაც მართლა გააპირა, თუ მაშენკამ ეს ამბავი განზრახ გამოიგონა, ხელები ვითომ მის მოსაგერიებლად ასახსავა, სიცილით დაიძახა:

— არ ზაკოცოთ! იცოდეთ, არ მაკოცოთ, თორემ შემიყვარდებით.

ისედაც მორცხვი ვეყავი ამ სიტყვებზე სულ დაიბნა. თავი დახარა. ქუდს ვაცბუნებულმა კმუჭვნა დაუწყო. კუბის თავიდან ამ დროს ევგენი პეტროვიჩის ხმაც მოისმა:

— რას უყურებ? აკოცე! აკოცე თორემ დაგცინებ!

იმასაც ეს უნდოდა. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ ქალი თავისი განიერი მკლავებით მართლაც მთის დათვივით ჩაბლუჯა. ერთხელ აკოცა. ორხელ აკოცა. მერე მოწყდა. თავი მალა არ აუღია. როიალზე მივდებულ თოფ-რას ხელი დაავლო. მთვრალის ბანდალით, უშნო ძუნძულით კარებისაკენ გაქანდა. დირესთან შედგა. ხელი მალა ასწია და როგორღაც ლაღად, გაზომიერად კილოთი დაიძახა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ამხანაგო სავგაჩოვ! აქამდე არ მითქვამს. გიმაღავდით... იცოდეთ, რომ მე განათლებით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ.

სავგაჩოვი ამ სიტყვებზე ერთი უშნოდ შეეკვიწილა. მერე ჩემკენ შემოტრიალდა და გაცოცხებით შემომხედა. — როგორ? რა-ო? — წამოიძახა და მისკენ წაიწია.

მატახერიას მისთვის ყურადღება არ მიუტყევია. მასთან მიჭრილ პოლკოვნიკს ვვერდი უცებ აუქცია და მარმარილოს განიერსა და გრძელ კბეს ვეფხვისებური ნახტომით თავში მოექცა. ევგენი პეტროვიჩის წინ ისარივით დაერკო.

— მადლობ, ევგენი პეტროვიჩ! მადლობ, რომ ეს ხელი მომიჩინეთ. თქვენც იცით, რომ ზუსტი მექანიკის ინჟინერი უაშინოდ ვერ ივარგებდა. — თქვა და თავის მკურნალ ექიმს თავი მეგრული თავაზიანობით მდაბლა დაუკრა, ორთავ ხელი მოწიწებით ჩამოართვა. არც ზის გვერდით მდგომი მის-რენტები და მედიცინის დები დაიწყო. ხელი იმათაც სათითაოდ ზრდილად ჩამოართვა და, რამდენიმე საფეხური მოზიდებით პირუტყულმა რომ

ჩაიარა, უცებ შებრუნდა. კბეზე მარდად ჩაირბინა თვალის. მისი მკურნალი კართან გაჩნდა. იქიდან როგორღაც ლაღად ისევ დაიძახა:

— ამხანაგებო! მეგობრებო! იცოდეთ, რომ ყველაფრის, ყველაფრის მადლობელი ვარ. და ხმას დაუწია:

— მშვიდობით, მაშენკა.

თვალს რომ მიეფარა, გონს ყველანი მხოლოდ მაშინ მოველით. უკან მხოლოდ მაშინ დავედევნეთ.

არ ვიცი როგორ მოხდა. ან თავს როდის გადაგვასწრო, გარეთ რომ გვევლით, მაშენკა შუა ეზოში მარტო იდგა მკმუნვარე სახედაღერმილი მატახერიას თვალს ვერ ამორებდა. ვასცქეროდა, თოფრამოკიდებულო, მაშარის კალთააკეცილი გრძელი ცხენოსნური ფეხებით როგორ მიალაგებდა იგი ტყეში გაჭრილ ლაფიან გზაზე, იისფერ სალამოს ნისლში თანდათან როგორ ინთქმებოდა.

— გაიგონეთ? — იკითხა სავგაჩოვმა, როცა კბეზე ამოვიდოდი. — გაიგონეთ, რა თქვა ამხანაგმა ლეიტენანტმა ინჟინერი ვარო. მექანიკოსი ვარო. როგორია, ჰა?

ევგენი პეტროვიჩს მშვიდად, როგორღაც ეშმაკურად გაელიმა. ოქროს სალტეებიანი სათვალის მინა პირით დაორთქლა, თეთრი ტილოს ზალათის კალთით გულდაგულ რომ აპრიალებდა, თვალმოკუტებით თქვა:

— ზართალია, ამხანაგო პოლკოვნიკო, სრული ჭეშმარიტებაა. საბუთებში ეგრე უწერია.

— საკვირველებაა! საკვირველება! — წამოიძახა მხრების აწევით სავგაჩოვმა. — ეგრე თუ იყო, რათ მალაედა?

წყლისფერი ჩხია თვალები გაცობისაგან კიდევ უფრო გაუწყალდა.

მის გაკვირვებას მეც ვიზიარებდი. მისი გულმინდელი მსჯელობა ტექნიკისა და კულტურის გამო ახლა ეგრერივად აღარ მაკვირვებდა.

გაზაფხულის ვარსკვლავიანი ცა სარკმლებს ხვევრდევით ჩაბრუნებდა. ირგვლივ სიწყნარე იყო. საღლატ, საწვიმარ მილში, წყალი ისევ თანაზომიერად წვეთავდა. ჯერ კიდევ საბავშვო სანატორიუმის დროიდან შემორჩენილი, მაგრამ გერმანელ დამპყრობელთაგან დაღწეული და შემდეგ ჩვენებისაგან ისევ აღდგენილი ცემენტის მოკლეკბიანი-მოკლეშარკლიანი პიონერები ვესტიბიულის განიერ კიბეს პირთან მიტანილ ღორღოტოტობით აქეთ-იქიდან ამოდგომოდნენ. ახლად გამართულ სასაღილოში ახლა ისეთი წესრიგი იყო რომ აქაურობას იმ არე-დარევის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. დაჭრილები თეთრ ტილო-გადაფარებულ მაგიდებს წყნარად უსხდნენ, ჩაის ხმის ამოუღებლად შეეჭკვიოდნენ. თეთრად შეღებულ ტაბურეტებსა და გრებილ სკამებს, მუხის ზძიმე ბუფეტსა და როიალს სისხლნაკლული ელნათურები მკრთალათ, უღიმღამოდ ანათებდნენ.

ამხანაგ სავეჯიოვთან და დობროხოტოვთან ერთად სუფრას ამალამ პირველად მეც ეუჯექი. ჩემს სიხარულს, რომ ულუფას ლოგინში აღარ ვკამდი, ჩრდილი ზაინც ადგა. მეგობარს თურმე ნამდვილად მხოლოდ განშორების შემდეგ აფასებ. მატახერიას ნამდვილი ფასი ჩვენც მხოლოდ ახლა გავიგეთ. მასთან გამოთხოვებით აღძრული შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ გავგნელებოდა. ის წელანდელი ერთამული ყურებში ისევ ცოცხლად ხმაურობდა, ყიყინა, სიცილხარხაზი სიჩუმეში თითქოს ისევ გაისმოდა. ათასში ერთხელ ფინჯანში გაწყრილებული კოვზი, ცემენტის იატაკზე დავარდნილი დანა, ჩაის მომტან გოგონას თუნუქის შავი ლანგარის ელრიალი უსიამოვნოდ გვაკრთობდა. დაჭრილთაგანა ბევრს პირველად ახლა ვხედავდი. ბუნებრი-

ვია, თუ მე ყოველ მათგანს ყურადღებით ვათვალიერებდი. ~~მათგან~~ ~~სიჩუმეში~~ ~~სუფრასთან~~ ~~ჯდებოდა~~, ~~როგი~~ ~~დგებოდა~~, კიბეზე უბრად აღიოდა.

— ჩაი ჩვენც დავლიეთ. ძილის წინ მსუბუქად დანაყრებულნი მალე ავდექით. ორი ნაბიჯიც არ გექონდა გადადგმული რომ მე, სიარულში ჯერ ისევ გაუწაფავს, ყავარჯენი იატაკზე ამი-ცურდა. ამხანაგებს ხელი დროზე რომ არ მოეშველებინათ, ალბათ წავიქცეოდი. ვეცემოდი, მაგრამ თვალი მაინც მოვკარ სუფრების ირგვლივ შემომსხდარმა ავადმყოფებმა, ჯერ შიშით, რომ არ დავცემულიყავ და მერე, ზათი მყუდროება ეგრე უდიერად რომ დავარღვიე, გადარაჯებით შემომხედეს. სანამ ისინი მომეშველებოდნენ სავეჯიოვს ცალი ხელით ისევ ვეჭირე. ბაყაყივით გაჩაჩხული იატაკზე დავარდნილ ყავარჯენს მეორე ხელით დასწვდა, მოშაწოდა, კიბის საფეხურებს მეტის სიფრთხილით აყვევით.

დერეფანში სიწყნარე იყო. მთელი დღის ალიაქოთით დაღლილი დაჭრილები ჩვეულებრივზე ადრე დაწოლილიყვნენ. შუა დერეფანში სარკმელთან მიდგმულ ლურჯ შუქფარვიან ელექტროლამპით განათებულ ვიწრო მაგიდას მაშენკა უჯდა, რაღაცას გულმოდგინედ წერდა. ჩვენს დანახვაზე ნაწერს საშრობის მაგიერ სააფთიაქო ფილტრის ქაღალდი წააფარა. ხელში კალმისტარი ისევ ეჭირა, დაფიქრებული თვალებით ჯერ დობროხოტოვს, მერე სავეჯიოვს და სულ ბოლოს მე სახეში სათითაოდ მოგვაჩერდა.

— მორიგეობ? — ჰკითხა სავეჯიოვმა უფრო იმიტომ, რომ რამე ეთქვა.

— ემორიგეობ. — მოსწრა მაშენკამ განზრახ მოკლედ, რომ საუბარი არ გაემა და თავიდან მალე მოვეშორებინეთ. დობროხოტოვმა მისი სურვილი ვერ გაითვალისწინა.

— რა, გვიწყრები? — შეეკითხა აღერსიანად.

— არა, არ გიწყობით... რათ უნდა გიწყობოდეთ?... — თქვა მაშენკამ და ელექტროლაშპის შუკით ოქროსფრად გაბრწყინებული ბუწუწები ხელის გადასმით გადაისწორა.

— ის, რასაც თქვენ ახლა სწერთ, ვფიქრობ, საიდუმლება არ უნდა იყოს ვთქვი მორიდებით.

მაშენკამ სიტყვის დასრულება არ შეცალა.

— რის საიდუმლოა რა საიდუმლო! — წამოიძახა და პირველადი ქალიშვილობით ოდნავ მიმქრქალეზულ თეთროყრიზ სახეზე ის თავისი ჩვეულებრივი და თან მომხიბლავი ღიმილს შუკი ნათელივით მოეფინა. — დასაძალი რა მაქვს... იცით, თქვენი ის წუხანდელი რჩევა ჭკუაში დამოჯდა. ევგენი პეტროვიჩიც მაგას ჩამხიჩინებს. ზართალი რომ ვთქვათ, სწორიც არის... ომი თავდება. სანამ უნდა ვიჯდე ტყეში კამინასაით? — განცხადებას ვწერ. მინდა, ამ გაზაფხულს გამოცდებზე დამიშვან...

გაჩუმდა. ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს ჩემგან წაქეზებას მოელოდა.

— კარგად, ძალიან კარგად ვიფიქრია, მაშენკა — მოუღწონე განზრახვა და კალმინტარზე მის სასაცილოდ მოკრუნხულსა და მელნით დასერილ თითებს რომ დაეხედე გამელიმა. — ორსამ წელიწადში განათლებული ქალი ბენები... მოწინავე აღამიანი...

მაშენკას სახე აელეწა. სიტყვა არ დადსრულებინა.

— ეგ თქვენი საქმე არ არის. — მითხრა მოუთმენრად. — წადით, ამხანაგო... წადით, წუხელ თითქმის არ გიძინიათ...

ფეხზე წამოდგა. მხარზე ხელი აღერსით დამავლა.

— თქვენ ერთი ეს მითხარით... მატახერია... აი ის თქვენებური აბრაგი, მართლა ინენერია?

2. „მნათობი“, № 4.

— ალბათ, — ვთქვი და მერე მიხედდი, რომ ამ შეკითხვას წესიერად უნდა ღრმა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

— პოო... — მიბასუხა დაფიქრებით. დაჯდა. წერა ისევ განაგრძო.

პალატაში ოთხის მაგიერ სამნი ვიყავით, ხოლო საწოლი ხუთი გაემართათ. ბუხარში ცეცხლი ტკაცუნობდა. მატახერიას აქ არ ყოფნა კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი. მთელი დღის მღვლეარებით დაღლილს ჩემი ლოგინი, აქამდე თავს ეგრე რომ მაბეზრებდა, ახლა, ჩაწვიქ თუ არა, თავისი ჩარსავითა და საბნის ნარმის ამოსაფენით ტანზე საამოდ ამულამუნა.

სავეაჩოვსა და დობროხოტოვს, როგორც სჩანდა, ჯერ კიდევ არ ეძინებოდათ. ბუხართან ისხდნენ. ჯერ ამან სთქვა რალაც უმნიშვნელო, მერე იმან, მაგრამ ნათქვამი პასუხს არ იწვევდა. ბასი ბოლოს მაინც გაიბა. დღევანდელი დღის განცდებს ერთურთს წყნარად უზიარებდნენ. ჩემი მყუდროება რომ არ დაერღვიათ, თავისთავის, მგონი, ისევ მატახერიას გამო საუბრობდნენ.

გოსპიტალი თანდათან მიყუჩდა. მოდილებული ზღინარის დეპორტაციის ხმაური თანდათან მკაფიოდ მოისმოდა. ჩემი მშობლიური მტკვრის დუღუნო ტკბილად მომაგონდა. ოცნებად წასულს თვალი რულმა შეუღწენვლად მომპარა. ბნელიდან ბნელში რალაცამ რბილად გადამიქნია, სადღაც ერთბაშად ჩავიძინე, არ გამიგია სავეაჩოვმა, ან დობროხოტოვმა როდის დაიძინეს. არც ის გამიგია ახლად მოყვანილ დაჭრილებით გოსპიტალი როდის აივსო.

აქუღინა ივანოვინა ჩემსა და სავეაჩოვს შორის ჩაღვმულ ახალთახალ საწოლზე ვილაც დაჭრილ ოფიცერს რომ ათავსებდა, ყველას თითქმის ერთად მხოლოდ მაშინ გაგვეღვიძა. ფეხი შე-



ვასწარ, სანიტარებმა ბრეზენტის ცარიელი ჯალავერი ღერეფანში როგორ გაიტანეს. დაჭრილთან ერთად შემოყოლილი გახაფხულის ნედლი მიწის, ბლინდაყის ნესტით დანოტიოვებული მახარისა და წმინდა ჰაერის მაცოცხლებელი სუნი ერთად ვიგრძენ, გული აძიძგერდა.

— დამაცა! დამაცა-მეთქმ! — უჯაერდებოდა აკულინა ივანოვნა დაჭრილს თავისებურად და თან საბანს ორთავ მხარეს ვულდაგულ უკცავდა.

მაშენკა იქვე იდგა. მის საქმიანობას თვალყურს ჩუმად აღევნებდა. ის კი, ახლად მოყვანილი, აკულინა ივანოვნას ბუზღუნს აინუნშიაც არ ავღებდა.

— სალამი, ამხანავო ოფიცებო... სალამი არწიეებო... — მოგვესალმა მე და სავგაჩოვს მომხიბლავი ღიმილით, მაგრამ სახე ტკივილით დაემანჭა, ხელი ფეხისკენ კანკალით გაიშვირა. ცოტახანს ეგრე იყო. მერე ალბათ ტკივილმა გაუარა. საბეზე ის მომხიბლავი ღიმი ისევ მოეფინა.

— მადლობ, ჩემო ძვირფასო! ზედლობ, ჩემო კარგო ლალავ. — ამბობდა იგი გადაჭარბებული თავაზიანობით, მაგრამ აკულინა ივანოვნა რის აკულინა ივანოვნა იქნებოდა, მისთვის ერთი თავისებურად რომ არ დაეტატანებინა.

— ეგ მადლობა, თუ შეიძლებაოდეს, თქვენთვის შეინახეთ. ნურას უკაცრავად და, ეგ თქუნი მარმალადები აქ არავის არ სჭირდება. ის თავისას მაინც განავრძობდა. ზედლობას შემწყწარებელ ღიმილით უხდიდა:

— მადლობ, ჩემო ძვირფასო, მადლობ... ოღონდ, თუ შეიძლებაოდეს, აჲ, აი აჲ ეს ნაოჭი გამისწორეთ, ცოტა მაწუხებს.. აი ეგრე... ესეც ეგრე..

ბალოშზე ბატონკაცური შვებით მიესვენა. მალალ შებლზე მხატვრულად ჩამოშლილ, ოდნავ ქაღარა შერთულ უხე თმებში მუსიკოსისათვის დაზახასიათებელი გრძელი თითები

ღრმად გაიყარა, ნებიერ დიაკრივით უკან მინახებულად გადაისწორებდა. —  
შამენკამ ჩემკენ მსაგულად გამოჩნებდა. მერე ერთი ღრმად მნიშვნელოვნად ამოისუნთქა — აკულინა ივანოვნასთან ერთად კარისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

ღერეფნიდან, საოპერაციო ოთახიდან დაჭრილების კენესა გულსაკლავად მოისპოდა.

— გთხოვთ მიცნობდეთ... — თქვა ახლად მოყვანილმა ოდნავ დაუღვევარი და თან მომხიბლავი ღიმილით. — კაბიტანი ორლოვი გახლავართ.

და სავგაჩოვს მიუბრუნდა:

— თქვენ? ბოდიში, მაგრამ თქვენ ვინდა ბრძანდებით?

— და, სანამ ის მისი ეშხით მოხიბლული, თავს აღერსიანი ღიმილით აცნობდა, დობროხოტოვმა, ალბათ უჭმი, ზედმეტი კითხვა-გამოკითხვის თავიდან ასაშორებლად, პირი კედლისაკენ იბრუნა, თავი მოიხიბინარა. მაშინვე მივხვდი, რომ მას ორლოვის ჩინებული ბანი ოდნავ მიზეზიანი და თან ავტორიტეტული საუბრის კილო ჩემსავით აბრაზებდა.

ჩვენი სიტყვაშრავალი სავგაჩოვი თავის გაჭიანურებულ პასუხს ისევ განავრძობდა, მაგრამ ის, ვისაც იგი ეგეთის ხალისით მიმართავდა, სხვათა ძნელად მომსმენი ადამიანის ჩვეულებისამებრ, ყურს მას უკვე აღარ უვღებდა.

— თქვენ? — შემეკითხა იგი თავისი განუყრელი ღიმილით და პასუხს არ მოუცადა, თვითონვე განავრძობ: — მომიტევეთ ზოურიდებლობა და, როგორც გამჩნევთ, რუსი არ უნდა იყოთ.

— გამოცანა გერგებათ, — მოუუქერ სიტყვა უხალისოდ და მეც იმასავით მიზეზიანად, განზრახ დაუღვევარი კილოთი განევარძე: — ქართველი გახლავართ.

— ოო, ქართველი ბრძანდებით? — წამოიძახა მან საკმაოდ დამაჯერებელ ალტაცებით და თავისი გრძელი ლამაზი





ხელი თმაზე ისევ ზანტად, ზოხდენილად გადაისვია. — შვიერ საქართველოდან, არა? სასიამოვნოა, ერთობ სასიამოვნო. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მე დიდი მოყვარული ვარ სამხრეთელებისა. მათი ტემპერამენტი ფერადოვნება, საუბრისა, ჰუმორის გრძნობა და, რაც ზთავარია, ერთგვარი რომანტიზმი და ექსპანსიურობა მე მუდამ მიტაცებდა.

მის გაცვეთილს ნახმარ შარკებივით ნალოკი შედარებებითა და ზოგადი ფრაზებით შემკულ საუბარს, ბანალობასა და ყველა საკითხებზე გამზადებულ პასუხებს მე უკვე ვეღარ ვიტანდი. ის ქაქანს ისევ განაგრძობდა. ფრონტის ამბები, ჩვენი ზებრძოლების საარაკო მამაცობა, წითელი არმიის წინსვლა და შიგ როგორღაც უცნაურად ჩახლართული შტრაუსი, ელექტრონის სამართებლები, გერმანული გენერალიტეტი, იტალიური პინიები, ბარბაროზები და კიდევ რაღაც აბდაუბდა თავში დომბალივით აშერია. მაგრამ მას, ლაყბობით ვართულს, ჩვენდა იღბლად, მისთვისვე ზოულოდნელად ჩაეძინა, ყურმა მისი გაუთავებელი ქაქანისაგან, როგორც იქმნა, მოსვენა.

ძილიც რომ სხვანაირი სცოდნოდ! ბალიზზე ნებივრად მისვენებულს ცალი ხელი ლოყის ქვეშ ლამაზად აზოედო. მსხვილნაკეთოვან და ჯიშინანდ გამომეტყველ სუფთად გაპარსულ სახეზე კმაყოფილების იერი შეჭქივით დაჰნათოდა. და თუ ზაწათლია მოსახრება რომ აღამიანის ბედნიერება შინაგან კმაყოფილებაში გამოიხატება, ეს კაცი მაშინ უსათუოდ ბედნიერი იყო.

თავმომძინარებულ დობროხოტოვს მის ქაქანში მართლა ჩასძინებოდა. ეძინა საეგაჩოვსაც. პალატაში სიწყნარე ჩამოვარდა. ახლად მოყვანილ დაქრილების კენესა, მედიცინის დებისა და აუადმყოფთა მომვლელი ლალების ფაციფუცი, ურთიერთ შორის ხმადაბალი

გადალაპარაკება, რუხინი ~~საქართველოდან~~ ~~„ტაოჩეკების“~~ ფრატუნკელი ~~საქართველოდან~~ ერთთან ახლოს მიცურებულ საწოლეების ხმაური სიწყნარეში კიდევ უფრო მკაფიოდ გაისმოდა.

ევეგენი პეტროვიჩი გადაუდებელ ოპერაციებს ამაღამვე საჩქაროდ აკეთებდა. მე ყურს ვუგდებდი, საოპერაციო დარბაზიდან ბანგით დაძინებული და ჯერ გამოუფხიზლებელი დაქრილები საკაცევით როგორ გამოპყავდათ. ფეხის ხმა ხან მიწყებოდა, ხან ისევ გაისმოდა და, რადგან ტევა აღარსად იყო, დაქრილები ქვემო სართულში, პალატად ქცეულ სასადილოში, ფრთხილად ჩაყავდათ. არ ვიცი თელემაში ვიყავ, თუ ფიქრებმა გამიტაცეს, კენესამ, ფაციფუცმა გონს მომიყვანა. პალატაში ვილაც ყმაწვილი საკაცით ფრთხილად შემოიტანეს. მატახერიას საწოლზე ჩემ გვერდით ფრთხილადვე მოათავეს, მამენკას ანაბარად შარტო დატოვეს. ის კი ისევ კენესოდა, ყვიროდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ტანზე საბანს არ იყენებდა; პერანგის შემოხვევას ლამობდა, აგზნებულ თვალებს აქეთ-იქით გაშეთებულად აციცებდა.

— წყალი! წყალი! — გაიძახოდა და ახლად შეგინგლულ ნასიციბარ ტუჩებს პირგამშრალი წარამარა აწაუენებდა.

წყალი რომ არ მისცეს, მივხვდი, — მუცლის არეში იყო დაქრილი და, ვინ იცის, დილამდე გაატანდა თუ არა.

მამენკა თავით წყნარად უჯდა. თვალეშში უსიტყვოდ, აღერსიანი მუდარით ჩასცქეროდა, მაგრამ ის არას ხედავდა. თავი აღბათ ისევ ფრონტზე ეგონა ყმაწვილური მოუხტრებლობით უწმამურად ივიენებოდა, ვილაც საფონოვს თუ საზონოვს უყვიროდა, რომ ტყვიამფრტვევი აქ კი არა, სადღაც იქით გადაეტანათ, მაგრამ მის ბრძანებს, როგორც ჩანდა, ყურს არ უგდებდნენ, მაინც აქეთ მოჰქონდათ. იყვირა ერთიორჯვერ ფეხზეც წამოიქრა. ისევ ყვიროდა წყალს, არ ვიცი, დამალევად, თუ

სროლით გაეარეარებულ ტყვიამფრქვევისათვის, ისევე თხოულობდა.

მაშენკა სიციხით ავზნებულ ცისფერ თვალეებში ისევე მუდარით ჩასცქეროდა. ნაზი ჩურჩულით ამშვიდებდა; წმინდათ გადაკრეკილ, ოდნავ მოგრძო ბავშვურად ხოტორა თავზე ხელს ალერსიანად უსვამდა. წუთით წარმოვიდგინე, რომ ის ალბათ მეც ასე შეაღერებოდა, ტყვილებით აფორიაქებულ სულს ასევე მიყვავებდა და გული მისდამი მადლიერების გრძნობით ამომიჯდა. მიკვირდა, ამდენ დაქრილთა მოვლით გული აქამდე როგორ არ გაქვავებოდა, ან მკერდს ქვეშ გრძნობათა ისეთი რა საწყაო ქონდა მოთაქსებული, რომ ამდენხანს არ დაშრეტვოდა. არ ვიცი ამ ყმაწვილის სახელი ეგრე უცებ საიდან გაეგო, ან ამდენ საალერსო სიტყვებს საიდან პოულობდა. გაფითრებული ტუჩებით რაღაც გრძნობათა ამშლეღს ყურში ისევე მთრთოლვარედ ჩასჩურჩულებდა:

— მიტია... მიტენკა... აბა შემომხედე, მიტენკა... ხედავ, მე ვარ... მე ვარ, ჩემო ბიჭო.

მიტიას მისი სიტყვები, როგორც სხანდა, არ ესმოდა. ისევე ყვიროდა: — ტყვიამფრქვევი, ტყვიამფრქვევიო. ტყვილისაგან თუ ბრაზისაგან პირდაღრეჯილი, თვალგადმოქაჩული წამოიწია. ორი თითი პირისკენ ერთბაშად გააქანა და ერთი ისე დაჰსტვინა, თითქოს ის გოსპიტალში კი არა, სადღაც მდინარის პირად აშლილ ალუბლებში ჩაძირულ რუსული ქოხის სახურავზე იდგა, თავის ცადაფრენილ მტრედებს თვალყურს ადევნებდა, იმათ უსტვენდა. თავისივე სტვენისაგან გონს თვითონვე მოვიდა. ბალიშზე კი არ დაწვა, — წაიქცა.

მაშენკას მის ბავშვურ საქციელზე როგორღაც მშობლიური სიბრალულით, მწუხარედ გაეღიძა, ყურში რაღაც აბდაუბდას ისევე ალერსიანად ჩასჩურჩულებდა ემუდარებოდა, რომ დაწყენარებულიყო, როგორმე დაეძინა. იმდენს

ეცადა, იმდენი ჭნა, რაზეც წუთითაც მოლოს მაინც გააჩუმა. უკნლ უცხრჩუთი საკმაო აღმოჩნდა, რომ უძილობითა თუ მორფით დამთვრალ ყმაწვილს რული ერთბაშად მოჰკიდებოდა. ის კი ისევე ელერსებოდა, ელოდა ღრმა ძილით როდის ჩაეძინებოდა.

19

მეძინა. ვილაცის გმინვა ძილში გულსაჯლავად ჩამესმოდა. ეცდილობდი არ გამეგონა, მაგრამ მაინც მესმოდა. ის ვილაცა განწირული ხმით, როცა ადამიანი თავის ნამდვილ ხმას ჰკარგავს, ისევე გმინავდა, ისევე მეძახდა, მევედრებოდა, — მივეშველებოდი. გამეღვიძა. პალატაში მაშენკა აღარ იყო ყველას ეძინა. ნავახშიში მთვარე ამოსულიყო სარკმლის ჩარჩოთა მუქი ჩრდილით მოხაზული შუქი მთვარისა იატაკზე თეთრად ქათქათებდა.

თვალი დავხუტე. თითქოს ჩამთვლიმა. მაგრამ ის გმინვა ისევე არ მაძინებდა. ლოგინში მოუსვენრად ეტრიალებდი. ეცადე სხვა ზამეზე მეფიქრა მატახერია, ჩვენი საველე რედაქცია, ამხანაგები და მათ შორის ჩემი მეგობარი ხომენკო, სერჯანტი ბასანიძე, რომლის გამოც ეგრე უაზროდ დავიჭერ, თავში უთაებლოდ ამერიი. ის გმინვა ისევე არ მასვენებდა. გადავწყვიტე, რომ ალბათ მეჩვენებოდა. გული ჩემ თავზე მევე მომდიოდა, ძილი მით უფრო მიტყდებოდა ეს ხანგრძლივი წოლით გაბრტყელებული ლეიბიც ტანზე ალივით მედებოდა. საბანი იქით მივავადე, საშველი მაინც არ მადგებოდა. პალატაში ჩამოხუთული პაერი, სიეიწროვე, დაბინტული ფეხი, — ყველაფერი ახლა მაწუხებდა. ხალათი ჩავეცივი. საღი ფენი ფოსტალში ხელდახელ გავუყარე.

ნავახშიში მთვარით განათებულნი არყნალეები სარკმელში ამაღამაც თეთრად ელავდნენ ზათ სიხშოებებიდან ბნელი კედლე უფრო მრუმედ იცქირებოდა. კარებისაკენ ნელა გავეძართე.

დერეფანში სიწყნარე იყო. ფანჯარასთან მიდგმულ ტილოგადაფარებულ მაგიდაზე მაშენკას თავი განიერად ჩამოდებულ ხელებში ჩაერგო. იატაკზე ჩემგან მოუზომავად დაბჯენილი ყავარჯენის ხმა თუ გაიგონა? შეკრთა. თავი მალლა აიღო. ჩემს დანახვაზე მიტოვებული ადამიანის განცვიფრება და თან სიხარულის გრძნობა სახეზე ერთად გამოიხატა.

— რათ არ გძინავთ? — თქვა და ჩემკენ ფეხაკრეფით სანქაროთ წამოვიდა — წამოდით. დაიძინეთ.

ხელი ხელში წასაყვანად მომიკიდა, მაგრამ მე უარის ნიშნად თავი ჯიუტად გაეიქნე. ისევ წოლა, ისევ უძილობა, ისევ ეს გმინვა... არა, ამის ატანა აღარ შემიძლო. კედელთან მიდგმულ ზერხზე მძიმედ დავეშვი, თავი სახურავს მიქანცებულად გადავაყრდენ.

— დაჯექ, მაშენკა... ჩემთან დაჯექ... — ვთქვი და მარლაში მუთაქასათვით გახვეული ფეხი მერხზე წაწვენიით ჩამოყრდნობილ ყავარჯენებზე ფრთხილად ჩამოვდე.

მაშენკამ იგრძნო, რომ სიმარტოვე თურმე მეც იმასათვით გამძნელებოდა. ავადმყოფთა ენინიანობას ნაჩვევმა ერთი ღრმად ამოისუნთქა, ჩემ გვერდით გამგონედ დაჯდა.

ერთხანს ჩუმად ვიყავით. თითქოს უხმოდ ვსაუბროდით. ჩვენივე გულისცემა ჩვენვე გვესმოდა.

— მითხარით რამე. — ვთქვი ხმა-მალლა.

მაშენკას ჩემი სიტყვები თითქოს არ გაუგონია. ყურადღება მხოლოდ ახლა მივაქციე, რომ მომავლდავის გმინვას, თურმე დერეფნის ბოლოში ეგრე გულსაკლავად რომ გაისმოდა, ისიც ჩემსათვის სულგანაბული უსმენდა.

ხმას არ ვიღებდით. თითქოს ორთავე ერთარსებად ვქვეყნოყავით. მაშენკამ ხელი ხელზე აღერსით, თითქოს მუდარით რომ დამაღო, მივხვდი, — იმედს ჩემგან ელოდა. ხელი მის ხელს მეც

რომ ჩაეჭიდე, იგრძნო, ყრჩქმუნე უფრო-თონ ვეძებდი. ლაპარაკი მსუბუქი წამაწყობო. გამოგონილი მგზნებარება საუბროსა მალე ნამდვილად ექცა. იგი რაღაც ზავშეგური და თან დიდური გატაცებით მიამბობდა, როგორ მომიყვანეს თურმე აქ ამ სამიოდე კვირის წინად უგრძნობელ მდგომარეობაში, როგორ უძიებდოდ ჩაქენია ხელი ევგენი პეტროვიჩს, როგორ იბრძოდა მაშენკა ჩემი სიცოცხლისათვის... ყურს ვუგდებდი და თან მივერცა, რომ არაფერი, სრულიად არაფერი არ მახსოვდა.

— ერთი პირობა მეგონა, რომ მართლა მოკვდით. — განაგრძობდა ამბავს მაშენკა. — მაგრამ თვალი ვაახილეთ, ისევ დახუჭეთ და, იცით, მერე აღარ გავიხელიათ... თვითონაც არ ვიცი რატომ, — მაშინ ვიგრძენ, რომ არ მოკვდებოდით. ისინი კი, თქვენი ამხანაგები, ხელებს სინანულით იმტერებდნენ. ამხანაგი მატახერია დარდით კინაღამ გადაიარია. თქვენს ნაწერ წიგნებს იგონებდა. მე კი თქვენი სიკვდილი მაინც არ მჯეროდა...

მაშენკა ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა რომ ის გმინვა ისევ არ გაეგონა. რომ მისი ეს საიდუმლო, ჩემს გარდა, არავის არ სცოდნოდა მიამბობდა როგორ უშლიდა მას, ისედაც სუსტსა და სისხლნაკლულს ევგენი პეტროვიჩი თურმე სისხლის გაზეტებას, მაგრამ მან თავისი მაინც გაიტანა.

მერხზე თავდახრილი ვიჯექ. მის ტინს უგულისყუროდ ვისმენდი.

— აბა შემომხედეთ. — თქვა მაშენკამ აღერსიანად და კისერზე ხელი შემომხვია, თავისკენ მიმამბრუნა.

— რა, მაშენკა? — ვკითხე უსაგნოდ და თვალეზში დაკვირვებით ჩავაჩერდი.

— არაფერი! არაფერი! — წამოიძახა შეკრთომით. ხელი მიმამშორა.

— ხედავ, მაშენკა, როგორი ღამეა? — ვთქვი ნალვლიანად. — და ჩვენ მარტო ვართ. ყველას ძინავს. მითხარ, მითხარი კიდევ რამე.

— რა? რა ვითხრათ?

— აი, თუნდაც ის...

შევეყოყმანდი. თვითონაც არ ვიცოდი  
რა. სიტყვა ერთბაშად მოვჭერ:

— არაფერს ვიყვარს?

მაშენკამ ცისფერი ფოფინა თვალები  
სახეში კითხვის ნიშნად იმნაირად შემო-  
მანათა, რომ რატომღაც მაიკო მომა-  
ვონდა.

— არა... არაფერს... — თქვა აბნეუ-  
ლად. მერე შერცხვა. გაწითლებულმა  
უწესრიგოდ წამოშლილი ბუწუწები  
თავზე მოუთმენრად გადაისწორა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

ოტახანის შემდეგ ვთქვი:

— რამდენი წლის ხარ. მაშენკა?

— ჩვიდმეტის... — თქვა და თავის  
სიტყვებს მერე ჩაუფიქრდა. ნათქვამი  
თითქოს ცოტა შოეჩვენა, დაუმატა:  
მეთვრამეტეში გადაველ.

თავისთავზე თვითონვე გაელიმა.

— რას იღიმიები?

— ისე. მეღიმიება. — მომიჭრა სიტყ-  
ვა და მხრები ბავშვური ენაიანობით  
მოუთმენრად შეიშმუნა.

— იცი რა, მაშენკა? მე შენ ერთ გო-  
გონას მაგონებ.

— რა? ვიყვარს? — შემეკითხა მო-  
ულოდნელი პირდაპირობით.

— სისულელეს ნუ ამბობ! ის ჯერ  
ბავშვია.

მაშენკამ თავი ჩაჰკიდა.

— რა ხნის იქნება?

მაიკოს წლოვანება ჩემთვის ჩუმიად  
გავიანგარიშე. ამას რა დიდი ანგარიში  
უნდოდა? თუ სამი წლის წინად ის ცა-  
შეტის იყო. აშკარაა, ახლა თექვსმეტის  
იქნებოდა. წელთა ჯამმა მე თვითონ გა-  
მაკვირვა.

— თექვსმეტის... თექვსმეტი წლისაა.

— ჰოდა. თითქმის ტოლნი ვყოფილ-  
ვართ. ლამაზია?

— ლამაზია.

— რა ჰქვია?

— მაიკო.

— მაიკო? — იცითხა ეგვეფუფუბით. —  
ჰო, თუმცა ქართულად მაიკო არაა  
განსხვავებული სახელები ვაქვთ. გვა-  
რი? გვარიც ალბათ ეგრევე განსხვავე-  
ბული იქნება.

— გვარი? — ვიკითხე რატომღაც  
ყოყმანით და არ ვიცი რაში მჭირდებო-  
და მაიკოს გამო მასთან საუბარი, ვუპა-  
სუხე: — დარაშელიძე.

— დარაშელიძე? — თქვა მაშენკამ  
ხმაშლიდა. — დარაშელიძე? — ისევე შე-  
მეკითხა და თვალი თვალში გამომცდუ-  
ლად გამიყარა.

— ჰო, დარაშელიძე. — ვუპასუხე.  
მოუთმენრობამ რატომღაც ამიტანა.

— იცით, ჩვენთან ერთი ოფიცერი  
წიქს... აზლამ მოიყვანეს... ევგენი პეტ-  
როვიჩმა მომაკვდავთა ოთახში მოა-  
თავსა...

გაჩუმდა. ოტახანს შემდეგ დაუმა-  
ტა:

— ისიც დარაშელიძეა... გესმის?  
გმინავს...

ხმა ჩამიწყდა. ყავარჯნებს ხელი თა-  
ვისთავად წაველე. ფეხზე ისიც წა-  
მოდგა. მაგრამ მე იმისი თავი უკვე  
აღარ მჭონდა. დერეფნის ბოლოში ვი-  
ლაც შეავიჯაკიანი მოხუცი იდგა. ბორ-  
ჯომის ბოთლს წვერგაბურძენილი უხ-  
მოდ მიქნევდა. ვიცოდი მოჩვენება იყო.  
მაგრამ მაინც ვხედავდი. მის გვერდით  
მაიკო ატუზულიყო. წითელიკაბა... წი-  
თელი ყაყაო... ჩუმად ტიროდა.

იქით გავქანდი. ისინი გაქრნენ, მაგ-  
რამ გმინვის ხმაზე მაინც შეუტდომ-  
ლად მივიკვლევდი. არ მახსოვს მის სა-  
წოლთან როგორ გავჩნდი, იქვე მასთან  
მჯდომ აკულინა ივანოვას ხელი  
უდივრად ვკარი.

— არჩილ... მე ვარ, არჩილ... ბეჭანი  
ვარ ბიჭო. არჩილ... არჩილ... — ვეძახ-  
დი, — კვლდებოდა.

მარტო აქ იმითომ იწევა, რომ ცოც-  
ხალთა შორის მას ადგილი უკვე არ  
ჰქონდა.

— არჩილ! ბეჟანი ვარ, ბიჭო, ბეჟანი ვარ...

თავქვეშ ხელი ამოვდე სახეში ჩავაცქერდი. მინდოდა ის გონიერი, ამდენი ხნის უნახავი ნაცრისფერი თვალები როგორმე გაენილა და ჩემთვის ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შემოეხედა. წაბლისფერ თმებზე, გაუპარსავ ლოყებზე ხელს აღერსიანად ვუსვამდი, გაფითრებული ტუჩებში ჩავცქეროდი, — იქნებ მისი ხმა გამეგონა. ჩემი მუდარა, თითქოს მან მართლა გაიგონა. თვალები ოდნავ გაახილა, სახეში უსაზმოდ შემომხვდა.

— შენ?... შენა ხარ?... — თქვა ოდნავ გასაგონად და მე მივხვდი, რომ მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო.

— ზე ვარ, არჩილ... ბეჟანი ვარ... — ჩავძახიდი ღმრთობაზე, ლოყებზე ხელით ისევე ვეალერსებოდი.

— ბეჟან... — თქვა უსაგნოდ, განურჩევლად. გონს თითქოს თავისმავე ხმამ მოიყვანა. — ბიჭო, ქართული... ერთი ქართული გამავგონე...

რა მეთქვა? თვალი ცრემლით მიბნელებოდა. რაღაც აბდაუბდის ჩმახვა უთაებოლოდ მაინც დავიწყე. ვეუბნებოდი, რომ გარეთ მთვარე იყო, რომ ვარსკვლავები ცაში ციმციმებდნენ, არყნალები ბნელში თეთრად ელავდნენ, მოდიდებული მდინარე დუღუნებდა და თან ვგრძნობდი, — რომ ყოველივე ეს მას ახლა უკვე აღარ შეეხებოდა, რომ ეს მთვარიანი ღამე მისთვის უკანასკნელი ღამე იყო.

— ბეჟან. — თქვა ჩურჩულით. —

ხედავ, შეგხვდი... გთხოვე, ჩემთვის გთხოვე... იმ ჩემ საცოდვეს... გთხოვ... ეტყვი... გახსოვს ის დღე. ბოლოს გვიქნედა. ვერც გამოვეთხოვე... რომ შემეძლოს, — ჩემი ქვეყნისთვის... მეორედ მოვევლებოდი.

— სისულელეს ნუ ამბობ, არჩილ! — გაუჯავრდი. თან ცრემლს მახრჩობდა. მეშინოდა, — მის საწოლთან არ ავტირებულეყავ.

— ბეჟან! — თქვა არჩილმა. — მითხარი რამე... ბიჭო, ჩემი ქვეყნის ხმა გამავგონე...

ცრემლები ველარ შევიკავე. თან ვკვიითინებდი, თან თვითონაც არ ვიცოდი რათ ვამბობდი:

— ყაყაჩოსა სიწითლითა...

ხმა ჩამიწყდა.

— თქვი... თქვი... — შემეხვეწა არჩილი.

მეც რა მექნა. — ისევე დავიწყე:

— ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია...

და ერთბაშად საიდანღაც ჩვენი ბავშვობის დღეები ამოცურდა, — დიღმის მინდორში წელამდე ბალახში გალალეზულნი ერთად რომ ვკოტრიალებდით, მთაწმინდის კალთებზე ვხეტიალებდით, მტკვარში ერთად ვბანაობდით, — ხმა კიდევ უფრო გავმართე:

— ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია...

— ყაყაჩო... წითელი... ყაყაჩო — გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებდა არჩილი. სული ჩურჩულში შეუმჩნეველად დალია. სამშობლოს უკვდავებისათვის იმ მთვარიან ღამეს სადღაც სოფელ ზასეკანში მოკვდა იგი.

ოპ. თუშანიანი

## საიათნოვა

★

მოვიდა ლექსითა,  
წავიდა კენესითა,  
საიათნოვა!  
სიმღერით იარა,  
წაიღო იარა...  
საიათნოვა!  
გვიხზობდა ძახილით,  
მოგვიყლეს მახვილით,  
საიათნოვა!  
წავიდა გლოვითა,  
სიტყბოთი მოვიდა,  
საიათნოვა!

თარგმანი ი. ზრიშაშვილისა.

## ს ა გ რ უ ო ს

★

შენს თვალებში ჩემი სულის  
ცეცხლი ღვივის აღზნებული,  
ანგელოსურ ღიმილს ვმონებ,  
სიზმარშიაც მითრთის გული.

თუ ჩაჰქრება თვალთა შექი,  
შენი ენა დაღუმდება, —  
ხელს სიკვდილი ერთად მოგვხვევს,  
შენთან შენი ტყვეც მოკვდება.

თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა.

ლექსი

# ჯოჯოს მამა

რომანი\*



## თავი მეოცე

შუალამე გადასული იქნებოდა, როცა სანქაროს ბილიკით სოფელში მიმავალმა მანუჩა-მწყემსმა გუმისთის ხეობა განვლო და ბზიფის აღმართისკენ აუხვია.

იგი დღეს ჩვეულებრივზე უფრო კმაყოფილი იყო ჯონდოთი. ცხენი თითქოს გრძნობდა, რომ მის მხედარს შინ ჯოჯოს ბედნიერი ამბავი მიჰქონდა და არავეითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა, ისე თავდაუზოგავად მიეზიდნენ მთებზე გადადიოდა.

მანუჩას იმედი ჰქონდა, რომ გათენებამდე უკანასკნელ მამე ასავალსაც დასძლევა, აჭაგქარის უღელტეხილამდე, შუალდემდე მაინც შინ მშვიდობით ჩააღწევდა.

ლამე ცვალებადი იყო. ცაზე ღრუბლები ირეოდნენ. აჭა-იქ ჩანდნენ ვარსკვლავები. მთვარე დროგამოშვებით გვიან-გვიან თუ გამოანათებდა მზოლოდ.

მანუჩას გზის გაკვლევაში უფრო პროექტორების სინათლე შეელოდა, რომლის ანარეკლი ახლოზელი მთების ფერებს ეფინებოდა და ხშირად სანქაროს ბილიკის გაყოლებას ზედაც წვებოდა.

მანუჩას აჭამდის კაცთაგანი არავინ შეჰყარია გზაზე. არც იყო მოსალოდ-

ნელი ამ დროს მგზავრთან შეხვედრა სანქაროს ბილიკზე.

ჯოჯოზე ფიქრში იყო გართული. თავაწყვეტილი გუმისთის შხულის მისი სმენა ისე შეჩვეოდა, თითქოს იგი მთებისა და ღამის მყუდროების შემადგენელი ნაწილი ყოფილიყოს. სიამოვნებდა კიდევაც ხევში დანთხეული ყრუ და უწყვეტი ხმაურობა, რომლისათვის ისე შეეწყო თავის ჩუმი ფიქრების მდინარეობა, როგორც საამო რამ მოძახილისათვის.

მხოლოდ ტურების გულშემწარავი კივილი, ნაპრალებიდან ამომავალი, და ბილიკს შორი-ახლო აღევნებულ ბარბი ბზინვა მხეცის თვალების თუ შეაკრთობდნენ მანუჩას დრო-და-დრო.

მაგრამ შეუდგა თუ არა იგი ბზიფის აღმართს, ანაზღეულად მის პირდაპირ, მოულოდნელად გავარდნილი მეხივით, გაისმა მქუხარე რუსული შეძახილი:

— ჰეი, ვინ მოდის? შესდგე!

უმალვე ნაკუწ-ნაკუწ დაიხა სმენა-შეჩვეული ხევის ნელხმიანი მყუდროება და მთების კედლებს მომწყდარმა გამოძახილმა ოთხივ კუთხით ყირაზე დააყენა მთელი გარემო.—ხეობის ვიწრობაში ღამე უეცრად გავარდნილ ხმას, ჩქამის ოდენიც რომ იყოს, მეხის ძალა აქვს მთაში.

უხმოდ შესდგა თავზარდაცემული მანუჩა.

\* გაგრძელება „მნათობი“ № 2.



— თუ ადამიანი ხარ, ხმა გაგვეც, თორემ ვისვრით!

გაოგნებულმა მანუჩამ ახლაც პირში ენა ვერ დასძრა.

უმაღლვე გავარდა თოფი.

მანუჩას ეჩვენა, თითქოს ტყვიამ ზედ ყურთან ჩაუზღუნა.

— პეი! — ძლივს მოასწრო ყრუ დაძახება შეშინებულმა, რომ წინ წამხტარი ჯონდოს ტორებმა ლორღზე ფქარუნი მოიღეს.

მანუჩას ჯოტოს ნახუქარი პატარა რევოლვერი ედო ჯიბეში. ხელი მისკენ წაიღო.

— ნუ ისვრი! მგზავრი ვარ მშვიდობიანი! — ხმა ამოიღო ბოლოს მან და ცხენი შეაყენა. თან თავში გაუელვა:

— თუ მსროლელი ბზიფელია, ყაჩაღიც რომ იყოს, მე თუ არა, ჯონდოს უთუოდ იცნობს და ავის ქნას ვერ გაბედავს.

ახლობელი კლდიდან ორი ლანდი მოირღვა და ბილიკის ხაზზე გამოვიდა. თოფებ-მომარჯვებულნი უცნობნი ერთი მეორის მოშორებით მანუჩას პირდაპირ დადგნენ.

თვალის მოკერის თანავე მანუჩამ ისინი ჯარის კაცებად შეიცნო. შიშმა თითქოს გადაუარა. გაბედულად, მაგრამ თვინიერად მიმართა:

— ძირს დაუშვით თოფები, ამხანაგებო! საბჭოთა მსახური ვარ... არაფერს გერჩით!

— თუ ავი სული არ ხარ, ამ ღრანტეში ცხენზე როგორ ზიხარ, როცა ჩვენ ქვეითადაც ვერ გაგვივლია! — იყო უნდო პასუხი.

ერთმა დამხდურთაგანმა ნაბიჯი გადმოდგა მანუჩასკენ. უკან დარჩენილმა კი შეტევა განაგრძო:

— თოფთან რა საქმე გაქვს, ვინცა ხარ? ჩამოდი ცხენიდან ჩქარა!

დაწინაურებელი კი მანუჩასთან ახლოს მისვლას ცდილობდა, მაგრამ სიფრთხილის გამო ვერ გაებედნა. ერ-

თი ხელი მაინც გაეწვინა ჯონდოს აღვირისკენ.

— ხელი შორს, მეგობარო! ცხენმა არ დაგაშავოს! — გააფრთხილა იგი მოყვრულად მანუჩამ. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს შინაურს მიმართავს.

— ფედია, ვერ ხედავ, რომ თვალს გვიხვევს! ჩამოვიდეს ცხენიდან, თორემ ხომ იცი, ნიშანს არ ვაცდენ... — არ სცხრებოდა უკან დარჩენილი.

— დაიცა, სტიოპა! — ბრძანების კილოზე მიძახა ამხანაგს ფედია, რომელზედაც, ჩანდა, მანუჩას მშვიდობიან ხმას კეთილად ემოქმედნა.

— მხეცი გვეგონე, ხმა რომ არ გავეცი... დასაფრთხობლად ვისროლეთ! — მიმართა მერე მშვიდობიანადვე მანუჩას. — მგლები მოგვედვენ კვალ-დაკვალ. ძლივს ვიგერიებთ წყეულებს ფრონტიდან მოედივართ, ძმაო... ავადმყოფი ამხანაგი მოგვყავს. გზას ვერ ეაგნებთ ამ მთებში. ხან წინ მიედივართ, ხან უკან ვიხვეით... ვიბნევი... თუ არა პროექტორები, უთუოდ სადმე გადავიჩხებოდით!

— რა ამდენი საუბარი გააბი, კაცო, მანდ? რატომ არ ჩამოდის ამდენი ხანი ცხენიდან? ენია უნდა შეესვათ! — არ იშლიდა თავისას მეორე.

— გაჩუმდი, სტიოპა... არ გესმის, საბჭოთა მოსამსახურე ვარო... ხმა ჩაყმინდე! — გაჩუმდა ფიცხი ამხანაგი ფედია და ახლა უფრო დამტკბარი ხმით განაგრძო მანუჩასთან საუბარი.

— ჰო-და, რაკი საბჭოთა კაცი ყოფილხარ, მოგვეშველე, ძმაო... გამოგვიყვანე გაჭირვებიდან... გვთხოვე ცხენი, რომ ავადმყოფი ამხანაგი შეესვით. ფეხზე ვერ დგება. მისმა ტარებამ ამ ვიწრო საეალზე მოგვექანცა ერთობ. ფართო გზაზე გაგვიყვანე, თუ სადმე არის აქ... აბა, შენი ცხენი ჩვენ რად გვინდა?

— სად არის ავადმყოფი? — კითხა მანუჩამ.



— აქვია. ე, იმ კლდის ძირში გვიწევს!—ხელი გააშვირა უკან მდგომ ამხანაგისკენ.—შენ თვითონ ნახე... წამოდი, მივიყვან!—ამ სიტყვებით მანუჩას გულუბრყვილოდ ზურგი შეაქცია.—მომყვევი რიდი ნუ გაქვს!

მანუჩამ სადაცე აუქნია ჯონდოს მიპყვა.

— ნახე, ძამიკო... რატომ არა? კი არ გატყუებ... ფეხზე ჭრილობა გაცხსნა საწყაოს, სისხლი სდის. ვერ შევეუჩერეთ. ხუმრობაა, ხუთი დღე და ღამე მოვიდივართ... ბოლო არ უჩანს გზას!

— საიდან მოდიხართ მაინც ამ სიშორიდან?

— ყუბანიდან, ძამიკო, ყუბანიდან... ჰეე, დაეტოვეთ ყუბანიც!

თავდაპირველად მანუჩას ეგონა, რომ ჯარისკაცები უღელტეხილების დამცველი ნაწილიდან წამოსულები იყვნენ. ყუბანის დატოვება მოულოდნელი ახალი ამბავი იყო მისთვის. მეტად გაკვირებული დარჩა.

— მერე აქეთ სად მოდიხართ? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ნაბრძანები გვაქვს, რომ შევზღვაზე გავიდეთ... სადაც ჩვენი ნაწილი სდგას. მასთან შესაერთებლად მოვიდივართ, თუ მივალწივით.

— მაშ, ომი გათავებულა ყუბანის მხარეში?

— რატომ? ბრძოლა მაინც გრძელდება... ამისთანა ომი ასე აღვიღალ არ თავდება, ჩემო ძმობილო!

— მაშ, მხოლოდ თითო-ოროლას დაგიტოვებიათ ბრძოლის ველი?

— რატომ თითო-ოროლას... ჩვენს უკან მთელი ნაწილი მოედინება... ასე მოხდა... ამ მთების იქით ერთი პატარა სოფელია უღელტეხილის ძირში, ჩვენი უფროსები იქ არიან თავშეფარებულები... ჯარისკაცებიც იქ იყრიან თავს და მერე აქეთ მოდიან ჯგუფ-ჯგუფად თითო-ოროლა... სტეპანიარად ვერც გაივილიან ასეთ გზაზე, ჩემო კეთილო.

— მეც იქაური ვარ... გუშინ წინ წამოვედი იმ სოფლიდან... შეწყობა იყო. ვაგებელი გვეჭონდა მხილოდ, რომ მტერი უღელტეხილს აწეებოდა... მეტი არაფერი. ნუთუ ორ დღეში ასე შეიცვალა მდგომარეობა?

— ომის ორი დღე ჩვეულებრივს როდი ჰგავს მეგობარო... ზოგჯერ ერთიც კმარა, რომ დიდი ცვლილება მოხდეს. დღეს რომ აქ მტერი არსად პაჰანებს, ხვალ შეიძლება მთელი ეს კუთხე მტრის ხელში მოექცეს... შესაძლებელია, პირიქითაც მოხდეს. ჩვენ რომ დღეს უკან ვიხვეთ, ხვალ შეიძლება, იერიშზე გადავიდეთ და მტერი ყუბანიდან გადავრეკოთ... ასე ხდება ძამო, ხშირად ომის დროს. ვერაგი რამეა ომი! მშტ გზა-დაკვალს ვერაგინ მიხედება.

მოვიდნენ კლდესთან. მათ მეორე თოფიანიც მიპყვა. იგი დიდი ცნობის-მოყვარეობით ათვალთვრებდა მანუჩას და მის ცხენს. ხმას კი არ იღებდა. თოფი სულ მომარჯვებული ეჭირა ხელში. ეტყობოდა, ეჭვიანობდა და მანუჩას კეთილი განწყობილება არ სწამდა.

კლდის ძირში ავიდნენ კენსოდა. მობშირებულად ოზრავდა და ხენეშოდა. მაზარა ეფარა გრძლად მთელ ტანზე და უძრავად იწვა.

— პა, ვანია? როგორა ხარ, ჩემო ბიჭუნო? გამოიხედე...—მიმართა მას ფედიამ.

— პოო, ღონე არ მაქვს ფედიო... გული მიმდის სულ... სად იყავით ამდენი ხანი? რა სროლა იყო?

— არაფერი. სტიობამ მეგლი დააფრთხო... ცხენი ვიშოვნეთ, ვანია. ახლა იოლად ივლი. ნუ გეშინია... პური ხომ არ გშია? გვაქვს კიდევ შენი სამყოფი...

— კი მშია, მგონია... წყალი გამომეღია...

მანუჩა ახლა სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან. საწყვეტზე თავისი აბჯან მოხსნა.

ხაკაპურის მოზრდილი ნაჭერი ამოი-  
ლო. ფედის გაუწოდა.

— ჰა, მიეცი, ამხანაგო, ყველიანია.

ვანიამ აკანკალებული ხელით ჩაბ-  
ლუჯა ფედის მიერ მიწოდებული ხა-  
კაპური და მშიერი კაცის სიხარბით  
მაშინვე პირისკენ გააქანა.

ეს რომ შენიშნა მანუჩამ, არ მოეწო-  
ნა მისი სულწასულობა.

— საწყალო!— დაბლად ჩაილაპარაკა  
თავისთვის.

ამდენ ხანს თოფმომარჯვებულმა  
სტიომამ თვალი გააყოლა ვანიას ხაკა-  
პურს. მერე თოფი სწრაფად ძირს და-  
უშვა და მანუჩას თვალი შეავლო თა-  
ვით ფეხამდე.

— ყოჩალი ვინმე ყოფილხარ, პატა-  
რა კაცო!.. იქნება, ზედმეტი გაქვს და  
ჩვენთვისაც შეელოო ცოტას...

— რატომ არა?— უპასუხა მანუჩამ  
და, რაც საგზალი ჰქონდა აბგავში შე-  
ნახული, ფიცხლად ამოაღაგა. ჯარის-  
კაცებს შესთავაზა:

— მოგშივებოდით, რასაკვირვე-  
ლია! მიირთვით!

ჯარისკაცებმა მადლობით ჩამოარ-  
იყეს.

— კარგი ცხენიც გყოლია, მეგობა-  
რო... საკუთარია?— ჰკითხა კმაყოფილ-  
მა სტიომამ.

მანუჩამ პასუხი დაუგვიანა. მთის კა-  
ცის არისო რომ ეთქვა, რა მნიშვნელო-  
ბა ექნებოდა უცხოსათვის?

— სოფლის საბჭოსია, ამხანაგო! —  
მოუგო მერე.— ფოსტას დაატარებს  
ჭალაქიდან... ახლაც მეტად სასწრაფო  
ჭალალები მიგვაქვს... გაზეთები, წიგ-  
ნები... მაგრამ თქვენს ავადმყოფ ამხა-  
ნავს ვაკემდე მაინც ჩაეყვანინებ ჩემს  
ცხენს... ფართო გზას მიგავებინებთ  
და მერე თქვენ იცით!

გაუხარდათ ჯარისკაცებს. თოფები  
კლდეზე მიაყუდეს. მაშინვე დატრიალ-  
დნენ. საერთო ძალით ვანია ხელზე  
აიყვანეს.

— აბა, ვანიამ იმარჯვებულს  
შეგვეტი.

მანუჩა ჯონდოს წინ თავთან და-  
უდგა. აღვირზე შეავლო ხელი. მაგარად  
დაუჭირა. თანაც მოეფერა, ალერსით  
შეიქცია, რათა უცნობების მიახლოვე-  
ბა არ ეტუცხოვებინა.

— ჰოო, ნელა, ბიჭებო!— ყვიროდა  
ვანია, როცა ხელზე აჰყავდათ.

როგორც იქნა, უნაგირზე შესვეს.  
ჯანმრთელი ფეხი აბყანდში შეუდგეს.  
შეფუთული მეორე მხარეს დაუციდეს.  
სადაც ხელში მისცეს.

ფედამ და სტიომამ თოფები ისევ  
ხელში დაიჭირეს. ავადმყოფს აქეთ-  
იქით ამოუდგნენ:

— გამავრდი, ვანია! აქა ვართ, ნუ  
გეშინია... ხომ კარგად ზიხარ?— გაამხ-  
ნევს ვანია.

— კი, მგონია... არა მიშავს რა... —  
ამბობდა მისუსტებული ავადმყოფი  
მხედარი.

ფრთხილად აიღვა ფეხი ჯონდომ,  
კისურში კონკილასავით შებჯენილი  
მანუჩას წინამძღოლობით.

## თავი ოცდამეერთე

ვანია ბორგავდა. სწუხდა.

— სიცხისაგან ვიწვები, ძმებო! —  
იძახდა ხშირად. ჰირვეულობდა. წყალს  
თხოულობდა წამდაუწუმ. სვამდა, მაგ-  
რამ წყურვილი მაინც არ უნელღებო-  
და.

მიშველეთ, ან მომკალითო, ევედრე-  
ბოდა მეგობრებს.

გახსნილი ჰრილობიდან მდინარი  
სისხლი ფეხზე შემოხვეულ ჩერებში  
დაგუბებოდა. გარედ მოეონავდა. ჯონ-  
დოს წურწურით ფეხზე ეღვენებოდა.  
გზაზედაც წვეთ-წვეთად იღვრებოდა.

თუმცა ნელიად, ტაბით მიჰყავდა  
მანუჩას ცხენი, ვანიას ოღრო-ოღრო  
მაინც ანჯღრევდა და უნაგირზე აჭა-

ნებდა. ფედია და სტიობა სულ მზად იყვნენ, რომ მიშველებოდნენ. მის წონასწორობას უთვალთვალებდნენ. მეგობრული შეძახილით ამხნეებდნენ.

ასე მიდიოდნენ, ვიდრე უკანასკნელ თავდაღმართზე შემოათენდებოდათ.

თავდაღმართი გაშლილ ზღვის სანაპიროს გადაყურებდა.

მგზავრების თვალწინ აღრიანი ზაფხულის მსუბუქი ნიავით დარწმუნული აფხაზეთის ზღვისპირი გამოჩნდა, ამომავალ მზის სინათლე გადაღვრილი, თვალწარმტაცი ფერადი ფარჩებით მორთული.

მგზავრები შესდგნენ გადასახედზე. შესვენეს ვანია. თავადაც სული მოითქვეს.

თითქოს ნაირი ფერის პატოსანი თვლები შექს აფრქვევენო ფშვივით, ისე სუნთქავდნენ ახალ გათენებულზე ზღვის გასწვრივ ჩარიგებულნი, ძილით ამღვარი ბორცვები და გორები. ტილოზე დახატულებივით გამოიმზირებოდნენ, კეკლუცად ნაბეოდნენ ახლად გახელილ ლურჯ-მწვანე თვალებს.

სად ზურმუხტის წყნარი ბზინვა გამოსკვირდა ფერდებზე ლეჩაქივით გართხმული დილის ნისლიდან, სად ტოპაზიონი აქყეტდა ვნებით მთვრალ თვალებს და იაგუნდი იწყებდა თავის ეშხიან ციმციმს.

უჩვეულო ბუნების სურათის სანახობამ ვანია სასწაულებრ გამოაცოცხლა. უნაგორზე შესწორდა, გაიმართა, თავი ასწია და ენა აიდგა.

— რა მშვეიდი, რა წყნარი გათენება სცოდნია ამ ქვეყანაში, ძმებო! მის შემყურეს ჩემი სოფლის ტკბილი დილა მაგონდება და მიხარია! ხედავ, ეს ქვეყანაც რა ლამაზი, რა მორთული და მშვენიერი ყოფილა! საკვირველია, როგორ გვანან თურმე ქვეყნები ერთმანეთს!.. აქ კიდევ ზღვია... შეხედეთ, როგორ მოსჩანს იგი ცის ლაყვარდს შეხუტებული. ჩვენში ზღვა არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ველებია... ზღვა-

სავით თვალგადაუწვედნელი, ხედავით შორიდან შორს ლურჯადი და მუქი მული და მოლიელივე... ჩვენი ზღვა ჩვენი ველებია, ფედია!.. მართალს არ ვამბობ, სტიობა?.. გვანან ერთმანეთს, დედას ვფიცავარ!

— გაწყენს ბევრი ლაპარაკი, ვანია! დადუმდი და ისე უცქირე, თუ მოგწონს!— გააფრთხილა ფედია.

— პო, გაწყენს ვანია! დადუმდი!— უთხრა სტიობამაც.

სული მოითქვა მძიმედ ვანია. მერე ნაღვლიანად თავი გააქნია და, თითქოს თავისთვის ოცნებობსო, დაბალი ხმით განაგრძო:

— ჰეე, ჩემს სოფელშიც თენდება ახლა... ლამის სინესტე მიწას ჯერ კიდევ არ გადაუყრია და ველებიდან მომავალი ცივი ქარი სისინებს შეკებში... დგას დედაჩემი თავის პატარა ეზოს ქიშკართან, შალით შეფუთულ, მაგრამ მკლავებ-მიშველი და დაქარწყლებული. თოკმებმული ქრელა მოუყვანია და კოლმეურნეობის ნახირის გავლას მოეღოს, რომ თავისი ძროხა გაისტუმროს საბალახოზე. იქვე მაქალოს ხეზე ხბოა მიბმული. თავს იკლავს საწყალი ბოჩოლა, დედას რატომ დამაშორეთო... აწყვეტას ლამობს... აჰა, გაისმა შუკაში მენახირე ნიკიტას შეძახილიც. ზღაზვნით მოედინება ნახირი გზაზე... დედა კარს გააღებს, ქრელას ქუჩაში გადაუშვებს, მერე მაგრად დახშავს ქიშკარს ურდულით და ხბოსთან ზილასლასდება, მიუალერსებს. ტკბილ სიტყვებს ეტყვის ჩიფჩიფით... აუშვებს. კუდს აიბზევს ბედნიერი ხბო. გაიკუნტრუშებს. დახშულ ქიშკარს მიეგარდება და ზედ თავით დაიქვერება. მაგრამ ამაოდ. არ გაიღება კარი. ზმული აღმოხდება პატარა მკერდიდან. ქრელა შესდგება შეილის ხმის გაგონებაზე, წყლიანი თვალებით შემოხედავს და მოკლედ, თანაგრძნობით ჩაიზმულიებს შეილთან გაყრით გულდაწყვეტილი... პოი, დედაო ჩემო, შეუს-

ვენებლად გამოჯელო, კეთილო და პატრიოსანო მატრიონა პანტელეევნა, შენ კი არ გესმის შენი ბედშავი ვანიას ძახილი! ჰო, რა მენატრება, რომ იცოდეს, შენი დედური წყლიანი თვალების შემოხედვა საბუდამო განშორებისას! გოგონებ, დედი, გეძახი და გიხმობ... შენ კი შორსა ხარ!.. ვინ დაშლილთაგან გზას, ჩემო დედიკო, ჩემი ხანმოკლე ცხოვრების ამ უკანასკნელ გადასავალზე, რომელზედაც ვდგევარ...

— კარგია! გეყოფა ვანია! გულს ნუ იჩუყებ!— შესძახა ვანიას მისი სიტყვებით გულშეღონებულმა ფელიამ.

— ჰე, რა მოეშვი, ბიჭო!— მიმართა მოწოლილი ცრემლისგან გაბზარული ხმით სტიოპამაც.— ნუ ამაცრემლე, შშიშარავ შენა!

ამხანაგების ხმის გავონებამ ოცნების ბურანიდან გამოიყვანა ვანია. აუგზნო, თავი უფრო მალა შეისროლა, გულშეკერი წამოზნიჭა და, თითქოს უკანასკნელ ღონეს იკრებდნო, უცნაურად გაიფოფრა.

— ძებო, — შესძახა მდგრად, თითქოს ახალი სული ჩადგაო — ჩემო მეგობრებო ფელიამ, სტიოპამ! გამოიგონეთ! გაფიცებთ თქვენს საყვარელ დედებს! გაფიცებთ ძმობას და მეგობრობას... გაფიცებთ ჩემი უკანასკნელი ღლის ამ გათენებას, რომელმაც წამით სიცოცხლე ჩამბერა მოძაკვლავს, გადაუხადეთ მტერს ჩემი უღროო...

მაგრამ უკანასკნელ სიტყვაზე ენა უცებ დაუდგა ვანიას. სიტყვის მაგიერ მკერდოდან შემზარავი ხრიალი აღმოხდა, რომელიც აღმოხდომის თანავე უცერად შეუწყდა.

და თავაწეული, გაფოფრილი ვანია უძალეე უნაგირიდან გაღმოქანა. სანამ ამხანაგები მიეშველებოდნენ, მიწას ჰძიმე ლოდით დაენარცხა.

— ვანია, რა მოგივიდა? — მივარდნენ ვანიას ფელია და სტიოპა, მაგრამ იგონებას არ იღებდა.

ფელიამ მაჯაზე მოკიდა ხელი. მერე მუხლზე დაეშვა და თანდათან დაეშვა მკერდზე. ყური ვუღიბა მიუტანა. არ გასულა ხანი, რომ ყრუდ წამოიგზინა:

— აღარ არის ვანია!

წამოდგა...

სტიოპას გვერდში ამოუდგა. ენა ჩაყარნილი მანუჩაც მათ შეუერთდა.

იღვწენ და სდუმდნენ სამივენი.

მერე სამთავემ ერთბაშად ქუდი მოიხადეს და მუხლებზე უხმოდ დაეშენენ.



მაზარაში გახვეული ვანია ხიშტებით სახელდახელოდ გათხრილ სამარეში ჩაფლეს. მიწა, ღორღი დააყარეს. დატკუნეს. ფელიამ დიდი ქვა ზონახა, კლდის მონახეთი. საფლავთან მოაგორა. შეეშველნენ დანარჩენებიც. ვანიას თავთან დაადგეს.

— ჰე, ტყვილა ვწვალობთ, ფელია... რა გადაარჩენს აქ საფლავს? დაიკარგება... — სთქვა სტიოპამ.

— არა, ამხანაგო, არ დაიკარგება! — გამოეხმაურა მას ბეჯითად ამღერ ხანს გაჩუმებული მანუჩა. — მოვევლით. თლილ ქვას დაეადებთ... წარწერასაც გაუწყებთ. მენდეთ... არ დაიკარგება ვანიას საფლავი ჩვენს ქვეყანაში.

ფელიას მოეწონა მანუჩას სიტყვები. აქამდე მოღუშული პირისახე გაეშალა. მანუჩასკენ მიბრუნდა. შეხედა.

— მომეცი შენი ხელი, მეგობარო! — უთხრა და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა.

როცა მანუჩამ ხელი ჩამოართვა, მაგრად ჩაბლუჯა იგი. მანუჩა ახლოს ღიზიდა, გულში ჩაიჭრა და გადაკოცნა.

— წერა-კითხვა თუ იცი, ჩემო მეგობარო? — ჰკითხა მერე. როცა დადებოთი პასუხი მიიღო, განაგრძო:

— ჩაინიშნე მამ, ამ ბედშავი ბიჭის ვინაობა...



მანუჩამ გულის ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო ფანქრიანი, ვაშალა. დასაწყურად მოეშადა:

— დასწერე: ივანე პროხოვის ძე კადოგნიკოვი. ოცდა ერთი წლისა... ერთი სოფლიდან ვართ... კურსკის ოლქიდან, თუმცა ეს რა საჭიროა... საცმარისია: ვანია სადოგნიკოვი. მებრძოლი...

ჩასწერა თუ არა ნაკარნახევი, მანუჩამ წიგნაკი გადაფურცლა. სუფთა ფურცელი ამოხია და ფედისას ფანქრით ერთ მიწოლა.

— ჩემი მისამართი ჩაიწერე, ამხანაგო. მე რუსული წერა იმდენად არ შემაჯგებდა.

— მართალი ხარ! საჭიროა.—სთქვა ფედისამ და ვანიას საფლავზე მდებარე ქვასთან მოეციღმა, მიწოდებული ქალაქი თავის ჩანთაზე ფრთხილად გაშალა. მანუჩას ნაკარნახევი მისამართი დიდის მონღომებით დასწერა.

— მამა არ ჰყავდა ვანიას... კარგი გლეხი იყო, პროხოვი ერქვა. სანამ ცოცხალი იყო, ვანია სკოლაში დაუდიოდა. დედა ჰყავს მხოლოდ. ბიძაც. დაც. დაი უფროსია, იმავე სოფელში გათხოვილი. კარგი ხალხია. იქნება მოსურვონ ვანიას საფლავის ნახვა... ჰე, სად იბრძოდა საწყალი ბიჭო, და სად მოუსწრო სიკვდილმა! ხომ გითხარი, ვერაფერა მეთქი ომი, ჩემო ძამია... პო და, თუ ცოცხალი დაებრუნდი შინ, შენს მისამართს ვანიას დედას გადაეცემ. თუ არა და... ხანი რომ გაივლის და ვანიაზე არავინ შეგეკითხება... შენ თვითონ მისწერე... შეატყობინე დედას შვილის ამბავი...—უბნებოდა ფედია მანუჩას და მის მისამართს თავის საბუთებში სდებდა.

ამის შემდეგ მანუჩამ გზა ასწავლა ჯარისკაცებს. დაარიგა, როგორ ეარნათ, რომ მშვიდობით გასულიყვნენ ფართო გზატკეცილზე, რომლის ზოლი კარგად დაინახებოდა დილის სინათლეზე.

ამაზე შესწყდა ერთ ფაქტზე: კადოგნიკოვებულებს ერთად ვერცხვნიდნენ ბარა.

გულითადად გამოემშვიდობნენ ერთ-მანეთს. გაიყარნენ.

### თავი ოცდამეორე

უცნობი ჯარისკაცის სიკვდილით გულდათუთქულმა მანუჩამ მხოლოდ მაშინ წარმოიდგინა, თუ რამდენად დაიგვიანა, როცა მარტო დარჩა. თავში ხელი იცა და მაშინვე ცხენს მივარდა.

უნავიგის სწორებისას შენიშნა, რომ ხელზე სისხლი მოეცხა. ჯონდოს რომ შეხედა, ნახა, რომ ცხენს ცალი გვერდი სისხლით ჰქონდა მოთხუბნული. მიხედა, საიდან იყო. ფოთლიანი ტოტი მოსტება ხეს და ჯონდოს წმენდა დაუწყო. შედეგებულ სისხლს ვერა უყო რა. დროც არ ითმენდა მეტად დაყოვნებას. მხოლოდ ხელზე მოცხებული სისხლი მათარაში ჩარჩენილი წყლით მოიბანა სასწრაფოდ.

ის-იყო, უნდა ამხედრებულიყო, რომ უცბად ხმაურობა მოესმა. აბეანდში შესადგმელად აწეული ფეხი მაშინვე ძირს დაეშვა და მიაყურა.

ხმაურობა აღიდებულ მდინარესავით გუფუნით უახლოვდებოდა მანუჩას.

— ჰეი, წინანო, ნუ მოსწყლით დანარჩენებს!.. დაიცადეთ! ვარკვია მანუჩამ ადამიანის ძახილი.

მიხედა თუ არა, რას მოასწავებდა: ხმაურობა, მანუჩამ თვალის დახამხამებაში თავი ანება უნავიგის, ჯონდოს წინიდან მოუარა, ლავამს ხელი სტაცა და ტყიან ფერღზე დასცურდა, ნამენარში თავი შერგო ცხენიანად.

მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა კარგა მანძილი გაიარა.

ხმაურობამ თავზე გადაუარა.

ფერდით ჩამოცვივებული ქვანაშალით და ღორღით მიხვდა, რომ გამვლულნი ცოტანი არ იყვნენ და ჩქარობდნენ.

— მგონია გადავჩიხი! — გაიფიქრა ტოტებ-ჩამოხუნეტილ ვეება ნაძვს თავ-შეფარებულმა მანუჩამ და შვეებით ამო-ისუნთქა.

უძრავად, უხმოად იდგა და ყურს აღევნებდა, თუ როგორ მიგორავდა ძირს დაქანებული ადამიანების ტალღა.

მანუჩა ახლა აღარ იყო იმით კმაყოფილი, რომ ჯონდოზე იჯდა. ცხენი იყო საშისი, თორემ პირადად მას ვინ რას ემართლებოდა, ვინ რას ერჩოდა? თუ არა ჯონდო, წუხანდელი ამბავიც არ გადაწყდებოდა თავს და ახლა სო-უში იქნებოდა. ჯოტოს მამამ თავის ცხენზე იმიტომ შესვა, რომ დრო მოეგო, ვითომ მალე ჩავა და მალევე ამოვაო. მოხდა კი სრულიად წინააღმდეგი: სწორედ ჯონდოს მიზეზით დაიგვიანა.

— ადამიანს წინასწარი განჭვრეტის ნიჭი უფრო მახვილი რომ ჰქონდეს, ბევრი უბედურება ასცდებოდაო, — მსჯელობდა მანუჩა.

მაგრამ ვის შეეძლო მიმხედარიყო, რომ მდგომარეობა რაღაც ორ დღეში ასე მოულოდნელად შეიცვლებოდა?

— ნეტო დაეიჯერო, რომ ომი ასე დაგვიახლოვდა? — ეკითხებოდა თავის-თავს გაკვირებული და ფედიას სიტყვები ავანდებოდა ომის ვერაგობისა და სისწრაფის შესახებ. ომგადახდილი ჯარისკაცის ნათქვამის შინაარსი წუხელ გაგონებისას კარგად ვერ წარმოედგინა. მის აზრს ახლა ხედებოდა მხოლოდ.

მაგრამ ერთი რაზე ახლაც მის წარმოდგენას აღემატებოდა. სახელდობრ ის, რომ მტერი მთავარი ქედის გადმოლახვას შესძლებდა, და მის საყვარელ სოუსა და ბზიდის ხეობას ომის ციცილი ჩანთქადა.

სწამდა რომ ეს არ მოხდებოდა.

ეს რწმენა რატომღაც გულს სიამაყით უვსებდა, თითქოს მტრის შემჩერე-

ბელი თავად ყოფილიყო. *დღე ერთი...*

ვრეზბილის სიმაღლე ფრთხილად...  
შეიძლება, ამ სიამაყის გრძობა იყო იმის მიზეზი, რომ თავში გაბედული აზრი დაეხდა:

— მოდი, სანქაროს საბითათო ბილიკს აღარ დაეუბრუნდები. ქვეითად გაუძღვეები ჯონდოს. უგზო ხეებით, ხრამებით და ფერდობებით ვივლი და აქაქქარის ფერმაში პირდაპირ ავალ... მერე იქიდან სოუსი დავეშვებო.

ეს აზრი მოუვიდა მამინ, როცა ხმაურობა მისწყდა მაღლა ბილიკზე და გზის გატრქელების დროც დადგა.

მოეწონა, რაც გაიფიქრა.

შართლაც, რა მწყემსი იქნებოდა ამ კუთხეს შეზრდილი მანუჩა, რომ დღის სინათლეზე ფეხის მოსაკიდებელი ადგილები ვერ ეპოვნა ნაცნობ მთებში? ან ჯონდო რა მთის ცხენი იქნებოდა, რომ მასთან კვალდაკვალ ვერ ევლო?

მანუჩას სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, რაკი სანქაროს ბილიკი გამვლულ ჯარს ეჭირა.

როგორც გაიფიქრა, უმაღვე ისე მოეცა — თამამად დაიძრა ადგილიდან.



დღე ილეოდა, როცა მანუჩა ფერმაში გამოცხადდა, — დალილი, უძილობისა და შიმშილისაგან ქანკმილული. ჯონდოსაც კი დაჰკარგოდა შნო და ქედმაღლური იერა.

თავდაპირველად ვერც მანუჩა იცნეს ამხანაგებმა და ვერც მისი ცხენი, ისე თავით ფეხებამდე გაბურძგვნილი იყვნენ ძურწა და ბირკა ბალახის ქაცვიანი ბუსუსებით. მანუჩას ქურთუკის თეთრი დალიც კი აღარ სჩანდა, ზედ იმდენი მიკვროდა.

მანუჩას ცხენი ჩამოართვეს მწყემსებმა. კარეისკენ გაუძღვენენ. ჰკითხეს:

— რა მოგივიდა ამისთანაო?



მანუჩამ ხმა ვერ ამოიღო. მათარა მოიხსნა, ამხანაგებს გადაუგდო და ხელით ანიშნა, წყალი დამალევინეთო.

მოურბენინეს, დალია. სული მოითქვა. გამოაცხვლდა. გაიღიმა კიდეც და ისე გადახედა მის გარშემო თავმოყრილთ. გაუცვირდა, რომ თითქმის ყველას თოფები ჰქონდათ მხარზე გადაკიდებული, რაც არაჩვეულებრივად ეჩვენა.

— დავიღალე, ბიჭებო!—ესლა წარმოსთქვა და ისე დადუმდა. კარცის წინ ჯირკვზე ჩამოჯდა. ხელით ანიშნა მის ახლო მდგომთ, ვისაც თოფი დაუნახა, ეს რას ნიშნავსო.

მაგრამ ამ დროს ფერმის გამგე, სამსონ ლარაძე გამოვიდა კარვიდან. მასაც მხარზე თოფი ეყიდა და ეტყობოდა, რომ სამგზავროდ იყო გამზადებული. გაოცებული დარჩა, როცა მანუჩა და ჯონდო შეიცირო.

— რა დავემართა, მანუჩა, ან აქ საიდან გაჩნდი?—კითხა და მიეახლა. ძალაუვნებურმა სიცილმა დასძლია, როცა დააკვირდა: მანუჩა ბურძგაშლილ ზღარბს მიამსგავსა უნებურად. მაგრამ ჯონდოს გასისხლიანებულ გვერდს რომ მოჰკრა თვალი, ელდანაკრავივით წამოიყვირა:

— კაცო, მთის კაცის ცხენი გადაგიჩეხავს, თუ რა ამბავია?

— როგორ თუ გადამიჩეხავს?—ხმა ამოიღო ახლა მანუჩამ.

— სისხლი რატომ სდის? ჯონდოს დანარჩენებიც დააკვირდნენ.

— კი სისხლია, ნამდვილად. — დააღსტურეს.

გაოცებულმა მანუჩამ ისე შეავლო თვალი ჯონდოს გასისხლიანებულ გვერდს, თითქოს პირველად დაინახაო.

— კიდეც კარგი, რომ ცოცხალი გადარჩენილა! ფეხიც დაზიანებული უნდა. „მთაბი“, № 4.

და ჰქონდეს. სისხლი სდის მის მხარზე და მწყვეტს.

გინჯლინოთქა

— რა სისხლი ხალხი? — იკითხა მანუჩამ და წამოდგა. ცხენისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ისევე შესდგა.—ჰოო, მართლა სისხლია. — სთქვა გაოცებულიდან გაბოსულმა.—მაგრამ ჯონდოსი არ არის.

— მაშ, ვისია?—გაუცვირდა ყველას. მანუჩამ ძალა მოიკრიბა და მოკლედ უამბო ამხანაგებს თავისი წუხანდელი თავგადასავალი.

მოუსმინეს, შეაქტეს.

— კარგი გიქნია, რომ სანჭაროს ბილიკით არ დაბრუნებულხარ. უთუოდ ცხენს დაკარგავდი... სანჭაროს გზით ჯარი მიედინება ზღვისკენ. — უთხრა სამსონ ლარაძემ. — შენც ხომ გინახავს და ისაა... დიდი ამბავია! მაგრამ ამაზე შემდეგ, ჩემო მანუჩა, ახლა კი შედი კარავში. დანაყრდი. დაიძინე. ჯონდოს ბიჭები მიხედავენ... მე კი უნდა დაგტოვო. არ მცალია. სოფში მიმეჩქარება, სხდომანზე.

— რა სხდომანზე?—კითხა მანუჩამ.

— მდგომარეობა გაგვირთულდა, ჩემო მანუჩა... შენ რომ ორი დღის წინააზ გინახავს, ისე არ არის საქმე!

— ისე ამბობ, თითქოს ორი წელიწადი ვასულიყოს, რაც აქ არ ვარ!

— მეტიც, ჩემო მანუჩა... მგონია, საუკუნეზე მეტია, რაც ამ მხარეში მტერი არ გაჰკაჰანებულა... შენ ეს უკეთ უნდა იცოდე წიგნებიდან... დღეს კი დიდი საფრთხის წინაშე ვდგევართ... იმის ქარიშხალმა ლამის სოფს კარი შემოგვიღო!

— ეს არ მოხდება, ამხანაგო სამსონ! ჭედზე გადმოსვლას ვერ შესძლებს მტერი!—მაშინვე ჩამოართვა სიტყვა მანუჩამ.

— თუ ჩენი ყუბანის ჯარი გადმოვიდა, მტერს ვითომ რატომ გაუქირდება?... დივერსანტები გამოჩნდნენ



სოუშიც და აქაც... ხომ ხედავ, ხელში თოფი გევირავს ყველას!

— უღელტეხილი ხომ დაცულია, ამხანაგო სამსონ?

— დამცველები ცოტანი დარჩნენ ადგილზე, ჩემო მანუჩა! გამეღელებს უერთდებიან თითო-ორიოლა და თან მიჰყვებიან.

— რას ამზობ, კაცო?

— ამხანაგმა კირილემ რაზმი შეადგინა. კარგ ვაეკაცებს მოუყარა თავი. მონაღირეა უმეტესობა... მაგრამ ოცი თუ ოცდა ათი კაცი რას გააწყობს! დივერსანტების ჰერას თუ აუვიდნენ, ისიც კარგია.

— სიზმარში ვარ მგონია, სამსონ!.. ნუ მელაპარაკები!

— მართლაც, სიზმარს ჰგავს, ჩემო მანუჩა... რაც გაკეთდა მოსთხარეს... გადახნეს... ხეები მოსჭრეს და გაკაფული ადგილი ძელებით მოჰფინეს... მტერმა დესანტის გადმოსასხამად არ გამოიყენოსო!

— ვაიმე, ეს რა მესმის?—თაფში შემოიკრა ხელი მანუჩამ.

— ყველაზე უფრო მწვავედ ჩენი ჯოგის საკითხი დგას...

გაკვირვებულმა მანუჩამ ისე შეხედა სამსონს, თითქოს შეუწყარო, ვითომ რატომ აძლევ შენს თავს ასეთი რამის ლაპარაკის ნებასო. მაგრამ მაინც ვერ შოითმინა და ყრუდ ჰკითხა:

— ჯოგას რატომ, კაცო?

— მტერს რომ ხელში არ ჩაუვარდეს!.. მაშ, რა გეგონა? ვიღუპებით, მგონია...<sup>6</sup>

მანუჩას ახლა უფრო არ მოეწონა სამსონის სიტყვები. მას განსაკუთრებულად ეხამუშა უიმედობა, რომელიც ფერმის გაგვის ხმაში ისმოდა. თუმცა უღონობას გრძნობდა და იმას ძალა არ ყოფნოდა, რომ დაეტუქსა სამსონი, მაგრამ მაინც ისეთი თვალებით შეხედდა,—მიახვედრა, რომ დიდად უცმაყოფილო იყო.

— აღრე შეგშანებია! <sup>რამდენადაც სამხედრო მხარე</sup> სამსონ!

— მოდი და ნუ შეგეშინდება!

ეს კი ვერ მოითმინა მანუჩამ. თითქოს ახალი სული ჩაიდგაო, მთელი ტანით გაიმართა, სამსონისაგან პირი იბრუნა და მწყემსების გასამხნეებლად შესძახა:

— ამხანაგებო! შორს შიში ჩვენგან! ხომ გახსოვთ „ჭირსა შინა გამაგრება“... რამდენჯერ წამოიკითხავს თქვენთვის! ეს სიტყვები სწორედ დღეს არის მოსაგონებელი! რას მიჭეიან შიში? ქელიც რომ გადმოლახოს მტერმა, ომი ამით მაინც არ გათავდება... ჩენი დამარცხება არ მოხდება, ამხანაგებო... ფონი გასაველსაო, ხომ გაგიგონიათ? რა შანდილები განვლო მტერმა, რა გზა გამოიარა, რამდენი ქალაქი და სოფელი აიღო, მაგრამ რა? ფონის გასაველი ჯერ შორს არის... ნათქვამია, გავიმარჯვებთო, და ასეც იქნება!

აიღეწა სამსონი.

— კი, მაგრამ მე რა ვსთქვი იმისთანა, რომ ავტიაციას ეწვევი, ამხანაგო მანუჩა? — გააწყვეტინა სიტყვა მანუჩას. იგი არ მოელოდა, რომ მისი სიტყვები მანუჩას ასე ააგზნებდნენ.

— ცნობა მოგაწოდებ, შე კაი კაცო, რაც აქ ყველამ იცის, თორემ ის კი არ მითქვამს, დავმარცხდებით მეთქი!.. როგორ გეკადრება?..—მაგრამ უცებ ისევ დაუხრა.—აქ ყველანი ამხანაგები ვართ, მანუჩა, რა საჭიროა საშიშროებას დამალვა?.. ჰეე, ამდენი დაყოვნებისათვის დროც არა მაქვს. საცაა დადამდება და სხდომას უნდა მიუტყურო. ნახვამდის, ხვალ სოუში შეგვხვდებით ალბათ,—სთქვა სამსონმა და მანუჩას ზურგი შეაქცია.

— დიციადეო,—უნდა დაეძახნა მანუჩას, მაგრამ გადადგა თუ არა ნაბი-



ჯი, სამსონი თვითონ მობრუნდა მისკენ და შეეკითხა:

— კაცო, სულ დამავიწყდა შენთვის ზეკითხა... ჯოტოს ამბავი ხომ მართალია?

მოულოდნელმა შეკითხვამ გააკვირვა მახუჩა. გაოცებული მიაშტერდა სამსონს. მის გარდა თუ აქ ვინმემ იცოდა ჯოტოს ამბავი, ვერ წარმოედგინა.

— რომელ ამბავს შეკითხები? — ჰკითხა დაბალი ხმით.

— საბჭოთა კავშირის გმირის წოდება რომ მიუნიჭებიათ! ვითომ არ იცი!... სამხარობლო კირილეს ერგო, ჩემო კარგო... საღდაც გაუგონია და გუშინ ახარა მთის კაცს. მეც იქ ვიყავი იმ დროს, გუშინ მოგელოდნენ, გაზეთებსა და უტყუარ ცნობას ჩამოიტანსო... მითხარი, თუ ძმა ხარ, ჯოტო მართლა ხატია გაზეთებში?

ცხადი იყო: ჯოტოს ამბავი გაეგოთ სოფში.

მეტი რა გზა ჰქონდა მანუჩას: თავი დაუქნია დასტურის ნიშნად სამსონს.

— აბა, მაჩვენე, თუ გიყვარდე... აბაში გექნება...

— რა?

— აი, გაზეთი, სადაც ხატიაო...

— ჯოტოს მამას შერე რაღა ვუჩვენო? — ჰოუკრა სიტყვა მანუჩამ.

— კარგი ახლა, კაცო... ყოველთვის უცნაური ნუ ხარ!

— ნუ დამემღერები, სამსონ. არ შემიძლია.

— რატომ?.. წავიკითხავ ერთ წამში...

— ყველაზე უწინ ჯოტოს მამამ უნდა ნახოს... მეც არ წავიკითხე იმაზე ადრე... თუმცა გაზეთები ხელში მეჭირა. მართალს გეუბნები.

— მთელს ქვეყანას უკვე ნახულიც და წაკითხულიც აქვს, ალბათ, შე კაცო... ესეც არ იყოს, შენ ხომ ხეალამდის ვერ წამოხვალ სოფში... მე კი ამ საღამოსვე გადავცემ მთის კაცს.

მაგრამ მანუჩამ მტყუცდუნებაშია თავი, არაო.

— სიტყვას მოგცემ, რომ გაზეთს არც კი გავშლი, ისე ჩავიტან... მოელის, ვიცი, მოუთმენლად... კირილეს არ დავუჯერო. ეს დიდი ბედნიერებაა, და ასე ზებირად გადმოცემულს ვერ ვიწამებო... გაზეთებს მოელის.

— მეც მოვდივარ შენთან, სამსონ... ოღონდ არ ვიცი ჯონდოს რა ვყოფო, წამოვიყვანო, თუ აქ დავტოვო?

— ჯონდოზე ლაპარაკიც ზეცია, ჩემო მანუჩა! ცხენი აქ უნდა დარჩეს.

— ჯოტოს ზამას რომ ეწყინოს?

— მე ვარ თავდები... მაგრამ შენ ვერ იგლი მანუჩა. დამიჯერე, გამოიძინე ზაინც, კაცო, ფეხზე ვერ დგებარ და ამ დაღმართზე რა ჩაგიყვანს? ან რა გეჩქარება? აკი ვითხარი, მთის კაცმა უკვე იცის შვილის ამბავი... დილას წამოხვალ, და ის იქნება. გაზეთები კი მე გადმომეცი. მთის კაცის გარდა სხვებიც მოელიან ნამდვილ ცნობას. პატარა ამბავი კი არ არის სოფსათვის ჯოტოს იშვიათი დაჯილდოვება.

— არა, მოვდივარ! — არ დაიშალა მაინც მანუჩამ.

სამსონმა ცოტა არ იყოს შეურაცხებელ მოილო მანუჩას უნდობლობა. ამასწინანდელი მისი გამოლაშქრებაც არ დაეიწყებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ბრაზი იმით მოინელა, რომ მწყემსებს როყო ხმით გასძახა:

— საკმელი მაინც აჭამეთ ამ ჯიუტ კაცს, რაკი თავისას არ იშლის! მე კი ვიელი, თორემ შემომადამდება. დამეწიოს! — სთქვა და გზას მძიმედ გაულგა.

ამხანაგებმა ფიცხლად მოურბენინეს მანუჩას მქალი, ყველი და მოხარშული ხორცის ნაჭერი. უთხრეს:

— ქამე, ღონეზე მოდი, თორემ მართლა ვერ იგლი!

მაგრამ მშვიერ მანუჩას წაქეზება არ სჭიროდა. აკანკალებული ხელით კარგა მოზრდილი ლუქმა მოსტება მქალსა

და ყველს. ხარბად გააქანა პირისაკენ. ზაშინვე შეამჩნია, რომ გაკვირვებულ ამხანაგებს თვალში ეცა მასი სიხარბე.

მანუჩას აქ ძალაუნებურად მოაგონდა საცოდავი ვანიას წუხანდელი საქციელი მიწოდებული ხაჭაპურის გაზორთმევის დროს. მშინ მანუჩასაც არ მოეწონა მისი სულწასულობა. თავად მაძღარი რომ იყო, ალბათ, იმიტომ, თორემ, დახე, მართლა, რა ხარბი და სულწასული ყოფილაო!

ამას რომ ფიქრობდა თავისთვის, ილუქებოდა და თან ამხანაგებს ეუბნებოდა:

— ჯონდოს კარვად მიმიხედეთ, ბიჭებო... თბილი წყალით მობანეთ სასხელი... აქამეთ... დაასვენეთ...

— ჰო, ვიცით... კარგია... გზა-და-გზა კამე აუჩქარებლად, თორემ გამგე გიცდის!

ძლივს გაისტუმრეს.

მანუჩა ზაინც წამდარწუმ უკან იხედებოდა. ხელით ნიშნებს აძლევდა მწყემსებს, რატომ აგვიანებთ და ჯონდო თავლაში არ მიგყავთო.

როცა ბოლოს საკუთარი თვალით დაინახა, რომ შუაში ჩაყენებული ჯონდო ამხანაგებს დიდი პატივით მიჰყავდათ თავლისკენ, დამშვიდდა.

ღონე-შეზატებული უკანმოუხედავად გაიქცა და მალე გვერდში ამოუდგა მისი დაწვევის მოლოდინში ნელი ნაბიჯით მიმავალ სამსონ ღარაძეს.

— . —

### თავი ოცდამესამე

ჩამოწვა თუ არა ღამე ბზიფის ხეობაში, აქვეყარის ფერმიდან წამოსული სამსონ ღარაძე და მანუჩა—მწყემსი სოფში დაეშენნ. მათი დაშვება მოხდა ჩრდილოეთ მხარეს, სადაც უღელტეხილით ჩამომავალი სანჭაროს ბილიცი სოფლის შუაგულისკენ უხვევდა.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა,— უთხრა სამსონმა მანუჩას. —რა იცი,

ვინ შეგვხვდება ბილიცში? მანუჩა ტყე ვიარითო!

სოქვა და ტყეში გადაუხვია, მანუჩა მიჰყვა.

მაგრამ ტყეში ისეთი უკუნი იდგა, რომ თვალით არა დაინახებოდა რა. სოფელი იქვე იწყებოდა, ტყის პართან, მაგრამ არც იქ მოსჩანდა სინათლის ნატამალი.

მგზავრების გაკვირვება უფრო ურღვევმა სიჩუმემ გამოიწვია, რომელიც როგორც ტყეში, ისე მის იქითაც, სოფელში გამეფებულყო, რაც ამ დროს არ იყო მოსალოდნელი. ეს სიჩუმე ძალაუნებურ შიშს იწვევდა მგზავრებში.

სამსონ ღარაძეს ეჭვიც კი აღედგა:

— იქნება, მხარი გვექცა და უღებურად გიღლი მივხვდითო.

შესდგა. მხრიდან თოფი ვადმოიღო და ხელში მოიპარგვა. როცა უკან მოზავალი მანუჩა გაუსწორდა, თავისი ეჭვი საიდუმლოდ ყურში ჩასჩურჩულა.

— არა, სოფა ნამდვილად, ამხანაგო სამსონ. ეჭვი რატომ შეგდის? მაგრამ ასეთი უსინათლობა და სიჩუმე მეც ვერ ამიხსნია. ვახშობის დროც კი არ არის.—ჩურჩულითვე უპასუხა მანუჩამ.

ალბათ, ორივე ერთნაირად გრძობდა ვარემოს განწყობილებას, რომ ხმამალლა ღარაძე და უშვეებლად მიიხნის.

— უსინათლობა გასაგებია, კაცო,— განავრძო სამსონმა.—შენილბევას ნიშნავს. სოხუმში ხომ იყავი?

— ღამე არ დავრჩენილვარ...

— სიბნელეშია, ძმაო, ქალაქი ვახვეული... ასე უნდა ალბათ... მაგრამ ეს სიჩუმე რაღაა? იქნება, თავდასხმის მოლოდინში აიყარნენ სოფელები და წავიდნენ სადმე? ა? შენ რას იტყვი?.. ძალღებიც რომ არ ჰყეფენ?.. წარმოიდგინე, ასე გგონია, რომ მეშინია...

— იმიტომ გგონია, რომ ვჭურჩულობთ რატომღაც, თითქოს მტრის ბა-

ნაქში ვიყოთ შეპარულები... — ცოტა ხმას აუწვია მანუჩამ.

— სუ! ნუ იცი, კაცო, ახირება წელანდელი აგიტაციის არ იყოს, ჩემს წინააღმდეგ რომ გასწიე შწყემსებში! რომ არ ამკიდებოდი, დღის სინათლეზე ჩამოვიდოდი... შენი ბრალია, დამავიანეს! — გაწყრა სამსონი, მაგრამ მაშინვე შეანელა სიფიცხე და ჭკუაზე დამრიგებელი ხმით განავრძოა: — ალბათ საჭიროა სიჩუმეც... სიბნელესთან ერთად... შენ კი ხმაძალდა გინდა ლაპარაკი, არ შეიძლება... ისე იქცევი თითქოს არაფერი გამოცვლილიყოს ქვეყანაზე. გაიგე რომ მტერი კარზე სდგას... იქნება შემოვიდა კიდეცა... ან აქვეა გარშემო ჩასაფრებული... აბა შენ რა გგონია?.. ჰო, იმის თქმა ზინდოდა წელან... თუ სოუში ვიმყოფებით, ჩანს, რაც ჩვენი ჯარი მოვიდა, უკვე გავრეფილა სოფლიდან, გაუვლია, თორემ, ხომ იცი, სადმე ხმაურობა იქნებოდა. ვაი, თუ კირილეს პატარა რაზმის იმედით ლა დაერჩით? — ამბობდა არეულად შეწყუბებული სამსონი და ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა.

— მე მაინც ვერ გამოვიდა, ამხანაგო სამსონ, აქ რატომ ვდგევართ? შევიდეთ სოფელში და ყველაფერს გავიგებთ!

— ა? მართლა, რატომ ვდგევართ? მაგრამ რა ვითხრა, იცი? მოდი, ბილიცხე გავიდეთ და გზით ვიაროთ, სჯობია, რაკი ძეხორციელის ქაქანება არსად არის... ასეა ხომ: თუ არავინ არის, ვინ უნდა შეგვხვდეს?.. არ ვიცი, ასე რატომ გვეშინია!

— ვინ ამბობს, კაცო, გვეშინიაო! გავიშვი, მე წავალ წინ... მომყევი! — სთქვა თამაზად მანუჩამ და დაწინაურდა.

— დაცა, კაცო, რა გარდაქმნანი შენ მყავხარ ვითომ?.. სუ... მგონი, ტყეში ვილაცაა...

ძლივს მოასწრო ამის თქმა სამსონმა, რომ საიდანღაც უცებ გაჩენილი სინათლის მკვეთრი შუქი, ავაზის თვალე-

ბიდან გამონაკრობი ცეცხლის ალივით სახეში ეცა და ავაზიკრეფე უძსწი მრჭყალივით თვალბზრ მტკრჩრჩხუნქს

— ხელები ზევით! — გაეარდა უშალვე თოფივით ადამიანის შეძახილი.

— ვაიმე, მიშველეთ! — იყვირა გონდაკარგულმა სამსონმა. ხელი უშვა თოფს და სახეზე აიფარა. იარაღი ძირს დაეარდა.

— ჩვენიანები არიან, სამსონ! ზაცის ხმა! ნუ გეშინია! — არ დაიბნა მანუჩა. სამსონის წინ დადგა და შესძახა:

— ჩვენა ვართ, ამხანაგო მაცი! ამ ღროს ხელის ფარანი ჩაპქრა.

— გიცანი, ჩემო მანუჩა!.. ხმაზედაც გიცანი. მაგრამ ის მეორე ზალალი კაცი ვინ არის, სახეზე ხელი რომ აიფარა? ხომ არ გვემალება?

— ჩვენი სამსონია, ამხანაგო მაცი... ღარაძე!

— ჰოო...

— ჰო, მე ვარ სამსონი... ნუთუ ვერ მიცანი, ამხანაგო მაცი? — გონს მოეგო ახლა სამსონი და ხმაც ამოიღო.

მაცი ზურუბაიამ ერთხელ კიდეც მანათა თავისი ფარანი სამსონს.

— კი, მაგრამ ამ ტყეში რა გინდოდათ, ამხანაგებო? გზას ასკდით თუ რა მოგოვიდათ? ღივერსანტება გვეგონეთ და კინაღამ დაგზოცეთ.

სახეზე მიყენებულმა ფარნის შუქმა შეაწუხა სამსონი.

— მოზაშორე, თუ კაცი ხარ! ისედაც ვერაფერს ვხედავ! — სთხოვა მაციის. იმანაც ჩააქრო ფარანი.

მანუჩამ იღო თავის თბეზე იმის ახსნა-განმარტება, თუ როგორ მოხედნენ ტყეში, რამაც, ცოტა არ იყოს, ჩრდილი მიაყენა ფერმის გამგის ვაკეცობას.

— ჩვენ კი არ უნდა გვეშინოდეს მტრის ამ ჩვენს სახლში, ამხანაგო სამსონ... პირაქით, მტერს უნდა ეშინოდეს! — შენიშნა ზაციმ უწყინარი ხმით სამსონს, რომელსაც ხმა ვერ ამოეღო.

მანუჩას ნახვა სოუს საბჭოს თავმჯდომარეს დიდად გაუხარდა.

— ძლივს გველიძისა შენი დაბრუნება, ჩემო მანუჩა! ასე რატომ დაიგვიანე? ჯოტოს ნამდვილი ამბავი და ვაზუთები თუ მაინც ჩამოიტანე?—ჰკითხა.

როცა პასუხი მიიღო, მანუჩა სამსონთან ერთად ამხანაგ კირილესთან გაისტუმრა.

— მთის კაციც კირილესთან არის მის ოთახში... წადით, მოუსწართ, სანამ დაიშლებიან... მეც მალე მოვალ!

სამსონი ამ დროს დაღუნულიყო და მიწაზე ხელებს აფათურებდა, თოფს ეძებდა, რომელიც ამას წინად დაუვარდა. ბედზე ზალე იპოვნა. ხელში დაიჭირა და გასწორდა. მანუჩას გვერდში ამოუდგა, თითქოს აქ არაფერიაო.

სიბნელის გამო იქ მყოფნი ვერ მიხედნენ, თუ რას ეძებდა მიწაზე სამსონი. გაუკვირდათ კი მისი საქციელი.

— დაჰკარგე რამე, ამხანაგო სამსონ?—ჰკითხა მაციმ.

— არა... არაფერი... ისე... — ენის ბორძიკით უპასუხა სამსონმა და სიტყვა ბანზე აუგდო შემკითხველს:

— ამხანაგო მაცი, — საქმიანი ხმით მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, — ვითომ სხდომა უნდა ყოფილიყო ამ საღამოს. დაბარებული ვიყავი. ვერ შეტყვი, ვთავდა, თუ არც კი შემდგარა?

— რა დროს სხდომაა, ძვირფასო სამსონ? ვერ ხედავ, მტერთან პირისპირ ბრძოლა დაიწყო.

### თავი ოცდამეოთხე

სანქაროს ბილიკით შავ ზღვისკენ მიმავალი საბჭოთა ჯარის ნაბრძოლი ნაწილების გამოჩენა ჯერ უღელტეხილზე და მერე კიდევ სოფში ომდენადვე მოულოდნელი იყო სოფელები-სათვის, რამდენადაც თავზარდაცემი. — გამველელ ჯარს თან ლანდივით აღევნებოდა ომის შემზარავი სისხლიანი სახე და მისი ქუხილის ხმაც გამოჰ-

ყოლოდა, რაც ბზიფის ხეობას მანამდე არც ენახა და არც გაეგონა.

ნაბრძოლი ნაწილების გავლა სოფში, როგორც უეცრად დაიწყო, ისე უეცრადვე დამთავრდა. აგი ორ დღე-ღამეზე მეტი არ გაგრძელებულა.

ჯარი მოვიდა, სული მოითქვა და იმვე სანქაროს ბილიკს თავქვე გააყვა შავი ზღვის მიმართულებით.

სანქაროს უღელტეხილის სადარაჯოზე მდგარა აღვილობრივი ჯარის მცირერიცხოვანი ნაწილიც შეირყა. ზოგან მოიხსნა კიდევ თვითნებურად და გამველელ ჯარს შეუერთდა.

სოფელი სოფ დაპყრობთა შემოსევის უეჭველი და აუცილებელი საფრთხის წინაშე დადგა.

ჯერ კიდევ გუშინ სოუს მშვიდობიან მშრომელებს ერთი სადარდელილა ჰქონდათ. ეს იყო ომში წასული ვაჟების ბედი და იღბალი. დღეს კი მათ სხვა საზრუნავიც გაუჩნდათ, გაცილებით უფრო მძიმე და საშური:—მამაპეული კერისა, საკუთარი საცოცხლის და სარჩო-საბადებელის გადარჩენა მოახლოვებული მტრის დარბევისაგან.

ორნაირმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო ხალხი. ერთი იყო ბავშვებისა და ქალების დროზე გახიზვნის თადარიგი, მეორე—იარაღის ასხმა.

კირილე გორაკოვს ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული ის სამშრომობა, რომელიც სოუს მოელოდა შექმნილი მდგომარეობის წყალობით. — ცხადი იყო, თუ მტერი ქედზე გადმოვიდოდა, მისი პირველი დარტყმა სოუს არ ასცდებოდა.

ზაგრამ გორაკოვი ერთ რაშეში ვერ გარკვეულიყო: ნამდვილი მარცხის შედეგს წარმოადგენდა დასავლეთი კავკასიის უღელტეხილებთან მტრის მოშვება, თუ იგი საბჭოთა სარდლობის ფარული სტრატეგიული მოსაზრებით აყო გამოწვეული.

რაც თქმა უნდა, ამის გარჩევის არც თავი ჰქონდა და არც ძალა შესწევდა



სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მაგრამ როგორც გამოცდილ ძველ პარტიზანს, ჩრდილოეთი კავკასიის მთებში ხანგრძლივად ნაბრძოლს და 'საბჭოთა პატრიოტს, არ შეეძლო გულგრილად ეცქირა მტრის წინსვლისათვის ისეთი გზით, რომელიც თავისთავად უდიდეს ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენდა მისთვის.

მოხალისე მებრძოლთა რაზმის შედგენის აზრი კირილე გორაკოვს აღრევე დაებადა, მტრის შემოჭრისთანავე. მის განსახორციელებლად სათანადო ნიადაგსაც ამზადებდა თანდათანობით თავის მეგობრებს შორის. შერჩეულიც ჰყავდა მომავალი თანამებრძოლები.

მაგრამ რაზმი მაშინ ჩამოყალიბდა, როცა სოუსში მტრის აგენტები გაჩნდნენ, დივერსანტების სახით. მათი გამოჩენა ბზიფში დაემთხვა ნაბრძოლი ჯარის ნაწილების პირველი ჯგუფის მოსვლას სოფელ სოუსში.

ბრძოლის დივერსიული ფორმა უცნობი იყო გორაკოვისთვის. იგი პირველად თითქოს დაიბნა, როცა ათასნაირად შენიღბული მტრის აგენტები კალიასავით მოედნენ ბზიფის ხეობას და განსაკუთრებულად კი სოუს ტყიან მიდამოებს. მათი გზა-კვალის მიგნება და აღმოჩენა ტყით დაბურულ მთებსა და მიუვალ ხეებში განსაკუთრებულ გამოცდილებას მოითხოვდა, რაც სოუსელ მებრძოლებს არ გააჩნდათ. ვერაგული საშუალებებით მომქმედი მტრის წინააღმდეგ საჭირო იყო შესაბამისი ხერხების და თავდაცვის სათანადო საშუალებათა გამოჩახვა.

მაგრამ კირილეს ამ დაბრკოლების დაძლევა იმ გარემოებამ გაუადვილა, რომ მისი რაზმი უპირატესად გამოცდილი, ადგილის ზედმიწევნით მცოდნე კოლმეურნე მონადირეებისგან შემდგარი აღმოჩნდა. გარდა ამისა დაზვერვის საქმეს სათავეში ისეთი კაცი ედგა, ბი-

ლიკებისა და ტყეების ხეუბლების მცოდნე, როგორც იყო მთის მკვეთი ყოველივე ამის წყალობით გონივრულ კონსა და მას რაზმს მეტად იშვიათად, შემთხვევით თუ დაუსხლტებოდათ ხელიდან შემოპარული მტერი. იგი უმაღლეს ებმებოდა მახეში, როგორც კი სოუსს არემარეში ფეხს შემოდგამდა.

თავდაპირველად კირილე გორაკოვი დიდა სისასტიკით ეპყრობოდა მახეში გაბმულთ. ხშირად მის სიტყვას მისი რევოლვერის ტყვია უსწრებდა. მაგრამ კირილე ამას თავის იარაღს აბრალედა:

— ჩემს რევოლვერს ასეთი ხასიითი აქვს: თვითონ ამოდის ბოლიდან და ისვრის, როცა სამშობლოს მტრის მურალი სუნი ეცემას!—ამბობდა ძველი ყუბანელი მებრძოლი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სოხუმიდან განკარგულება მოუვინდა, შეპყრობილ დივერსანტებს დასაკითხავად რესპუბლიკის უშიშროების კომისარის რწმუნებულის განკარგულებაში გზავნიდა უმეტეს შემთხვევაში.

სოუსელების რაზმის შტაბი კოლმეურნეობისა და სოფლის საბჭოს შენობაში იყო მოთავსებული. მას კირილეს ოთახი ეჭირა, რომელიც ახლა უფრო თოფ-იარაღის საწყობს ჰგავდა, ვინემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მშვიდობიან სამუშაო სამყოფელს. მაგიდაზე ნაირ-ნაირი რევოლვერი ეყარა, იატაკი შაშხანებით და ხელის ყუმბარებით იყო მოფენალი. კედელზე ავტომატები და კიდევ სხვადასხვანაირი ყალიბის თოფები ეკიდა ცალკე საბჭოთა სისტემის, ცალკე—უცხოური. იარაღის მეტი წილი გამველ ჯარს დაეტოვებინა სოუსს ახლად შემდგარი რაზმის საჭიროებისათვის, ნაწილი კი ნადავლს წარმოადგენდა, მტრის აგენტების განიარაღების შემდეგ დარჩენილს.

ეს ოთახი კირილე გორაკოვს ბოლო დროს თავის მუდმივ საცხოვრებელ ბინადაც გადაეჭვია. იგი აქ აღამებდა,

აქვე ათენებდა. აქედანვე ხელმძღვანელობდა უწყვეტ ბრძოლას დივერსანტების წინააღმდეგ და თვალყურს ადევნებდა სულ ახალ და ახალ გარემოებათ, რომლებიც მის თვალწინ საკვირველი სისწრაფით ვითარდებოდნენ.

როცა მაცი ზურუბაიას და მისი ამაღლის ალყას მშვიდობით თავდალწეული სამსონ ღარაძე და მანუჩა-მწყემსი გორაკოვის ოთახს მიაღწენენ, ამ შემთხვევაშიც დაწინაურებულმა სამსონმა, იმის მაგიერ, რომ დახმულ კარზე დაეკაკუნებია, ზედ მთელი თავისი მალაღობით, ზორბა ტანით აეფარა და გაილურსა.

— აქაც სიჩუმეა, მანუჩა! ეტყობა, ოთახში არაინ არის... მოდი მთის კაცთან წაგიდეთ სახლში, და ის იქნება! — უთხრა მან მანუჩას.

— მაციმ სთქვა, აქ არიანო!.. მიმიშვი.

კირილე გორაკოვი და მთის კაცი ამ დროს ბუბრის თავზე შედგმული ლაპის მკრთალ სინათლეზე ოთახის კუთხეში დახვინულ იარაღს სათითაოდ ვარგისობას უსინჯავდნენ, ზეთავდნენ, ახარისხებდნენ. ზოგის უცნობ შექანისმა შლიდნენ, არჩევდნენ, სწავლობდნენ. უხმოდ მუშაობდნენ. მხოლოდ დროგამოშვებით თუ გაისმოდა, საკეტის მოძართვისა თუ დახშვისას, ფოლადის გასხლეტისა და გამოსხლეტის ხმა და ჩახჩახჩხ დაცემის მოკლე ტაკეტნი.

მანუჩამ დააკაკუნა.

— ჩვენი დღევანდელი მორიგე მაცი თუ არის! — სთქვა კირილემ და ხელში შერჩენალი გასაშინჯი თოფითურთ კარს მიაშურა.

— ჰო, ვისმენ! — თითქოს ტელეფონის მიღში ჩასძახაო, ისე გაეხმაურა კართან მისული კაცუნს.

— ჩვენ ვართ! — დაბლად უბასუხა მანუჩამ.

— ბიჭოს! ეს ვისი ხმა გავიგონე? —

შესძახა კირილემ. რაზას ხელი აქრა, კარი ფართოდ გააღო. ეკრინესული

მანუჩა პირველი შესხტა ჩინჩინაში. საღამო მისცა კირილეს. მას მიიმედ მიჰყვა სამსონ ღარაძე.

— ეს კიდეც ვინ არის? ამხანაგო სამსონ, რამხელა ბუმბერაზი გამოჩნდი, კაცო, პატარა მანუჩას შემდეგ? შემეშინდა, ზართალი ვითხრა... ზობრძანდით! როგორ დავიჯერო, ისე მოხვედით აქ, რომ ბიჭებმა არც კი შეგნიშნეს? თუ ასეა, დავდუბულეართ და ისაა.

სამსონმა უამბო, თუ როგორ მოხვედნენ მაცი ზურუბაიას ალყაში.

— ჰოო, ზამ საქმე კარგად ყოფილა! — სიტყვა გააწყვეტინა კირილემ სამსონს და მანუჩას მიუბრუნდა. — აბა, მანუჩა. რას უღვებარ აქ? ჯოტოს მამას ვერ ხედავ? მიდი, გახსენი შენი აბა და გაზეთები ამოალაგე... შეგვიმოწმებინე ჯოტოს გამირობის ამბავი, თუ რამდენად მართალია... გაზეთი გერკიდეც არ გვინახავს.

მთის კაცისკენ დაძრულმა მანუჩამ, სანამ მიეახლებოდა, სწრაფად ამოიღო აბგიდან ლიას ზიერ გამოტანებული გაზეთები. მერე ისე შეიმართა, რომ პატარა ტანი დიდად გამოაჩინა. ამაყი თვლები გაუსწორა მთის კაცს და გაზეთები შორიდანვე გაუწოდა. უთხრა:

— ჯოტოს მამავ, ლიამ მოგილოცა ჯოტოს დიდი გამარჯვებისა და ბედნიერების ამბავი და ეს გაზეთები გამოგიგზავნა.

მთის კაცმა გაწვდილი გაზეთები ჩამოართვა. დახედა. მერე გალიმებულ სახით შეხედა მანუჩას და ასე მიმართა:

— შენ, ალბათ, გგონია, ჩემო მანუჩა, რომ შენს აქ არ-ყოფნაში კითხვას ვისწავლიდი და ამიტომ მომამოღე ეს გაზეთები!

— სურათს ცნობა უნდა და არა წაკითხვა, ჯოტოს მამავ!

— ჰეე, მომეცით აქ ეს გაზეთები! მე გაეხსნი რაკი თქვენ აგვიანებთ. — არ ეყო მოთმინება კირილეს. მთის

კაცს ვახუთები ჩამოართვა, ლამაზ ბუხრის თავიდან მაგიდაზე გადმოდგა და ერთი ვახუთი გაშალა, რომლის პირველ გვერდზევე ჯოტოს სურათი გამოჩნდა.

— აბა, ესეც ჩვენი გმირი!—თავი დაღუნა, ახლოს შეხედა.—მოდი, ნახე შენი თვალით, მთის კაცო, რა ვაეი გყოლია!

მაგრამ იქვე მდგარმა სამსონ ღარაძემ მთის კაცს დაასწრო, მაგიდასთან მივიდა, დაიღუნა და ვახუთთან მისასვლელი ადგილი თავისი ზორბა ტანით ამოავსო.

— მოუშვი, კაცო, მამა! — შენიშნა მისი საქციელით უკმაყოფილო გორაკოვმა.

— არაფერია, ძვირფასო კირილე! — სთქვა მთის კაცმა.— შეხედოს, შეხედოს... მე ვერე, თქვენი ქირილე... პატარა დრო კი არ მეყოფა... უცქიროს, შესიამოვნება.— და ამ სიტყვებით ერთი ნაბიჯით განზე გადავა.

კირილემ თავი აიღო.

— აბა, მანუჩა, მოდი, მოუფეკვი ბაგიდას... უპირველესად ყოვლისა წაგვიკითხე ბრძანებულება. — მიმართა მან მანუჩას, მკლავზე ხელი მოჰკიდა, მაგიდასთან მიიყვანა, სადაც თვითონ იდგა და სკამი ზიარდა.— ასე... ჩვენ კი ყველანი ფეხზე ვიდგებით და ასე მოვისწინებთ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დიდი წყალობის სიგელს! მამ, დაიწყე, ნუ გეაგვიანებ.

სთქვა და მთას კაცს გვერდში ამოუდგა. სამსონიც მიიზიდა. დადგნენ. მოსასმენად მოემზადნენ.

მანუჩაც არ დამჯდარა. ვახუთი ხელში მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება“.— მკაფიო ხმით, სიტყვა-სიტყვით გამოკვეთა მან სათაურს და განაგრძო:

— „გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ

წესრულებისათვის და ამასთან მშაბა-ცობასა და გვირობის გეგმარეგულირების მიენიჭოს საბჭოთა კავშირის წმინდა წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ ავიაციის ლეიტენანტს ჯოტო ბათუს ძე ქარლუსს“.

აქ მანუჩა ვითომ გახუმლა მცირე ხნით. მერე ოდნავ უფრო მაღალი ხმით ბრძანებულების სრული ხელმოწერილობა სულის მოუთქმელად ამოკითხა. ოთახში წამიერი, მაგრამ სახეიმო სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც პირველმა კირილემ გორაკოვმა დაარღვია.

— მაშ, ახლა ხომ გჯერა, მთის კაცო, ზეპირად ნათქვამს ვერ ვიწამებო რომ მეუბნებოდი?— კითხვა მან ჯოტოს მამას და თვალეზში შეხედა.

მთის კაცს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს იგი თავისთვის იღუპალ განაგრძობდა ერთხელ გაგონილის ხელმოწერედ მოსმენას. ხოლო მაღლა აპყრობილ თვალეზში ისეთი შუქი უკრთოდა, თითქოს, მოუხედავად გამყოფი მანძილისა, საყვარელ შვილს პირდაპირ სახეში უცქერის და სტკბებო.

მაგრამ კირილეს შეკითხვაზე ზაინც გასცა პასუხი:

— არა, ძვირფასო კირილე... მაშინაც დავიჯერე, შენ რომ მითხარი, მაგრამ... ძნელ საქმედ მეჩვენა სიხარულს გამოხატვა იმდენ ხალხში... და ამიტომ ვარჩიე, არ დამეჯერებანა... ახლაც არ ვიცი, მერწმუნე, როგორ მოვიქცი!

უკანასკნელი სიტყვები ისეთი შინაგანი თრთოლვით აერიღებულს ხმით ნათქვამა გამოუვიდა, რომ იგი თვითონვე შეუფერებლად ეჩვენა. რათა დროზე მოყოლიდა გულიდან ყელს მობჯენილ ზღელვარებას, მკლავები ფართოდ გაშალა და მისი გვერდით მდგარ კირილემ გორაკოს შემოაქლო.

— მიხარია, რომ ასე გიყვარს ჩემი ჯოტო, მეგობარო!— უთხრა და გულზე მიიჭრა.



ჯოტოს შაშას საქციელმა კირილე გორაკოვს გული აუჩუყა. იგი მთის კაცზე უფრო მგრძობიარე აღმოჩნდა. თვალეზში ცრემლი აბრჭყვიალებოდა და ხმა გაეკმინდა, რომ არ ატირებულყო დაბნეულობით იღვა მთის კაცის მკლავებიდან განათვისუფლებული და წაშწამებს ბავშვივით აფახულბდა, გულის გადასაყოლებელ რასამე საჯანს ეძებდა თავის ვარშემო. ანაზღად თვალში ეცა ღარადის მოკლე თოფი, რომელიც პატრონს ხელში კონდახით ძირს დაშვებული ეჭირა.

— რა თოფია? — ჰკითხა მოულოდნელად და მაშინვე გამოართვა. დახედა. — შე კაი კაცი, ეს რა თოფი შეგირჩევია? რა ვაქციანს საკადრისია ძველი ბერდანის თოფის ტარება, როცა კარზე ზოგვდგობია თავით ფეხამდე ახალი ტექნიკით შეიარაღებული მტერი? — მოიქნია სამსონის დაწუნებული იარაღი და კუთხეში მიაგდო.

— რა გითხრა? — შიმართა მერე აწეული ხმით და ხეშეში წითური უღვაშები ააცმაცუნა. უცნაურად გაუღიშა: — სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის გმირის, სახელოვანი ჩვენი მეზობლის ჯოტო ჭარღუას სახელით გადმოგცემ ჩვენებურ, რუსულ შამხანას, რომელსაც თოფი არ სჯობია ბრძოლაში... არ შეარცხვინო კი, ეს იცოდე! — თუხრა თუ არა, კედელზე მიყუდებული ერთერთი თოფი ხელში აიღო და სამსონ ღარაძეს გაუწოდა. თან თავისი ქალაღ, წვრილი და მომწუსხველი თვალები შიშაკრო, რომლებშიც ახლა ცრემლის კვალის ოდნავი ნასახიც კი გამჭრალიყო.

— . —

## თავი ოცდამეხუთე

აქვეჯარის ფერმის გამგესთან შეშობხვევით, გულის გადასაყოლებლად დაწყებული საუბარი კირილე გორაკოვს თოფის ჩუქებით არ დაუმთავრე-

ბიო. მას საბაბი მიეცა საქმეზე და ცეცხლი დაეკრძა. მას საბაბი მიეცა საქმეზე და ცეცხლი დაეკრძა. მას საბაბი მიეცა საქმეზე და ცეცხლი დაეკრძა. მას საბაბი მიეცა საქმეზე და ცეცხლი დაეკრძა.

წამით შეწყვეტილი სიტყვა ახლა სხვა საქმიან კილოზე განაგრძო:

— კარგი თოფი დღეს მართლა გჭირია, აშხანაგო სამსონ. რა ლაპარაკი უნდა, მარტო შენ კი არა, ჩვენ ყველას, ვისაც მისი ხელში აღების ძალა შესწევს... ჯოგის საქმეზე დაგიბარეთ, ძვირფასო სამსონ. გეცოდინება. მაგრამ სხდომა არ შესდგა როგორც ხედავ: ამხანაგები სადარაჯოზე იმყოფებიან. არ სცალიათ. ხოლო ჯოგზე გამგეობაში უკვე ზოვილაპარაკეთ. გადაწყდა მისი გახიზვნა ფერმიდან... როგორც ჩანს, სანამ მტერი სანქაროს უღელტეხილს გადმოლახავს, მთავრობა ახალ ჯარს ვერ მოგვაშეუღებს... ამის მიზეზი, ალბათ, არსებობს მაგრამ ჩვენ არ ვიცით. ხოლო ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი კუთხე ასე იქნება დატოვებული... დღეს თუ არა, ხვალ აქ მდგომარეობა შეიცვლება! ამაში დარწმუნებული უნდა იყო. მტერს არაერთარ შემთხვევაში არ შერჩება უღელტეხალზე ასე იოლად გადმოსვლა. ჰოდა, მანამდე ჯოგის გახიზვნაა საქმე. აქაურობას უნდა გავარიდოთ. ამხანაგების აზრით და მესაქონლეობის საქმეში გამოცდილი ჩვენი მთის კაცის რჩევითაც, ჯოგას გაყვანა ფერმიდან ნაწილ-ნაწილად უნდა მოხდეს, წინასწარ ჩატარებული დიდი მომზადების შემდეგ... თვითეულ ნაწილს გამოცდილია, საიმედო მწყემსი ჩაუდგება სათავეში. ყველამ უნდა იცოდეს, ვის რამდენი თავი საქონელი ჩაბარდება, რამდენი დამხმარე ეყოლება, საითკენ გაემართება და სხვა. საქონელი ჯერ აქვეჯარიდან ზღვის პირის მამართულებით დაეშვება შერჩეული ზეგებით, ფერდებით... და სელას მტრის მოახლოვების კვლობაზე განაგრძობს იმავე მიმართულებით...



— აჩქარება მომაკედინებელა იქნება ჯოგისთვის, ძვირფასო სამსონ... დაბნეულობა, არევა დაუშვებელია ასეთ საქმეში... თუ არა, ეს ჩემზე უკეთ იცი...— შეეშველა კირილეს მთის კაცი, რომელსაც ჩრევისაგან თავა ვერ შეეკავენინა, რამდენადაც საკითხი ჯოგის გადარჩენას შეეხებოდა.

— ხვალ დილითვე, როცა ფერმაში დაბრუნდები, — განაგრძო ისევ გორაკოვმა, — ფერმის მოწინავე ამხანაგებს მოუყარე თავი. შეიმუშავებ ზუსტი გეგმა და საქმეს დაუყოვნებლივ შეუდექით... პასუხისმგებლობა შენ დაგეკისრება!

— მესმის, ამხანაგო თავმჯდომარე!

— და მანუჩას! — დასძინა კირილემ. — ხვალ გათენებამდე გზას გაუდექით!.. ამით გათადეს! — დაასრულა სიტყვა გორაკოვმა და უცებ მთელი ტახათ მთის კაცისკენ ზიტრიალდა. წამით თვალი თვალში გაუყარა და დაბალი ხმით უთხრა:

— ხვალ თუ ზეგ ჯოტოსადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართება სოფელში... დეე, გაიგოს ყველამ...

— ძვირფასო კირილე! — სიტყვა გააწყვეტინა გაკვირებულმა მთის კაცმა. — როგორ შეიძლება, რა დროსია?

— დამიჯერე... სხვა დროს სხვანაირ ზეიმს მოეწყობთ... გადმომეცი გაზეთები. შენ ორიც გეყოფა შინ. დანარჩენს ჩვენს შენობაზე გავაკრევიანებ... ზოგს ხელზე დაეაროებ... ხეებსაც აეყარავ ჩვენი შუკის გაყოლებას. მაშ, რა გგონია? ყველგან ჯოტოს სახელის დიდება და ზეიმი ეწყობა, ალბათ! რით უფრო ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ! — სთქვა და გაზეთების გადაწყობას შეუდგა.

— ჯოტოს მამავ, — ამოიღო ხმა მანუჩამაყ. — სოხულშიაც ემზადებიან საზეიმოდ...

— მტერა რომ ასე მოგვიახლოვდა, ამაზე გემართებს ფიქრი. ჩემი ვაჟის

პატივისცემა მერეც მოესწრება, ჩემო მანუჩა! — ამბობდა აღდგენილი მთის კაცი.

— განა არ იცი, მთის კაცო, რომ ჩვენმა ბელადმა საოქტომბრო აღლუმში და ზეიმი ერთი დღითაც კი არ გადასდო, თუმცა მტერი მოსკოვს გარს ერტყა! მანუჩას შენთვის განა თავის დროზე არ წაუკითხავს ეს ამბავი? — შეეკითხა კირილე.

— მის თავზე საპაერო ბრძოლა იყო გაჩაღებული, ჯოტოს მამავ, იგი კი წათელ მოედანზე იღვა და ჯარს გამამხნეველი სიტყვით მიმართავედა! ქვემეხების გრგვინვა ისმოდა ქალაქში, მაგრამ ის მაინც ამბობდა, ჩვენ გავინაჩრჯებთო... არა ერთხელ წამაკითხვინე ეს საოცარი ამბავი მაშინ! — შეეშველა მანუჩა გორაკოვს.

— რა გზირობაა! რა ვაქაცობაა! ა?.. ჩვენც უნდა მივბაძოთ ბელადს, მთის კაცო! — აღფრთოვანებით წარმოსთქვა სოუს რაზმის ფიცხმა ხელმძღვანელმა.

ჯერ კიდევ სიტყვა არ ჰქონდა კარილეს დამთავრებული, რომ ანაზღეულად სულ ახლოს ზედიზედ სამჯერ გავარდა თოფი. სროლის ხმა ოთახში ზუსტონით შემოიჭრა, კედლებს აქეთ იქით შეეხეთქა და იქ ღყოფთა თავზე დიამალა.

უეცარმა გაკვირებამ ყველას სახე მოუჭკია.

— დივერსანტს თუ გადაეყარნენ ბიჭები! — სთქვა გორაკოვმა და ხელი თოფისკენ წაიღო.

— ახლავე გავიგებ, რა მოხდა... თოფი ახლოს გავარდა! — გაეხმაურა მას მთის კაცი და თოფიანი კარისკენ დაიძრა.

— ჯოტოს მამავ, დაიცა! — მშვიდი ხმით შეაჩერა მთის კაცი კირილემ. — ამხანაგი სამსონი წაევა და გაიგებს... არაფერია საშიში.

— ახლავე! — სთქვა სამსონ ლარაძემ და კარისკენ ფიცხლად გაიჭრა. მაგრამ

ზალე შესდგა. თავზე ქუდი შეისწორა, თოფი კონდახით მხარზე მიიბჯინა და აქედანვე შემზადებული კარს მიეწვინა. მაგარამ რაზა ვერ მოახაზა. შეფერხდა. მანუჩა მიეშველა. კარი გაუღო.

— მეც შენთან მოედღივარ!—უთხრა და მიჰყვა.

არ გასულა ხანი, რომ ოთახში მაცი ზურუბაია შემოიჭრა. გამარჯვებულივით სახეგაბარწყინებული სამსონიც შემოჰყვა. მერე მანუჩაც დაბრუნდა.

— რა იყო, მაცი?—ჰკითხა კირილემ.

— დავერსანტი შევიბყარით, აზხანაგო კირილე. ცოტა წინააღმდეგობა გავიწვია ვითომ, დაჭრილია.

— სად იყო?

— ამ ჩვენი ხევის გაღმა მიმავალი დალანდეს ბიჭებმა... ეშმაკმა აცის, იქ საიდან გაჩნდა... მთის კაცის ჭიშკართან მიეუსწარით დროზე, თორემ, მგონია ეზოში შესვლა უნდოდა. ეზოდან ძაღლებმა შემოუტყეს. ჩვენ აქედან. არ დაგვენებდა მაინც.

— ბიჭოს! თამამი ვინმე ყოფილა! მძიმედ დაიჭრა?

— მგონია, არა. იარაღი მალე დაჰყარა... ფეხშია დაჭრილი!

გაოგნებულ მთის კაცს ერთ ხანს ხმა ვერ ამოეღო.

— ჩემს ჭიშკართან რა უნდოდა წყეულს?—ჩაილაპარაკა მერე თავისთვის.

— გასაგებია: სახლი დაინახა, თავს შევაფარებო, იფიქრა!—სთქვა კირილემ.

— ამაღამ გეცლება, თუ ხვალ ნახავ, ამხანაგო კირილე? — ჰკითხა კირილეს მაციმ.

თაემჯღომარე ასევე სამსონ ღარაძეს მიუბრუნდა.

— მიდი, ამხანაგო სამსონ, უთხარო ბიჭებს, სკოლის სარდაფში წაიყვანონ... მერე მოვალ!

— მეც რომ წავიდე, რა იქნება,— შეეკითხა მანუჩა გორაკოვს,—ჯერ არ მინახავს, დივერსანტი რანაირია!

გაუშვეს. ისიც სამსონს დაეჯეჯრა.

მაცი ზურუბაია ახლაც კარზე წყნლავით მიუახლოვდა მთის კაცს.

— ჯოტოს გაზეთი მათხოვე, მთის კაცი, მისი სურათის ნახვის მონატრული ვარ.

სანამ მთის კაცი გაზეთს ზიარდებდა, კირილემ ლამპასთან გადაუშალა ჰაცის თავისთვის დატოვებული ცალი.

— მოდი ნახე!—მიმართა მას და ჯოტოს სურათს თითი დაადო.

დახედა თუ არა სურათს, ზურუბაიამ ხმა მალა ამოიკითხა წარწერა.

— რა დიდებულთა „საბჭოთა კავშირის გმირი ჯოტო ბათუს ძე ქარლუა“—გაიმეორა უგაზეთოდ და მთის კაცს გადახედა.

— შენ ბრძანებულება წაიკითხე, ამხანაგო მაცი, კალინინის ხელმოწერილი... საქმე ისაა! მეც სიამოვნებით დავიგვლებ ყურს. ახლაც ფეხზე ვიდგები!—განაცხადა კირილემ და მოსასმენად მოეშადა.

მაციმ ახლა ბრძანებულებაც წაიკითხა.

— აჟი გეუბნებოდი, მთის კაცი: მამა ვარო, შენ გეტქმის მეთქი.—მიუბრუნდა მერე ჯოტოს მამას.—მომილოცავს... თუმცა ჯოტოს აბზავი მთელ ჩვენი ხალხის ბედნიერებადაც ჩაითვლება... და ყველა მოსალოცი ვართ!—მივალა გადახეცია.

— მამაკაცის დიდება და სამკაული ვაკაცობაა, მთის კაცი... მაგ დიდებით შენ იყავი მთაში შემკული... ამიერიდან ჯოტო შეგეცელის თავასი დიდი სახელით... ჩვენს მთაში კი არა მხოლოდ, — მთელ საბჭოთა კავშირში კიდით კიდემდე!

#### თავი ოცდამეექვსე

ოთახიდან გამოსულები ხევთან გაიყარნენ. კირალემ და მაციმ სკოლისკენ აუხვიეს. მთის კაცი თავის სახლისკენ გაემართა.



ეზოს უახლოედებოდა, რომ მანუჩა წამოეწია.

— ნახე?

— ნეტავი არ მენახა — გვერდში ამოუღდა ნათლიას მანუჩა.— ასე წახუნეილი კაცი არ მინახავს... ყველას თავს გვიკრავდა განუწყვეტლივ... მარჯვნივ, მარცხნივ... გვილიზოდა, გვიცინოდა ვითომ თავის ჭკუით... მაგრამ ვი მავისთანა დიმილს და სიცილს... პირტიტველაა, ქერა... მაღალი უნდა იყოს... უთუოდ გერმანელს ჰგავს. რუსულს კი ლაპარაკობს.

— რა უნდოდა ამ ჩვენს კარზე იმ წყეულს?

— ნადირს რომ უტყვენ, ჯოტოს მამე, არ იცის, სად შერგოს თავი!

ეზოში შევიდნენ. მითვალაიერ-მოათვალაიერეს იქაურობა ყოველ შემთხვევისათვის.

— სახლში რომ შევარდნილიყო, რა შიშა ვადაწყდებოდათ მაკინეს და რულდანს? ვაიმე!— სთქვა მანუჩამ.

— კი, მაგრამ აქ რომ არ არიან!

— როგორ თუ არ არიან?

— გუშინ გავხიზნე.

— სად? ეს რა გავიგე!

— მეზობლების დედაკაცებს გაჰყვირებ გუდაუთში... ხუტა მიჰყვება. გუდაუთიდან ლაკიდისკენ ნუ თუ გზას ვერ გაიკვლევენ... ძმასთან გავასტუმრე.

— საკვირველია! რა სწრაფად ხდება ყოველივე! გავგოცდები, მგონია!

— ჯონდოსას რას მეტყვი?

— ფერმაში დავტოვე... სამსონმა მითხრა საშიში იქნება სოლში ღისი გამოჩენაო...

— კარგად მოქცეულხარ. საიმედოდ თუ არის? ერთი უნდა ავიდე ფერმაში და ვნახო, დაზვერიდან რომ დავბრუნდები...

— ჯავრი ნუ გაქვს...

— სანჭაროს ბილაკით ვერ იელიდი, რასაკვირველია... ამ დილას შესწყდა

მხოლოდ აქ ჯარის დენამკრძნეწმად-  
მოდიან უღელტეხილზე. გიგლინიძე

— იცი, რამდენი რამ ვადაწყდა თავს?.. მაგრამ შევიდეთ, მერე ვიამბობ...

სახლის წანა აივანს გვერდი აუქცია მთის კაცმა. სამზადისკენ გაემართა.

შევიდნენ.

მთის კაცმა ჭრაჭი აანთო.

— შოდი, ცეცხლი გააღვივე, ჩემო მანუჩა... საქმელს მე გამოვიტან.

— მაგასაც მე ვიზამ, ჯოტოს მამე. შენ დაჯექი.

მთის კაცმა ტაბაკი ჩამოიღო კედელზე, შუაეცეცხლის პირად დადგა. ზედ ლომი, ყველი, ხორცი დაალაგა.

— გააფიცხე, თუ გიყვარდე... მომშივდა.

დასხდნენ. საქმელს შეექცნენ.

— დიდი საქმე დაგეკისრა, ჩემო მანუჩა: ჯოგის გახიზნა. ფრთხილად უნდა იყო. ჯონდო თან იყოლიე. დახმარებას ვაგიწვეს... შენი ნაწილი ისე ატარე, რომ უწყლო ადგილზე გაჩერება არ მოგიხდეს. ხომ იცი, უწყლობა ჯოგისთვის რას ნიშნავს? არაფრის შეგეშინდეს. არაფერმა არ აგაჩქაროს... ეს მთავარია... ჩვენ, ალბათ, ბზიფზე დახვევა მოგვიხდება... ასე ჩანს... მაშინ მოგნახავ. მოგეშველები...— არიგებდა თავის გაზრდილს მთის კაცი. მერე ჰკითხა:

— აბა, ახლა მიამბე თავს რა ვადაწყდა და რა გზით იარე უკან სოხუზიდან?

მანუჩამ შორიდან დაიწყო. დაწვრილებით უამბო ნათლიას, თუ როგორ შეხვდა ლია, როგორ შეიტყო ჯოტოს ამბავი და ვერ იცნო მისი სურათი გაზეთში. ისიც უთხრა, რომ იტირა და ცრემლი ვერ შეიკავა სიზარულისაგან, იულონთან გასაუბრება სიტყვისიტყვით გადმოსცა და თითების ერთ მეორეზე მიწყობის ისტორიაც არ გამოჩენია.

მერე ჯარის კაცებთან შეხვედრის ამბავზე გადავიდა.

მთის კაცმა ჰამაც კი მიატოვა, ისე გაიტაცა მანუჩას სურათივით დახატულმა სიტყვამ.

საკოდავი ვანიას სიკვდილმა კი შეტად ააღლევა.

— ვაიმე, ბედშავო ბიჭო,—თავში იცა ხელი. მერე დაფიქრდა. გულჩათხრობილი შეიქნა.

— მეც მაჩვენე მერე ის საფლავი... მშობლებს უნდა შეეუნახოთ... ჰეე... ომი, ჰაგრამ ამისთანა სად გავგონილა!.. ნუ თუ განათლებულ კაცობრიობას იღის ძალა არ შესწევს, მანუჩა, რომ ომი არ იქნეს?..

კიდევ გააუშვა. ამოიოხრა მძიმედ.

— ვის სად ეთხრება სამარე... ვინ სულაც კი ჰქრება უსაძაროდ... თათქოს აღამიანები არ იყვნენ... ჰეე, ვინ იცის... ჰო, ის საფლავი უთუოდ მაჩვენე, მანუჩა.

უცებ შესწყვიტა სიტყვა. ხელი ჩოხის უბისკენ გააქანა. გაზეთება ამოილო.

— მე ჯოტოს წერილიც ჩამოგიტანე, ჯოტოს მამავ! უშენოდ არც ის წაშვიკითხავს.—სთქვა მანუჩამ და გულის ჯიბიდან ლიას მიერ გამოტანებული წერილი ამოიღო.

— მომეცი აჲ, შე კაცო!—მოუთმენლობისაგან აკანკალებული ხელით გამოართვა მთის კაცმა. გახსნა. დახედა.—ჯოტოს ნაწერი ნამდვილად.—მერე ისევ მანუჩას გაუწოდა.—ნახე როდის დაუწერია?

— მანამდეაო დაწერილი, ვინმე დააჯილდოებდნენ... ასე სთქვა ლიამ... წაეკითხოთ.

— ჰო...

— „ჩემო ძვირფასო მამა“...—დაიწყო გრძლად მანუჩამ. მაგრამ მთის კაცმა უმალვე შეაჩერა.

— დაიცა!—უთხრა ძლივს გასაგონად და წერილს აკანკალებული ხელის გული დაადო.—სუ... — ისე სთქვა,

გულიდან დაძრული უხერხულეზობა თითქოს თავის თავს გამტყურობდა. ღროზე შეეჩერებინა მერე წამოდგა. გაიარ-გამოიარა ცეცხლის წინ. ვითომ დაწუნარდა.

— განაგრძე, მანუჩა... — მიმართა ერთი ხნის შემდეგ მანუჩას და თავს წამოდგა.

— „ჩემო...“—დაიწყო ასევე მანუჩამ...

— არა, ეს არა!.. არ შემძლია, ბიჭო!.. მიჰყევი იმის მერე...

მანუჩამ წერილი წაიკითხა. ბოლომდის.

— მართალია, მანამდე დაუწერია.—სთქვა მთის კაცმა და ახლა უბიდან ამოღებული გაზეთები გადასცა მანუჩას.—ნუ თუ ის ამბავი არსად სწერია გაზეთში, რისთვის დაუჯილდოებია მთავრობას ჯოტო... ნახე ერთი.

— იცი, ჯოტოს მამავ, ლიას ძალიან უნდოდა წამეკითხა ის ადგილი, მაგრამ უშენოდ არ წაეკითხე.

ისევ გვერდით მოუჯდა მთის კაცი.

— ჩემო ბიჭუნო!—უთხრა აღერსით. ხელზე ხელი შემოაჭდა და მერე მაგრად ჩაბლუჯა.—ჯოტო შენა გაზრდილიცაა... რატომ არ წაიკითხე?

ქრაქი ახლოს დაუდგა ტაბაკზე მანუჩას. იმანაც გაზეთი გაშალა და კითხვას შეუდგა.

ცნობა გადმოსცემდა გერმანელ ავიაგამანადგურებლებთან ჯოტოს საფიქრველ ბრძოლას.

„... შტრის გამანადგურებლებმა კვლავ მოიტანეს იერიში ჩვენს თვითმფრინავებზე, რომლებმაც ამჯერადაც ორგანიზებული ცეცხლით უპასუხეს თავდამსხმელებს, კითხულობდა მანუჩა. — მაგრამ ეს იყო მხოლოდ თავდაცვა. თავდაცვა კი მიზანშეწონილი არ აღმოჩნდა. დავალების შესრულება სწრაფსა და მედგარ პარიჭით შეტევას ნოითხოვდა. მაშინ ლეიტენანტმა ჯოტო ქარლუამ მიიღო გაბედული გადაწყვეტილება. მან პირველმა მიიტანა

იერში ავიგამანადგურებელზე. ისარი-  
რით ჰაერში შესტყორცნა თავისი  
მანქანა, მოწინააღმდეგეს ზურგიდან  
შემოუარა და სასტიკი ცეცხლი თავს  
დააფრქვეა. იფეთქა ალმა. აიბურთა  
ბოლი და, სასიკვდილოდ დაჭრილი წე-  
როსაგით, თვალშუქსწრებელი სისწრა-  
ფით ძირს დაქანდა გამანადგურებე-  
ლი. ჯოტო ქარღვა ამას არ დაჯერდა.  
ახლა მეორეს მიენთო. ისიც წყობადან  
გამოიყვანა...“

— დაიცა, მანუჩა... სული მომათქ-  
ვევინე... მაღლა ჰაერში ხდებოდა ეს  
ყოველივე, თუ...

— ჰო, ჰაერში, ჯოტოს მამე... აბა  
სად უნდა ყოფილიყო?..

— ვაჟაკი ყოფილა ჯოტო ნამდვი-  
ლად!—ხმამალა წამოიძახა მთის კაც-  
მა. — ნამდვილი ვაჟაკი!

— მოისმინე ამბავი ჯერ არ გათავე-  
ბულა. — და მანუჩამ კითხვა განაგრ-  
ძო. — „გვერდში ამოუდგნენ გმირ ლეი-  
ტენანტს ამხანაგება“... ესე იგი ჯო-  
ტოს... „ახლა ერთად შეუტიეს. აირივ-  
ნენ მტრის მანქანები. მოკურცხლეს  
უგზოუკვლოდ. დაედევნენ ჩვენები...  
მიცემული ამოცანა ბრწყინვალედ იქნა  
შესრულებული“.

შესწყდა კითხვა.

— მერე?

— მერე ის, რომ ჯოტოს გაუმარჯე-  
ნია, ჯოტოს მამე... აქ თავდება ამბავი.  
მანუჩა გაზეთის დაკეცვას შეუდგა.

— დაიცა!—უთხრა მთის კაცმა.—  
უნდა ისიც წამიკითხო... ჰმ... იცი რა?  
ვაჟაკური სიკვდილა და მისგან დარ-

ჩენილი სახელი განა არ სჯერებდნენ-  
ჩინარს ხანგრძლივ სტყუარს სტყუარს  
სთქვა და დაბალი ხმით, თითქმის ჩურ-  
ჩულით განაგრძო:—ცოცხალი გადარჩა  
თუ არა ჯოტო? ესეც წამიკითხე, ჩე-  
მო მანუჩა.

— როგორ თუ ცოცხალი?

მთის კაცმა ორივე ხელის საჩვენებე-  
ლი თითები ერთმანეთს მიაღო. მანუჩას  
გაუშვირა.

— იულონმა რომ ვითხრა: გამარ-  
ჯეება და დაღუპვა ასე არიანო ომში,  
ხომ იცი, რომ ეს მართალია...

— ჰოო, მაგრამ, ჯოტოს მამე, ჯო-  
ტო რომ დაღუპულაყო. ეს ბრძანებუ-  
ლებაში აღინიშნებოდა... გმირულად  
დაიღუპაო, როგორც წესია...

თვალეები ოდნავ მოკუტა მთის კაც-  
მა და ცდით შეხედა მანუჩას. მერე  
უცებ წამოიძახა:

— მართალია! ასე დასწერდნენ!

— უეჭველია, ჯოტოს მამე...

— აბა, ერთი მოვიგონო ბრძანებუ-  
ლება... „გერმანელ დამპყრობთა წი-  
ნააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე“...

დაიწყო მთის კაცმა ზეპირად ბრძა-  
ნებულების კითხვა სიტყვასიტყვით და  
ისე დაასრულა ბოლომდის, რომ ერთ-  
ხელაც ენა არ წამოიძვირებია, არც  
ერთი სიტყვა არ გამოჩინია.

— დედაია, ამას როგორ წარმოვიდ-  
გენდი?—გაოცდა მანუჩა.—ეს რა მეხ-  
სიერება გქონია, ჯოტოს მამე?

— გააჩნია, რას იმახსოვრებ? ჩემო  
მანუჩა!

კალა ბოგოზიძე

## შრომის გმირებს



კახათის ცა — ვარსკვლავებით მოკამკამე  
და სოფელი, ელნათურით შუქმფინარი,  
ტაროს რჩევა, შეზოდგომის თეთრი ღამე,  
შავი ზღვიდან მონაბერი სიო წყნარი.  
მახსოვს, ბალში ნარინჯების შარიშური  
სურნელეებას, რომ აფრქვევდა ჩაის ვარდი;  
მახსოვს, თქვენი სიმღერები, შრომა ძმური,  
შრომა ვიყუართ, მეც იმიტომ შემოიყუარდით!  
ზაგონდება ის მიდამო და სოფელი  
ხალხი გმერი და პურადი მარად გამრჯე.  
გაიმარჯვეთ, სალამს გითვლით კმაყოფილი,  
შეც-მგოსანმა თქვენთან ერთად გავიმარჯვე!  
ახლა, კახათს ზეიმი აქვს სანეტარო  
დღეს გმირების დღეობაა, დღეა შშვიდი,  
ზეიმს იხდის უხვ მოსაელის ოქროს ტაროც,  
თავს გეფრქვევით შუქი სავსე სასიმიანდის!  
ხარობს მზიურ სოფლის გმირი მეთაური,  
გულს უხარებს სასახლო გმირთა წყება,  
ყალყზე დგება საჯირითოდ ბედაური, —  
თითქოს მალე, აქ მარულაც დაიწყება!  
ახლა, გალხენთ სავსე სუფრა, სხივმფინარი,  
ზეიმს იხდის მთელი სოფლის გმირთა დასი,  
სიტყვას ამბობს თვით თამადა მომლიმარი,  
ხელთ უპყრია მოკამკამე ღვინის თასი:  
— მომავალშიც, სოფლად წინსვლა არ გვეძნელოს,  
შოვსწრებოდეთ შრომის გმირი ვიყოთ ყველა,  
მაშ. პირველად ჩვენ ბელადი ვადღეგრძელოთ,  
და ისინიც, — ვინც შრომაში გვასახელა!



საზღვრო განმეორებითი

## ურჩი მულგობელი

იმერეთის ღამეები

★

ღრამატიული კოშკი 4 მოქმედებად და 9 სურათად

მოქმედანი პირანი:

სოლომონ პირველი — შეფე იმერეთისა.

დედოფალი.

პარანე.

როსტომ — რაქის ერისთავი.

სალომე.

გიორგი

შეთოდე } როსტომის შვილები.

გივი

პაპუნა წერეთელი.

ბერი ლორთქიფანიძე.

პარშენ შოთრავეი.

ინდრია ლოლობერიძე

ოტია ავალიანი

თანდარუხ იოსელიანი

იაშვილი.

პაპუნა აბულაძე.

იოსებ კათალიკოსი.

გეგელა თევდორაძე.

სამანალი — ელი.

შანტრი და მხლებელი.

} ფიცსკაეები.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

ბარაკონის ციხე-დარბაზში

როსტომის ცოლი, სალომე, შინაშახტრ ქალიშვილებს ზელსაქმეს ასწავლის

სალომე — აი, ხომ ჰხედავ, ზოლი აყლია!

არ ვარგა, შვილო!

შენ, შაია, კუდრაქა ქალი!

ასწავლე დობილს!

მთახლე—ქალბატონო!

ამას ჩვენ გუშინ მოვრჩებოდით, მაგრამ დობილი ავად გავყავით.

სსლომე—ავად? რომელი?

მთახლე—ევდოსია!

სალომე—ევდოსია?

რატომ აქამდე არ მითხარით?

კარაბადინში რამე წამალს მოვეძებნიდი!

ახლა რას შევბა?

მთახლე—ღეთის მაღლით, კარგად.

ხეაღე, მგონია, ფეხზედაც აღგეს!

სალომე—(სხვა ნაქსოვს აცქერდება) უი, ჩემს თვალებს..

ეს რა გიქნია, შე კუდიანო?

შენ კი მომიკვდი!

თვალი უკულმა ამოვიღა...

აბა, უცქირე ამ შენს დობილს... მომწონს, მათიყო.

შშვენიერია! შშვენიერია!

ისეთ ვაეკაცზე გავათხოვებ, თვალი რჩებოდეთ...

(თავისთვის)

ო, ამ ნაქსოვმა გამახსენა ჩემი წარსული...

ჩემს ქალობაში დედაჩემი მიქსოვდა ასეთს...

იგი ქსოვილი, სამკაული ოქრო-ნაქარგი,

იყო დედოფლის შესაფერი—ასე ვფიქრობდი...

და იმ სამკაულს საუცხოვოს მე მიმზადებდნენ...

როგორსაც ერთ დროს ატარებდა მნათი-მნათობი,

და დედოფალთა დედოფალი, მარად ნეტარი.

მას, მამობილმა კახაბერმა, ტახტზე ასვლასას

შშვენიერს წელზე შემოარტყა ნაკურთხი ხმალი.

მსახური—მეც გამიგია, ქალბატონო! სოლომონ მეფეს

მეუღლე თურმე ლამაზია, ისე ლამაზი,

რომ იმისთანა დედოფალი არსად ნახულა.

სალომე—საძაგელო! ნეტა, რას რომავ?

მე შეენატროდი თამარ მეფეს, ვის მამობილად

კახაბერ ჰყავდა, წინაპარი ჩემი მეუღლის,

შენ კი... უზრდელო, გამახსენე ვიღაც გლახაკის

და ქაჯაიას ნაცოლარია...

მსახური—მაბატიე!

როგორ შევსწვდები თქვენს მაღალ აზრს...

სალომე—დაფიქრდი ხოლმე, ვიდრე ენას აამეტყველებ!

(შემოდის მოურავი)

მოურავი—ქალბატონო!..

სალომე—რა გინდა, პარმენ?

მოურავი—ვიღაც უცხონი, გადაცმულნი, კარზე გეაბლნენ.

ნებას ათხოვენ ქალბატონო!

სალომე—გადაცმულნი? ეგ რა ახალი ამბავია?

მოურავი—ღიბა, ქართველებს არა ჰგევანან...

ს ა ლ ო მ ე—ქალიშვილებო! მორჩით თქვენ საქმეს  
 (შინამოსამსახურენი ზელსაქვეებით გაიკრადებთან)

პარმენი

როგორ გგონია, ვინ იქნებთან?

მ ო უ რ ა ე ი—რა მოგახსენო...

ეტყობათ, რაღაც საჩუქრებიც მოუტანიათ...

ს ა ლ ო მ ე—აა! მიხედრილი ვარ! სთხოვე!

როსტომიც ახლავე შოვა!..

მ ო უ რ ა ე ი—აგერ, ბატონიც!

(შეშლის რ ო ს ტ ო მ ი)

რ ო ს ტ ო მ —რა ამბავია? ეზოში ხალხი...

ს ა ლ ო მ ე—(მოურავს) შენ წადი, სთხოვე...

(მ ო უ რ ა ე ი ვადის)

როსტომ! ვიცის მიხედრალი ვარ...

უთუოდ ფაშა, ან ხოთქარი კაცებს გიგზავნის...

რ ო ს ტ ო მ — მერე? ადამიანო!

ეს რომ გაიგოს სოლომონ მეფემ?..

ს ა ლ ო მ ე—გადაცმულნიც მიტომ არიან...

რ ო ს ტ ო მ —როგორ თუ გადაცმულნი?

ს ა ლ ო მ ე—ფრთხილა ფაშა ახალციხისა...

წინდახელული!

სჭირდება შენი ერთგულება, მხარის დაქერა!

როგორც ეტყობა, არ ენდობა სოლომონ მეფეს...

იცის, რუსეთთან გაბმული აქვს ფარული ქსელი...

განსაკუთრებით ახლა, როცა რუსთა ზელმწიფემ

ოსმალეთს დაეა აუტეხა და ომს მოელის...

როცა ერეკლე მეფის კაცი

დაძვრება იმერტ მეფის კარზე, დიდებულებში

და ჩხიბავს საქმეს, თურქებისთვის ფრიალ საეჭვოს...

(შეშლიან თურქი ვლჩები)

აა! მოხარული ვარ, ოსმან ალი, ეს თქვენ ბრძანდებით?

რ ო ს ტ ო მ —კეთილა იყოს, ბატონებო, თქვენი სტუმრობა!

გულმზიარული მოგესალმებით!

ო ს მ ა ნ —სალამი ქალბატონს! სალამი დიდ ბატონს...

ს ა ლ ო მ ე—დიდად, დიდად გვასიამოვნებთ...

ო ს მ ა ნ —დიდი მოკითხვა ჩემი დიდი მბრძანებლისაგან!

იგი სულთანის დაველებით მდაბლად თავს გიხრით:

თქვენ, ქალბატონო, ჩვენო ბრძენო მანდილოსანო,

და თქვენს შეუღლეს, სახელგანთქმულს, დიდ როსტომ ბატონს.

რ ო ს ტ ო მ —მოხარული ვარ და ბედნიერა.

მოკითხვისათვის თქვენს ბრძანებელს მადლობას ვუხდის.

ო ს მ ა ნ —ნება მიბოძეთ...

ს ა ლ ო მ ე—ინებეთ... ინებეთ, ალი ოსმან!

(ნაბღებს და ჩაბაღებებს იხსნიან)

ო ს მ ა ნ — ეს ისე! მხოლოდ სიფრთხილისთვის, ჩემო ბატონო...  
 მრავალი არის ჩვენი მტერი და თქვენი მტერიც... გინჯლინოთქვა

ს ა ლ ო მ ე — მართალსა ბრძანებთ...

ო ს მ ა ნ — კეთილ მოყვრობას არ უჯერიან...

ათასნაირი დასკვნა გამოჰყავთ... ათასნაირი.

დიდი სულთანს დაველებით ფაშამ მოგიძღვნათ...

აი, ეს მცირე აზნათი... მოსაკითხავი...

აი, ეს ხმალი... თქვენს პირმოშვილს, გიორგი ბატონს!

თქვენი გიორგი! თქვენი გიორგი!

ფაშას ძალიან უყვარს გიორგი...

უყვარს და მისმა ქალიშვილმა — ტურფა ლეილამ —

— მოგეხსენებათ ოგი რაჩივ ნებაერი,

მასთან თამაშიც!

თავისი მამა აიძულა — ეს ხმალი მხოლოდ

გიორგი ბატონს აშვენივდესო!

ხოლო ხალათი, ოქრომკედლი ნაკერი სტამბულს,

დიდს ბატონს როსტომს... მაგრამ ეს რაა

იმ საჩუქრებთან შედარებით, თქვენ რომ უძღვენით:

ათი მხევალი,

რომლებიც, თურმე, ცით მოწყვეტილს ეარსკვლავებს გავდნენ!

დიდი სულთანი ბოდიშსაც იხდის...

განზრახული აქვს მას მომავალში უფრო მეტი...

ხოლო ეს ჯილა...

რ ო ს ტ ო მ — ოჰო, ეს ჯილა...

ეს ხომ დედოფლის სამკაულია...

ო ს მ ა ნ — რომ ესთქვით, უფრო კი გვირგვინი გახლავს...

რ ო ს ტ ო მ — უძვირფასესად მოქედილი თვალმარგალიტით.

ო ს მ ა ნ — დიახ, დიახ!

თქვენ, ქალბატონო!

ს ა ლ ო მ ე — არა! ეგ როგორ? ოსმან ალი! ეგ ხომ... ეგ ხომ...

ეს გვირგვინია და შეპფერის მხოლოდ დედოფალს...

ო ს მ ა ნ — ეინ იცის, ბედი რას არ მოგვიტანს!

დიდად გაფასებთ ჩემი სულთანი და უთქვამს კიდევ,

რომ თქვენ დედოფალს აღემატებით.

თქვენ თვითონ არ გასურთ, თორემ ასეთს მოიპოვებდით,

ამიტომ გიძღვნით...

ს ა ლ ო მ ე — დიდი მადლობა, ოსმან ალი-ბეი!

აღელვებული ჩემი გული ვეღარ ახერხებს...

ვერც სიტყვებს ჰპოვებს, რომ მადლობა გადავუხადო,

მწყალობელს სულთანს და ძვირფას ფაშას.

(შემოდის მ ო უ რ ა ვ ი)

მ ო უ რ ა ვ ი — როსტომ ბატონო, თუ შეიძლება...

რ ო ს ტ ო მ — რაო, პარკენ?

მ ო უ რ ა ვ ი — ასე მობრძანდით... საიდუმლოა.

(წინ წამოაყენებს, საიდუმლოდ)

სოლომონ მეფის კაცი გეახლათ, ლორთქიფანიძე.  
**როსტომ**—მა? რაო? რაო? რა ეშმაკად?... მოაცდევინე...  
 (მოურავი გადის, როსტომი დაბნეულია)

ჰო, ბატონებო... სალომე ჩემო... ახლა ჩემს სტუმრებს:  
 დიდად, დიდად მასიამოვნეთ... მადლობას გიძღვნით.  
 ალბათ ნამგზავრი დაიღლებოდით...  
**ელჩი**—დავალებული ბევრი რამ მაქვს და მოგახსენებ...  
**როსტომ**—დიახ, ჩვენ მაგას მოვესწრებით... დიახ... აქ არა...  
 იქ, ჩემს მოურავს... უკვე სუფრა... პატივსაცემად...  
 შესანიშნავი და მცვრიანი შევლის მწვადები...  
 იქ შეიძლება საუბარიც... მობრძანდით ჩემთან...  
 მობრძანდით ჩემთან... გთხოვთ, ბატონებო...  
 (როსტომი აცილებს სტუმრებს)

**სალომე**—ჩემს შეილს, ეს ხმალი... ლეილასაგან?...  
 ამაზედ დიდი ბედნიერება... ჩემი შეილსთვის?  
 მაგრამ ეს ძღვენი? სადედოფლო გვიარგვინი ჩემთვის?...  
 რაოდენ ტკივილს აღმიძრავს გულში.  
 დიახ, სულთან ანე შეფასებს,  
 როცა მე ამას მოკლებული ვარ...  
 როცა მე უნდა ეს მქონოდა, მაგრამ როსტომი...  
 (შემოდის როსტომი)

**როსტომ**—სალომე, გაიგე?  
 სოლომონის, კაცი მოსულა... ლორთქიფანიძე!  
**სალომე**—მეფის ფინია! ფეხიშე მოსტეხია!  
**როსტომ**—ადამიანო! ამით რომ შეხედეს, არ იქნება...  
 არც უნდა შეხედეს!  
 მოაფარე ეს საჩუქრები...  
 მე იქ მივხედავ! აბა, აქ კი... აქ შენ იცოდდი!  
 ნუ გამომაჩენ...მე აქ არა ვარ.  
 (გადის)

**სალომე**—მაია, მათიკო!  
 (შემოდის მაია და მათიკო)  
 მიალაგ-მოლაგეთ, გაიტათ ნაბდები!  
 ეს საჩუქრებიც... იქ... ჩემს ოთახში.  
 ჩქარა... ჩქარა...  
 (მიალაგ-მოლაგებენ. საჩუქრები გააქვთ)

რომელმა ქაჯმა მოათრია ასე უდროოდ?  
**მოურავი**—მობრძანდით, ბატონო...  
 მობრძანდით, თავს შემოგველე...  
 (შემოდის ბერი ლორთქიფანიძე)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ს ა ლ ო მ ე—ბერი ბატონო!..

რომ გვახსენდით, დიდად შახარებთ...  
სასიამოვნო სტუმარი ხართ, თქვენს მზესა ვფიცავ...

ბ ე რ ი—დიდი როსტომის ბრწყინვალე მეუღლეს  
და აბაშიძის განთქმულ სალომეს, მეფის მოკითხვა,  
და აგრეთვე უმდაბლესი ჩემი სალამი...

ს ა ლ ო მ ე—მოხარული ვარ, მოხარული, ბერი ბატონო!  
დაბრძანდით, ბატონო... თავს შემოგვევლეთ...  
დაილღებოდით... ცხენით მგზავრობა...

ბ ე რ ი—დიახ, პირდაპირ ქუთაისიდან!  
თქვენი მეუღლე, როსტომ ბატონი,  
როგორ ვიკითხო, როგორ ბრძანდება?

ს ა ლ ო მ ე—თქვენ კარგად მყავდეთ...  
როსტომ ბატონი სამოურავოს მიბრძანდა გუშინ...

ბ ე რ ი—აქ არ ბრძანდება?..

ს ა ლ ო მ ე—სამწუხაროდ... დიდ ბოდიშს ვიხდი...  
დღეისწორამდე ვერც დაბრუნდება...

ბ ე რ ი—ვერც დაბრუნდება?

ს ა ლ ო მ ე—ატომ შესწუხდით? მეც შევიძლებ პატივისცემას,  
ჩვენმა ძვირფასმა, საყვარელმა სოლომონ მეფემ  
თუ მოვცათ რაზე დავალება—გვონებ მეც შევძლო...

ბ ე რ ი—დიახ, დავალება...

ს ა ლ ო მ ე—ჩვენ მუდამ მეფე სოლომონის ერთგულები ვართ...  
და ეს ზოგიერთს იქნებ გულში ლახერადაც ხვდება...  
გვიბრძანე, ბერი!

იქნებ გსურთ ახლა მოსვენოთ...

და შემდეგ ბრძანოთ?

ან იქნებ იყოს საიდუმლო, და არ მენდობით მე, მანდილოსანს?.

ბ ე რ ი—არა, ბატონო, შავას რად ბრძანებთ?

თქვენ თავსა ვფიცავ...

არავითარი საიდუმლო!.. მეფემ ინება...

მოგეხსენებათ, ჩვენი მეფე როსტომს აფასებს,

დიდი აქვს მისი პატივისცემაც,

ეს ყველამ იცის...

ს ა ლ ო მ ე—დიახ! დიახ! მცირე ექვიც ზედმეტი არის...  
ვიცი, ვიცი, ბატონო ბერი!

(გაზარებული შემოდის გიორგი)

გ ი ო რ გ ი—პარმენმა მითხრა...

ბატონი ბერი მობრძანებულა...

ბიძია ბერი! დედაჩემო, ბიძია ბერი!..

ბ ე რ ი—გამარჯობა, ჩემო გიორგი...

გ ი ო რ გ ი—ბიძია ბერი, როგორ მახარებ, რომ ჩვენთან გხედავ!

ს ა ლ ო მ ე—გვაცალე, შეილო!

თქვენ ბრძანეთ, ბერი, მეფემ ინება

და რა ინება?

- ბ ე რ ი—მეფემ ინება... თან წერალიც გამოჰატანა!  
 აი, ინებე... მეფე იწვევს მას სანადიროდ...  
 ს ა ლ ო მ ე—სანადიროდ?  
 ბ ე რ ი—ლეკერწას ტყეში, მუხნარიანში...  
 გ ი ო რ გ ი—ო, რა კარგია!  
 ბ ე რ ი—თქვენც, გიორგი, მიწვეული ხართ...  
 გ ი ო რ გ ი—მეფე მეც მიწვევს?  
 ს ა ლ ო მ ე—შვილო გიორგი! ჩვენ გვაცალე... შენ რომ წახვიდე  
 და გააფრთხილო მზარეული და მოურავიც...  
 ბიძია ბერი  
 ნამგზავრი გახლავს, იმ შემს ოთახში  
 განუშადონ კეთილი სუფრა...  
 გ ი ო რ გ ი—მართალი არის... ახლავ... ახლავ...  
 კეთილი სუფრა... საამური, კეთილი სუფრა!

(გაღის)

- ს ა ლ ო მ ე—ბატონო ბერი! თქვენთან ბოდიში,  
 მაგრამ რალაცას მატყუებთ, მგონი...  
 ბ ე რ ი—არა, ბატონო! მაგას რად ბრძანებთ?  
 ს ა ლ ო მ ე—თქვენ ასე ბრძანებთ, სანადიროდ მეფე იწვევსო?  
 ბ ე რ ი—დიახ, ბატონო!  
 ს ა ლ ო მ ე—სანადიროდ?  
 ბ ე რ ი—დასტურ, ბატონო!  
 ს ა ლ ო მ ე—მაისის თვეში, ლეკერწაში და სანადიროდ?  
 ვის გაუგია ნადირობა მაისის თვეში?

(იციინის)

- აღბათ გკრიტებზე, ან ჩიტებზე თუ ინადირობთ!..  
 ბ ე რ ი—(უხერხულობა იგრძნო) არა, ბატონო ვგონებ მე ასე მოგახსენებ:  
 სა-ნა-დი-როდ.  
 ს ა ლ ო მ ე—რალაცას ჰმალავს ლორთქიფანიძე!..  
 თქვენ ორჯერ ბრძანებთ: „სანადიროდ“.  
 დე, ასე იყოს: სანადიმოდ...  
 სწორე მითხარით: თქვენ იმ ნადიმზე  
 რა ნადირობა განგიზრახავთ? იქნებ გამანდოთ?  
 და თუ არა გსურთ, თქვენი ნებაა...  
 მხოლოდ მიბრძანებთ:  
 როსტომის გარდა კიდევ ვის იწვევს?  
 ბ ე რ ი—მხოლოდ, ერთგულებს...  
 როგორიც არის როსტომ ბატონი!  
 ს ა ლ ო მ ე—გასაგებია! ფრიად მახარებთ!..  
 აღბათ ახლახან რომ შეირიგა  
 დადიანი და გურიელი—იქ იქნებიან...  
 ბ ე რ ი—არ დაგიმალავთ, იქ იქნებიან.  
 ს ა ლ ო მ ე—მაშ ქართლიდანაც აღბათ ესწრებშ  
 მეფე ერეკლეს ვინმე ერთგული!  
 ბ ე რ ი—შესაძლო არის...



ს ა ლ ო მ ე—დიდად ზახარებთ...

რომ მეფემ თავი შეიწუხა ნადირობისთვის...

ბ ე რ ი—არა, ბატონო, ნადირობა ალბათ წამომცდა...

ფიცისკაცების დღეობა გახლავს...

ს ა ლ ო მ ე—პო, ეგრე გეტყვა... მესმის ბატონო...

შესაძლო არის, ანადირონ თქვენს დღეობაში..

ფიცისკაცების მეთაური ხომ თქვენ ბრძანდებით!

მამ მასპინძელი თქვენვე იქნებით...

მანამდე კიდევ დიდი დრო არის...

დიახ, როსტომიც დაბრუნდება ამ ერთ კვირაში

და იგი მეფეს ეახლება აუცილებლად.

ბ ე რ ი—მამ, ძლიერ კარგი!

მოვახსენებ მეფე სოლომონს...

და იმედი მაქვს...

ს ა ლ ო მ ე—სრული იმედი, ჩემო ბატონო...

მას მეფე იწვევს... მეფე სოლომონ!

და ეს ხომ მისთვის არის დიდი ბედნიერება!

(შემობრბს გიორგი)

გ ი ო რ გ ი—ენახე და ვუთხარ...

თითქმის შუად არის...

შზარეულს უკვე თადარიგი დაუქერია...

ს ა ლ ო მ ე—შვილო გიორგი..

აბა შენ იცი, ბიძიას როგორც ასიაშოვნებ!

ცხენით ნამგზავრი დაიღლებოდა...

მიიპატიე იქ, შენს ოთახში...

ცოტა საქმე მაქვს, მეც მალე ზოვალ...

მიბრძანდით, ბერი, დაისვენეთ, ისიაშოვნეთ...

ბ ე რ ი—დიახ, მცირე ხანს...

და შემდეგ ისევ უნდა ვისწრაფო...

ს ა ლ ო მ ე—ბატონო ბერი..

ცხენს მაინც უნდა დასვენება...

ბ ე რ ი—გზადლობთ, ბატონო!

გ ი ო რ გ ი—მობრძანდი, ბერი, ბიძია ბერი!

გიაშო, ჩემი არაბულა როგორ გაიწერთა.

ან ის ირმები, შენ რომ მოგწონდა,

მოშინაურდნენ, მერე როგორ მოშინაურდნენ...

(ვადიან)

ს ა ლ ო მ ე—რა ქსელებს აბაშს ცბიერი მეფე?..

იქნებ ჰგონია, ვერ მიეუხედე, რაც მას სწადიან?

პარმენი არ გესმის?

(შემოდის შოურავე)

შ ო უ რ ა ვ ე—მიბრძანე, ქალბატონო!

ს ა ლ ო მ ე—ჩქ სტუმრები როგორ არიან?

შ ო უ რ ა ვ ე—მშვიდად და წყნარად შეეცქევიან...

ს ა ლ ო მ ე — აბა, ეცადე, შენც ეცადე, სადმე არ შეგზდნენ...  
 ლორთქიფანიძე მალე წავა... ხელიც შეუწყე...  
 სოლომონ მეფემ  
 შენი ბატონი სანადიროდ მიიპატიე.

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

მ ო უ რ ა ვ ი — შემოდგომისთვის?  
 ს ა ლ ო მ ე — არა! პარმენი საგაზაფხულო ნადირობისთვის,  
 როცა ობობა პირველ ქსელს აბამს,  
 შენ ის ობობა უნდა გასარისო...

მ ო უ რ ა ვ ი — არ მესმის, ქალბატონო!  
 ს ა ლ ო მ ე — გიორგი წავა მამის ნაცვლად, მას შენც გაჰყევი. შენც ინადირებ  
 და ისე რიგად, რომ შემთხვევით მხეცის, მაგიერ,  
 სოლომონ მეფე წამოაქციო...  
 ახლა ხომ გესმის?

და შენი ჯილდო შემდეგ მე ვიცი...  
 მ ო უ რ ა ვ ი — შენს ბრძანებას მუდამ ვასრულებ...  
 და შემწე ჩემი მაღლა ღმერთია!

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ლექსიწას მუსხარიანი.

ბ ე რ ი — რომ ვერ აეღოთ მცირე ეჭვიც ოსმალთა ფაშებს,  
 ეს მაისის დღე მეფემ არჩია,  
 ვითომ ზეიმზე, დროს სატარებლად,  
 მოიპატიეა დადიანი და გურიელი,  
 როსტომ ბატონიც.

უ ვ ე ლ ა ნ ი — როსტომ ბატონიც?  
 ბ ე რ ი — მოითათბირონ, თუ როგორ ვიხსნათ  
 გაწამებული ჩვენი ქვეყანა...  
 ეს დიდი საქმე მოაგვარა ჩვენმა პაპუნა წერეთელმა...

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — შე დალოცვილო, რატომ აქამდე არ გაგვიცხადე  
 თუ ასე დიდი, საღმრთო საქმე უნდა გადაწყდეს?

ა ვ ა ლ ი ა ნ ი — ღმერთო, შენ წარმართე კეთილი საქმე.  
 ბ ე რ ი — არც თუ მე ვიცი ბევრი რამე ამ შეთანხმების...  
 ალბათ გაგვანდობს თვითონ მეფე... ხოლო მანამდე,  
 ყოველ კარავთან საზეიმო მოაწყეთ ღვინი,  
 რომ რქიან ეშმაკს დაუბრძავდეს წითელი თვალი!

(სხვადასხვა მხარეს გადიან. ბ ე რ ი ს შეჩერებს  
 მ ა რ ი ნ ე, რომელსაც მოსუფეს გ ი ო რ გ ი)

მ ა რ ი ნ ე — ჩვენთან, ბატონო ბერი! ბატონო ბერი!  
 ბ ე რ ი — მეფის ასული! მარინე ჩემო...  
 მ ა რ ი ნ ე — მიწა ვითბრა... დიახ, გიორგის თანდასწრებით  
 იცით, გიორგი! ბერი ბატონი დიდად მარჯვეა...  
 დიდად მარჯვეა... აბა, დღეს ვნახოთ!..

ბ ე რ ი—მეფის ასულო, მამატიე, მე შეჩქარება..

მ ა რ ი ნ ე—არა, მოიცათ...

შარშან მოიგეთ სანაძლეო, წელს კი წააგებთ!  
დიხს! წააგებთ! გეტყვი წინასწარ!  
ამის თავედები გიორგი არის!

ბ ე რ ი—ეიცი, ასულო!

ცხენზე ჯირითი ყაბახზე სროლა  
მას ეძარჯვება და ცალიც არ ჰყავს!  
თუ დღეს რაინდად ეგ აირჩიე,  
მართლაც წავაგებ მგარამ ვეცდები...

გ ი ო რ გ ი—ბერი ბატონო! თქვენთან შებმას როგორ გნებედავ?

ბ ე რ ი—ის დალოცვილი მამაშენიც ასე თავმდაბლობს...

აი, ყველანი შეიყრიბნენ, ის კი ჯერ არ სჩანს...  
ბოდიში...

(ვალს)

გ ი ო რ გ ი—ის კი ჯერ არ სჩანს!

ნუ თუ პირობას არ შეასრულებს?

მ ა რ ი ნ ე—მოვა როსტომიც...

მაგას ნუ ნაღვლობ...

გიორგი, გესმის? რა დაგემართა?

გ ი ო რ გ ი—მამაჩემი...

მ ა რ ი ნ ე—ლორთქიფანიძე დიდად მარჯვეა...

უნდა შეება...

ვინც უნდა იყოს, გინდა ბერი, გინდა ოტია...

მოიცა... თითქოს რაღაც გაწუხებს...

გ ი ო რ გ ი—არაფერია...

მ ა რ ი ნ ე—წელან ჯირითში შენ გაიმარჯვე,

და თუ აჯობე ყაბახშიაც...

რატომ ხარ ასე დაღონებული?

იქნებ არ მოგწონს, აქ, ჩვენთან ყოფნა?

გ ი ო რ გ ი—მეფის ასულო! სადაც შენ ხარ, ყველგან კარგია!

მ ა რ ი ნ ე—შენზე ამბობენ: ნადირობა კარგი იცისო!

იქ, რაქის მთებში გინადირნია?

რას შეხვედრიხარ?

ირემს თუ ქურციკს? შველს თუ ჯეირანს?

შენ შეგიძლიან გაიმეტო და მოჰკლა შველი?

გ ი ო რ გ ი—შველს იშვიათად თუ გაემეტებ...

შაგრამ ჩვენს მთებში დათვი იცას და საშინელი...

მ ა რ ი ნ ე—დათვი ჰო, დათვი!

პაპუნას უთქვამს:

რაჭაში ერთი დათვი არისო!

გ ი ო რ გ ი—პაპუნა აღბათ სხვას გულისხმობდა!

მ ა რ ი ნ ე—ვის?

(უხერხულობას ავარძობს)

ჰო? არა არა...

მე არ ვიცი, რას გულისხმობდა...

მე ვეტყვი მამას,

ერთხელ, ოდესმე, სანადიროდ ერთად წავიდეთ.

წავიდეთ შორს, ძალიან შორის!

გადავიკარგოთ!

გადავიშალოთ!

რომ გვეძებონ და ველარ გვიპოვონ!

წაშობვალ ჩემთან?

გ ი ო რ გ ი — როგორც მიბრძანებ, მეფის ასულა!

მაგრამ ჩვენ რომ შორს გადავიკარგოთ,

რომ გვეძებონ და ველარ გვიპოვონ,

ეგ არ ივარგებს, მეფის ასულა!

შ ა რ ი ნ ე — არ ივარგებს? და შერე, რატომ?

გ ი ო რ გ ი — ჩემზე იტყვიან...

შ ა რ ი ნ ე — რას იტყვიან? ხომ არ დამუნჯდი?

გ ი ო რ გ ი — არისტომ, ჩვენმა მწიგნობარმა, ერთხელ გვიამბო:

ძველ დროს ელენე ბერძენ ჰაბუქს გაუტაცინია...

ჩემზეც იტყვიან:

გაიტაცაო მშვენიერი მეფის ასული!

შ ა რ ი ნ ე — გეფიცები, კარგი იქნება!

დაე, ჩვენზედაც ილაპარაკონ...

და რომ სთქვან ეგრე, ცუდია შენთვის?..

გ ი ო რ გ ი — წყენად დარჩება იმ ადამიანს,

ვისაც ვაფასებ,

ვისი აზრებიც მე მაფროთოვანებს

და მინდა ვარჯჯ ჩემის სიციოცხლათ!

ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

(თავისთვის)

რად იგვიანებს მამაჩემი? რად იგვიანებს?

ნუთუ დასტოვოს მეფის თხოვნა უყურადღებოდ?

უნდა მოვიდეს... უნდა მოვიდეს!

ნ ა რ ი ნ ე — ვისთან საუბრობ?

გ ი ო რ გ ი — არ შეიძლება, რომ არ მოვიდეს!..

ის უნდა უკვე აქ ყოფილიყო...

მაგრამ ჯერ არ სჩანს... მამაჩემი... მეფის ასული!

შ ა რ ი ნ ე — შენ რაღაც იცი და მე მიმაღავ!

შარშანაც გითხარ:

ეიქნები-მეთქი შენი გულის მესაიდუმლე,

აბა, მაშ მითხარ...

გ ი ო რ გ ი — არა! არა! შენ ნურც გაიგებ...

შ ა რ ი ნ ე — რას ნუ გავიგებ?..

გ ი ო რ გ ი — მეფის ასული!

შ ა რ ი ნ ე — აი, შენ გინდა რაღაც მითხრა და ვერ მიხედავ...

გული გაძალბებს, მაგრამ ენას რაღაც გიბორკავს...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი—უნას მიბორჯავს? არა! არა!  
მე მინდა გითხრა...

შენ იქნებ უკვე მიხედვრილიც ხარ...

აი, მამ გეტყვი...

ერთს უცხო ბაღში მცენარე იდგა,  
საუკუნეში მხოლოდ ერთს კოკორს გამოიბამდა,

და მხოლოდ ერთხელ აყვავდებოდა!

ვინც მოასწრებდა და იმ ყვავილს დილით მოსწყვეტდა,

ის იყო ქვეყნად ბედნიერი, ხალხის რჩეული!

ერთი ჭაბუკი დარაჯად დადგა, იქ ათენებდა.

მაგრამ დაქანცულს ჩასძინებოდა,

ვიღაც ნაცნობებს ბორკილები დაედოთ ხელზე.

დილით იხილა ის ყვავილი, უცხოდ გაშლილი,

მაგრამ ჭაბუკმა ველარ შესძლო მისი მოწყვეტა...

ჭ ა რ ი ნ ე—ნაცნობებმა იმ ჭაბუკს უმტრეს?

ვიცი, ვიცი და შენც იცოდე,—

არაფერია!

წამო ყაბახზე!

ყაბახზე უნდა შენ გაიმარჯვო...

მე ასე მინდა... გესმის, გიორგი! მე ასე მინდა!

გ ი ო რ გ ი—მოიცა, აგერ, მობრძანდებიანი!

(შემოდინ: დედოფალი, სეფექადები,  
ავალიანი და ლაღობერიძე)

დედოფალი—ქალიშვილებო! აგერ მარინე, მასთან გიორგიც!

გ ი ო რ გ ი—როგორც სჩანს, უკვე ვუძებნივართ, შეფის ასულა!

დედოფალი—ბერი ბატონო!

ბ ე რ ი—მიბრძანე, დედოფალო!

დედოფალი—თქვენც, ყმაწვილებო! დღეს მდიდრულად დაჯილდოვდება.

ვინც გაიმარჯვებს ყაბახზე სროლით!

არა თუ შარტო ვერცხლის თასი, რომელს სდგამს მეფე,

არამედ ჩემგან: ყელსაბაში თვალმარგალიტის,

რაც შესამკობად ბატარძლისთვის საოცნებოა!

ვნახოთ, ვინ უფრო მიჯნურისთვის თავს გამოიდებს.

ბ ე რ ი—დედოფალო, მე თუ მოვიგე,

გთხოვთ, ნებაც დამართო, მივატოვო ჩემი ბებერი

და საჩუქარი ახალგაზრდა მიჯნურს მივართვა.

(სიცილი)

დედოფალი—გესმით, ქალებო! გესმით, ვაჟებო!

ბერი ბრძანდება დარწმუნებული.

მ ა რ ი ნ ე—ბატონო ბერი! ბოდიშს მოვიხდი,

იქნებ დედოფლის შეწუხება აღარც დაგჭირდეს,

რადგან გიორგი შეგეჯიბრება!

ბ ე რ ი—გ დამავიწყდა, მეფის ასულა!

„შწიფეს ესროდენ, მკუხე ცვივოდა!“

იქნებ დღეს ბედმა მე გამიღიშოს!



დ ე დ ო ფ ა ლ — თუ გაგიღიმა, შენ ქალიშვილს ეს ყელსაბამი  
 მ ა რ ი ე — ჰო, შენს ქალიშვილს...  
 ბ ე რ ი — სასიამოვნოს ბრძანებთ, ბატონო!

მარინა  
 ბერძენი

(ყელსაბამს ჩაიბარებს)

ნიშანს გვაძლევენ.

დედოფალო, მობრძანდით აქეთ!

დ ე დ ო ფ ა ლ — მამ ახლა მალე ყაბახზე სროლა...

(გადიან მხოლოდ დედოფალი და ავალიანი კამათობენ)

დ ო დ ო ბ ე რ ი — არა, ოტია! არა-მეთქი!

ავალიანი — აბა, რას ბრძანებ, ანდრია ჩემო!

დ ო დ ო ბ ე რ ი — სულს გეფიცები!

ავალიანი — არა! ყმაწვილო, როგორ იქნება?!

მეფე მეფეა, მაგრამ დედოფალს

უპირველესი პატივისცემა!

დ ო დ ო ბ ე რ ი — შე კაცო, ვგრე ჯიუტობაც არ გეკადრება!

ჯერ მეფის ჯილდო... ასეა წესი!

ავალიანი — არა, ბატონო, ვინ მოგახსენა?

ჯერ დედის ჯილდო, ესე იგი დედოფლის ჯილდო...

თუ არ მიჯერი აგერ გკითხვით ლორთქიფანიძეს...

ბატონო ბერი...

(ბრუნდება ბერი)

ბ ე რ ი — მეფემ მანიშნა, მოვითათბიროთ ამ ყრუ ადგილას...

და ვიდრე თათბირს შეუდგებიან...

ავალიანი — ბატონო ბერი! ღვთის გულისათვის,

რომელი ჯილდო გაითამაშონ?!

ბ ე რ ი — დღეს, ბატონებო, ეს პირველი შემთხვევა არის,

რომ დედოფალმა ყელსაბამი ჯილდოდ დანიშნა...

მეც ასე ვგონებ, ჯერ დედოფალს პატივისცემა...

ავალიანი — დასტურ, ასეა! შენ არ მომიკვდე...

აგერ გახედე, უკვე თამაში გაუმართიათ...

დედოფლის ჯილდო! დედოფლის ჯილდო!

(სასწრაფოდ გადიან. გარეთ ხმაურობა. გასმის დედოფლის ჯილდო დედოფლის ჯილდო)

ხ მ ე ბ ი გ ა რ ე თ — აბა, ესროლე!

— ჯერ შენ ესროლე!

— შარშან პირველმა მე ვესროლე, ახლაც მაცალეთ!

— მიეცით ნება! თავპირს რო იმტვრევს...

— გაგიცდა, ვაჟო...

(ყვიანა)

— უკან დაიხით ერთის ნაბიჯით...

— უი შეგირცხვეს, ვაჟო, მარჯვენა...

— გაკენწლა მხოლოდ...

(ცლავ ყვიანა)



- გიორგის აცალეთ, რაქველს აცალეთ!
- არა, მე ვესწარი ჯერი ჩემია!
- აბა, ჰე, მიდი რომ იქაჩებო!
- ბრაწი შენს საქმეს!..

ცალე ყიფინა, შემოდინ: მეფე, კათალიკოსი, პაპუნა, ბერა და ფიცისკაცები

- ბ ე რ ი**— მეფევე ბატონო! ვიდრე ამბავს გაგვიცხადებდე, ვარ მოციქულად მოგზაენილი შეფიცულთაგან... ერთი მესხელის თაობაზე...
- მ ე ფ ე**— ერთი მესხელის?
- ბ ე რ ი**— ათასხუთასი მეომარი, — შენი ერთგული, — აგერ, იმათი მეთაურებიც! ლოღობერიძე, ავალიანი, იოსელიანი... ვინც თავს დასდებენ მამულისთვის, როცა უბრძანებ— აი, ამათის დავალებით და დავალებით ათასხუთასი შეფიცულისა...
- მ ე ფ ე**— რას თხოულობენ?
- ბ ე რ ი**— მოგეხსენება ჩვენთან, დიახ, შეფაცულებთან თავს აფარებენ, ვინაც, ნებსით თუ უნებლოედ, დაიშახტურეს მეფის წყრომა, ანუ წყრომა დიდი თავადის. ჩვენ მათ ვმფარველობთ, მაგრამ არა უმართებულოს, მეფის და ქვეყნის მოღალატეს...
- მ ე ფ ე**— ვისთვის განდა იშუამდგომლო?
- ბ ე რ ი**— კაცისმკვლელობისთვის!
- მ ე ფ ე**— რას ბრძანებ, ბერი?
- ბ ე რ ი**— მომიტევე, მეფევე-ბატონო! მართალი არის, მან კაცი მოჰკლა, მაგრამ მიზეზი გამოვაკვლიეთ და ჩვენ არ ვცანით ის დამნაშავედ...
- მ ე ფ ე**— თუ კაცი მოჰკლა?
- ბ ე რ ი**— თუ გამოექცა იგი სამართალს?
- ბ ე რ ი**— ის გამოექცა ცილისწამებლის შურისძიებას, დიდი თავადის ძალმომრეობას...
- მ ე ფ ე**— რა გვარი არის?
- ბ ე რ ი**— გაბლავს გეგელა თევდორაძე! აი, ეს თვითონ!
- (გეგელა უჩოქებს)
- მ ე ფ ე**— ვიცი, ვიცი! ცოლის წართმევა მოუნდომა კიანაველიძეს!..
- ბ ე რ ი**— აი, ეგ აუო ცილისწამება! ფიცისკაცებმა გამოიკვლიეს. კიანაველიძე ქალიშვილებს, ყრმა ვაჟიშვილებს სტაცებდა შშობლებს...
- მ ე ფ ე**— რაო? ეგ რა სთქვი? შშობლებს სტაცებდა?
- გ გ გ ე ლ ა**— დიხ, მეფეო!





ბ ე რ ა—შემდეგ ჰგზავნიდა ზღვის ნაპირას, ჰყიღდა ბაზარზე.

გ ე გ ე ლ ა—ბოლოს, როდესაც ჩემს ქალიშვილს წამოეტანა,  
მას შევებრძოლე, როგორც მამა, შეიღისდამცველი,  
რადგან ვიცოდი, თვით აკრძალეთ ყმებით ვაჭრობა...  
და შემომაკვდა.

თავს კი ვუშველე...

მაგრამ ბატონმა ცილი დამწამა,

რომ დაეფარა ნამდვილი საქმე...

გთხოვთ, შემიწყნაროთ... და მამატიოთ!

მ ე ფ ე—ადვირაბსნილი თვითნებობა და ბოროტება!  
მერე, აქამდე რად არ მაცნობეთ?

ბ ე რ ი—ჩვენც ვიძიებდით, დასტურ ასეა!

მ ე ფ ე—ჩვენ თავს რამდენი სიგლახეა, უბედურებას..

მაგრამ, ვაი, რომ დრო ხელს არ მიწყობს!

აღდექ, ყმაწვილო გიპატაეს ფიცისკაცებმა

და დღეის შემდეგ შენ იცოდე, შენმა სინდისმა!

მამ ასე... დიახ... ბატონებო,

აქ მოგიწვიეთ...

საიდუმლო გაგანდოთ ჩემი...

ბევრი ვიფიქრე... და ის დასკვნა გამოვიტანე,

რომ უკეთეს დროს ვერ გამოვნახავთ,

რაკი ხელს გეიწყობს გარემოებაც,

ამიტომ უნდა ვისარგებლოთ ხელსაყრელ დროით

და დაეკრათ ჩვენს მტერს!

მოვსპოთ სათავე ყოველგვარი ბოროტებისა!

მაგრამ რა დღისთვის... ანუ როდის?

ნისანს ელოდეთ

და მზად იყავით!

იქ ჩემს ნისანზე ზარით და ზათქით

ლოლობერიძე ქუთაისის ციხეზე მივა,

ხოლო ფოთის გზას...

(უცხად შეჩერდება, ეძებს ვიღაცას)

სად არის როსტომ ერისთავი, რაკისმფლობელი?

ბ ე რ ი—დიდო ბატონო! ერისთავი...

(გაჩერდა)

მ ე ფ ე—რა გაიძულეებს, რომ ვერას ამბობ?

კ ა თ ა ლ ი კ ო ს —ვეგონებ შენც, ერთხელ ნაწყენი იყავ,

რალაც უბრალო საქმეთა გამო...

შვილო, დღეს უნდა დაივიწყოთ პირადი წყენა.

ბ ე რ ი—თქვენი კურთხევა ნუ მომეშალოს.

კ ა თ ა ლ ი კ ო ს —თუ ვინმე არის იარაღით ჩვენი დამხმარე.

არის როსტომი, ბარაკონის ციხის მფლობელი.

მ ე ფ ე—აბა, მაშ სთხოვე!.. სთხოვე, მობრძანდეს...

(მერი არ იჭრის აღვილიდა)

პ ა პ უ ნ ა — ლორთქიფანიძე ასე რომ სდუმს, ჩემს ეკვს ამართლებს.

ბარაკონის ციხის მფლობელი — ურჩი მფლობელი —  
 არ ინებებდა აქ მობრძანებას,  
 არ ინებებდა,  
 რადგან ის ცხოვრობს იმერთა მეფის საზღვრის გარეშე.

ერკონულნი  
 ზინჯლირთქას

(იციის)

საზღვრის გარეშე...

(კათალიკოსს ჩაელაპარაკებს)

მისებრ კუზიანს გაასწორებს მხოლოდ სამარე  
 და სისაძაგლეს მოელოდე, ვინც ერთხელ დაშვრა.

მ ე ფ ე — (უკმაყოფილოდ) პაპუნა წერეთელო!  
 რას ნიშნავს შენი საუბარი და კილვა მწარე?

პ ა პ უ ნ ა — მაპატიე, კეთილო მეფეე!  
 ვიცი, შენ გული კეთილი გაქვს და კაცთმოყვარე!  
 და ეგ გულია, რომ შენს სიბრძნეს ხშირად ხელს უშლის  
 ადამიანი ისე შეიცნო,  
 როგორც არის იგი ნამდვილად!  
 შენ გინდა, იყოს ისიც კეთილი,  
 მაგრამ ის არის ქედმაღალი ურჩი მფლობელი  
 და ამიტომაც მოგახსენე მათ მეუფებას:  
 მისებრ კუზიანს გაასწორებს მხოლოდ სამარე!

მ ე ფ ე — არა, თქვენ ისევ ძველი მტრობა გალაპარაკებთ.  
 რად არ მობრძანდა? შენ მითხარ, ბერი!

ბ ე რ ი — რა მოგახსენო, იქნებ მისმა შეილმა იცოდეს!

მ ე ფ ე — შეილმა? სთხოვე!

(ბერი გადის)

პ ა პ უ ნ ა — ის ბარაკონში ჩაკეტილა და თავს არ გიხრის!

მ ე ფ ე — მამ მასი შეილი თუ კი მოვიდა?

პ ა პ უ ნ ა — ეგეც მისი თვალთმაქცობაა. ორ კერძელს იჭერს.  
 თვითონ კი იცის, თუ გაძლიერადი,  
 მისთვის საფრთხეა, უფრო მეტიც — მისი დამხობა!  
 აი მიზეზი! და, ამის გარდა, პატივმოყვარე,  
 შესაძლო არის, სადალატოდ ემზადებოდეს.

(ირონიით)

შორი არ არის, ახალციხის ფაშას ეახლოს,  
 ქუთაისი კი — მისთვის შორია! ძალიან შორია!

მ ე ფ ე — წერეთელო!

დღევანდელ დღეს ნუ ჩამიმწარებ!

პ ა პ უ ნ ა — ნურც შევესწრები!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ეჭვი სიფხიზლე!

მაგრამ ეჭვი მოშურნე თვალის — სულის წამწყემნდელი.  
 „მოგოიტყვენ ჩვენ, ვითარცა ჩვენ  
 მივუტყვებთ“... გეასწავლა მაცხოვარმა.

ბ ა პ უ ნ ა — თქვენო მეუღეზე! ჩვენ მივუტყვევებთ, მაგრამ ის — მანქანის  
 (მეზოდის გიორგი და ბერა)

მ ე ფ ე — გიორგი ჩემო!  
 მესიამოვნა, რომ ჩემთან გხედავ!  
 სჩანს, ჩემს შიკრიკს უცნობებია...  
 მაშ მამაშენი, როსტომ ბატონი, რად არ მობრძანდა?

გ ი ო რ გ ი — მეფეო, როცა რაჟა დავტოვე,  
 — ხუთი დღე გახლავს — ის აპირებდა.

მ ე ფ ე — შენ ხომ იქ იყავ, როცა როსტომს კაცი ვაახლე!  
 მოვიპატრიე შეილუბიანად!

გ ი ო რ გ ი — დიახ, იქ გახლდით!  
 და შიტომ იყო დაეწინაურდი!  
 მე ვწუხებარ დიდად!

მ ე ფ ე — შენ რაზე სწუხარ?

გ ი ო რ გ ი — რომ მამაჩემი...

მ ე ფ ე — მაშ არ ინება?

გ ი ო რ გ ი — მე მიბრძანეთ, მეფეე ბატონო!

მ ე ფ ე — არაფერია!  
 ალბათ როსტომს შეუგვიანდა და ისიც მოვა!  
 წადი, ყმაწვილო, მერე მოგიხმობ!

(გ ი ო რ გ ი გადის)

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — იცოდა, მაგრამ მან არ ინება!  
 სამწუხაროა!

ბ ა პ უ ნ ა — მე ახლაც მახსოვს და ან როგორ დამავიწყდება,  
 რომ მან და ლევან აბაშიძემ, შენმა დედის ძმამ  
 ჰამაშენისდროს ციხის კარი თათრებს გაუღეს  
 და იმერეთი ცეცხლის ალს მოსცეს!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ხალხს იმნაირი ჯოჯოხეთი ღმერთმა აშოროს!..

ბ ა პ უ ნ ა — რაც მაშინ მოხდა, საგრძნობია დღეს უფრო მეტად.  
 და ამიტომაც

დღეს ამ დაბურულ ტყეში ვეძებთ მოკავშირეებს,  
 ფარულ აქ გვინდა ქვეყნის ბედზე მოვითათბიროთ.  
 და აქაც ვშიშობ, საიდუმლო ჩვენი არ გასცენ!  
 ჩვენს ქვეყანაში სუნთქვა გვიძძის და შიში გვიპყრობს,  
 ჩვენს ცახებში ჩამდგარია ოსმალთა ჯარი,  
 ჩვენი ოჯახი გაქელილი, ნამუსახდილი...  
 ქალიშვილები და ვაჟები იყიდებიან,  
 ვისა მიზეზით?

ვისაც მფარველად ფაშები ჰყავთ და იქ სულთანია  
 როცა შენ ახველ კაბუკი ტახტზე,  
 იგი როსტომი და აბაშიძე  
 კიკიან ფაშას, ჩვენ მოსიხლეს, დაუაბლოვდნენ,  
 მას აქეზებდნენ, რათა გვარი პაგრატიონთა

სრულად მოესპო, იმერეთი შუა გაეყო,  
ერთი ნაწილი როსტომისთვის ებოძებინა,  
ხოლო მეორე—ლევანისთვისა—სამაგიეროდ  
მაჰმადის რჯულის გამტკაცებას აქ ჰპირდებოდნენ  
და ეს ოდესმე განა ქართველს დაავიწყდება?  
ან თვით შეუღლე როსტომისა? ცბიერი გველი..  
გველია, ვარდის კალათაში ჩაბუდებული.

მ ე ფ — უღმობელია, წერეთელო, შენი მხალეა,  
მაგრამ ხომ უნდა გამოვნახოთ გამოსავალი,  
რომ ჩვენ ქვეყანას შემწეობა აღმოვეჩინოთ!

პ ა პ უ ნ ა — აუცილებლად!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — დღეს სულ სხვა დროა, ჩემო პაპუნა,  
უკვე მოშწიფდა ხეზე ნაყოფი,  
და მოგვიწოდებს დრო მოსაკრებად!

პ ა პ უ ნ ა — ეგ კარგად მესმის, თქვენო მეუფებაე!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ჩვენთან არიან დადიანი და გურიელი,  
ერეკლე მეფეც—ძმის სიმამრი—დაგვეხმარება!  
იმისი ელჩი, დღეს ჩვენთან არის!  
უფრო კი საქმეს გეაბედვინებს გარემოება,  
რომ ჩვენ მოსისხლეს რუსეთმა ომი გამოუცხადა!  
მაშასადამე, ჩვენი ძმა იგი,  
როსტომ ბატონიც, არ შეიძლება გათიშულ იყოს.  
აქ უნდა იყოს, პაპუნა ჩემო!

პ ა პ უ ნ ა — მაპატიე და შემინდე, მეუფეო!

უმაღლესი დავიწყდე,

თუ მე რაიმე პირადი წყენა მისდამი მქონდეს!  
გწამდეთ, როსტომსაც თუ მოვიბირობთ,  
ღიას, ვიქნები მოხარული ყველაზე მეტად!

მ ე ფ — იმის მომხრობას შე ვითავებ, შე მოვაგვარებ,  
მაშ ნურც შეიმჩნევთ ვინმე გვაკლდეს, ყველაც აქ არის  
ჯარას სარდლებო!

(სარდლები გამოეყოფიან)

მაშ ასე...

როცა განიშნებთ,

ლორთქიფანიძე ქუთაისის ციხეზე მივა!

როსტომი მსურდა...— მაგრამ რაკი ის არ დაგვესწრო,—

ზურაბ მიქელაძე ფოთის გზას შეჰკრაეს.

აგოშვილი თავს დაესხმის ბაღდადის ციხეს,

გიორგი აბაშიძე და არჩილი—ლეიძლი ძმა ჩემი—

შემოერთყმიან შორაპნის ციხეს,

იქ თათრის ჯარი მრავალია, შიგ ჩაჰკეტავენ,

ვიღრე პაპუნა წერეთელი არ დაამარცხებს

ხრესილთან თათრებს!

შემდეგ პაპუნა, და მეც მასთან, მოგვევლებით.

ეს უნდა მოხდეს ერთ დღეს, სასწრაფოდ...



კ ა თ ა ლ ი კ ო ს — უფალი იყოს თქვენი მფარველი  
 ხმალს გიმარჯვებდეთ თვით მაცხოვარი.

ყ ვ ე ლ ა ნ — ამინ!

მ ე ფ ე — ახლა ინებეთ, იმხიარულეთ!  
 მართეთ ჯირითი, ესროლეთ ყაბახს!

ყ ვ ე ლ ა ნ — დღეგრძელი იყოს სოლომონ მეფე!

(ცაღიან)

ხ ო ლ ო მ ო ნ — ბერი, მოიცი!

როსტომმა არ ინება? მე ეგ არ მჯერა!  
 დღესვე, სასწრაფოდ  
 ეახელ როსტომს ბარაკონში, შეატყობინე:  
 მინდა ვესტუმრო!  
 აღარ ვენდობი ზიგზავნილებს, არც მოგზავნილებს!  
 მე თითონ მინდა, მინდა დავრწმუნდე!  
 დღესვე ისწრაფე!

ბ ე რ ი — ჩემი თავი შენ შემოგველოს!

(გარეთ კვლავ ყვირია)

მეფეც, მობრძანდი! სადღეობო ნიშანს გვაძლევენ!

(გარეთ ყვირია. შემორბის მ ა რ ი ნ ე, უკან მოჰყვება გ ი ო რ გ ი, მას მოსდევენ სტუმ-  
 რები და შეფე-დედოფლის ამაღა)

ი ძ ა ხ ი ა ნ — გიორგიმ გაიმარჯვია..

მ ა რ ი ნ ე — მამაე! ხომ ვითხარი დღესაც გიორგიმ..

ყელსაბამიც გიორგიმ მოხსნა!

მ ე ფ ე — მამ, მივეულოცოთ!

ყმაწვილო, იყავ მტერზე მუდამ გამარჯვებული!  
 (გ ი ო რ გ ი მ ე ფ ე ის წინ იჩოქებს, დ ე დ ო ფ ა ლ ი ჯილდოს გადასცემს)

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მიიღე ჯილდო, ახალგაზრდაც, ყმაწვილო კაცო!  
 და მას თან ახლდეს მომაველი ბედნიერებაც!  
 რომ ეს ძვირფასი ჯილდო უძღვნა შენთვის ღირსეულს.

(გ ი ო რ გ ი ჯილდოს ჩამოართმევს, აცქერდება ბოლოს მისი შურა მ ა რ ი ნ ე ს თვალზე  
 შეხედება)

ბ ე რ ი — მეფეც ბატონო და თქვენც, სტუმრებო,  
 ღზინზე მობრძანდით...

(სიმღერა)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოკმელება მეორე

მესამე სურათი

ღარბაზი რაზის ირისთავის ციხე-კოშკში.

ს ა ლ ო მ ე — შენ რაც მიაგმე და რაც იქ ჰნახე,  
მიხედრილი ვარ იმათ ოინებს.  
დიდი სულთანის წინააღმდეგ ემზადებიან...  
ო, არ შეეარჩენ, არც ღას, არც მეფეს,  
რომ ლეკერწაში საქმეს ჩარხავენს  
მე აბაშიძის ქალი არ ვიყო,  
თუ არ ვანანო!

კიდევ რა ჰნახე. ყველა მიაგმე!

მ ო უ რ ა ვ ი — მე იმას ვწუხვარ,  
რომ დავალება ვერ შევასრულე!  
მეფე ვერ ვნახე განმარტობით.

ს ა ლ ო მ ე — ჩუ! შენ სხვა მიაგმე...

მ ო უ რ ა ვ ი — თქვენი გიორგი ერთს ქალიშვილს არ შორდებოდა...  
მეტად მშვენიერს.

ს ა ლ ო მ ე — მშვენიერს? რომელს? რომელ ქალიშვილს?

მ ო უ რ ა ვ ი — მეფის ქალიშვილს..

ს ა ლ ო მ ე — იმაზე ამბობ: „მშვენიერსაო“?

თავის წრუწუნა, დაღუული და საძაგელი.

წადი, მიხედე! ალბათ ბატონი დაბრუნდებოდა!

მ ო უ რ ა ვ ი — გაიხლებით.

(ვადის)

ს ა ლ ო მ ე — გველო სოლომონ! იოლი გზა ავირჩევია.

შენ გინდა ჩემი ვაჟიშვილი მოინადირო,

აჰკიდო შენი გომბიო და ის შეისრულო,

რის შესრულება იარაღით დღემდე ვერ შესძელ!

მაგრამ ამაოდ ჩაგვიღის ზრახვა!

მე შენს ნაშიერს ჩემს ოჯახში არ გაეატარებ!

თუ რძალი მინდა, თვით სულთანი უარს არ მეტყვის!

ლეილამ უკვე სახსოვარიც გამოუგზავნა...

შენ უნდა ტახტი ოხრად დაგჩენს

და მის განძელს ვინაწილებდეთ,

როგორც ქონებას ბაძებისას ინაწილებდნენ,

როცა ისინი შენს ფინიებს მიეც საჯიჯგნად,

ვილაც წერეთლებს...

საბრალო მამა, ამას როგორ წარმოიდგენდა?

(მემოდის მოურავე)

მ ო უ რ ა ვ ი — ქალბატონო!.. ნახეთ, გიორგი!

(მემოდის გიორგი. მხიარულია)

გ ი ო რ გ — დედა სალამი!  
 შენც სალამი, ჩემო პარმენ!  
 ჩემი ირმები როგორ არიან?  
 მ ო უ რ ა ე — კარვად, ბატონო!  
 სწორედ ახლა საკმელს აძლევენ!

(გადის)

ს ა ლ ო მ ე — შეილო გიორგი, რატომ პარმენთან შენც არ წამოხველ?  
 შენ შემოგველე... რამდენი დარდი...  
 შენზე რამდენი ფაქრი და ელდა...  
 გ ი ო რ გ ი — დარდი? რატომ?  
 განა რა გქონდა სადარდებელი?  
 ნათესაებებში გავისეირნე...  
 ს ა ლ ო მ ე — განა მარტო ნათესაებებში?  
 გ ი ო რ გ ი — ბიძები ენახე...  
 ს ა ლ ო მ ე — მარტო ბიძები?  
 გ ი ო რ გ ი — ბაბუაც ენახე.  
 მოხუცი თითქმის ას წელზე მეტი,  
 კიდეც სევამს ჯიხვით და კიდეც მღერის...  
 ს ა ლ ო მ ე — ნათესაებები ჰნახე მხოლოდ და სხვა არაფერი?  
 გ ი ო რ გ ი — სად არის მამა?  
 ს ა ლ ო მ ე — შენ დასეირნობ და არც ის აკლებს!  
 იქ ლეკერწაში გინადარნია...  
 ნადირის მოკვლა, შეილო, კარვია,  
 მაგრამ ნადირმა თუ გადიეოლა,  
 მოაჯადოვებს!  
 განსაკუთრებით, თუ ის ნადირი  
 ორფეხი არის...  
 გ ი ო რ გ ა — როგორ, ორფეხი?  
 ს ა ლ ო მ ე — აი, ისეთი, შენ რომ ჰნახე, იქ, ლეკერწაში  
 შეფიცულვებთან!  
 ჰო... ალბათ უფრო დაქალღებოდა!  
 შეიქნებოდა იმერეთის მზეთუნახავი!  
 გ ი ო რ გ ი — კოლხეთის შველი?  
 ს ა ლ ო მ ე — ნეტა კი მომკლა!  
 გ ი ო რ გ ი — როცა გაგირბენს,  
 შეგაკრთობს და გული დაგწყდება!  
 ს ა ლ ო მ ე — ჩემი სიკვდილი?  
 გ ი ო რ გ ი — მაგრამ შენ, დედა, სანადიროდ რომ არ გივლია!  
 მამ შენ არც იცი შეკრთობა და გულის დაწყვეტა!  
 ს ა ლ ო მ ე — ვიცი, შეილო!  
 აი, ახლაც მე გული დამწყდა!..  
 ვიცი, ვინც დადის სანადიროდ, ბევრჯერ უნახავთ,  
 რომ მონადირე თვით გამხდარა ნადირის მსხვერპლი...  
 გ ი ო რ გ ი — ეგ არ მოხდება, დედაჩემო, ეგ არ მოხდება!  
 ს ა ლ ო მ ე — დარწმუნებულნი ამბობ მაგას?



გ ი ო რ გ — დარწმუნებული

ერეკნული  
გინჯლითქე

ს ა ლ ო მ ე — გახარებული შენ მყავდე მარტო!..

გ ი ო რ გ ი — ნურაფერს შიშობ, დედაჩემო! ნურაფერს შიშობ!

მამ, ერთი ვნახო ჩემი ირმები...

უჩემოდ იქნებ მათ მოიწყინეს...

(მეჩერდება)

მაგრამ... მე მიკვირს... მზადებაში რატომ არა ხართ?

თითქოს ჩქარობდა მოციქული? ჯერ არ მოსულა?

ს ა ლ ო მ ე — ვინ მოციქული?

გ ი ო რ გ ი — მოვლენ, უბრძანე... დატრიალდი...

ს ა ლ ო მ ე — გამაგებინე!

გ ი ო რ გ ი — მალე გეწვევა მეფე სოლომონ!

(გაღის)

ს ა ლ ო მ ე — ნეტა გამაქრო... რას ამბობ, შეილო?

რა სთქვა გიორგიმ?

მეფე აქ, ჩვენთან?

... ფეხიც მოსტყდება!

(შემოდის მ ო უ რ ა ვ ი)

მ ო უ რ ა ვ ი — ქალბატონო!

როსტომ ბატონი უკვე მობრძანდა...

ს ა ლ ო მ ე — მობრძანდა, მაგრამ ისიც აქ... მალე...

შენ, იცი, პარმენ?

პ ა რ მ ე ნ — ვინ, ქალბატონო?

ს ა ლ ო მ ე — მეფე!.. მეფე!

ო, რარიგ ღელავს ჩემი გული!..

მესაიდუმლე შენ ხარ ჩემი და შემდეგ გეტყვი...

ჯერ ალბათ მოვა მისი ფინია ამბისმთხრობელად.

პარმენს! გაჯოხე, ვითომ ბინდში ვერ შეიცანით.

იმისმა ენამ დამილუპა ნათესაეები...

ლორთქიფანიძის ენამ, გესმის?

მ ო უ რ ა ვ ი — მხოლოდ მიბრძანე, ქალბატონო, მხოლოდ მიბრძანე!

(შემოდის რ ო ს ტ ო მ ი თავის შეილებით)

რ ო ს ტ ო მ — ჩემო სალომე! ხომ არ ჯავრობდი?

ს ა ლ ო მ ე — მამ რას ვიზამდი?..

შ ე ი ლ ე ბ ი — დედი, როგორი პატოვი გეცეს... ვერ წარმოიდგენ...

მასპინძლები აღარ გვიშვებდნენ...

ს ა ლ ო მ ე — როსტომ, არ იცი! თქვენ საქეიფოდ დაიარებით,

ხოლო მტრებს კი საქმე წინ მიჰყავთ...

ადამიანო, ჩვენი გიორგიც...

რ ო ს ტ ო მ — რა დაემართა?

შ ე ი ლ ე ბ ი — რა დაემართა? განა გიორგი ჯერ არ მოსულა?

ს ა ლ ო მ ე — დღეს დაბრუნდა ისიც თქვენსავეით...

როსტომ—ჰი! დალოცვილო! მე სხვა მეგონა  
 დაბრუნდებოდა მაშ რას იქმნოდა?  
 გიორგი მე მგავს,  
 და რომ ჰგავდეს აბაშიძეებს,  
 თაქარიანებს...

ხლომე—არ იცი, როსტომ!  
 მე მინდა ვითხრა და გამიგონე...  
 უნდა გვეწვიოს...  
 დიდი სტუმარი...

როსტომ—ჩვენც დაუზღვედებით!  
 კარგს სტუმარს მუდამ თავს შემოვევლე...

სალომე—და მერე იცი, ვინ სტუმარია?

როსტომ—ეინ?

სალომე—მეფე!

როსტომ—მეფე?

სალომე—გიორგიმ მითხრა!

შენ დროს ატარებ

და რა ამბები ხდება, არც იცია!

როსტომ—პარმენ! ჰეი, პარმენ!

მოურავი—მიბრძანე, ბატონო...

როსტომ—ყელი გამიშრა!

მოურავი—მზად მაქვს, ბატონო!

(მოურავს მისდევან შეაღებ. მოურავს უმალ შემოაქვს ლეინო. როსტომი სვამს)

როსტომ—აბა, სალომე...

რა ამბები? მე რა არ ვიცი?

სალომე—შენ რომ გიწვევდა მეფე თავისთან...

როსტომ—მერე?

სალომე—ჰკითხე პარმენს...

გამართლდა ექუი!

მას მიმბრობია დადიანი და გურჩიელი...

დიდი სულთანის წინააღმდეგ ემზადებიან...

როსტომ—რაო? რაო? მართლა, პარმენ?

პარმენ—ღიახ, იქ იყვნენ...

როსტომ—და ახლა ჩემთან... აპირობს მეფე?

შენ წადი, პარმენ!

(მოურავი გადის)

იცი სალომე! არ გიმხელდი, ახლა გაგიმხელ!

ამ ორ კვირაში იმერთა მეფე—

ალარ იქნებას ღიახ! ღიახ! ალარ იქნება!

აი, ამიტომ ბარაკონში ჯარი შეეკრიბე,

რომ ქუთაისში შევიტრა უცხად,

და მოეუგრიბო ჩემს მტრებს კისერი.



მაშინ ვაი მას, ვინც ეწვია იქ, ლეკერწაში  
როგორც ეს ლენო მე შემერგება,  
ისე ზათ რისხვა!  
აცხონოს პაპუნა!

(სეამს)

ს ა ლ ო მ ე—უთუოდ გახსოვს ლაპარაკი ალიფაშასთან...

რა მოწყალების თვალთი იყო მაშინ სულთანიც...

რ ო ს ტ ო მ—მახსოვს, სულთანი მწყალობელია!

ს ა ლ ო მ ე—მაშინ სულთანმა დაპირება ვერ აგისრულა!

რ ო ს ტ ო მ—შეიცვალა გარემოება!

თორემ იმერეთს გაეყოფდით მე და ლევანი!

ს ა ლ ო მ ე—ახლა გრთავს ნებას!

და ეს შემთხვევა თუ გაუშვი, არ ვიცი, მაშინ...

მხოლოდ რად უნდა გაუყო ლევანს?

სულთანი მხოლოდ შენა გცემს პატივს!

შენ გააკეთო, შენ მოიგო სულთანის გული

და მონაწილე გაიხადო. არა! არა!

შენ უნდა იყო ბატონი მხოლოდ.

თუ ბარაკონში გვეწვია მეფე...

რ ო ს ტ ო მ—შერე?

ს ა ლ ო მ ე—აქ უნდა მოკვდეს!

რ ო ს ტ ო მ—(სახტად დარჩა) რაო?

ს ა ლ ო მ ე—(ცივად) დიახ, ცოცხალი აღარ უნდა დაბრუნდეს უკან!

რ ო ს ტ ო მ—ახლა კი ნაყლებ ჰკვიანი სჩანხარ!

(მცინა)

სალომე, ნუ ხარ ასწრაფებული!

მეფეს ისედაც ოსმალები ბოლოს უღებენ...

უმჯობესია სეირს ვუცქიროთ!...

ს ა ლ ო მ ე—უმჯობესია სხვას შენ დაასწრო...

თორემ, ვინც იმას ბოლოს მოუღებს,

ის ირგებს კიდევ!

მე არ მინდოდა სხვა გარეშე ჩარეულიყო,

თორემ ერთგული და სანდო კაცი

მყავს აზნაურის ჩვენი პარმენი!...

რ ო ს ტ ო მ—სალომე! აბა, რას ამბობ?

(მისი მვორე ოთახიდან რახენი, როსტომი შეკრია)

ვილაც ყურს გვიგდებს!

ეგ ერთხელ გათქვამს, აღარ გაბედო...

ს ა ლ ო მ ე—აქ ზომ ჩვენს მეტი არაეინ არის!

მისმინე, როსტომ!

თუ კი შენ ერთ დროს ლევანთან ერთად

ოსმალთა ფაშას აქეზებდით მოესპო გვარო

ბაგრატიონთა...

როსტომ—სალომე, მაშინ სულ სხვა დრო იყო,  
 ნუ ლაპარაკობ!

სალომე—ახლა ბევრად უკეთესია!  
 მაშინ თურქები არც ქუთაისის  
 და არც შორაპნის ციხეებში არ ჩამდგარიყვნენ...  
 თუ შენ არ გინდა უმადურს შეფეს სამაგიერო გადაუხადო, —  
 მაშინ იცოდე; იქ, ლეკერწაში,  
 უკვე შეთქმულან და, თუ საქმე მათ წარემართათ,  
 შენც და ლევანსაც,  
 იმ ჩემს მოგვარეს, არ ავცდებით განადგურება!

(უცხად შემოდის გიორგი)

გიორგი—მამაე! დედაე!

სალომე—გიორგი შენ?

შენ ხომ ირმების ნახვა გსურდა? აქ როგორ მოხვდი?

გიორგი—ოჰ, დედაჩემო! ოჰ, დედაჩემო...

კარგად არიან ჩემი ირმები!

როსტომ—ბაჰო, აქ ზოდი!

შენ შეფეს ახლდი?

სალომე—ახლდა!

და იქ ერთი შველი უნახავს

და იმ დალეულს ეგ დაუჭრია!

როსტომ—ყოჩაღ, ვაჟკაცო!

ვაჟო, რომელმა შველმა დაგჭრა? აბა, მიახმე?

გიორგი—არა! მე დამჭრა იმ სამძიმო გარემოებამ,

რომ თვით შენ უნდა იქ ჰყოფილიყავ,

სოლომონ შეფეც გელოდებოდა,

მაგრამ არ მოხველ...

სალომე—ეს იმერეთის შეფეს ჰხლებოდა?

ეს, კახაბერის შთამომავალი,

რომელიც იყო მამობილი თამარ შეფისა!

გიორგი—თუ კი ეახლა სამეგრელოს დიდი მთავარი

და გტრიელი!

იქ ხომ არ იყო მარტო ლზინი, ან დროს ტარება!

როსტომ—ვიცი, რაც იყო! იქ იყო... ვიცო... ნუ გამაბრაზებთ!

იქ იყო... დიახ... ჩემი დამხობა!

გიორგი—მამაჩემო!

შენ გაძლიერდი, მაგრამ სამშობლო,

რომელსაც ჰქვიან საქართველო ამერ-იმერით,

რაც კი დრო გადის, სულ კნინდება და მტერი სთელავს!

როსტომ—ოჰო, დაიწყო ჩვენი არისტო მწიგნობარივით!

გიორგი—რა არის შენი რაჰა, თუნდაც გამაგრებულა,

და მიუვალა ბარაკონის ციხე-კოშკებით?

განა ეს არის საქართველო?

როსტომ—ეს რაჰა არის!

რაჰა, რომელსაც წერეთელმა რკალი დაარტყა.



და ჩემს ქვეშევრდომს გზა შეუტყრა იმერეთისკენ!  
მაგრამ ვინანებ!

გ ი ო რ გ ი — არა, წერეთელს ეგ არ უქნია!

რ ო ს ტ ო მ — აბა, მაშ ვინ?

გ ი ო რ გ ი — ჩვენ, მამაჩემო!

რ ო ს ტ ო მ — მათი ბრალია!

გ ი ო რ გ ი — არა! ჩვენი! ჩვენ დავარბიეთ მათი სოფელი!

რ ო ს ტ ო მ — ჩუმად!

(შემოდის მეთოდე)

მ ე თ ო დ ე — მცერიანი შწვადიც მალე იქნება!

რ ო ს ტ ო მ — ყური დამიგდეთ! მეთოდე, შენც!

ღმერთმა თვითეულ ადამიანს, თვითეულ სხეულს

თავი მოაბა საკუთარი და მასთან ერთი!

მეც აქ ერთი ვარ ბარაკონში! თქვენ კი ჩემს შემდეგ!

მორჩა! ასეა!

უნდა იცოდეთ!

რომ თქვენი მამა არა სცდება, როცა მოყვარეს

კბილებს უსინჯავს...

მეფემ გარშემო შემოაყრიბა:

აღზევებული წერეთელი, ლორთქიფანიძე,

ლოლობერიძე, ვიგინდარები...

დიღგეგაროვანი მე მომიცილა

და საქმეს მართავს, როგორც ურჩევენ...

და რას ურჩევენ? რომ მე წამგლიჯონ ჩემი უფლება,

ძალას ხმარობენ, მაგრამ იმათ ჩემი ლეკვები,

ჩემი ვეფხვები — ერთი უცქირე ამათ სალომე, —

თუ მიეუსიე...

წინ ვინ დაუდგეს... გაპქელავენ, ნაცრად აქცევენ!

თქვენ გაიხარეთ, ჩემო ლეკვებო!

— თოპო!.. ერთა ამათ უცქირე! უცქირე, სალომე! —

პო და, მეც ვცდილობ ჩემი შტრები გავანადგურო,

დავიცვა ჩემი არსებობა, ჩემი სიცოცხლე!

და ამას მგლები მე მითვლიან მეფის ურჩობად!

ერთი მიბრძანეთ,

რა ურჩობაა, როცა ჩემსას მე თვითონ ვიცაე?..

(კიდევ გაბრაზდა)

უგვანო აზრებს მწიგნობარი ჩვენი არისტოც

ჩამაწვეთებდა და ამიტომ დღეს ციხეში ზის.

და თუ გაბედა ვინმე სხვაამაც, როგორც წიწილას,

კისერს წავავლეჯ...

როგორ არ გესმით,

რომ ჩემს რაჭაზე უქირავეთ თვალი?

როგორ გგონიათ, აქ რისთვის მოდის?

უნდათ შემქმომონ და თქვენც შეგქამონ,

ისევე, როგორც აბაშიძე — ის თქვენი ბიძა,

უკვე შექაბეს,  
და მის მამულზე წერეთელი გააპარაშეს...  
როგორ არ გესმით? როგორ არ გესმით?

გ ი ო რ გ ი—მე ყურს გიგდებდი...

ბევრი სთქვი თავის გასამართლებლად,  
მაგრამ ყოველი სიტყვა ისევ შენვე გამტყუნებს!..

რ ო ს ტ ო მ—რაო? რაო?—ერთი უცქირე! რაში გამტყუნებს?

გ ი ო რ გ ი—შენ სთქვი: ღმერთმა თვითეულ სხეულს  
თავი მოაბა და ისიც ერთი!

რ ო ს ტ ო მ—დიხს ასეა!

გ ი ო რ გ ი—ერთს სხეულს, საქართველოს, ერთი თავა აქვს,—  
ეს არის მეფე!

რ ო ს ტ ო მ—არა! ის მეფე წერეთლებმა წამოსვეს ტახტზე!..  
ის წერეთლების მეფე არის და არა ჩვენი!

გ ი ო რ გ ი—უზენაესი უფლება მხოლოდ მის ხელში არის,  
და ის განიკებს შენ უფლებას! მხოლოდ ის ერთი!  
მონიკებულები უნდა დასთმო, თუ საქართველოს  
კეთილდღეობა მოითხოვს ამას.

შენ ცდილობ მტრები გაანადგურო. ვინ არის მტერი?

მტერი ის არის, ვინც დაიპყრო ჩვენი ქვეყანა!

შენ მტერს მეგობრობ, მოყვარეს კი საძმარეს უთხრი.

რ ო ს ტ ო მ—ერთი უცქირე...

გ ი ო რ გ ი—შენ ანადგურებ შენს ხალხს იმერეთს!  
რომელიც იქმნა თამარ მეფის საქართველოდან  
გამოთიშტლი ჩვენი ბედის უკულმართობით!  
შენს რაჭაზედაც მათ იმდენად უჭირავთ თვალი,  
რამდენად ამას საჭიროებს ქვეყნის სიმტკიცე,  
ერთიანობა, მთლიანობა. შენ სთქვი...

რ ო ს ტ ო მ—ჩუმად!

მ ე თ ო დ ე—გოროგი!

გ ი ო რ გ ი—მაცალე...

რ ო ს ტ ო მ—შენ ეს არისტომ ჩაგაგონა... შენ? შენ? მიბედავ?  
მე თქვენ სუყველას... ძაღლის ლეკვებო...

ს ა ლ ო მ ე — დაშვიდდი, როსტომ! ილაპარაკოს...

რა აზრი აქვს მაგის ლაპარაკს!

რ ო ს ტ ო მ—შენ ეგ არისტომ ჩაგაგონა?... იმან... იმ ძაღლმა?

მე მას თავს მოვჭრი!.. მე მას... თოკით...

ძაღლის ლეკვებო!

(ასტყდება გარეთ ზეურობა. იმაზიან: დაჰკა, ქურდია! შეშოპარულა)

რა ამბავია?

გ ი ო რ გ ი—ვიღაცას სცემენ!

(ყველანი გარბიან)

ს ა ლ ო მ ე—(სარკმელადან იცქირება) ის არის, ის!  
მეფისგან კაცი როსტომს ჰხედავ, ლორთქიფანიძეს

ჯოხითა სცემენ!  
რა ვსიამოვნებ!

ეპიკურული  
ზინზინოვნება

(ზარბაზნს)

- რ ო ს ტ ო მ—ყოველი წყენა მეც დამაფიწყდა! ეგრე, ახია  
ზაგრა, ბიჭებო...
- ს ა ლ ო მ ე—უი ჩემს თვალებს! ლორთქიფანიძემ ბიჭს შეუტია!  
ჯოხი ხელიდან გააგდებინა...
- რ ო ს ტ ო მ—სალომე, უთხარ: მე ავიად ვარ. ძალზე შეუძლოდი  
დაფიცული ვარ, იმერეთიდან ჩემთან მოსულს არავის შეეხვდევ...  
(ვაღის. ამ დროს შემოდიან ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე დ ა მ ო უ რ ა ე ე)
- მ ო უ რ ა ე ე—ბოდიში შენთან, ბერი ბატონო!  
შინამსახური ხებრე ბიჭია,  
ახლახან მთიდან ჩამოყვანილი!
- ს ა ლ ო მ ე—დედა! დედა! ამას ვის ვხედავ!  
მოხარული ვარ, შენი ცრემლი არ დამეყაროს!
- მ ო უ რ ა ე ე—ქურდი ეგონა...
- ს ა ლ ო მ ე—დაპკრეს? უხეშად დაპკრეს!  
ს ა ლ ო მ ე—დაპკრეს? მაგრა დაპკრეს? ნეტა გამაქრო!  
ბერი ბატონო, ჩვენ გეპატიეთ!
- ბ ე რ ი—არაფერია!  
მე მაინც დაერჩი ლორთქიფანიძედ!  
და, რომ ამ ვამად ტყვიელები არ მაწუხებდეს,  
მოგიყვებოდით, მაგრამ ვჭრი მოკლედ!  
მეფე გეწვიათ!
- ს ა ლ ო მ ე—უი, ჩვენი ბედნიერება!  
თავს შემოვევლე. არ იფიწყებს თავის ერთგულებს!  
ჩვენ მუდამ მისი ერთგულები ვართ!
- მ ო უ რ ა ე ე—ბერი ბატონო! შენ არ მომიკვდე,  
უნებურ მოხდა... გულში წყენა არ გაიტარო!
- ბ ე რ ი—არა, ყმაწვილო...
- ს უ ლ ა ე არ ვეჭვობ!
- მ ო უ რ ა ე ე—თუმცა არ ეჭვობ, მაგრამ ბოდიშს მაინც მოვიხდი.
- ბ ე რ ი—მაგდენ ბოდიშით თუ ეჭვში მაგდებ,  
მაინც არ მინდა ცუდი ვიფიქრო...
- პ ა რ მ ე ნ—მაინც ბოდიში!
- ბ ე რ ი—კმარა-მეთქი!

(ზარბაზნს რეკა. ზარბაზნის სროლა.)

გველი სალომეს ოანი იყო...

(შემორბის გ ო რ გ ე)

- გ ო რ გ ე—დედა! მამა! აჩქარდით! პარმენ, წადი...  
მეფეც მობრძანდა!  
მე უკვე გავეც განკარგულება: დაკრან ზარბაზნი  
ზარბაზნის სროლით სალაშს აძლევენ.  
დედაჩემო! მეფე მობრძანდა!





ს ა ლ ო მ ე — უი, რა უცბად! უი, მზე ბნელი  
ჰეი, ბიჭებო! ჰეი, ქალებო!  
შვილო გიორგი! რა გვეშველება,  
რომ მამაშენი შეუძლოდ გახდა?

გ ი ო რ გ ი — როგორ, შეუძლოდ...

ს ა ლ ო მ ე — აჲაჲ... აჲაჲ...

წადი შენ, შვილო, შენ დახვდი მეფეს!  
დიდ სასტუმროში მიიპატიე... და მეც ახლავე...  
მოურავო, გესმის, აქ მოდის... მოსულა კიდევც...  
ვანც ჩემთვის... გესმის? ასე რიგად სასურველია!

მ ე ო თ ხ ე ს უ რ ა თ ი ა

იმივე ოთახი.

ლევან ლხინა და სიმღერა. ხანდაზმით ზარბაზნის სროლა. მსახურთ ხილი, ღვინო და სანოყიფე  
მიაქვთ. მ ო უ რ ა ვ ი ხედება ს ა ლ ო მ ე ს).

მ ო უ რ ა ვ ი — ქალბატონო სალომე! სტუმრები დასტოვეთ?

ს ა ლ ო მ ე — სხვები არიან და გაართობენ!

შენთან მინდოდა.

ვგონებ სტუმრები ლხინს სიამით შეექცევიან!

მ ო უ რ ა ვ ი — პაპუნა თითქოს მოლხენით არის!

ამბობს: ბარაკონს არ დაეტოვებ, ვიღრე არ ვნახავ

მის ბატონს სრულად განკურნებულსო!

ს ა ლ ო მ ე — იგი ცბიერობს!.. და სულ სხვას ფიქრობს...

რაღაცას ჰყვოსავს მეძებარივით.

(ისმის ზარბაზნის სროლა სამჯერ).

მ ო უ რ ა ვ ი — აგერ, ახლა კი წინაპრების სადღეგრძელოა,

სამჯერ ისროლეს.

ს ა ლ ო მ ე — სუფრაზე დიდხანს არ დარჩებიან...

მეფე გრძნობს მეტად დაღლილობას, თუმცა არ იმჩინებს...

მ ო უ რ ა ვ ი — დიახ, შევნიშნე, თითქოს ძილმა თავი წაართვა.

ს ა ლ ო მ ე — თავისწართმევა ძილისაგან არაფერია...

არა ძილისგან... გამიგონე!

ახლა ზალე აიშლებიან!

და როგორც გითხარ:

მეფეს მიუჩენ სპარსულ ოთახს. მას იქ სხვა დროსაც

დაუძინია! ამ ღამესაც იქ მოისვენოს

და მოისვენოს საშუღამოდ! ხომ გესმის, პარშენ!

მ ო უ რ ა ვ ი — დარწმუნებული ბრძანდებოდე.

ს ა ლ ო მ ე — ჩუ, ვიღაც მოდის!

(ათვალაურებენ)

ეროვნული  
გენერირთქან.

მ ო უ რ ა ე ი — არაინ არის.

ს ა ლ ო მ ე — კარგად გაზომე...

მის მხლებლებს სხეები უღარაჯებენ...

მ ო უ რ ა ე ი — მენდე შენს ერთგულს...

ს ა ლ ო მ ე — და შენი ჯილდო მომთხოვე შემდეგ...

ახლა წადი და მარჯველ იყავ!

(მ ო უ რ ა ე ი გადის)

მე კარგად ვიცი, რასაც ვაქეთებ...

იყოს როსტომი წინააღმდეგი...

თუ ის მოიკლა, სხვა თაყვანი და აზნაურნი

ველარ შესძლებენ... ვერც გაბედავენ

როსტომს დაუწყონ მეტოქეობა.

იღარც ლევანი დასჭირდება მას მოკავშირედ:

ერთი იქნება, მხოლოდ როსტომი!

მაშინ შეილებსაც უზრუნველყოფს თვითგულს ცალკე.

(შემოდის როსტომი. ფეხზე ქოშები, პერანგზე ტოლობო წამოუსხამს, წითელ საცელის ამარა)

როსტომ?

როსტომ — აედექ!

ს ა ლ ო მ ე — რისთვის ინებე, და თუ ინებე,

ჩევეცა შაინც!

როსტომ — იმერთა მეფის საკადრისად ვარ!

ს ა ლ ო მ ე — აა! კარგად, კარგად მოგიფიქრნია!

(შემოდის მ ო უ რ ა ე ი)

მ ო უ რ ა ე ი — სტუმრები უკვე აიშალენ! მობრძანდებიან,

ხომ არ ინებებთ აქ მცირე სუფრას?

ს ა ლ ო მ ე — ეგ შენ იცოდე... ივარაუდე...

როსტომ — კარგია, კარგი, ახალი სუფრა!

მოგვიტა, პარმენ!

(ისმის: სამ წუხაროა, რომ მასპინძელი ავად ბრძანდება)

როგორც ბრძანდება, ისე ბრძანდება!

(შემოდის: სოლომონ, ბერი, პაპუნა, გიორგი და მეფის ამაღ).

ჩემ ძვირფას მეფეს! ჩემს ძლიერ მეფეს!

(აქებრდებიან)

პ ა პ უ ნ ა — როსტომ, შენ თითქოს შეუძლოდ იყავ?

შენს მზესა ვფიცავ, საუცხოო სანახავი ხარ!

როსტომ — დიახ, დიახ, საუცხოო პაპუნა წერეთელი!

თუმც ავად ვაყავ, მაინც კარგად ვარ!

ბ ე რ ი — (მეფის გასავიწყად) განა არ არის ეს მეფისთვის შეურაცხყოფა?

მ ე ფ ე — როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს!

როსტომ — მეფევე ბატონო!

ბედნიერი ვარ!

რომ ბარაკონში ამობრძანდი „ღარბაისლებით“.

პ ა პ უ ნ ა — კი ამობრძანდა მეფე თავის „ღარბაისლებით“

მაგრამ, შენ, როსტომ, უდიდესად პატივცემულმა,

შენ არ ინებე ლეკერწაში ჩამობრძანება!

- როსტომ—აი, კიდევ ურწმუნო თომა ჩვენს დროებაში  
 ხომ მოგახსენეს: შეუძლოდ გახლდი  
 მაშ საყვედური ზედმეტი არის...  
 „არ ჩამობრძანდი“!  
 მოხარული ვარ, რომ თვით მობრძანდით...  
 პარმენ! სად არის ახალი სუფრა?
- მეფე—ნუ შესწუხდები! ხეალ მოვესწრებით.  
 ხეალ მე საქმეც მაქვს... შენთან ბევრი სალაპარაკო.
- როსტომ—„არ ჩამობრძანდი“ ლეკერწაშიო,—  
 რა საჭიროა იქ ჩაბრძანება,  
 როცა მე მეფის ზრუნვაც ვიცი და მისი ზრახვაც?  
 და თადარიგიც დაეუბრე...  
 თქვენ თვით ნახავდით,  
 რომ ბარაკონის ციხის ირგვლივ ჯარი ბანაკობს...  
 ვიცი, ამ ჯარსა რა დღისთვისაც გამოვიყენებ.  
 და ჩემს მბრძანებელ მეფეს როგორც ვასიამოვნებ...  
 საჭირო არის მეფისათვის აი ეს ჯარი!  
 აი, ამაზე გინდ იმსჯელე, გინდ იოხუნჯე!
- მეფე—ხეალ, ჩემო როსტომ! ხეალ ვ-მსჯელებთ... აწ გვიან არის!  
 ჩვენი არ ვაპირებთ აქედან წასვლას...  
 დიანახლისო, სთხოვე თქვენს სტუმრებს...
- როსტომ—რა გეჩქარებათ! მოითმინეთ, ახალი სუფრა!  
 სალომე—არა, როსტომ, პატივი დასდე და ნუ აწუხებ...  
 დრო აღარ არის!  
 ვთხოვეთ ბატონებო! შედე ბატონს ჰსურს მოსვენება!
- მეფე—დიახ, სალომე!.. ღამე მშვიდობის!
- ყველანი—ძალი ნებისა!
- (სალომე აცილებს ყველანს გადიან)
- მეფე—ჩემო როსტომ, ჩვენ მარტონი ვართ!  
 როსტომ—დიახ, ბატონო!
- მეფე—ერთი მიბრძანე: პირდაპირ გეტყვი!  
 როდემდის ვიყვეთ გადასეტლნი?
- როსტომ—გადასეტლნი? ღმერთო, კი მომკალ!  
 მაგას რად ბრძანებთ?
- მეფე—ღმერთი არ მოგკლავს,  
 მაგრამ შენს მეფეს დიდად იმდურებ!
- როსტომ—მეფეს ვიმდურებ? ეგ წერეთლის ბრალდება გახლანეს!
- მეფე—მე მოგიწვიე ლეკერწაში და არ ინებე.
- (როსტომს ჰსურს უპასუხოს და ბორიალებს)
- ამბობენ: მტრებთან შენ კავშირი გაქვს...  
 როსტომ—კავშირი? მტრებთან?  
 მაგას ვინ ამბობს?  
 აღბათ მოსისხლე... ჩემი მტერია... არა, მეფეო!
- მეფე—ათის დღის წინათ ალითაშა შენთან ყოფილა,  
 კიკიან ფაშას თვით სწვევიხარ შენივე ნებით...

როსტომ—ღმერთმა დარისხოს... ენც ეგ გითხრა...

მეფე—მომითმინე... მე ეს არ მჯერა...

არა, გარწმუნებ! არც დაეიჯერებ!

როსტომ—ბატონო მეფე, აბა, ეგ რა დასაჯერია?

მაგრამ აეყია წერეთელი...

მეფე—მე შუაჯაცებს არ ეუჯერი!

აი, ხომ ჰხედავ, მე თვით მოველ,

გითხრა პირდაპირ, რაც მოხდა ჩვენში...

როსტომ—ბატონო მეფე, რა მოხდა ჩვენში?

მეფე—შენ კარგად იცი...

როსტომ—არაფერი, მე არ მოგიკვდე...

მეფე—როსტომ! მიცქირე! პირდაპირი კაცი მგონიხარ...

ყველაფერს ამას დაევიწყებ, ვფიცავ სამებას!

მე არ ვარ შურისმაძიებელი! შენ ესეც იცი!

ბევრჯერ მქონია შემთხვევა და... ჰო, იმას ვამბობ:

დღეს მე ვარ ქვეყნის სურვილების კისრადმტვირთველი,

ხვალ შეიძლება სხვა მოვიდეს და ვიდრე მე ვარ,

უნდა ჩემს ნებას, —ხალხის ნებას—დაემორჩილა,

გონიერება და საკეთე ამას მოითხოვს!

როსტომ, განსაჯე! აბა, რას ჰგავს ჩვენი ცხოვრება?

ისედაც მტრისგან აკლებული ჩვენი ქვეყანა,

გათიშულია, აღრეული, ვით უპატრონო!

და საქართველოს შეიღნი თითქოს გერები ვიყვნეთ,

ჩვენ შორის მტრობამ ის დაბადა, რომ რაქის ხალხი

სრულად მოსწყვიტა იზერეთის ღვიძლ ნათესაებს!

ერთმანეთშორის მისელა მოსელა აკვეთილია.

ძმა ძმას ვერ ჰხედავს, შვილი მამას...

და მწარე მტრობით შეგვეცვალა ტკბილი მოყვრობა.

როსტომ—ეგ დიახ, დიახ... წერეთელმა...

შეგვიყრა გზები...

მეფე—არა! ეს შენ ჰქმენ...

წერეთელი კი მხოლოდ ასრულებს ჩემს ნება-სურვილს.

შენ, როსტომ ჩემო,

დაქირავებულ ხალხს უსევედი მახლობელ სოფლებს...

აწიოკბდი, როგორც მტერი გვაწიოკებდა...

აჲ, ახლაბან კიდევ ერთი ჩვენი

სოფელი დაგირბევა...

როსტომ—მოუჩმახიათ! მოუჭორიათ!

მეფე—რაც მოხდა, —მოხდა! აკი გითხარ, ის დაევიწყეთ...

უნდა შეერიგდეთ, გამოენახოთ საერთო ენა!

როსტომ, მეფე გთხოვს, შენი მეფე! უნდა შეერიგდეთ!

როსტომ—დიახ, დიახ!

როგორც შაბრძანებ...

მეფე—არა! ბრძანებით მე არ მინდა გულს ვერც უბრძანებ!

მე მინდა ნებით შენი ნდობა და ერთგულება...

მე მინდა გული... იძულება არავეითარი  
 ამასაც გეტყვი, ჩვენს ქვეყანას გასაჭირი აქვს...  
 მჭირდება შენი დახმარება...  
 წარმოიდგინე, რომ ამჟამად მე მეფე არ ვარ,  
 არც შენ თავადი, ვართ უბრალო ორი ქართველი...  
 ჩვენი ქვეყანა იღუპება!  
 ჩვენ ძალგვხმს შეველა, მაგრამ არ ვშველით  
 (შემოდის სალომე)

სალომე—თუ მოისვენებთ, უკვე მზად გახლავს, მეფე—ბატონო.

მეფე—გმადლობთ, სალომე!  
 როსტომი! ამაზე ხეალ ვიმსჯელოთ საფუძვლიანად.  
 მაგრამ შენ რომ სთქვი:  
 თადარავი დავიჭირეო... მე ეგ მახარებს...  
 მომეცი ხელი!  
 (თვალეში აქვარდება)

რად გაცახცახებს?  
 გულის ელერანი მატყუებდეს, არა მგონია...  
 პო! ხეალ ვიმსჯელოთ! დამე მშვიდობის!

როსტომ—ძილი ნებისა!

სალომე—გაგვიტყენოს დილა კეთილი!  
 (მეფე გადის)

როსტომ—სალომე, იცი, გულში მწვდებოდა! რაღაცა იცის!

სალომე—ახლა შენც წადი!

როსტომ—აი, აქ, როგორ მესაუბრა გულში ჩაწედომით,  
 მისი თვალეზი ჩემს თვალეზს სწეავდენენ...

სალომე—როსტომ მამლებმა სამჯერ იყიველეს!..  
 წამოდი, როსტომ!

(გაყავს. შემოდის მოურავი).

მოურავი—დაღლილებს ძილმა წაართვა თავი...  
 მაგრამ თვით მეფეს თუ არა სძინავს?

უთუოდ რამეს მოვიმიზეზებ...  
 (ამ დროს გამოდის სალომე. მოურავს ანიშნებს „დრო არისო“ და გადის.)

მოურავი ოთახში შესვლას აპირებს)

არისტო, ჩვენი მწიგნობარი მართალს ამბობდა:  
 ყურის უკან სიკვდილი ზისო!

(შესული მოტრიალდება)

ვილაც ხმაურობს... მანდ რომელი ხარ?

(უცხად განდება გიორგი)

გიორგი—ეერავო! საით მიიპარები?

მოურავი—გიორგი, შენი!

გიორგი—დიახ, გახლავარ!

(დამბნას დახლის და მიიპარება. შემობრბის სალომე)

სალომე—როსტომ! როსტომ!

(შემკრთალს მურს დაიქვლოს. შემოდის როსტომი)

როსტომ—რა ხმაურია?... სალომე... მამ შენ? სალომე, მამ შენ?  
 არ დაიშალე? მერე, ვინ მოჰკლა? ვინ? ვინ?  
 იმათმა კაცმა? მამ ვინ? ჩვენმა?  
 არ შეიძლება ეს გაამელავენო...  
 მაშინ ხომ ჩვენ ვართ...  
 ოპ, სალომე...

სალომე—არა! ვილაცა...

უთუოდ თურქი!

როსტომ—ჰეი, ჩაქეტით ყველგან კარები...  
 ვილაცა თურქი შემოგვპარვია, ვილაცა თურქი!

(სალომეს მივარდა)

სალომე წადი! შენ აქ ნუ სდგებარ!

(სალომე არ მიდის. შემოდინ ძეფე, პაპუნა, ლორთქიფანიძე და სხვები).

პაპუნა—რა ხმაურია? სროლის ხმა იყო...

ძეფე—რა მოხდა განა! რა ამბავია?

როსტომ—კაცი მომიკლეს, მეფის ერთგული!  
 მუხანათობა ალბათ მტრებისგან!

სალომე—მან ზე წელან შემატყობინა,

ვერ გითხარ, რადგან ღვინში იყავით...

რაჰას თურქები შემოსევიან...

ალბათ ჩემს კარზე გარეწარი ვილაცა არის  
 და, ვეკვობ, სწორედ იმან მომიკლა, რადგან ეს იყო  
 თურქებისთვის საშიში მტერი!

მან საიდუმლო მათი იცოდა.

როსტომ—დიახ, ძეფე, მიტომ მომიკლეს.

სხვა რა ვიფიქრო?

სხვა ვინ იზამდა?

თქვენი ამალით უნდა ისწრაფოთ...

ალბათ თურქები იმერეთსაც შეესევიან...

უნდა ისწრაფოთ და გწამდეთ ჩემი,

აქ დავამარცხებ და შემდეგ ჯარით მოგეშველებით!

სალომე—ღმერთო მაღალო! შენ ჰფარვიდე ზეფე სოლომონს!

— — —

### მოკმედიბა მესამე

მეხუთე სურათი.

მეფის ღარბაზი.

(ვარეთ გამარჯვების სიმღერა)

დედოფალი—მარინე ჩემო!

რატომ ხარ, შეილო, დაღონებული?

მამა მოვიდა გამარჯვებული!

მარინე—ის, ის არ მოჰყვა!

რატომ არ იყო ის მამის გვერდით?

რატომ არ იყო?

დ ე დ ო ფ ა ლ — შენ გიორგიზე ჰნაღვლობ ასე? ნუ გინდა, შეილა!  
 ის იქნებოდა სხვა მეომრებთან!..

და ალბათ მოვა!

ასეთ დიდ ზეიმს უნდა მოჰყვეს შენი ზეიმიც...

ღროს გამოვნახავ და ზამაშენს მე გაეუშვლავნებ...  
 მამას მე ვეტყვი...

მ ა რ ი ნ ე — არა! არა! მამას ნუ ეტყვი...

(შემოდინა: მეფე, პაპუნა, ბერი, შეფიცულნი და მათ შორის გეგელია.  
 კათალიკოსი ლოცავს მეფეს).

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — მოგვეახლა ნათელი მზიარული,  
 რომელმან შთააგდო ჯოჯოხეთად ურჯულობა!..

დავითის მორჩი, ღვთით მტერს მორჩი

და იხარებდე, მეფე სოლომონ!

მ ე ფ ე — კეთილად ბრძანე,

და დღეის შემდეგ ეგ სიტყვები

წარწერილ იქნეს მეფის ბეჭედზე:

„დავითის მორჩი ღვთით მტერს მოვრჩი“

მოვრჩით... დიახ, თქმა აღვილია...

თითქოს მტერს მოვრჩით,

მაგრამ გულს მიღრღნის რაღაც ეპვი...

ჰო, არაფერი! არაფერია!

(მზიარულად)

პაპუნა ჩემო! ხეალაც, ზეგაც...

ხალხს შენ უნდა გაუმასპინძლდე...

უნდა ლხინობდეს ერი ჩემი გამარჯვებულნი!

პ ა პ უ ნ ა — ასეც იქნება, სვემაღალო, მეფეო ჩემო!

მ ე ფ ე — როდესაც ფაშას ბოლო მოვუღე,

ლევანი აღდგა და თათრის ჯარს მეთაურობდა.

ვინ მოჰკლა ლევან აბაშიძე?

ჩემს წინ წარმოდგეს!

სისხლი დაღვარა მან ბიძაჩემის!

ბ ე რ ი — შემოიყვანეთ! მეფეც ბატონო, მართლა ურისხდებით?

მ ე ფ ე — შენ როგორ ჰგონებ?

ხ მ ე ბ ი — აგერ, აქ არის!..

(შემოჰყავთ გეგელია)

გ ე გ ე ლ — მეფეც ბატონო...

მ ე ფ ე — მოიცა! შენ ხომ... ერთხელ...

ეს როდის იყო?.. ვიცი, ვიცი!

შეფიცულებმა რომ აპატიეთ.

ვგონებ გეგელა თევდორაძე ხარ!

ბიძა მომიკალ?

გ ე გ ე ლ — მე თქვენთან ყოფნა დამაწავლა ლორთქიფანიძემ!

მამლის ყვივლზე,

როდესაც ბერი წულუკიძე ეკვეთა თათრებს,

მამინ თქვენ მარჯვნივ შეუტრეთ, პაპუნამ მარცხნივ.



ერეკნული  
გინჯლირთხვა

შეიქმნა დიდი ფიცხელი ომი,  
ეს იყო ადრე გარიყრაყზე...  
თქვენი ამ დროს ფაშას უკვე შეხვდით! მიაგდეთ ცხენი  
და ერთის დაკერით ძირს გადმოაგდეთ!..  
შუერთა მტრის ჯარა... მაგრამ ლევანმა...  
მე არ ვიცოდი, თუ ბიძა იყო,  
ღიახ ლევანმა იწყო სარდლობა...  
თავს ის უყრიდა... ჩვენებს ზოცავდა.  
საინო, ჩემი ამხანაგი, ავგზავნე ხეზე  
და ვაძახინე: „ფაშაც მოჰკლეს! ლევანიც მოჰკლეს“..  
ამით მინდოდა გამხნელება ჩვენი ჯარისა.  
მართლაც გამხნევედა...  
ლევანს ესმოდა ხიდან ძახილი.  
ის ტოტზე გასულს დაეძებდა, ზოლო მე ლევანს...  
როცა ნიშანში ამოვიღე—გაეპარდა თოფი...  
და... ასე მოხდა...

მ ე ფ ე—მოჰკალ?

გ ე გ ე ლ ა—ცხენიდან ძირს გადმოეპარდა.

მ ე ფ ე—ბიძა მოჰკალ? ბიძა ლევანი?

გ ე გ ე ლ ა—მე თქვენი ბიძა არ მომიკლავს.

(უზოქებს)

მე მოვკალ მტერი, ქვეყნის ორგულის

მ ე ფ ე—(უცქერს) ყოჩაღ, ეაყაცო!

ითვლებოდე ჩემს რჩულ კაცად!

შენი სახელი შენს ნაშიერთ მიეცეს გეარად

და შენთვის ჯილდო!

კართუხუცესო, ისეთი ჯილდო,

რომ არ შეიღოს ჯერ არცერთს თავადს!

პ ა პ უ ნ ა—ეგ მე მომანდე...

მ ე ფ ე—მან კი... ვსგანაც იმედი მქონდა... როსტომ ბატონმა...

პ ა პ უ ნ ა—ღიახ, მეფეო!

მოგვატყუა მან ვერაგულად!

არცერთი კაცი არ დაგვახმარა!

არავითარი თურქი რაჰას არ შესევიან!

პირიქით, ვფიქრობ,

ჩვენი ამბავი მტერს აცნობა—და მიტომ იყო

მომზადებულნი დიდის ჯარით ხრესილთან დაგვხედნენ.

რის გამო დიდი

მსხვერპლიც გავიღეთ...

მ ე ფ ე—ღიახ, დიდი მსხვერპლი გავიღეთ!

პ ა პ უ ნ ა—ხოლო ვერაგი...

ისევე ზვიადად გადმოგვეყურებს ბარაკონიდან!

მაგრამ ყველაზე მეტს ეჭვს ჰხადებს, რომ იქ ყოფნის დროს

მისი ერთგული მოურავი იქნა მოკლული...

რა ვქნა, არ მჯერა, ვითომ იგი თათრებმა მოჰკლეს!

- მაშ რა ვიფიქრო?  
უთუოდ ღმერთმა რაღაც ხიფათს გადაგვარჩინა!
- მ ე ფ ე—რა ეპეებს აღძრავ? ხიფათს? რა ხიფათს?  
(აქცირდება)
- როგორ? მე ვიყავ მაშ განსაცდელში?
- პ ა პ უ ნ ა—შესაძლო არის...
- მ ე ფ ე—მაგრამ ვინ იყო ჩემი მხსნელი? არც შენ, არც ბერი...  
და არც სხვა ვინმე იქ ამალიდან...  
მაშ როგორ მოხდა?
- ბ ე რ ო—ბატონო მეფევე, მომიტევე, თუ მოგახსენებ!  
რა მიზეზია, რომ ერთს აფთარს, მთაში შეხიზნულს,  
ამდენ სიგლახეს აპატიებ და არ გვიბრძანებ?
- მ ე ფ ე—რა პასუხს მოსთხოვ ტყეში ნაღარს, ცაში მტაცებელს?
- შ ე ფ ი ც უ ლ ნ ი—(ერთხმად, მოულოდნელად. მეფე სახტად დარჩება)  
ჩვენ მოგვეც ნება, გავუსწორდებით!
- მ ე ფ ე—რა ამბავია? თითქოს შეთქმულხართ!  
გარეშე მტერთან ბრძოლას მოერიჩი და ახლა გინდათ,  
გინდათ ვეომო რაჰის მფლობელს? ერთს ბარაკონელს?
- ყ ე ე ლ ა ნ ი—გვიბრძანე მხოლოდ!
- მ ე ფ ე—განა არ იცით, ბარაკონი რა სიმაგრეა?
- ყ ე ე ლ ა ნ ი—გვიბრძანე მხოლოდ, ბარაკონი—ალარ იქნება!
- მ ე ფ ე—(ჩაფიქრდა) არა, ძვირფასნო! ჩემს ყმას ვეომო?  
ეს არც იქნება საკადრისი! და არც მოხდება!  
ძმა ძმას შეეკლა?  
ეს იქნება მხოლოდ სიმშაგე...  
უგუნურება...
- პ ა პ უ ნ ა—მაშ რას გვიბრძანებ, როცა ის ასე... საშიში ხდება...
- მ ე ფ ე—არა, საშიში ის ალარ არის!  
დიღხანს ვერ გასძლებს ბარაკონში ჩაკეტით იჯდეს!  
როსტომს არა ჰყავს, ვინც აქამდე ზურგს უმაგრებდა..  
ის მოვა თვისით!..
- პ ა პ უ ნ ა—რომ არ მოვიდეს და უარესი ცეცხლი გვაწვიმოს?
- მ ე ფ ე—თქვენ ნუ გგონიათ, ბრალს არ მგერიდეს, ან გულს არ მტყენდეს,  
რომ მას თავისი საქციელით ზიანი მოაქვს...  
იგი ოდესმე ამის გამო პასუხსაც აგებს...  
ღიახ, აგებს!
- პ ა პ უ ნ ა—ბოდიში, მეფევე!  
მართლაც დღეს არ ღირს მასზე ვიმსჯელოთ,  
მაგრამ თქვენ ბრძანეთ:  
პასუხს აგებსო.  
პასუხისგება არის ქვეყნად ათასნაირი,  
ათასნაირი თვით სასჯელიც მოიპოვება!  
მაგრამ ის, როგორც მოღალატე ჩვენი ქვეყნისა, —  
არის თუ არა ღირსი იმისა,  
რომ მიესაჯოს სიკვდილით დასაჯა?

(მ ე ფ ე სღუმს. გადახედავს დანარჩენებს)



მ ე ფ ე—მერე?

ბ ე რ ი—მე მოგახსენებ და მამატიე:

მისი მოსპობა ადვილი არის,

მაგრამ, მეფეო,

შთამომავლობამ უნდა აცოდეს,

რომ დაისაჯა იგი ქვეყნის ღალატისათვის!

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ღიახ, ღიახ! ღალატისათვის...

ბ ე რ ი—აი, ინებე! აქ დაწვრალებით

აღნუსხულია, ყველა მისი დანაშაულის

შთამომავლობა ამით გაიგებს...

გამოუტანე განაჩენი და სხვა ჩვენ ვიცით.

(მ ე ფ ე ქალაღს ათალიერებს, მკვდრული საჩუქე)

მ ე ფ ე—პაპუნა ჩემო,

იცო, ქალაღდშა რაც სწერია? შენც ადასტურებ?

პ ა პ უ ნ ა—ვიცი და კიდევ ვადასტურებ!

მ ე ფ ე—მამ ყველას აზრით...

ყ ვ ა ლ ა ნ ი—ის უნდა მოკვდეს!.. ის უნდა მოკვდეს!

(შემოდის მ ხ ლ ე ბ ე ლ ი)

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი—დიდხანს სიცოცხლე ჩვენს მეფე-ბატონს!

მ ე ფ ე—რაო, ყმაწვილო?

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი—გეახლათ რაჭას ერისთავი, როსტომ ბატონი

თვისი მეუღლით...

(საერთო ვაკვირება)

მ ე ფ ე—რაჭის ერისთავი?

პ ა პ უ ნ ა—როგორ? როსტომი?

ბ ე რ ი—ნუთუ მართლა თავის ფეხით?

ხ მ ე ბ ი—ეს როგორ აგხსნათ?..

—ვერაფერს მიეხვდი...—საკეარველია!..

უცნაურია!—თავხედობაა თუ სხვა რამე, ვერ გამოვიცა.

პ ა პ უ ნ ა—თუმცა, ღიახ...მეფე ჩვენი მართალს ბრძანებდა...

საკვირველი არაფერია...

ბ ე რ ი—(პაპუნას საიდუმლოდ)

მამ რას მიბრძანებ? როგორ მოვიქცე?

ცოცხლად შევაპროთ, თუ აქვე მოვკლათ!

პ ა პ უ ნ ა—მეფეს ადროვე!

მ ე ფ ე—შეხვდით ჩვენს სტუმრებს!

პ ა პ უ ნ ა—(კარებთან მისული)

მას დედოფალი შეხვედრია... მობრძანდებიან!

ბ ე რ ი—ახლა კი იგი ჩვენს ხელში არის...

(შემოდის: დედოფალი და მარინე, შემდეგ ამაღ. დედოფალი მოაცილებს

როსტომს და სალომეს. აქვია გიორგი და როსტომის შვირე ამაღ.)

დედოფალი—მობრძანდით, როსტომს!.. მობრძანდით, სალომე!

პ ა პ უ ნ ა—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონო როსტომ!

დედოფალი—მეფე-ბატონო, ჩვენთან როსტომი... თავის ცოლშვილით!

როსტომ—მოვესალმები, სწორუბოვარო გვირგვინოსანო!

მ ე ფ ე—როსტომს საღამო! ჩემო სალომე!



ს ა ლ ო მ ე — ჩემს თვალებს მუდამ ეხილოს შენი ბედნიერება!

მეფეო ჩვენი და მწყალობელი!  
 შენ იხარებდე მშვენიერი შენი მეუღლით!  
 მომენატრენით და უთქვენოდ მზე არ მზეობდა.  
 ბედნიერი ვარ, თვალი ჰხედავს თქვენს ნათელ სახეს.

ნ ე ფ ე — გმადლობთ, სალომე...

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (როდესაც მეფე მიესალმა)  
 უეთილად დამირჩი, ბატონო როსტომ!  
 ჩაპის ერისთავს დღეგრძელობას ვუსურვებ მუდამ!  
 პატივცემულო მანდილოსანო, გისურვებ კეთილს.

როსტომ — ეკ, ბატონებო! თემც ავად ვიყავ, მოსალოცად გამოვეშურე,  
 მოვისწრაფოდი, რომ თქვენს ზეიმს არ დავკლებოდი.

ს ა ლ ო მ ე — გულით ვილოცავთ გამარჯვებას ურწმუნო მტერზე!  
 თქვენი სამეფო ისე რიგად დააგვირგვინეთ,  
 ვით წინაპარმა თქვენმა, გურამ ბაგრატიონმა,  
 რომელს დაედგა ხელთუქმნელი, ძლევის გვირგვინი!

როსტომ — როგორც უბრძანა მაცხოვარმა მოციქულ პეტრეს:  
 კლდე ხარ და კლდეზე მსურს ავაგო ეკლესიაო, —  
 აგრეთვე თქვენ ხართ გმირობის კლდე და ხართ სიმტკიცე  
 ქრისტიანობის!

შევთხოვ განგებას, თქვენი მეფობის განაგრძოს დღენი,  
 ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

(მეფეს კვლავ მიესალმა, კალაზე ჰკოცნის, მეფე ზელს გაუწვდის, გოგონა  
 მეფეს ზელზე ჰკოცნის).

მ ე ფ ე — როსტომ ერისთავო! ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ  
 დმერთსა ვსთხოვ, ის შემასრულებინოს  
 შენთვის და ჩემი სამეფოსთვის,  
 რაცა მსურდეს და გულში მეღვას.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!

პ ა პ უ ნ ა — (სიჩუმის შემდეგ, მნიშვნელობით)

ამინ! ამინ!

(როსტომმა პაპუნას მნიშვნელობით გადმოჰხედა. შეკრთა. ოფლი მოიწმინდა.  
 სალომემაც იგრძნო მის თქმაში რაღაც საბედისწერო).

ს ა ლ ო მ ე — მეუღლე ჩემი მუდამ ეცდება,  
 რომ ღვთის შეწყვენით სიკეთისათვის  
 სამაგიერო გადაიხადოს!

პ ა პ უ ნ ა — სიკეთისათვის სამაგიერო  
 სიკეთე გახლავს,  
 პატიოსანო მანდილოსანო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ახლა მობრძანდით!  
 გამარჯვებულსაც, ბოდიშმოხდილსაც  
 შეერგოს ღვთის... გთხოვთ, ბატონებო!

პ ა პ უ ნ ა — აბა, მობრძანდით!

## მ ე ე ქ ვ ს ე ს უ რ ა თ ი .

იზიზი სცენა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

(სასახლში ღვინოა. მ ა რ ი ნ ე და გ ი ო რ გ ი).

გ ი ო რ გ ი—რაქაში ერთი ყვაეილია... ჰქეიან ლანდალა.

მ ა რ ი ნ ე—მარტო ერთია?

გ ი ო რ გ ი—ლამაზი არის, სურნელებით დამათრობელი!

მ ა რ ი ნ ე—ბაღში იზრდება?

გ ი ო რ გ ი—არა, მთაში! ძალიან შორს, თითქმის მწვერვალზე,

ზარდი ქურციკიც იქ ვერ აღწევს და ვერც ირემი...

მ ა რ ი ნ ე—მერე შენ ნახე? როგორ ნახე?

გ ი ო რ გ ი—ღიახ, მე ვნახე...

როცა ხარ ახლოს, გინდა მხოლოდ მას ერთს უშვირო!

როცა შორადები, მაინც თვალთ იმ ყვაეილს ჰხედავ...

ასეთი არის მომზიბლაეც, ნახი ლანდალა.

მ ა რ ი ნ ე—რად გაიხსენე შენ ის ყვაეილი?

გ ი ო რ გ ი—შენც იმას ჰგეგხარ!

მ ა რ ი ნ ე—ყვაეილს? ის ხომ მცენარე არის და უსულგულო.

გ ი ო რ გ ი—მშვენიერებით, სინაზით სავსე!

როცა ვარ ახლოს, მინდა მხოლოდ შენ ერთს გიშვირო,

როცა გშორადები, მაინც თვალთ მხოლოდ შენ გხედავ!

ამიტომ მინდა ეს საჩუქარი შენს ყელს ამკობდე...

მ ა რ ი ნ ე—ეს საჩუქარი? ეს ხომ... ეს ხომ...

გ ი ო რ გ ი—ჩემგან სახსოვრად!

მ ა რ ი ნ ე—შენგან სახსოვრად?

ეს ხომ დანიშნულს...

იცი, რას გეტყვი?

(იგონებს, რაღაც ჰსურს უთხრას)

ჰო...

ის ყვაეილი სხვამ რომ მოსწყეიტოს?

გ ი ო რ გ ი—თუ თვითონ ყვაეილს ის ურჩევნია!..

მ ა რ ი ნ ე—არ ურჩევნია...

მთაში მას ალბათ მნახავს ვინმე სხვა მონადირე.

ხელმწიფის ვაეი... მაშინ? რას იზამ?

გ ი ო რ გ ი—ეგ სახსოვარი თავდება არის,

რომ მას სიკვდილიც ვერ დამაშორებს!

მ ა რ ი ნ ე—აქეთ მოდიან! მაშ ასე!.. ჰო! გიორგი... იცი...

ხვალ დედოფალთან შემოიარე!

მასთან ვიქნები!

(მოულოდნელად აგოცა და გაეცალა, შემდეგ ისევ მობრუნდა)

გიორგი! დედოფალთან!

(ვარბის სიცილით).

გ ი ო რ გ ი—(დაიბნა, აენთო)

—„სხვა მონადირე... ხელმწიფის ვაეი“?



არა! არა! არ შეიძლება  
 გულში ჩამეკლო საბედისწეროდ!..  
 მაგრამ, როდესაც მამაჩემი ბედს შეურთავდა,  
 ითხოვა ზავი, მეფემ შეუნდო...  
 რალად იქნება საბედისწერო,  
 და ჩემთვის იგი მიუწვდომელი?  
 ხვალაც შევხვდები მას დედოფალთან...  
 ვეჭყვი ყველაფერს...

(მემორბის მეთოდე)

მეთოდე—გიორგი! გიორგი!  
 გიორგი—რა იყო, მეთოდე!  
 მეთოდე—მამა დაგეძებს! დედაც დაგეძებს!  
 გიორგი—რას დამეძებენ?  
 აი, მე აქ ვარ!  
 მეთოდე—უნდა წაგიდეთ!  
 გიორგი—მთვრალი ხომ არ ხარ?  
 რა დროს წასვლაზე ლაპარაკია!  
 მეთოდე—ასე სთქვა მამამ... ასე სთქვა დედამ!  
 წამო, წამო!  
 გიორგი—ნუ ბავშვობ-მეთქი!  
 მეთოდე—არა, დაგეძებს... აგერ მამაც და დედაშენიც.  
 (მემოლიან სალომე და როსტომი აღივებულნი)  
 როსტომ—გიორგი! შეილო!  
 სალომე—არ შეიძლება აქ დარჩენა, უნდა გავშორდეთ!  
 გიორგი—რა დაგეშართათ?  
 როსტომ—თვალეებით მკამენ... ისარს მიყრან...  
 სალომე—როგორმე უნდა ჩვენ თავს ვუშველოთ!  
 და, შენც გიორგი... აქ საფრთხე გელის...  
 გიორგი—პირიქით, მამას  
 შეფე აღერსით ეპყრობა და ყველაზე მეტად...  
 სალომე—ეგ აღერსია, რომ დაგლუპავს შენც, მამაშენსაც...  
 შეალო, ვერ იცნობ ამ პირმოთნე და ცბიერ გველებს.  
 გიორგი—ვიცნობ, ვიცნობ! შინაურებსაც, გარეშებსაც!  
 როსტომ—დედაშენი მართალი არის!  
 ჩამაფრებიან, როდის გამგლიჯონ!  
 სალომე—ხომ შენც დარწმუნდი:  
 შეფიცულებას მეთაური ლორთქიფანიძე,  
 ნახე, როგორის თვალით გიკეკრდა...  
 გიორგი—როგორის თვალით? რა მოგეჩვენა?  
 სალომე—იშვილს ჩუმად რალაც სატყვა ჩაუფუჩუნა...  
 წელან ვერ მიხვდით?  
 მეფემ რომ ბრძანა:  
 „რაცა მსურდესო და გულში მეღვას“,  
 ხოლო პაპუნამ დააყოლა: „ამინ! ამინო!“  
 ნუთუ ვერ მიხვდით?  
 პანაშვიდი გადაგიხადეს...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ — რას ამბობ, დედა!

რ ო ს ტ ო მ — ვიგრაძენ... მიუხედი...

მ ე თ ო დ ე — მაშ თუ ასეა, დროს რაღად ვკარგავთ?

წავიდეთ ჩქარა! გიორგი, ჩქარა!

გ ი ო რ გ — მეთოდე! გამეცალე!

ს ა ლ ო მ ე — მე გეუბნები! უნდა დაეტოვოთ!

გ ი ო რ გ — მე მზად, ვარ, მაგრამ... თქვენც მომისმანეთ...

თქვენ გეჩვენებათ კეთილი აუად

და ეს იმიტომ, რომ სვინდისი გისაყვედურებთ.

თქვენ ჰფიქრობთ ალბათ:

რაკი პარმენა იმ დამეს მოჰკლეს,

იციან მისი მოკვლის მიზეზიც!

(რ ო ს ტ ო მ ი და ს ა ლ ო მ ე შეკრთნენ, ერთმანეთს გადახედეს).

ს ე ლ ო მ ე და — რა სთქვი? ეგ რა სთქვი?

რ ო ს ტ ო მ ი

გ ი ო რ გ — არაეინ იცის, დამიჯერეთ, ვერც გაიგებენ პარმენის ამბავს!

ის საიდუმლო მხოლოდ შენ იცი და დედაჩემმა.

პარმენიც მოჰკლეს, სხვა ეინლა გასთქვამს?..

ფფიცავ... მერწმუნე, მამაჩემო... არაეინ იცის!..

ს ა ლ ო მ ე — რას ლაპარაკობს? ადაშიანო, რას ლაპარაკობს?

ან შენ რა იცი?..

გ ი ო რ გ — რომ მოჰკლეს იგი ოთახის წინ, როგორ არ ვიცი...

(რ ო ს ტ ო მ ი ზარდაცემული, ს ა ლ ო მ ე უარესად, ეჭვითმეპყრობილი გ ი ო რ გ ი ს აცქერდება).

ს ა ლ ო მ ე — ნუთუ? ო, დმერთო!

ეს ჩვენი შვილი...

ეს?

მან მე დამლუბა

და მასთან ერთად

ჩემი ოჯახიც!

რ ო ს ტ ო მ — რა გეპართება?

ს ა ლ ო მ ე — ეს? ჩვენი შვილი...

არა, არა! უნდა წავიდეთ,

მით უმეტეს, ახლა! ახლა! უნდა წავიდეთ,

რაც შეიძლება მალე! სულ მალე!

არ დამცხრალან შენს წინააღმდეგ...

და შენი სისხლიც შენი მტერია...

და როგორც გითხარ, შესთხოვე მეფეს.

— აგერ, უცქირე!

ლორთქიდანაძე აგვდევნებია...

თვალს არ გვაშორებს!

თითქოს ეპვიც კი აუღია, რომ გაცლას ცვილობით!

(გ ი ო რ გ ი ს)

უნდა წავიდეთ, და შენ, პირველმა, უნდა ისწრაფო!

ის არ მოხდება, რაც შენ გულში გაქვს.

არა! არა!



გ ი ო რ გ ი — თქვენ მიძულებთ!

რაკი ასეა,  
აქაურობას მე გავეცლები,  
მაგრამ ნუ ჰგონებ, რომ რაჭაში  
ფეხილა დაედგა. შორს! შორს თქვენგან!

რ ო ს ტ ო მ — შეჩერდი!

(ციორგის წინ გადაელობებიან რ ო ს ტ ო მ ი და სა ლ ო მ ე: ეუბნებიან: შეჩერდი, უნდა დაესწრო. სად მიხვალ?)

გ ი ო რ გ ი — (იყვირებს)

არა, არა!  
გამშორდით!

(ცადის. შემოდის ბ ე რ ი).

ბ ე რ ი — რატომ ინებეთ აბრძანება, როსტომ-ბატონო?

რ ო ს ტ ო მ — ცოლშვილთან ჰქონდა საუბარი... და არ დავმალავ...

მინდა მეფესაც მოვახსენო... კარგს იზამთ ბერი,  
მცირე ხანს სთხოვოთ!

ბ ე რ ი — ეს შეიძლება, რადგან სუფრა უკვე გათავდა

და ახლა მხოლოდ ტკბილ შაირებს შეექცევიან!  
აგერ, თვით მეფე და წერეთელიც!

ჩემს ჩაურევლად აგისრულდა გულის წადილი!  
მეც ნეტა ნატვრა ეგრე მალე მისრულდებოდს!

რ ო ს ტ ო მ — აი, დაესწარ ჩვენს საუბარს—აგისრულდება!

(შემოდინ მ ე ფ ე და პ ა პ უ ნ ა)

მ ე ფ ე — თავადო როსტომ და თქვენც სალომე!

რომ ველარ გნახეთ იქ ჩემს გვერდით, მე გულის დამაკლდა.

პ ა პ უ ნ ა — შენა ვალობა და შაირი გულის ახალისებს...

რ ო ს ტ ო მ — დიახ, კარგია შაირის თქმა, ხალისსაც გვაძლევს,

მაგრამ, თავადო, და თქვენც, ჩემო კეთილო მეფეც,  
მსურს მოვახსენოთ ერთი შაირი უკვე ნაცადის

კაცისგან თქმული!

მ ე ფ ე — სიამოვნებით მოვისმენ, როსტომ! ბრძანე... მოვისმენ!

რ ო ს ტ ო მ — დაებერდი, ჩემო მეფე-ბატონო!

თითქმის, რომ ბევრად უფროსი ვარ თვით პაპუნაზე!

აუადმყოფობაც მე გამიხდა ზშირი სტუმარი!

მერე ეს რაჭაც, მაღალ მთებში მტკიცედ ჩამჯდარი,  
ტეართია მძიმე...

განსაკუთრებით, როცა თოვლს დასდებს თითქმის ადღამდე,

ველარ ვახერხებ ზშირად ხლებას და თქვენს სამსახურს.

და ამის გარდა, რომ თქვენც იყოთ დარწმუნებული

და ჩემმა მტრებმაც ჩემზე ძვირი ველარ სთქვან-რა,

მეფეც ბატონო, გთხოვთ მიიღო ჩემი სამკვიდრო:

ციხე-სიმაგრე ბარაკონში...

ამბროლაურში... ონში... სევაში...

და, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც არის ჩემი

და რასაც ჰქვიან სამფლობელო ერისთავისა:



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აზნაურებით, თავადებით და გლეხკაცებით!  
სამავიეროდ, გთხოვ, მახლობლად მომცე მამული,  
რომ აქ დაელო ჩემს ცოლ-შვილში სიცოცხლის დღენი.

მეფე — უცნაურს ამბობთ!

სალომე — რატომ უცნაურს?..

არა, გარწმუნებ და ვადასტურებ.  
რაც არის ჩვენი და ჩვენც მასთან, — მეფეს ეკუთვნის!  
შენს ახლო ვიყოთ, ეს იქნება ბედნიერება!

როსტომ — მიიღე, მეფე! (უჩოქებს)

დარწმუნდნენ ჩემი მოძულენი, მტრობით საესენი,  
რომ მე ერთგული ყმა ვარ შენი და სიკვდილამდე  
ვიქნე ერთგული...

სალომე — გთხოვთ, შეიწყნარო როსტომის თხოვნა

დაგვედ პატივი, ნუ ეტყევი უარს!

მეც მუხლმოყრილი...

(მეფე ნებას არ აძლევს. აყენებს და შემდეგ პაპუნასკენ გაექანება)

მეფე — პაპუნა ბერი!

გესმით ნათქვამი?

ბერი — გონიერებას შთაგვაგონებს ღმერთი მაღალი!

პაპუნა — ალბათ ერისთავს ღმერთი ჰყავს შემწე...

სალომე — (თავისთვის)

შენ კი, ო, შენ კი...

(უნდა სთქვას: ბ ე ლ ე ბ ე ლ ი)

მეფე — (აყენებს როსტომს)

როსტომ! ჩემს გულთან!

მჯერა! მჯერა! რომ კაცის გული

სძლევს ყოველივეს და ბოროტი იგი არ არის...

აღამიანი სიკეთისთვის დაბადებულა...

ხომ ასე არის, ჩემო სალომე?..

ზადლი უფლისა დღეს ჩვენზე არის...

სალომე — დიახ, მეფეო, შენ იხარებდე,

როგორც ეს გული გამხარებია...

ბერი — (ჩუმად პაპუნას)

გადარჩა!.. მაინც გადარჩა...

მეფე — პატიოსანო, ერთგულო როსტომ!

შენთვის პირველი ვეზირობა მიბოძებია!

სალომე — დიდი ზადლობა... ქმრის მავიერ...

მეფე — შენს შვილს სარდლობა! მეთოდეს კი მდივანბეგობა!

სალომე — ბედნიერება!

მეფე — და საცხოვრებლად... საცხოვრებლად... იგი სასახლე,

წელს რომ გეგუთში განვაახლე... თამარ მეფისა...

მთელი სოფლებით... ყველაფერი, რაც საჩემოა!

ამას ჩვენ ხვალვე დაგიმტკიცებთ ხელის მოწერით!

როსტომ — დიდი ზადლობა მომიძღვნია, ბატონო მეფე!

სალომე — დიდი ზადლობა!.. გულუხეობათ გვაბედნიერებ...



ერყენული  
ზინლირთევა

ზე ფ ე—ხვალ პარაკლისი

რომ კიდევ ერთი გამარჯვება ღმერთმა მოიღო...

ს ა ლ ო მ ე —ეს გამარჯვება არის ზაღი მოყვასთა შორის

ზე ფ ე—რაღ ჩვენს ქვეყანას უფრო მეტად აბედნიერებს

ღიას, ძვირფასო, სალომე ჩემო!

ჰეი მასმინეთ!

ახლა მსურს ლხინი ჩემს მეგობრებთან...

ქვეყნის ერთგულ ნათესავებთან.

ღღეს მიხარიაან!.. მიხარიაან სხვა სიხარულით...

მეფე აგვისებთ ფილას ღვინით

ჩვენი როსტომის და სალომეს პატივსაცემად!

მიგვიპატიე, პაპუნა ჩემო! მიგვიპატიე...

მ ა პ უ ნ ა, რ ო ს ტ ო მ ი, ს ა ლ ო მ ე, მ ე თ ო ღ ე, გ ა ღ ი ა ნ

ბერი!

ბ ე რ ი—მიბრძანე!

მ ე ფ ე—მოდე ახლოს...

აი, ეს! წელან შენ რომ ვადმოძეც...

(ქალღს აწელს, ბ ე რ ი უღუნებოდ ათმევს)

სად აგინუსხავს დანაშაული,

რასთვისაც უნდა დასჯილიყო იგი სიკვდილით,—

დახე იგი!

ბ ე რ ი—ბატონო მეფე!

იქნებ ინებო და შევიცადოთ!

მ ე ფ ე—არა! დახე! დახე—მეთქი!

ამდენი ეჭვი, უნდობლობა კაცს გააგიეებს!

მინდა ვერწმუნო, მოვაშორო ყოველი ხინჯი...

ამიტომ... ვაძობ: დახე ახლავ!

(ბ ე რ ი მხვს და თან მეფეს თვალეში შესცქერის საყვედურით)

ბ ე რ ი—ბრძანოს უფალმა... აღარ დაგვკირდეს...

მ ე ფ ე—არ დაგვკირდება მას ეპატიოს!

ბერი ძვირფასო!

შინაურმა შფოთმა და მტრობამ

ყველა დაღალა...

მეც დამღალა... გესძის, ბერი, დიდად დამღალა!

მაშ მომეცით, მომეცით შეება,

რომ ჩვენი ძალა მოვახმარო ქვეყნის სიკეთეს!

ბ ე რ ი—(უჩოქებს) შენ იხარებდე სიხარულით ჩაუქრობელით!

მ ე ფ ე—ახლა კი ლხინი! სიძღერა! ცეკვა!

როგორც მე ვხარობ, მხარობდეს ყველა...

## მოკმედეზა მეოთხე


 ქართველთა  
 ლიტერატორთა

## მეშვიდე სურათი.

ყარღის წინ.

(გამზნდება პაპუნა წერეთელი)

ბერო — ბოდიში, პაპუნა! ბოდიში, ბატონო! ბოდიში, შეგანერეთ!

პაპუნა — ჰა? ბერი, შენ?

გზად მიმავალიც როსტომზე ვფიქრობ.

სულაც არ მიკვირს, რომ ფარ-ხმალა თვითვე დაპყარა,  
 მაგრამ ხანდახან ეჭვი მიპყრობს...

იქნებ ჩვენ ყველა,

და, ჩვენთან შეფეც, მოატყუა და თავს უშველა?

ბერი — გერ არ შემცდარა თქვენი ალლო და წინად გრძნობა!

პაპუნა — როგორ, თავადო? თქვენ რაღაც იცით...

ბერი — დიახ, გავიგე...

თქვენ მართლა მიხვდით... მან თავს უშველა.

პაპუნა — როგორ!!!

ბერი — აი, წერილი! თავადებით მასხარად გვიგდებს.

ამას გეწერს გზიდან...

პაპუნა — წამიკითხე, ღვთის ვულისათვის...

ბერი — „შენსა მოველ

და შევამკობ შენსა ტანადობასა,

შენი უდასტურობა არღვევს ბატონყმობას!“

პაპუნა — არა მესმის-რა!

ბერი — ჩვენს მეფეს სამგერ შურაეცხოფს ქარაგმულ თქმებით:

შენ ს ა მ ო ე ლ ო,

შენ ს ა ტ ა ნ ა ო,

შენ ი უ დ ა ო!

პაპუნა — აბა, რას ამბობ? მეფეს სწერს ზეგას?

ბერი — თქვენ მზეს ვფიცავ, უარესებსაც! აი, გასინჯე:

„ესე ასე არ იქნების ბასილა და კვირიკაო!

„ციხეს მართმევ, მანდორს მაძლევე, დავჯდე უნდა ვირიკაო!

„თუ მიპირობ ამოწყვეტას. აწ მობრძანდი, რალის ჰყოვნი?

„ციხე მიდგას ღალალ კლდეზე და ზედ მოკვრიოთ ბარაკონი!

„გემორჩილო, არ გახლაეარ ქაჯაია, შენი გერი!

პაპუნა — მეტასმეტია!

ნუთუ ოჯახურს ცხოვრებასაც ჰქირდავს უტიფრად?

ბერი — დიახ, დასცინის... შურაეცხოფს თვით დედოფალსაც!

რაკი ახსენებს ქაჯაიას გერს...

პაპუნა — ვაი სირცხვილო!

ბერი — რა ექნათ, პაპუნა?

პ ა პ უ ნ ა — რა ვქნათ? ჰო, დიახ, დიახ...  
 უხერხულია, მაგრამ მეფეს უნდა მოხსენდეს!  
 მაგრამ მე ვარჩევ  
 ჯერ ვინახულათ კათალიკოსი. გამომეც, ბერი!

მ ე რ ვ ე ს უ რ ა თ ი.

მეფის სასახლეში.

[ქარიან: მეფე, პაპუნა, ბერი და ფიცისკაცები. ბერი წერილის კითხვას ამთავრებს.]

ბ ე რ ი — გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია, შენი გერი!

ლ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე — საზიზღარია!

მ ე ს ხ ი — უთუ ასეთი უმადურობაც!

ა ვ ა ლ ი ა ნ ი — თავისაგდება, ყველას შერცხვენა!

მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე — ჩვენი სიგლაზე!..

ლ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე — დიახ, სიგლაზე, რომ ხელში გეყავდა და ვერ შეებოქეთ!

მ ი ქ ე ლ ა ძ ე და — გვიბრძანე, მეფეც, კიდევაც შექძლებთ!

მ ე ს ხ ი

მ ე ფ ე (ღრმად აღელვებული, გულჩამკედარი)

მე მას მივენდე... დაფუჯერე, რასაც ამბობდა...

და უფრო ადრე ბარაკონში მე თვით ვეახელ!

დანაშაული ვაპატიე, დანაშაული...

რად იგვიანებს კათალიკოსი? —

ის შესძლებს მხოლოდ... — ჰო, რას ვამბობდით?

მან ასე რიგად სიკეთისთვის გადაამიხადა?

რა ვუყოთ, ზოგი ცდილობს მხოლოდ სხვის დამცირებას...

და ვერ კი ამჩნევს, რომ თვით არის დამცირებული.

ბ ე რ ი — რაკი მას არ ჰსურს სიკეთე თქვენი, —

დაე, მიეზღოს ზღვევა! სისხლის უბედურება!

არც შეწყნარება, აღარც დაზოგვა!

პ ა პ უ ნ ა — მართლაც ფილა მოთმინების უკვე აივსო!

ბ ე რ ი — ბრძანე, მეფე!

ახლავე წავალთ ბარაკონში და ცეცხლს გავუჩენთ!

მ ე ფ ე — იყურე, ბერი!

წერილობითი შეურაცხყოფა

საწყენი არის, მაგრამ იგი პირადულია!

მე მას მრავალჯერ ვაპატიე ისეთი დიდი

დანაშაული, რაც ქვეყანას უბედურს ხდიდა!

პ ა პ უ ნ ა — რადგან გეგონა, ღვთის ხატება გონს მოვიდოდა!

ბ ე რ ი — ის არ ყოფილა ადამიანი!

მ ე ფ ე — ხიღისკარშია გამაგრებული...

ორივე მხრიდან სალი კლდე აქვს, მთლად მიუვალი!

ასევე არის თვით რიონის მისადგომებთან.

იქ ერთი კაცი ჩვენსას ათასს მოიგერიებს!

ვერ მივუყენებთ ჩვენ ვერც თოფსა და ვერც ზარბაზანს!

მათ კი ჩვენ ყველა ვეყოლებით, ვათ ხელის გულზე...

უქველია, მოგვაყენებს იგი დიდ ზარალს!

და ჩვენ შევრცხვებით,

შევრცხვებით ვინაჲ ჩემი ყმისგან, ეს არ იქნება!

პ ა პ უ ნ ა — მამ ეპატოთ?

მ ე ფ ე — არა...

რომ იგი უნდა დაემორჩილო,

ეს ცხადი არის, მაგრამ ერთს თავზედს

შევაკლა ჩემი ათასი კაცი, ეს არ იქნება!

ის, შეიძლება, ჩვენ არც შეგვებას!

გადაიხიზნოს და შეკრიბოს ოსეთის ჯარი!

მოიშველიოს ჩერქეზთ მთავარი...

სვანეთის მთავრის მძაბალი გახლავს

და აფხაზეთის შერვაშიძეც შეილობილია!

ყველა ესენი ჯარს ათხოვებენ.

და ყოველ კუთხით შფოთს აგვიტებს, საშიშს, შემზარავს,

დაგვაღრევიანებს მოძმეთა სისხლს... და საეჭვოა:

ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ დაგვაშარბებს!

კლდეში შემძვრალი, როგორც დათვი თავის სოროში,

დიდის სიფრთხილით გამოვიყვანო!

პ ა პ უ ნ ა — (მდაბლად თავს დაპხრის) გონიერულია!

ეს უნდა ისეთს კაცს მიენდოს... რომელიც შესძლებს...

მ ე ფ ე — შენ ზომ სთქვი წელან

კათალიკოსს ვესაუბრეო!

თუ კი დაგპირდა, რად არ მობრძანდა?

ივია სათნო, ღვთისნიერი ადამიანი.

მე მას ვუყვარეარ,

მე მან დამითმო ტახტიც და სკიპტრაც!

აი, ასეთი უანგარო ადამიანი

მოიყვანს როსტომს, სხვა ვერავინ! — როცა მოიყვანს...

მ ე რ ი — აგერ, უცქირეთ! დედოფალთან კათალიკოსიც!

პ ა პ უ ნ ა — ღმერთი გვიგზავნის!

მ ე ფ ე — ფრიად მახარებს...

(შემოღიან კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი და დ ე დ ო ფ ა ლ ი)

იოსებ, ძმავო! გვაკურთხენ, მეუფეო!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — გაკურთხოთ ჩვენმან მაკურთხებულმან!

იყოს მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა!

მ ე ფ ე — მობრძანდი ჩემთან!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — დედოფალს სთხოვეთ...

ხოლო მე აქვე ჩემს წერეთელთან!

მ ე ფ ე — თქვენო მეუფებავ!

(ადება პ ა პ უ ნ ა - ნ გვერდით, ხოლო დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ე ფ ი ს გვერდით)

განაგრძეთ საქმე საზრუნავი საოხად ჩვენდა!

მოგეხსენება, რომ როსტომი ორგული მყავდა,  
ორგული დარჩა, არ ეღირსა განოსწორება!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — თითქოს ამბობდით: გვესტუმრაო  
ზაფხულთხოველი, მონანებული?!

მ ე ფ ე — ის მონანება თვალთმაქცობა გამოდგა მისგან,  
მოულოდნელად დაჰკრა ფეხი და უკუ იქცა.

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — ალბათ თქვენ თითონ ბრალში აქნებით!  
მას თქვენთაგანი აწყენინებდა!

პ ა პ უ ნ ა — თქვენ იღლეგრძელეთ...  
ვისაც წყალობის თვალთ უცქერს ჩვენი ბატონი,  
რა უფლება გვაქვს, მას ვაწყენინოთ...

დ ე დ ო ფ ა ლ — მომიტყევით!

შენც მაპატიე, მეფე-ბატონო!

ნუ ჩამომართმევთ კადნიერებად!..

მართალი არის, ვერ მოიქცა როსტომი კარგად

და ამის გამო ნაწყენია მეუღლე ჩემი,—

მაგრამ ამ წყენას ნუ გააღრმავებთ.

დანაშაულის მთელს სიმძიმეს ნუ გადაიტანთ

მხოლოდ ერთს მხარეს... ჰქმენათ საქმე ღვთის მოსაწონი!

გამარჯვებულთა ქვეყანაში იყოს მშვილობა,

და იყოს გული კაცთმოყვარე, შემწყნარებელი,

აღსაესე მარად სათნოებით, ლობიერებით!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — ნათელი გული მეტყველებს შენით, შენ ჩემო რძალო!  
რომ ყველაფერში დამნაშავე როსტომი იყოს,  
და მას არ ჰქონდეს თვისი წყენის რაზე მიზეზი,  
ვერ დამარწმუნებთ...

თქვენში. ზოგაერთს გამკილავი ენა აქვს მწარე!

ისეთი მწარე, რომ ხანჯალზე უმეტეს მკვეთრობს!

თქვენ ეს მიზეზი გამონახეთ და თქვენი შემწე

ღმერთა იქნება...

მ ე ფ ე — მე გულით მინდა შევირიგო! მსურს ჩამოვაგდო  
ჩვენს შორის სიტკბო...

რომ მოვიდოდეს, შეინანებდეს,

მე მას ყველაფერს ეაპატიებდი!

მსურს მიუღწეო მოციქული, რომ ჩემს მოციქულს

ას ენდობოდეს, მისი სჯეროდეს...

დ ე დ ო ფ ა ლ — მეფე-ბატონო, მახარებ დიდად...

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — შენი განზრახვა ღვთიურია, ბრწყინვალე ფრიადი!  
და ნუთუ კაცი ვერ გამონახე,  
აახლო როსტომს?

მ ე ფ ე — ვის გამოენახე?

აქ ვისაც ჰხედავ, არცერთს მათგანს ის არ ენდობა...

კ ა თ ა ლ ი კ ო ს — ეგ უნდობლობა სახარბიელო არ არის თქვენთვის...

პ ა პ უ ნ ა — უმეტერებისგან ვართ შეცდომილნი ცხოვრების გზაზე  
და გვაპატიეთ, თქვენო მეუფეებ!

დ ე ლ ო ფ ა ლ ი — თქვენ თუ იყისრებთ, თქვენო მეუფებაე!  
მადლიც იქნება, სულის ცხონებაც!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — დედოფალო, საღვთო საქმეა!  
ვახსნათ ცხოვარი გზადაბნეული!

თუ თქვენ გულწრფელად გსურთ შერიგება,  
თუ გსურთ მშვიდობა მეზობელთ შორის  
და ძმასთან ძმობა,—

სამსახურისთვის მე მზად ვახლავარ...

იყოს უფალი ჩემი შემწე, რათა შევიძლო  
და შევასრულო სანეტარო მეფის სურვილი,  
მხოლოდ მომეცი, მეფეე ფიცი, რომ არაფერი დაუშავდება...

რადგან მეც უნდა მას ფიცი მივცე ჯვარზე, ბარძიშზე.

მ ე ფ ე — ეფიცავ, არ მოვკლა

და მას მოვექცე მე საარაყოღ!

ეფიცავ მე სამგზის!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ამინ! გფარვიდეთ ღმერთი მალაღი!

### მ ე ც ხ რ ე ნ უ რ ა თ ი .

ი ა შ შ ი ლ ი ს ბ ი ნ ა ზ ა .

(ს ხ უ ლ ა ძ ე , პ ა პ უ ნ ა , ბ ე რ ი , ფ ი ც ი ს კ ა ც ე ბ ი და მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი . მ ც ი რ ე თ ო ვ ლ ო  
შოდის შემდეგ მატულობს).

ა ბ უ ლ ა ძ ე — იაშვილო! აბა, მზად იყავ!

წადი, შენ სუფრა გაამზადე...

პ ა პ უ ნ ა — ლორთქიფანიძე!.. შენ როგორ ჰგონებ?

რატომ დასჭირდა ორჯელ ხლება ჩვენს კათალიკოსს.

ბ ე რ ი — რა მოგახსენო, ბატონო ჩემო!

პ ა პ უ ნ ა — სანამ მეორედ არ ეახლა,

არ დაჰყვა ნებას...

ცხრა თვის წინათაც ფიცს აძლევდა სოლომონ მეფე,

მაშინ მან არ ჰქნა...

ბ ე რ ი — ვგონებ როსტომსაც გაუჭირდა და რაჰის ხალხიც

მეტად შეწუხდა, რომ მოსწყდა ბარს, მოსწყდა ქუთაისს...

თორემ მეც ფიცი,

მშრალ ქვიშაზეა დაწერილი როსტომის ფიცი.

პ ა პ უ ნ ა — შენ ჰგონებ, ხალხის გაჯარვებამ ის აიძულა?

ბ ე რ ი — და რომ ვიეჭვო სულ სხვა რამე, არ მაქვს საბუთი!

პ ა პ უ ნ ა — არა, მას გულში სხვა განზრახვა აქვს...

ბ ე რ ი — სხვა რა განზრახვა?

პ ა პ უ ნ ა — საშინელი!

ბ ე რ ი — საშინელი? თქვენ რას გულისხმობთ?





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

პ ა პ უ ნ ა — შენ ეს მითხარი: მასი გიორგი ახლა სად არის?

ბ ე რ ი — მისი გიორგი რაქას აღარ მიჰკარებია,  
რაცხან როსტომმა მეფე დასტოვა...

ზოგნი ამბობდნენ: აფხაზეთში გადიხეწაო,  
ხოლო ზოგნი კი — სამეგრელოში.

თუ შეიძლება და გენდობით... რა განზრახვა აქვს?

პ ა პ უ ნ ა — ეხ, ჩემო ბერი ლორთქიფანიძე...

შენა ხარ ჩემი გული და გრძნობა,  
ჩემი სინდისი, ჩემი სიმტკიცე...

და რატომ ეკვობ, არ გენდობოდე?

და რომ გენდობი, ეს გააკეთე:

შენ ახლავ წადი აქვე ახლო მესხის ბინაზე.

იმასთან ერთი შეპყრობილი უცხო კაცია,

როცა ყველანი თავს მოიყრიან,

ივარაუდე,

ის კაცი შეფეს წარმოუდგინე.

ბ ე რ ი — ნუთუ როსტომი მოდის ჩვენთან მზაკერულის ზრახვით?

პ ა პ უ ნ ა — მერე გაიგებს!..

აბა ისწრადე!

(ბ ე რ ი ვაღის)

ამბობენ, თითქოს როსტომს ვმტრობდე პირადი ზრახვით,  
თითქოს პირადი ანგარება მამოქმედებდეს!..

ეს ქორი, თვითონ როსტომისგან გაერცელებული,  
ზოგს თვალს უბრმავებს!..

შენ უწყი, ღმერთო,

ვზრუნავ მხოლოდ ჩემი ქვეყნისთვის,

დავიცვა იგი გარეშე მტრისგან!

ა ბ უ ლ ა ძ ე — აბა, ბიჭებო, როგორც ვითხარით...

აქ როცა მოვა, თავაზით შეხვდით!

(შემოდის შ ი ქ ე ლ ა ძ ე)

შ ი ქ ე ლ ა ძ ე — მეფე მობრძანდა!

პ ა პ უ ნ ა — აბა, პე, დახვდით!

(შემოდან შეფე, დედოფალი, მარინე, დოდო ბერიძე, ავალიანი და  
სხვები. შეხვედრის ცერემონია)

ყ ვ ე ლ ა დ ა მ ს ვ დ უ რ ი — დღეგრძელი იყოს მეფე სოლომონ!

ა ა შ ვ ი ლ ი — ჩემი სახლი ბედნიერია საშვილიშვილოდ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — იაშვილო, მე დიდად მომწონს

ასე შემკული კარმიდამო — ეს ბაღნარია...

ქებას ამბობენ თვით შენობის მორთულობაზე...

ი ა შ ვ ი ლ ი — დედოფალო, მოხარული ვარ...

აი, ანებეთ... გთხოვთ ნამგზავრებს... იქ მოისვენებთ...

(ყველანი გაიან, იაშვილის მიმართებით. ჩვენთან შეფე და პ ა პ უ ნ ა)

შ ე ფ ე — პაპუნა ჩემო! დავიგვიანე?

პ ა პ უ ნ ა — დროზე მობრძანდით!

შ ე ფ ე — მაგრამ როსტომი?



პ ა პ უ ნ ა — როსტომიც მოვა!

მხოლოდ მცველები დარჩებიან როინის ვაღმა  
მენავეები ჩასძირავენ როინში ნავეებს...  
ასეთი ხერხით აბულაძეს უმოქმედნია!

მ ე ფ ე — მაგრამ მისმინე:

წუხელ მთელს ღამეს არ მძინებია!

პ ა პ უ ნ ა — გეტყობა, მეფეე!

მ ე ფ ე — და გადაეწყვიტე, ვაპატიო, ხელი არ ახლონი..

პ ა პ უ ნ ა — რას ბრძანებ, მეფეე!?

მ ე ფ ე — დიახ, მე ვბრძანებ,  
იგი არ არის ჩვენთვის საშიში.

პ ა პ უ ნ ა — მეფეო, იგი საშიში გახლავს.

მ ე ფ ე — არა! არა!

მე რომ დავსაჯო ახლა იგი, ახლა, როდესაც  
ჩემს ფიცს მოენდო, ვერაგობა იქნება ჩემგანი  
ასეთის ქცევით ავიშხედრებ მის ნათესავეებს,  
დიდგვაროვანებს და გაგიჩენ ერთის მტრის ნაცვლად  
მრავალ ათეულს... არა-მეთქი! მე გადაეწყვიტე!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (ბრუნდება) მეფეე ბატონო, ალბათ მალე როსტომიც მოვა...

მ ე ფ ე და პ ა პ უ ნ ა — დიახ, დედოფალო...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ვერ წარმოიდგენ, გული რაოდენ მოხარულია...

გზაშიაც ვითზარ —

მოხარულია, რომ შეინდობ და აპატიებ...

ჩამოვარდება მყუდროება და სიტკბოება...

მაგრამ მე ერთი საადუმლო მაქვს...

და მხოლოდ ახლა გაგიბედავ... ახლა როდესაც.

(პ ა პ უ ნ ა ს აცქერდება)

პ ა პ უ ნ ა — მე ბოდიშს ვიხდი...

(პ ა პ უ ნ ა გადის)

მ ე ფ ე — გულდასმით გისმენ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა...

მარინე სწუხდა ერთ ყმაწვილ კაცზე...

მასზე ფიქრობდა...

მეც ვადასტურებ, ის ყმაწვილი ჩინებულაია!

თავდადებული, შენი საქმის მარად ერთგული.

მაგრამ მშობლების მეოხებით კმნილი უბედო,

მარინეც გრძნობდა, უწყალოდენენ ბედნიერებას...

გულით დარდობდა, ვნახე ჩემად ნამტირალევიც.

მე რა შემიძლო... ვაიმედე, ნუგეში მივეც.

მეფეე-ბატონო, ალბათ მიმიხვდის:

ჩვენ ქალს, მარინეს, გიორგი უყვარს...

მ ე ფ ე — მაგას რას ბრძანებ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — დიახ, ნიშანსაც ატარებს ქალი!

მ ე ფ ე — გიორგისაგან ნიშანს ატარებს?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — იმათ სოყვარულს შეუძლიან აღმოუხერას მტრობა  
თუ კიდევ რამე დარჩენილა... რას იტყვი, ჩემოა..

პ ა პ უ ნ ა — (შემოდის) მაპატიეთ!  
 როსტომის ვაჟი!  
 ეზოში ცხენი შემოაქვანა.

მ ე ფ ე — როსტომის ვაჟი?  
 დ ე დ ო ფ ა ლ — ნუთუ გიორგი?

პ ა პ უ ნ ა — დიახ უფროსი.

მ ე ფ ე — მობრძანდეს!  
 სჩანს სადაც იყო გაუგია და წამოსულა!  
 (შემოდის გ ი ო რ გ ი)

გ ი ო რ გ ი — მეფეე ბატონო! დედოფალი მოხარული ვარ,  
 რომ მე თქვენს კალთას ვეამბორებინ...  
 მე გზად მომავალს შემატყობინეს,  
 რომ აპატიეთ როსტომს — მაპაჩემს —  
 და იაშვილის ბინაზე მას ზეიმს უმართავთ...  
 არ აქვს საზღვარი ჩემს სიხარულს და აღტაცებას...

მ ე ფ ე — ადექ, ყმაწვილო!  
 მამა-პაპების დანაშაულს, ან წამხდარ საქმეს,  
 გამოასწორებს მომავალი ახალგაზრდობა!  
 დიახ, შევეუნდე მე მამაშენს და დღეს შემდეგ  
 იქნება ზაფხუ და მოყვრობა მოძმეთა შორის!..

პ ა პ უ ნ ა — ბრძანოს უფალმა...

გ ი ო რ გ ი — ბატონო მეფეე, თქვენც დედოფალი! გამოგიტყდებით...  
 მე მკვდარი ვიყავ, დამარბული ცოცხლად მიწაში...  
 დღეს შენმა საბრძანებ, სულგრძელობამ ფრთები შემასხა  
 და ეს ცხოვრება შემაყვარა, ვიდრე მიყვარდა.  
 დიდად აფასებ ადამიანს და მის სიცოცხლეს  
 და შენს ქვეშევრდომს უფროხილდები მამობრივ ზრუნვით.  
 მიტომ შეუნდე ჩემს მშობლებსაც...

პ ა პ უ ნ ა — შენ სხვა კაცი ხარ...  
 ვერ აიტანე შენ მშობლების აუგი საქმე,  
 გაიქეც საღვინე...

გ ი ო რ გ ი — ბიძია ჩემო, მეც მაპატიე და ჩემს მშობლებსაც!

პ ა პ უ ნ ა — ვგონებ მოდიან!..

ყველას თავის გზით, შეილო ჩემო, ღმერთმა შეუნდოს და აპატიოს.

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — მობრძანდა როსტომ ერისთავი...

(შემოდის როსტომი შეილებით. მეორე მხრით შემოდის მ ა რ ი ნ ე და მ ე ფ ე ის  
 ანა)

პ ა პ უ ნ ა — აა! როსტომ ჩემო! ძლივს, ჩემო როსტომ!

როსტომ — შეილო, გიორგი!

მ ა რ ი ნ ე — გიორგი!

გ ი ო რ გ ი — მეც ვხარობ თქვენთან!

როსტომ — მეფეე ბატონო! შენს წინაშე დამხობილი ვარ,  
 მაილე ჩემი ერთგულება ამიერიდან.

მ ე ფ ე — გისურვებ მარად ბედნიერებას.

როსტომ—დედოფალო, თქვენს სათნოებას მდაბლად ქედს უგუნჯო  
სად იყავ, შეილო!  
არ მოველოდი, რომ ჩემს შვილსაც თქვენთან ვნახავდი...

(პაუნსა)

მე იმედი მაქვს, დაივიწყებ ყოველგვარ წყენას...

პაპუნა—ძველი წყენა რა სათქმელია,  
თუ ეღირსები ახალ სიხარულს!  
როსტომ—ღიახ, ღიახ, ახალ სიხარულს...  
დაკარგული შვილიც ვიპოვე...

(თავისთვის)

ჩემი კაცები იგვიანებენ  
რა დაემართათ?

პაპუნა—რაკი ჩვენთან ხარ, შეგვეცვლება წყენა სიამედ!  
ხომ ასე არის? გეეჭვება?

როსტომ—ბატონო, მაგას რად ბრძანებ?  
შვილო მეთოდე,  
ჩვენი კაცები? ჩვენი მცველები?

პაპუნა—როსტომ, მცველები რისთვის გპირდება?...  
მცველ სპირდება დამნაშავეს, უფრო თავდამსხმელს...

როსტომ—ისე, ბატონო... იგვიანებენ... თორემ მე სხვაფრიც...  
კათალიკოსის წმინდა ფიცი საწინდარია...

პაპუნა—არა, როსტომ, მართალს არ ამბობ!  
შენ გულში ისევე მზაკვრობაა, მეფის ღალატი!

მეფე—წერეთელო!

როსტომ—მეფე ბატონო, აი ეს ხალხი  
ერთმანეთს მუდამ გვაძულებდნენ, დღესაც ასეა!

პაპუნა—არა იყო რა უმიზეზო, რასაც ვიჭმოდი  
და ვერცა რამეს უმიზეზოდ გაგიბედავდი!  
მოდინარ ჩვენთან, ვითომ გულით შენანებული,  
მოსისხლესთან კი შენ შუამდგომლობ...

(ყველას გაკვირება)

რომ შერჩეულ დროს ვალესილი მახვილი ჩაგვეც!  
აბა, უცქირე!

ბერი, მოიყვ!

ხომ იცნობ ამ კაცს?..

როსტომ—(ზარდაცემული) ეგ... ეგ...

პაპუნა—ოსმან-ალი...

ოსმან—შემოპყრეს... ყველაფერი იცის პაპუნამ.

პაპუნა—(ოსმანს) სთქვი, თუ სიცოცხლეს  
აფასებ შენსას.

ოსმან—როსტომი სწერდა... ჯარს სთხოვდა სულთანს...

მე გამომგზავნეს თადარიგისთვის...

და თან წერილიც გაზომატანეს...



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

პ ა პ უ ნ ა — აი წერილი!

ოცი ათასი თურქი უნდა შემოეყვანა  
და ტყვედ შეეპყრო ზეკარზე მეფე!

მ ე ფ ე — უმადურო! ვერაგო როსტომ...!

გ ი ო რ გ ი — ოხ, მამაჩემო!

ერთხელ შევიძელ, აგარიდე იქ, ბარაკონში  
გეარის შერცხენა და ლალატის შავი განზრახვა,  
დღეს აღარ ძალმიძს...  
ამ უკანასკნელ საქმეთა გამო  
აი, მიიღე ჩემგან მადლობა...

(დამბახას დაიკვს. ყველანი შეერთნენ. როსტომმა წამოძახა: „შვილო“)

მ ა რ ი ნ ე — გიორგი!

გ ი ო რ გ ი — მამაჩემო!

შენ არ გიყვარდა არც შენი შვილი, და არც სამშობლო.  
შენ ჩრდილში ვჩანდი მეც მოღალატედ  
და მშობლიური მოვალეობა მიძულებდა  
დუმბილს... ო, დუმბილს... მარინე!  
აი, დუმბილიც მოღის... მთხრის თვალებს...  
მაინც შენ გხედავ, ჩემო მარინე...  
ვხედავ, ყვავილი უცხოოდ გაშლილა,  
ჩემთან სდგას ახლოს...  
მაგრამ ხელებზე მადეეს ბორკილი...  
მძიმე... მძიმე... (კვდება)

მ ე ფ ე — როსტომ! როსტომ!

ეს მსხვერპლი შენი აგეაცობის ნაყოფი არის!  
გაიხსენე, შე ავაზაკო,

შენ ჩვენი ხალხს უცხოელებს საყლეტად მიეც.

შენ აქეზებდი, გეარი ჩემი მოესპოთ სრულად...

შენ მომატყუე ოპში ხრესილთან,

შენ მომატყუე, როს შეგინდე დანაშაული —

შენ დღესაც, წმინდა ფიცის შემდეგ, მახელს გვიმზადებ

და შენმა ქცევამ, ვერაგულმა, შეილიც იმსხვერპლა...

არა! შენს თვალებს არ უნდოდა ჩვენთვის სიყვეთ!

როცა ჩვენს თვალებს ტკივილისგან ცრემლი სდიოდათ,

ჩვენს მწუხარებას ვერ ხედავდნენ შენი თვალბი...

მაშ დაეთხაროს, დაეთხაროს როსტომს თვალბი!

ა ბ უ ლ ა ძ ე — დაეთხაროს როსტომს თვალბი!

როსტომ — (მოტეხილი) ვაგლახ და ვაი შენ, ჩემო თავო!

(როსტომი შებოჭეს და მისი დანარჩენი შეიღებდა)

დ ე დ ო ფ ა ლ ო — მეფეც, მარინე! მას უშველეთ!

მან საწამლაფი...

მ ე ფ ე — შვილო მარინე! ჩემო ვოგონი, რა ჩაიძინე?!

პ ა პ უ ნ ა — მეფის ასულა...

მ ე ფ ე — რატომ ჰქენ, შვილო!?

შ ა რ ი ნ ე — არ შეიბრალებთ ის ერთადერთი...

არ შეიბრალებთ...

თქვენ შორის იყო ნათელის გულით  
და თქვენმა მტრობამ იმსხვერპლა იგი...

და გაგეცალათ...

მეც მასთან... მასთან...

აგერ, გიორგი! გიორგი ჩემო!

რატომ დამტოვე? შენი ფიცი რატომ გასტეხე?

ბაღში უცადე იმ ვარდის გაშლას...

და ბორკილები სიკვდილისა დაიდგე გულზე...

ჩემო რჩეულო, ის ყვავილიც არ გაიშლება...

შენი ლანდალა...

მ ე ფ ე — შეილო!

შ ა რ ი ნ ე — (აგონიაში, ნაწყვეტ-ნაწყვეტ)

სიკვდილმა შენი თავი წამართვა...

და აქ სიცოცხლე შე რაღად მინდა?

მამაე! დაგემარხე ერთ სამარეში...

ეს საჩუქარაც თან ჩაგვაყოლებთ...

(ცელება)

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ეხ, უბედურო! შეილო, მარინე!

ჩვენმა სიბავშვებმა, დუხჭირობამ მოგიღო ბოლო!

მ ე ფ ე — რად დაეისაჯე? რად! რად?

(ღრმადამწუხრებელი, ატირებული გრძნობით)

მისაყვედურე, შეილო მარინე!

შენც, შენც გიორგის მი-საყვედურეთ!

ო, საბრალო ვარ და უბედური...

დამნაშავე ვარ,

რომ ვერ ვიზრუნე შე თავის დროზე...

ან რა ვიცოდი?..

უნდა მცოდნოდა??

არა, არა ვარ გულთამხილაე!

უნდა მომესპო, ვინც კეთილს სპობდა

და რომ, ეს არ ვქმენ, შეეწირენით

მახინჯ ბუნების, ველურის ზრახვას

ორი უმანკო, ნორჩი სიცოცხლე,

იმედი ჩემი... მომავლის სხივი...

ვინ ჩამწვდეს კულში და მანუგეშოს?

არაეინ არის!..

უზენაესო! შენ შემოგვედრებ!

შე დაეისაჯე...

ხალხს მიეც შეება... მიეც მშვიდობა!

(დასასრულად)

## აპერიკელ ომისგამგალებს



აღმოაჩინეს! ჰპოვეს მიწა ჯერ ხელუხლები,  
შემოიტანეს აქაც თვისი მტრობა და შური;  
და შეესიენ, ვით წუნკალი, მშვიერი მგლები,  
ანაღ ქვეყანას ყაჩაღები ყოველი ჯურის.  
რაც ევროპიდან განიდევნა, იქნა გამობილი:  
— ნაძირალების, ბანდიტების, აშართა ხროვა.—  
გახდა ამ ქვეყნის ერთადერთი ბატონ-მპყრობელი,  
ერთ ძალად იქცა და სამშობლო თავისი ჰპოვა.  
სამასი წელი ანდომებდნენ ძალსა და ღონეს  
ინდიელების და ბიზონთა ჯოგების ელეტას;  
ჰგეშაედნენ ძაღლებს, ჰყიდნენ ზანგებს — უსიტყვო მონებს,  
არ დაულაღვს მათი ტვინი ფიჭრსა და ჰყერტას!  
ჰგეშაედნენ ძაღლებს, ჰყიდნენ ზანგებს ლორებთან ერთად,  
მახვილით ხელში ჰქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას,  
მაგრამ ხიბლავდა მხოლოდ ოქრო ველურ ოცნებას  
და მტაცებლებმა აღიარეს დოლარი ღმერთად!  
ვაჭრებს და ჩარჩებს, ავაზაკებს და კაცისმკვლელებს  
ტაძრები მხოლოდ ამ კერპისთვის უშენებიათ...  
დღესაც ეს კერპი მათ აცოცხლებს და ამეტყველებს,  
მათ სხვა სიწმინდე ყოველივე დავიწყებიათ.  
დიდი ოცნებით, დიდი გრძნობით, დიდი მხნეობით  
არ ანთებულან და აროდეს გაუხარიათ!  
დიად სულიერ საგანძურში კაცობრიობის  
მათ ღვთაებრივი არაფერი შეუტანიათ.  
და დღეს, როდესაც ჩვენ მოგვესმის მუქარის მსგავსი,  
მათი ჩხარუნი იარაღის და ღრიანცელი,  
როს განგსტერები, სიძულელით ჩვენდამი საესე,  
გეველინებთან, ვით ჩაგრული ხალხის დამცველნი,  
როს ამერიკელ „მწიგნობრებსა და ფარისევლებს“  
ხიბლავთ ოცნება გადალეკონ სამშობლო ჩვენი,—  
როგორც ყოველთვის, ბნელი ძალის გამომსახველებს,  
ჩვენ გავცემთ პასუხს მათთვის ცნობილ სტალინურ ენით!..  
ჩვენ მათ ვუჩვენებთ ამ უკედავი ენის თვისებას,  
ქარიშხლისებურ სიძლიერეს მისი ელერისა —  
ჩვენს სიამაყეს და დიდებას, გმირულ ღირსებას  
და ჩაუქრობელ ბრწყინვალებას ჩვენი ერისა!

28 მარტი 1948 წ.

თბილისი.

მოთა მამურობი

## ორი ლექსი



საბაპძის ძახილი

ქართლის მიწა ჩოხის კალთით დამქონდა,  
მისთვის ღამე მითევია თეთრად.  
ჰამადანაში შავი მერნით დავქროდი  
და ჩემს მკერდში საქართველო ფეთქავდა.  
მარჯვენა და ხმალი ერთად მიჭრიდა,  
წინ მიძლოდა ჩემი მიწის ხატება.  
განსაცდელში ჩაეარდნის თუ მიჭირდა  
მასზე ფიქრი ძალას მომიშატებდა.  
მაგრამ, როცა დაილეწა ბექთარი,  
ჩემის ხელით გადავტეხე მახვილი.  
ო, გული კი მანდ დავტოვე მფეთქავი,  
დაჭრილი ვარ, გესმის ჩემი ძახილი?  
ბევრჯერ შენთვის მკლავი მომიხვევია  
ნოსტეს ციხეზე! გწამდა ჩემი გმირობა.  
ბევრჯერ ციდან ჩემთვის მოგიხვევია  
ლრუბელი და დაგიფარავს ჭრილობა.  
დაისრული ორჯერ ცრემლით გაგშორდი.  
გამწირეს და მოღალატეს მადარეს.  
ჩემი ხმალი, სისხლიანი, ნაბრძოლი  
სამშობლოში არწივს გამოვატანე.  
მზე ჩაშოქრა, დავეცი და დაბინდდა  
არ შეღირსა საქართველოს ამბორი.  
მტკერის ხმა აღარ ჩამომესმის ნანინად,  
არც მცხეთა სჩანს და არც ჩემი სამგორი.  
მხოლოდ, ქარი არის სევდით მდაფნავი,  
გვერდით ძმები სისხლით შენაფიცარი.  
სხვა მიწაში მტანჯავს ჩემი საფლავი  
და ღალატით ჩანგრეული ფიცარი.  
აქ მიწაში სძინავთ, ვინც მზეს იცავდა  
ხმლის ვადაზე შეჰყინვით მარჯვენი,  
თურქთა მიერ მიტაცებულ მიწასა  
მტერმა გული დაუღაღრა ხანჯლებით.



თქვენ მოგვლით განახლებულ ქართლის ძეთ  
ჩვენი წმინდა შატბერდი და ხახული,  
თქვენ გეძახით, და ამ გადაძახილზე,  
გამიხსენეთ მეც შორს გადაშარხული.

ამომიღეთ, მთები გადამატარეთ,  
მკერდზე მწველი ამაცალეთ ისარი,  
ქართლის მიწა გულზე გადამაყარეთ,  
იქ წაიღეთ ჩემი კუბოს ფიცარი.



### როცა ლექსს ვწერ

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია  
საქართველო ჩირაღდანად მინთია.  
შავი ზღვიდან მოვარდნილი ქარი ვარ,  
ქობის ბუხრის ცეცხლის ნაპერწკალი ვარ,  
და ამ მიწას ეკოცნი როგორც მინდია.

დაცვარული ლოდები ვარ ვარძიის, —  
გელათიდან აფრენილი არწივი.  
მთაწმინდაზე საფლაგების მკოცნელი,  
გათანგული სიმღერით და ოცნებით —  
და ლერწმებთან ბულბულივით გაზრდილი.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,  
საქართველო ჩირაღდანად მინთია.

ლავეარდოვან ზეცას გადაეხვევი  
და ბალახებს დანამულებს ვემთხვევი,  
ვარსკვლავს მოვწყვეტ, ავმღერდები ბელადზე,  
სტრიქონებში დაეწეებით მე და მზე —  
და რითმებში იშრიალებს ვერხვები.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,  
საქართველო ჩირაღდანად მინთია.

თვალწინ მდგას საყვარელი მიწა,  
ვარ მეზობტზე ამ ჩაუქრობ მზისა,  
თეთრი მტრედის აფეთქილი გული,  
მარტო ლექსი, მარტო სიყვარული —  
პატარაც ვარ, ამ სტრიქონის ხნის ვარ.

## შვილი\*

★

6.

შენ ამ მოსკოველ მოსწაველეს, ალბათ,  
ნახავდი, იყო წარბებგაშლილი.  
ნახავდი, ალბათ, სანგრის სათხრელად  
როცა გზაზენიდა მას კომკავშირი.  
პრესნის, არბატის, ცენტრის ყმაწვილებს  
როცა უძველესად მძაფრად გულები,  
როცა ქუჩებზე ომანიანად  
შიმღეროდნენ საზარგულები!  
შიმღეროდნენ: საყვარელ ქალაქს  
რომ შეუძლია მშვიდად იძინოს,  
რომ: დიადია სამშობლო ჩვენი,  
რომ მტერმა ტყვია ვერ აიცილოს...

შენ ადრე, ჩვენი ერთერთი შვილიც  
არ შეიძლება რომ არ გენახა, —  
შავი ზღვის პირად, ლამანშის ახლოს,  
სადმე, საერთოდ სადაც შენა ხარ.  
ან ქარხანაში და ან ბაზარზე,  
ან ხალხით სავსე წავთსადგურებთან,  
ის ცხოვრებაში გასელის იმედით  
ხალხის მღელვარე ზღვას გაჰყურებდა!  
ისურვებ განა? ახლო გაგეცნო  
მისი გულისთქმა ახალგაზრდული, —  
თუ? არც შეჩერდი, ვით გულშავეიწყი  
და ყოველდღიურ საქმით გართული?

არ გაიხსენე? რომ ის უმცროსი  
ერთერთ ჩვენგანის ღვიძლი შვილია, —  
დაბადებული აქ, სადაც სამტროდ  
ომის გრიგალი ფრთებგაშლილია!



იმჟამად უკვე იგი ჟანდარმებს  
პრალის ქუჩაზე მიჰყავდათ ძალით,  
ნაცემი იყო უკვე ბერგენში,  
აფრთოვნებული დროშების ალით!  
და ლამით, როცა იმისი თვალი  
გაიელვებდა როგორც სანთელი, —  
ფოთლებს კი არა — გაფიცვის ფურცლებს  
ჰფანტავდა ქარის კორიანტელის

მაშ მიეშველე! ვილაც ვერაგი  
კვალზე მიჰყვება მას გასაგშირად!  
შენ კი მიუსწარ, ჩასკიდვ ხელი  
ხილზე გასვლამდის, მდინარის პირად...  
და თუმცა შენი შვილი არაა, —  
დაძფარე მაინც იმისი კვალი,  
ეცადე მაინც, რომ ააცდინო  
დადევენებული ჯაშუშის თვალი...  
ო, იმ ჯაშუშის კლანჭებს სამსხვერპლოდ  
ჰყავს შთელი ქვეყნის ახალგაზრდობა! —  
ყოველ გაბედულ ნაბიჯს დაეძებს,  
და მან არ იცის კაცის დანდობა.

ისე ვით ძველად ბედგანწირულებს  
ჩემს შვილსაც ბედად დახედა ხანძარი  
და ცეცხლმა შთანთქა... ამიერიდან  
ის არის მხოლოდ ფერფლი, ნაცარი!  
სწუავდა ხანძარი როგორც ბიბლიას,  
როგორც თვით რწმენას მრავალწლობითა, —  
ის ხეზე ნახევრად ებრაელია,  
ნახევრად რუსი წარმოშობითა!  
ომის ქარცეცხლი შემოეხვია,  
როს გაახილა თვალი კეთილი, —  
იბრძოდა, როგორც იბრძოდა ყველა  
ბედი კი იყო გადაწყვეტილი...

მაშ ერთი წამით დაჯექე მის გვერდით  
და გაშლილ რუკას გაავლე თითი,  
დახედე წერტილს ყიზდრის მახლობლად,  
იქ, სადაც მიჰქრის ხანძარი დიდი  
მონახე ქვეყნად წერტილი ერთი —  
მისი დამწვარი გულის სამარე!  
გვიან მოვარდნილ ქარიშხლის ფრთებით  
თოვლი და მიწა გადააყავე!

ისევ და ისევ მე შენ მოგმართავ,  
არ გესმის? ნუ ხარ უხმო, უგულო...



კაცი ვარ, ჩემ შვილს ვერ მოვშორდები,  
 არ სჩანს და მაინც მინდა ვუყურო...  
 აი, აქა მყავს ჩემი ვაჟკაცი,  
 მოდი და ნახე ალერსი ორის.  
 იგი აქ სადღაც მზურვალედ სუნთქავს,  
 მე მას არ ვეძებ მოკლულთა შორის..

ნუ გააღვიძებ ის ხომ ბავშვია,  
 შენ კი განვლილი დრო ხარ ბებერი...  
 მას ძილში ესმის მხოლოდ მომავლის  
 გალობა სულის დამშვიდებელი.

## 7.

იწეა მთელი დღე, ფეხგაუხდელი,  
 თავს ვერ ართმევდა ძილს მოჭანცული  
 და საფეთქელიც უფეთქდა მძიმედ  
 გამხდარი, ღინღლებჩამოპარსული.  
 მახლობლად სუნთქვაც. მერიდებოდა,  
 შვილს დავცქეროდი ფრთხილად ზემოდან,  
 ვგრძნობდი, რომ ჩემი ბარტყი სულმალე  
 ამაყ არწივად აფრინდებოდა!

ადგა, ჩაიცვა ტანზე მხედრულად,  
 ღიმილით დამკრა ბეჭებზე ხელი, —  
 იფიქრა ალბათ: „რად შევეშფოთო,  
 ჯერ კიდევ ღამის გათევას ველი“...

უკანასკნელი ეახშამი იყო...  
 ვიჯექით დიდხანს, ესვით და ვიცინეთ!  
 ბოლოს: რატომღაც დადუმდა უცებ,  
 გამოუცნობი, ისე ვით წინეთ...  
 უფრო საამო და საყვარელი  
 ჩემთვის არასდროს ის არ ყოფილა, —  
 მაშ რად უკრთოდა ფერი ყოველწუთს,  
 რა სურდა? რა არ შემატყობინა?!  
 უჩანდა ცალმხრივ განათებულ  
 ყბა და მფეთქავი ძარღვი კისერთან...  
 ხმაგაკმენდილი საყვერელ მამას  
 თითქოს მიმზერდა და არც მიმზერდა!  
 „მივალ, მივდივარ...“ უსიტყვოდ ხოლმე  
 აღმოხდებოდათ ტუჩებს თითებთან,  
 თვალით ყოველწუთს ეძებდა საათს  
 და თან ყოველწუთს თვალს არიდებდა!



და აი, დადგა დრო განშორების, —  
 წყვილად აჰგერდნენ ჩვენი გულები!  
 დუმილში მხოლოდ მათი ხმა ისმის, —  
 ჩვენ კი ამ ქვეყნად არც ვეგულებით!  
 გუცქერი შეილს და ვერ გამიგია  
 თვალს რად მარიდებს, რად მიიჩქარის!  
 ეს რაა ახლა? წინ რა აღუდგა  
 ჩვენს მამაშვილურ სწრაფვას და ხალისს!  
 რად მეუბნება მოულოდნელად:  
 „— სჯობს, რომ შინ დარჩე, ნუ გამაცილებ,  
 უფრო ადვილად შევეთვისები  
 ჩემს ბედს უშენოდ, ჩემ ტოლ-ყმაწვილებს!“

დიდხანს გასტანა აქ ჩემმა ხეწიამ:  
 რვაზე დაიწყო ჩვენი კამათი,  
 ცხრამაც დარეკა...

რომ დავითანხმე,

ათს გვიჩვენებდა უკვე საათი...  
 და გავეშურეთ ვაგზლისკენ ერთად.  
 კვლავ ფეხაწყობილ ტოლებად ვჩანდით.  
 მხოლოდ ჩემს ყმაწვილს მცირე საგზალი  
 მხარზე ეკიდა სამხედრო ჩანთით.

მიიჩქაროდა როგორც მოსწავლე,  
 გადაეიარეთ გამზირი ფართო...  
 და აქ კი ჩემი ლეიტენანტი  
 ენახე, რომ მართლაც არ იყო მარტო:  
 კიბით მეტროში მოვხვდით თუ არა,  
 გვერდს ამოუდგნენ თანამგზავრები  
 და ხუთნი გაეხდით...

აჰა, ვაგზალიც! —

ისევ ცა ისევ მტრის ყუმბარები...  
 სახეზე თითქოს დამეცა წვიმაც...  
 თუ? არა!.. მგონი ღამით არ წვიმდა!  
 ეგ სულერთია, არ იყო შველა, —  
 ის წუთი მაშინ ისე მიმძიმდა!

ისე ჩავკიდეთ მჭიდროთ ხელი ხელს —  
 იტყოდით მუდმივ ქანდაკად დგანან, —  
 ურთერთს რამდენი დღით ვშორდებოდით,  
 მაშინ ნამდვილად ვიცოდით განა?!

აქ კი ცოცხალი თაიგულებით  
 უკვე რამდენი მკერდი შეფოთლენ! —  
 არტილერიის შკოლის ბარტყები



საყვარელ მოსკოვს ესალმებოდნენ!  
 ატყდა ჩოჩქოლი, გაღვივდა ღამე.  
 ორად ბაქანის კარიც გაიღო, —  
 ვაგზალზე მხოლოდ მიმოძახილი  
 და განშორების სულისიქმა იყო.  
 ნება არ გვექონდა ბაქანზე გასვლის,  
 და ავტორტმანდით გამცილებლები —  
 მოხვევებით, კოცნით ზოგწყდით ერთმანეთს  
 და უკანასკნელ თვალის შევლებით!  
 არა, უცრემლოდ ვერ აღწერს მამა,  
 წასვლის შემდეგაც ალბათ ამ სურათს, —  
 გამომიწოდა მან ისევ ხელი  
 და ჩამოვართვი ზეც ვაქეაცურად!

შვილს გაოგნებით ვეთხოვებოდი,  
 უსიტღვოდ, თითქმის თვალდახუჭული, —  
 ბოლოს მან დედა ახსენა, მახსოვს,  
 და ყურში ჩამრჩა მხოლოდ ჩურჩული...  
 ირგვლივ კი იყო ჩოჩქოლი, ღელვა,  
 ვაგზლის მიმქრალი ლურჯი ღამეები!  
 ხოლო შორს უფრო: ყრულ მოგუგუნე  
 ომის ცეცხლი და ომის ამბები...  
 იქ, საღვაც ბნელში ცის დასაველეთით  
 ბრძოლა თვითიველ წუთს აზხეცებდა,  
 ჩვენ მას წყვილიადში როდი ვეძებდით,  
 ბედად, ჩვენ იგი თვითონ გვეძებდა!  
 გვეძებდა ქროლვით დრო ბობოქარი,  
 თვალმოუვალი, ვრცელი და ურჩი,  
 ლურჯი შორეულ ღია ზღვასავეთ  
 და შეუცნობელ ცასავეთ ლურჯი!

ლურჯი ღამეების მკრთალ სინათლეში  
 როგორც ჩრდილები შორს მიმდინარათა, —  
 მოულოდნელად ჩემს თვალწინ შეილიც  
 გაპქრა, ტალღებში გაუჩინარდა.  
 ო, ჩემი პირშუო, ჩემი ვაქეაცი  
 აქ თერამეტი წლის წინათ მოსული, —  
 ზოშორდა ნათელ სიციცხლის ზეიმს,  
 რომ ნახოს ცეცხლი ბარბაროსული!  
 მახსოვს, შორს, ხელით რაღაც მანიშნა,  
 მაგრამ შორს ხალხის ღელვამ წაიღო! —  
 უკანასკნელად: ლურჯი სინათლე  
 ჩამრჩა თვალში და...

თვალის ბრმა იყო.

8.

რა არის ცრემლი? — წვიმაა. ველებს  
 აცოცხლებს გვალვით გადაღარულთა.  
 შეიღმა კი ცრემლი აკრძალა თვითონ, —  
 ჯარისკაცია, ცრემლი არ უნდა.  
 ჯარისკაცია? — არა. ამ სიტყვით  
 აქ მის ამოშლილ სულს ვერ მივწვდებით...  
 იგი ღეთის მიერ გაჩენილია,  
 ღეთისგაჩენილი? — არა. ჩვენ ვცდებით.

არა. ჩემი გზა შორია უფრო  
 და მას მიმალულ ღრუბელთა შორის  
 ამიერიდან ვეძებ წუთივით  
 მისაეწივებლად ცაში ასროლილს!  
 ის ყოველ წუთში შეიცვლის ელფერს,  
 რომ კვლავ დაბრუნდეს მიწაზე ცვარად! —  
 თუმც ყელგამშრალი ვიქოდა გზაზე  
 და ომის ცეცხლი მიაჩნდა არად.

ეგლისებოდა კბილებში მტვერი,  
 მტვერად იქცა მიწა გადაბუგული!  
 ის კი ვიქოდა ზაფხულის მზეში...  
 და დასძახოდა „გუ-გუს“ გუგული.  
 ნეტავ რა ჰანგი აგონდებოდა,  
 რით იშორებდა ყურთაგან გუგუნს, —  
 რომ ბედნიერი წელი მრავალი  
 გზად დაელოცა „გუგუთი“ გუგულს.

და როცა შემდეგ, მოულოდნელად,  
 სადღაც ფეხდაფეხ წყალი გასტოპა, —  
 ისევ ახედა ზეცას ღიმილით,  
 ეამა თვისი ახალგაზრობა!  
 ხოლო შინდორზე, როცა იმ ღამით  
 მიწვა ღრმა ძილით თვალდახუჭული,  
 შორს მიტოვებულ სამოთხის ტყიდან  
 „გუ-გუს“ ეძახდა ისევ გუგული...

ო, სული მისი ცად ისწრაფოდა  
 ვით ქვეყნად ერთი წუთის სტუმარი, —  
 რადგან ჩაუქრენ სანთელი ძალით  
 და აღშალეს თავსასთუმალი!  
 რადგან მოძულდა გზად გასაეღელი  
 დღის მტუნებარება და ღამის ნესტი —  
 განთიადისას აფრინდა ფრთხილად.  
 ძირს კი შინდორზე დასტოვა ნეშტი...

არა. ნუ ვცდებით, ნუ გვეშინია  
 თვით ჯაერის შავად ფრთებაშლილისა, —  
 ოცნების ნაცვლად, ვნახოთ პირისპირ  
 დე, სულთმობრძავი კენესა შვილისა!  
 როდესაც ქვიშას ზოკდა თითებით  
 და თვალდანისლულს უცებ იმედად  
 გულს გაუელვა:

„კელავ ცოცხალი ვარ!“  
 ხოლო სიცოცხლემ კი გაიმეტა...

როცა ის ეგდო ხმელ ბალახებში,  
 როცა ანაზღად მოსთიბა ცელმა!  
 როცა ერთბაშად ჩახედა თვალში  
 მთელმა ცხოვრებამ თერამეტმა წელმა.

ო, ფიქრო ჩემო! იტანჯე, სძლიე,  
 ყველა იმ თერამეტ წელს ჩააფრინდი!  
 ღათ ცოცხალ გზაკვალს გაჰყევე ჯიუტად,  
 რომ არ ჩამოდგეს თქვენ შორის ბინდი...  
 ომის ქარცეცხლით დანაცრებული  
 შენც განიფანტე ნიაქპარულად, —  
 რომ მოველინო ახალთაობას  
 მშობლიურ სუნთქვად და სიყვარულად!  
 სულო, არ ჩაქრე! — სიმაართლე შენი  
 ციდან შექივით აღწევს მიწამდე,  
 ამიერიდან ისწრაფე მხოლოდ  
 თქვა ყოველივე, რაც განიცადე...

... ვიწრო სანჯრიდან აფრენილ ვაჟკაცს  
 უნდოდა სული მოეთქვა ხარბად!  
 მაგრამ უმაღლე ტუჩები მისი  
 ბედითმა ტყვიამ დაფლითა აღბათ.  
 უცებ დაეცა ძირს მასთან ერთად  
 ქართით წახრილი ხეების რიგი!  
 მზეს თვალი მოჰკრა... და დაენანა,  
 რომ ასე მალე გაუქრა იგი!

უკანასკნელად, ელვის სისწრაფით  
 მოგონებები შეჰყარა წამმა, —  
 მიხვდა ჩემს ელდას და ჩემს ვაებას...  
 და შეეებრაღე მშობელი მამა.  
 დაღლილ მკლავებით ჩაეკრა მიწას  
 და მიწას ნაცნობ ხმად ჩაეწვეთა  
 მთელი სხეულის თრთოლვით ნათქვამი  
 უკანასკნელი ჩურჩული:

დედა!



9.

შენ ყოველ დილით, ყოველ წელიწადს  
 და საუკუნოდ ეძებ წვალეებით, —  
 ვიდრე ჯაერით არ დაბრმავდებიან  
 ჩალაძებული შენი თვალები,  
 ეძებ და ფერფლით გსურს აღადგინო  
 სახე კვლავ ღიმილჩაუქრობელი.  
 ო, შენ კი არა, ამიერიდან  
 თვითონ ის გახდა შენი მშობელი.

მოსკოვიც შენებრ მგლოვიარეა, —  
 ჩაბნელებულა ათასთვალება,  
 ამდენი ცრემლით, ამდენი გმინვით  
 შენს გულს გულისტქმით ეხმიანება!  
 ზას მუდამ ახსოვს ცეცხლი ღამეთა,  
 ზარი, განგაში, ხალხის წუხილი,  
 ციდან შრაპნელის გველური სტვენა  
 და შემზარავი ნგრევა-ქუხილი!

ჰაშ, დროა მხოლოდ შტრისძიების? —  
 შურისძიების, დიახ, ნამდვილად.  
 გადიქეც რისხვად! —

რომ შეილის გულმა  
 თვით ის სიკვდილი სძლიოს ადვილად!  
 დე, ომით დათხრილ დედამიწაზე  
 მოფრინდნენ ისევ გაზაფხულები, —  
 თქვენ ორნი მუდამ ერთად იქნებით,  
 ერთად იძგერენ თქვენი გულები!

არა! უთუოდ არ გაქვს უფლება  
 განმარტოებულ ყრუ ღწუხარების, —  
 ძირსდაცემულთა მძვინვარე სუნთქვა  
 სუნთქვაა ველზე გაშლილ ქარების!  
 არა! არ ითხოვს შენი ვაჟკაცი  
 მამაშვილურის აღერსით შეველას...  
 თავის ნაფლეთად ქცეულ სიცოცხლით  
 ის ბრძოლის ველზე მოუხმობს ყველას!  
 და მხნედ მოდიან სხვათა შვილები,  
 შემცველენი შენი სიყვარულისა, —  
 რომ აღსდგეს უფრო დიდი სიმართლე  
 ვინემ სიმართლე შენი გულისა.

## ო რ ი ბ ო ლ ო თ ქ მ ა

## 1.

დე, ცა და მიწა მისმენდეს  
 და საუკუნე მძვინვარი.  
 მისმენდეს, მითხრას, ამქვეყნად  
 ჩემზე მართალი ვინ არი?

მე აქ ხომ ერთი არა ვარ  
 ვით იოლოვა მწუხარე,  
 მაგრამ გულმტკიცე მოხუცებს  
 ცრემლი არ ვეახრჩობს მდუღარე!

კვლავ ესმით სარდლის ბრძანება  
 მინდვრებს მკერდგადაბუგულებს:

— ცეცხლი!

კვლავ:

— ცეცხლი!

კვლავ:

— ცეცხლი!

და შვილის გულიც გუგუნებს...

ფეხზე დგას შვილი ქვეყნისა,  
 თავდადებული მხედარი, —  
 სისხლი სდის კრილობებიდან  
 და შაინც ისევ მხნედ არი!

დე, ნუ ჩაქრება, ისმოდეს  
 ხმა ომში გამოსულისა..  
 დე, ნუ მორჩება, რა უშავს,  
 ტკივილი ჩემი გულისა!

## 2.

მშვიდობით, ჩემო თავლის სინათლევ,  
 ხარ წმინდა მსხვერპლი დიდი ომისა.  
 ამით ზთავრდება მოთხრობა ჩემი  
 მწუხარების და მარტოობისა!

მშვიდობით! უკვე ჰაერს არ სუნთქავ,  
 მაგრამ ხარ ჩვენგან გაურთიყავი...  
 შენ დარჩი ისევ თვრამეტი წლისა,  
 სწორედ ისეთი როგორც იყავი.

ო, თუ ჩვენ შორის გაივლის ქროლვა  
 საუკუნეთა მძაფრი ქარისა, —  
 შუქი შორითვე შემოგვანათებს  
 მაგ აღმოდებულ თავისქალისა!

მშვიდობით, შვილო! უკვე შენაზღე  
 ვეღარ აღწევენ მატარებლები!  
 მშვიდობით, შვილო! მძიმე სიზმარში  
 მხოლოდ ოცნებით თავზე გველები.

მე მესიზმრება შენი ბავშვობა  
 ცალ ასაფრენად ფრთებაშლილისა...  
 ამით მთაერდება მოთხრობა ჩემი  
 და თვით მოთხრობა ჩემი შვილისა.

თარგმანი კარლო კალაძისა.

## საინგილოში



ინგილოთა შესახებ პირველად ზაშინ გავიგე, როდესაც ათი წლისა ვიყავი. წავეიკითხე პატარა მოთხრობა—„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. პირველად ამ მოთხრობამ გამაცნო და შემაყვარა ინგილოები, მაგრამ შორეული წარსულის ამბავი დღემდე საამჟურ ზღაპარივით გულში ჩარჩენილი მქონდა. ენატრობდი მენახა საინგილო, ინგილოები, ჩვენი ძმები...

მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა... და აბავშვობის დროის ნატვრა ამისრულდა.

საინგილოს ევლახით გავეზგზავრე.

მკათათვის ბოლო დღეებია. ტიტველ მთებზე ვაი-ვაევალიხით ამოსული ბალახიც კი გადატრუსულა. ველ-მინდვრებზე მომკილი ყანების დარჩენილი დეროები ყვითლად ბზინავენ. უწყლობით გამოშშრალი მიწა ალაგვალავ დასვკდარა და ჩაქცეულა.

უკან მოვიტოვეთ პატარა სოფელი კარხინი, მერე ზალდანი. ეს სოფლები ამ გადატრუსულ მიდამოში მშვენიერ ბალნარებად მოსჩანან, მშვენიე ხეხილნარში სხედან და მკვეთრად გამოეყოფიან გარემო ბუნებას. გადავიარეთ თურუთის ველი, პატარა უღელტეხილივით აღმართული ნალბენდერას მთა. ახლოს ჩაეუარეთ სოფლებს სუჩიმს, დეჰნას, ჯაფარაბადს. თვალწინ გადაგვეშალა დაბალი, ბანიანი სახლები, მზეზე გამომშრალი აგურის კედლებიანი. შორს კი, კაბადონზე, კავკასიონის თეთრი მწვერვალები ბრწყინავენ მზე-

ზე... ეს იყო გზა და სანახაობა ევლახიდან ნუხამდე. ნუხის შემდეგ სულ სხვა ბუნება გადაიშალა. აღიმართა ტყიანი მთები, მშვენიე დაფარული ფერდობები და კაკლის ხეივნები. უკან დაეტოვეთ სოფლები— გენუხი, ბილაჯუგი და შევედი თ ყანიყობში— სისხლის ღელეში, სადაც იწყება კახის რაიონი აღმოსავლეთის მხრიდან. დღეს ორივე მხრივ კაკლის ხეთა შეფოთილი და მეტად სურნელოვანი ფართო შტოები გადაჰფენია, მშვენიე თალივით ადგას და მშვენიერ სანარდილობელს დამსგავსებია.

გავედი თ ქურმუხის ხევისაკენ. რიყედ ქცეული მისი კალაპოტი კილომეტრზე მეტი სიგანით გადაჭიმულა. თვით მდინარე მუდამ მღვრიე და შავი, ხან ერთ ადგილზე გაიკვლევს კალაპოტს, ხან მეორეზე. მძლავრად ეხეთქება ფართოდ გადაჭიმულ ხიდს, რომელიც რამდენიმე ადგილას გაუნგრევი კიდევ.

დაბა კახი, ძველი საინგილოს ერთი კუთხეთაგანი, გაშენებულა მთის მდინარე ქურმუხის ხეობაში. შეფენილია იგი კავკასიონიდან ჩამოწოლილ ტყეებით დაფარულ მთების კალთებში. კახს გადმოსცქერის ორი მაღალი მთა— ულუმშაში და ბალუდარი. ამ მთების ულან ტყეებში ჰერეთის დროის ქართველებივით სდგანან ძველთა-ძველი მუხები, რომელთაც საუკუნეებიც ვერ ანადგურებენ. სუბუქი ნისლი ქართულ ჰაეროვან ღეჩაქივით გადმოჰფენია მა-

ლალ მწვერვალებს. „ნისლი ფიქრია მთებისა“, — როგორც ვაჟა (ამბოხს... მართლაც თითქოს ჩაფიქრებულან ნისლმოხვეული მდუმარე მთები.

ბალუდარის წინა მხარეზე წამომდგარი ქურმუხის ეკლესია, მშობლიური ბუნების ფონზე დახატულ ლამაზ სურათს ჰგავს. ამ ეკლესიისავე მიმართება ფართო ბილიცი, მაღლობიდან კი მოჩანან ნუხის მიდამოები, შირაქის ველ-მინდვრები და ალაზანი. ალაზანი.. თურმე ალაზანს სხვა სახელიც რქმევია. ყანიხი უწოდებიათ ადგილობრივ მცხოვრებთ. ყანიხი ნიშნავს, სისხლიან ადგილს. ვინც მას მიეკარება სისხლს დაღვრისო. ამას ადასტურებს ავარიელ ლეკთა ცნობილი ისტორიული ხალხური ლექსი „ერეკლე მეფე და რაჰბადინ ბელადი“, რომლის ადგილებსაც აქ მოვიყვან:

— „ჰე, გაეჰანეთ ვაქცაცებო, იქით, ჭარისკენ, წითლად ვაქციოთ ლურჯი ალაზანი! მოეშადეთ, მეგობრებო, მთის იქით, ველებსაკენ, სისხლით შევლებოთ ურწმუნო საქართველო და ვერცხლზე გადაცვალოთ ლამაზი ქართველი ქალები“...

„სადაც შეეხო ჩვენი ხელი, იქ ტირილი ავარდა. სადაც დაიდგა ჩვენი ფეხი, იქ სისხლი დაიღვარა, შეიპყრეს ქალები თლილი თითებით, დაატყვევეს ყმაწვილები ნათელი სახეებით“.

მაგრამ ამ ლექსის ბოლო სტრიქონები უკვე გულსწყრომას გამოსთქვამენ ალაზანთან მათი ბელადების დაღუპვის გამო:

„ნუ თუ შენ მუსალ ადალაის-ძევე, მსგავსო ლომისა, ოქროს მავალითო, დარჩი შიგნით კახეთში?! ნუ თუ შენ, ნორჩო ლომო, ისალ მაჰაზა, დარჩი კახეთში?!... დაიქცეს ალაზნის პირი, სადაც შენ ბევრჯერ გიდავლია, გახმეს შირაქი, სადაც ბევრჯერ გინავარდნია!“..

მართლაც სისხლისღვრამ გაანადგურა ამ მშვენიერი კუთხის მოსახლეობა. მოკლედ გავიხსენოთ ის დიდი ტრა-

გედია, რომელიც შაჰ-აბასმა თავს დაატეხა კახეთს და განსაკუთრებით კახეთის სანაპიროს — საინგილოს. მუხომეტე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. უღმობლად ამოწყვიტეს მოსახლეობა, ასიათასი სული გადაასახლეს სპარსეთში. დღეს ფერეიდანში მყოფი ქართველები ხუციშვილები, ფოლადაშვილები, ზურაბაშვილები აქედან არიან წაყვანილნი. იმ დროიდან, სწორედ სამი საუკუნის განმავლობაში — 1616 წლიდან 1917 წლამდე, დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე, ყაჩაღური თავდასხმა, ზოცვა, ვატაცება და მონური მდგომარეობა ანადგურებდა საინგილოს. აქ ბატონობდნენ ავარლები და წახურელები, რომელთაც მოსახლეობა ნაშრომის ნახევარზე მეტს აძლევდა. სამასი წლის ვაებამ სიმღერაც კი გადავიწყა მათ და არც არის გასაკვირველი, რომ უკანასკნელ დრომდე ინგილოებმა არცერთი ქართული სიმღერა არ იცოდნენ. დაეწყებულ იქონდათ თავიანთებური, მშობლიური, ისეთი ტყილი მელოდები, როგორიც კახურ სიმღერებს ახასიათებს.

მაგრამ რამდენი მომზიბველი და საგულისხმო რამ შერჩენიათ ინგილოებს ძველი ქართული სიტყვა-პასუხიდან?!

მოხუც ინგილოს ვესაუბრები, ის ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისაა. მოდიმარი თვალით შემომცქერის. სიბერის ღარები მრავლად ამჩნევია, მაგრამ კმაყოფილება მაინც იხატება მის სახეზე.

— საიდან მობრძანდებით? — შევეკითხე მოწიწებით.

— მეშაბაშით მოვდივარ... თქვენ საკეთღეითა?

მე ვერ გავიგე თუ რას ნიშნავდა „საკეთღეითა“ და ჩემ მაგიერ უპასუხეს, რომ თბილისში ვცხოვრობ.

— ქართული არ იციო?

— რატომაც არა. მე ოთხ ენაი ვიცი

ვარ: ჩვენებურ ინგილურ, აისივ ქართული, თათრულ, ლეკურ, სხოჯურა ლეკურ. კაცმა რამთონ ენაიციის, იმთონ ადამიანის!

— გთხოვ ქართულად მელაპარაკოთ, რა გქვიათ თქვენ?

— ალავერდი.

სახეზე შემატყო რომ გამიკვირდა, ამიტომაც დინჯად და ტყბილად დააყოლა:

ჩემი სახელი ღვთისთა. ძველი წების მიხედვით საჯაროდ ალავერდის მეძახიან. ეს იმ დროიდან მოდის, როდესაც ქართველობა აკრძალული გვექონდა. ჩვენ ქართველობას გულით ვატარებდით. ქვეყნებში ჩუმად ზედაშეებს ვინახავდით, რომ ჩვენი ადამიანები შეგვესრულებინა.

სიყვარულით შევეცქეროდი მოხუც კოლმეურნეს ღვთისო თამაზაშვილს, რომელიც თითქმის ერთი საუკუნისაა. ის კოლმეურნეა, ახალ ცხოვრებას ეზიარა. გამრჯეა შრომისმოყვარული, რაც ინგილოთა თვინებაა. ის უელის ვენახს, აყენებს ღვინოს მას ხვნასა და მკაში არ უშვებენ უფრთხილდებიან. მთესველად კი გაჰყავთ. კარგი ხელი აქვსო, მისმა დათესილმა ყანამ უხვი მოსავალი იცისო.

კახის შუაგულ ქუჩით მიედევართ. წყაროებთან გვხვდებიან შავგვრემანი ინგილო ქალები, რომელთაც კოკა კი არ უდგათ მხარზე, ვერცხლისფრად გაკრიალებული მაღალი თუნგები ჰკიდიათ.

კახი ბალნარშია ჩაფლული. მშვენიერია იგი. ცენტრის გარდა მისი ქუჩები ბალნარის ორლობეებია. ზედ კაკლისხეთა მწვანე და სურნელოვანი ტოტებია გადმოფენილი. ყოველი სახლი ჭივთიერთ ნაგებია. ერთსართულიანია, მაგრამ მაღლობზე არიან შემდგარნი. მათი მაღალე აწოწოლავებული სახურავეები კრამიტით არის გადახურული.

საუბარში ღვთისოს ნახლქარს მიუახლოვდით. მოხუცი შექერდა და ქმადაბლა მომმართა: გინგლირთქან

— ჩემი სტუმარი იყავ!

— არა, გმადლობთ!

— დიახ, ძალიან გთხოვთ!

უკანასკნელი სამი სიტყვა ისე წარმოსთქვა, უარი ვერ ვუთხარი. თურმე არც შეიძლებოდა უარის თქმა, ინგილოებში ასე მიმართვა უდიდეს თხოვნად ითვლება.

ღვთისომ კარი შეაღო, პირველი შევიდა ეზოში და ჩვენსკენ მოტრიალდა. ვიდრე შემობრუნდა, კარი თავისით ოდნავ მოიხურა. ეს მას არ ესაიშოვნა. სწრაფად გააღო და დააყოლა:

— დიდად ნუ შემოწუხდებით!...

შესაწუხებელი არაფერი იყო, მაგრამ თურმე ასეთი გამოთქმა ძველი ქართული ბოდისის მოხდას ნიშნავდა.

მწვანედ მოფარდაგებულ ეზოში ბავშვები დარბოდნენ — ღვთისოს შეილთა შეილი შეილები.

— რამდენი შეილი გაყავთ? — შევეკითხე მოხუცს, როდესაც ბავშვებს გადაეხედე.

— მე შეილი არა მაქ! — მიასუსხა მოწყენით.

ჩაფიქრდი. მაშ როგორ უნდა ჰყოლოდა შეილთაშეილიშეილები?..

სულ მალე ამიხსნეს...

ინგილო მხოლოდ ვაჟზე ამბობს შეილი მყავსო. ქალს შეილად არა სთვლის. ამანაც ჩამაფიქრა და, როდესაც ამისი მიზეზიც გავიგე, წარმოვიდგინე ქართლის ცხოვრების ბრძოლებში განვლილი დიდი გზა. ძველად მხოლოდ იმ მშობელს შეეძლო ეთქვა შეილი მყავსო, \*ვისაც ვაჟი გააჩნდა, რომ სამშობლოს დასაცავად გაეგზავნა.

სასტუმრო ოთახში შევედი. ბინა სუფთად არის მოწყობილი. ფანჯრებზე თეთრი ფარდები, მაგიდაზე ქათქათა სუფრა, ასევე სუფთად გაწყობილი საწოლები. კედელთან მიდგმულ ძვე-

\* ჩვენებური, ინგილოური, იგივე ქართული.

ლებურ დაბალ კამოდზე ბრჭყეილებს საოკე. ღია კარიდან მოჩანს მეორე ოთახი. თაროზე, ბუხრის ერთ მხარეს აწყვეია სპილენძის ქვაბები და თუნგები.

სუფრაზე რქაწითელი განზდა. როდესაც ქიქები ქარვისფრად იღებებოდა, ღვთისო თავის მოყვანილ თამბაქოს ეწეოდა. მის ჭადარა თმას კვამლი ნისლივით ეხვეოდა. ჩამაფიქრებლად გამოიციკრებოდნენ მისი თვალები. განა შეიძლება ქართულმა კაცმა ღვინო შესვას და თავისი გულისტკივილი არ გამოსთქვას, საუკუნის წინანდელიც რომ იყოს ეს ტკივილი?!

— ჩემს სამშობლოში ფრთაშობე-ხილი მერცხალი ვიყავი მუდამ! — სთქვა ღვთისომ, — არც ყრმობაში და არც ახალგაზრდობაში ლაღად არ მიგრძენია თავი!

ალბათ კაცის გული ჰქონია ღვთისოს, თორემ რა გული აიტანს, თითქმის მთელი საუკუნე ერთი და იგივე ტკივილი გაწუხებდეს?!

— მთელ ვიყავ! — დამშვიდობების დროს მითხრა მოხუცმა.

დავიწყებას მიეცეთ ბნელი წარსული. თვით ცხოვრებამ აღმოფხვრა სიკვდილის ცელის მატარებელნი და ავადაც იხსენიებს მათ ხალხი.

მე მინდა ვისაუბრო ცხოვრების იმ ბედნიერ მხარეზე, როდელიც სიცოცხლეს აყვარებენ ადამიანს.

წალკოტია საინგილო, ძველთაგანვე ძვირფასი თვალ-მარგალიტი. აი, ამ კოლმეურნობაში, რომლის წევრიც ღვთისო თამაზაშვილია, ასოცი კომლია. სოფელს კახისთავი ეწოდება. მათ მარტო სახნავ-სათესი ფართობი ოთხას ჰექტარზე მეტი აქვთ. მოჰყავთ პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, თაბაქო, ბოსტნეული. მრავალგვარი ხილი. გაშენებული აქვთ ვენახი და თხილის მდიდარი ბაღები. კახ-ინგი-

ლოს სასოფლო საბჭოში რვა კოლმეურნობაა. ესენი არიან: მამისთისი, ალათემურის, მეშაშაშის, თოფელის, ჩაიყირალის და სხვა. მეტად ნაყოფიერია აქაური მიწა, უბრალოდ ძირს დაგდებული მარცვალი ხშირად თავისით ამოხეთქავს ხოლმე და რამდენიმე წლის შემდეგ მოუვლელადაც კი ნაყოფს იძლევა. სოფელ ზაგანში მე ვნახე კაკლის ხეებზე მაღლარი ვენახი. ამ ვენახისთვის არავეს არ მოუვლია. ის სულ ცოტა ოთხმოცი წლის მაინც იქნება. ისხამდა და ღვთისოც ისხამს ყურძენს.

ინგილო კოლმეურნეებმა იციან თავიანთი მიწის ფასი. დაუზარელონიც არიან. ჩაიყირალის კოლმეურნობის ერთი ბრიგადითაგანი გიორგი ფოლადიშვილი ცხრაშეტი წლის ძლივს იქნება, მაგრამ რა დარგის სამუშაო უნდა იყოს, რომ მან არ იცოდეს. ის დაუღალავად მუშაობს. ხუთას შრომადღებზე ჩაკლები არ გამოუმუშავებია მას.

სოფელი ქეშგუთანი კახისაგან ექვსი კილომეტრით არის დაშორებული. წინათ ეს სოფელი კახის ბინებს წარმოადგენდა. აქ ზაფხულობით ზოდითდნენ თავიანთ სახნავ-სათესის ფართობებზე და ბოლოს ცალკე სოფლად გადაიქცა.

შუაგულ სოფელში, უზარმაზარი კაკლისხის ტოტებქვეშ, მწვანე ბალახზე კოლმეურნე ქალები მოკალათებულან. წინ თამბაქოს ფოთლები უღაგიათ. თამბაქოს ანემსევაზე მუშაობენ. იქვე ახლო დგას კარგა დიდი ფარდული. კოლმეურნე ქალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სალომე ხუციშვილი და ქსენია გამხარაშვილი. სალომე შავგვრემანი, შაქთვალწარბა, ტაბიური კახელი ქალია, მოკრძალებული და კდემამოსილი, შრომა არ ეზარება, თითქმის ყოველგვარ სამუშაოზე გადის. უვლის სიმინდის ყანასაც, ვენახსაც და თამბაქოსაც. მას კახში შეიღწეული აქვს დამთავრებული.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

თვედორე ბაბაჯანაშვილი ფეხით ჩამოუვლის ხოლმე თავის კოლმეურნეობას, რომელიც სამ სოფელს აერთიანებს. ამ კოლმეურნეობაში გაერთიანებული სოფლები — ყიბურუ, ხარაბთალა და ქეშვუთანი ერთმანეთისაგან საშუალოდ ოთხ-ოთხი კილომეტრით არის დაშორებული. ამ კოლმეურნეობაში სულ ორზოცდაათი კომლია, მაგრამ სახნავ-სათესი ფართობი ოთხასსამოცი ჰექტარი აქვთ. მთელი ეს ფართობი აყვავებული ბაღნარია, მეტადრე შემოდგომის დამდეგს მეტად ძვირფასი სანახავია. ისეთი უხვი მოსავალი იცის, რომ ზოგიერთი მონახლე ხილის მოკრეფასაც ვერ ახერხებს. ხეზე შექენება ხოლმე ტუჩებდამსკლარი შავ-შავი ლვლი, ან თავისით ცვივა და ამკრეფი არა ჰყავს კაკლს.

ბედნიერებაა წალკოტში შრომა და ცხოვრება, მაგრამ ეს მაშინ თუ შობილური სიტყვა და ხმა გესმის. ის რაც სამასი წლის განმავლობაში აღმოფხვრილი და განდევნილი იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ დანერგა. საინგილოში კვლავ გაისმა შობილური ხმა, ქართული სიტყვა, ქართული გულის მელოდია.

კახისა და ინგილოური სოფლების ქუჩებსა და ორლობებში ხშირად გაისმის ხალასი ქართული:

— სალამი, მასწავლებლო!

ესენი მოსწავლე ინგილო ბავშვები არიან. ისინი მოწიწებით იხდიან ქუდს, ნათელ თვალებს ზოგანათებენ და როდესაც სალამზე პასუხს მიიღებენ, ქუდს დაიხურავენ და ალტაცებით გაუღებიათ გზას.

კახის რაიონში თერთმეტი ქართული სკოლაა. ათასსამასი ინგილო ბავშვი სწავლობს ამ სკოლებში. ბავშვებმა თავიანთ ოჯახში შეიტანეს ქართული წიგნი, ქართული სიმღერა, ზოგიერთი მივიწყებული ზნე-ჩვეულება. მოზარდი თაობა სიხარულით დაეწაფა სწავლას და „დედა-ენა“, რომელიც მათი

მამა-პაპისათვის ძნელად შესწავლომი იყო, დღეს როგორც ძველსა და ახალსა, ისე ნულქვარი განძი, მათი ოჯახებიდან განუშორებელია.

მე დავესწარი ერთი დაწყებითი სკოლის გახსნას. ამან ნათლად დამანახა, თუ როგორ მონდომებულნი არიან სწავლას, არა მარტო უფროსები, არამედ პატარა ბავშვებიც კი.

ეს იყო სოფელ ქეშვუთანში, რომელიც კახს ექვსი კილომეტრით არის დაშორებული. ბავშვებისათვის ძნელი იყო ამ სიშორიდან სასწავლებლად კახში სიარული, მეტადრე ზამთარში.

კახის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს პლატონ ბლუაშვილს ამ სოფელში ჯერ კიდევ გაზაფხულზე აღრიცხული ჰყავდა დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვები და აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში კახ-ინგილოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იროდ კაშიევილითან ერთად იგი ჩავიდა ქეშვუთანში სკოლის გასახსნელად.

თამბაქოს საშრობ ფარდულთან კოლმეურნეები მუშაობდნენ. ბავშვები შობილებს ეხმარებოდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვედორე ბაბაჯანაშვილი ვენახებს ათვალღერებდა. დაუძახეს მას.

— თვედორე, ქეშვუთანში სკოლა უნდა გავხსნა, — მიმართა მას ბლუაშვილმა.

— შენ პირს შაქარი, — სიხარულით წამოიძახა თვედორემ, — ოღონდ ჩვენი ბავშვები ვაახარე და საუკეთესო ბინას მოგცემ!...

ბავშვებმა გაიგეს, რომ უფროსები სკოლაზე ლაპარაკობდნენ და გარს შემოეხვიენენ.

— გინდათ სწავლა, ბავშვებო? — მიმართა თ ბლუაშვილმა ღიმილით.

— გვინდა, მასწავლ! გვინდა! — ერთ-

\* ინგილოები ხშირად აკლებენ და თანხმობით ამთავრებენ სიტყვას, ისევე, როგორც ფშავ-ხევსურეთში.



თი მეორის დასწრებით უბასუხეს ბავშვებმა.

— აბა, მაშ გავიქვციო და ყველა ბავშვი მოიყვანეთ აქ, — დაავალა მათ ბლუაშვილმა.

ბავშვები ნიავოვით გაქროლდნენ სხვადასხვა ზხარეს.

ოციოდე წუთის შემდეგ თექვსმეტი ბავშვი სიხარულით გაბრწყინებული სახით იდგა ბლუაშვილის წინ. მათ შორის იყო, პატარა, ექვსი წლის გონა დარიკო გამხარაშვილი, ორი ლეკი ბავშვი თერნაზ ქამალოვი და აბაქარ პასანოვი, ისინი სიხარულით წამოჰყვნენ თავიანთ ინგილო ამხანაგებს. მოწაფეთა სია შესდგა. მეორე დღეს სოფელში გაიგზავნა მერხები, წიგნები, რვეულები, ფანქრები და დაუნიშნეს მასწავლებელი.

სწავლის დაწყების პირველ დღეს მასწავლებელი ბავშვებს ურიგებდა „დედა-ენას“, რვეულებსა და ფანქრებს. ყველაფერი რიგზე მიდიოდა, ჰგონებდა ერთი ბავშვის მწარე ცრემლებმა გული აუჩუყა დამსწრეთ.

ეს იყო პატარა დარიკო გამხარაშვილი. ყველას გვარი ამოიკითხეს, ყველას მისცეს საყვარელი „დედა-ენა“, დარიკოს კი არ მისცეს იგი. ძალიან პატარა ხარო, ჯერჯერობით არ მიიღეს სკოლაში. და მას თვალთავან ცრემლი ჩამოუცივებდა. ძლივს დააწყნარეს პატარა გული. ეს მისი ცრემლები ცოდნისადმი წყურვილი იყო.

ერთი ზთავარი სიძნელეთაგანი, რომელიც საინჯილოს ქართულ სკოლებს წინ ელობებოდა, ის გარემოებაა, რომ მოსწავლეებს წმინდა ქართული ენა მხოლოდ სკოლაში ესმით. ამრიგად მოსწავლეებს ძლიერ მოკლე დროის განმავლობაში უხდებოდა ქართული ენის შესწავლა. ამას გარდა ნელს უშლის ის გარემოებაც, რომ სკოლების უმეტეს ნაწილში სამკითხველოები არ არის, ან თუ არის, წიგნების ძლიერ

მცირე რაოდენობით, როგორც სწავლის დღემდე ამაზე ძლიერად ვერ შეძლებულა. სასკოლო ბიბლიოთეკების გამდიდრება კი უდიდეს საქმეს წარმოადგენს.

ინგილოებს არ ახასიათებთ ქართველი კაცის მზიარული ბუნება. არათუ არ უყვართ სიმღერა და ცეკვა, არამედ არც ეხერხებათ. მე დავესწარი რაზდენიმე დაწყებითი სკოლის პირველი კლასის მოსწავლეთა თავისუფალ გაყვითლს. ბავშვები მუსიკაზე ტანის დაკერასაც ვერ ახერხებდნენ, რადგან ქართული სიმღერა იშვიათად ესმით. თუმცა შემდეგ კლასებში ცეკვა-სიმღერას უკვე შესანიშნავად ეუფლებიან. მეტად სასიქაღლო საქმე იქნებოდა თვითუფ სკოლაში თითო რადიომიმღები ჰქონოდათ, რომ თბილისის გადაცემების მოსმენა შეეძლოთ, არა მარტო მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებსაც. ეს იქნებოდა ახალი სიო მოსწავლეებისა და მოსახლეობისათვისაც. ისინი მოისმენდნენ მსახიობის მკაფიო ქართულ სიტყვას, ქართულ მუსიკასა და სიმღერებს, საბჭოთა მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს, ყველაფერი ეს ძლიერ აამაღლებდა მოსწავლეთა ცოდნას და შეიტანდა მათში ქართულ საბჭოთა კულტურას. ამისათვის საჭიროა ათითხუთმეტი რადიო მიმღები.

ამჟამად საინჯილოს ქართულ სკოლებში სწავლის საქმე კარგად არის დაყენებული. პედაგოგიური პერსონალი იბრძვის ყველა სიძნელის დასაძლევად. ამ მხრივ მათ ძლიერ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. შრომისმოყვარული ინგილოები, სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა და მოზარდი თაობა, ესწრაფვის ცოდნას — ისინი უნდა აღიზარდონ კიდევ ქართულ საბჭოთა კულტურაზე.

ლ. მორჩილაძე

## ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისათვის

★

გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთი-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მახვილი, დიდი კეთის პატრონი, ენციკლოპედიურად განსწავლული ადამიანი, შეუღარებელი პოლემისტი, ევროპელი ტიპის პუბლიცისტი, მჩქეფარი, დაუდგომელი ტემპერამენტის მქონე, დიდი პრაქტიკული მუშაკი — აი, როგორი იყო ნ. ნიკოლაძე.

მისი მოღვაწეობის ასპარეზი მართო საქართველო როდია. იგი იმავდროს მოღვაწეობს რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი). ნიკოლაძე თანამშრომლობს როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის პრესაში. იგი ეცნობა და უკავშირდება თავისი დროის ცნობილ ადამიანებს. ზოგ მათგანთან თანამშრომლობს და მეგობრობს, ზოგთან ცხარედ ბეჭდობს, ხოლო ზოგთან შეუთრეხებელ ბრძოლას აჩაღებს. ნიკოლაძე პირადად ეცნობა და მეგობრობს ჩერნიშევსკისა და მის ოჯახს, მონაწილეობს გერცენის „კოლოკოლიში“, ეკამათება ბაკუნინს, რჩევას აძლევს ლეი-ბლანს, თათბირობს მიხაილოვსკისა, ანტონოვიჩისა და კრივენკოსთან, საზღვარგარეთ მოლაპარაკებას ეწევა ლავროვსა და ტიხომიროვთან, თხოვნით მიმართავს, ტიერს, ეკამათობს ლორის მელიქოვთან, ეცნობა

პლევეს, მოლაპარაკებას აწარმოებს კარის მინისტრ ვორონცოვ-დაშკოვთან (ამ საუბარს ინკოგნიტოდ ესწრება იმპერატორი ალექსანდრე მე-111) დაუნდობლად ებრძვის კატკოვს, მეშერსკის და რეაქციის სხვა ბურჯებს.

ჩვეულებრივ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ორ პერიოდს აღნიშნავენ. პირველი პერიოდი 60—70-იანი წლები, ხოლო მეორე — 80-იანი წლებიდან. ნიკოლაძის აზროვნების ევოლუციის ამგვარი პერიოდიზაცია ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ყურადღებით განხილვა ნათლად დაგვანახვებს, რომ ნიკოლაძე როგორც სიკაბუქის, ისე მოზუცობის ყამს, არსებითად, პრინციპულად ერთიან შეხედულებათა მატარებელია. ზოგ მის ხანგრძლივ ცხოვრებას შეხედულებათა ერთიანი ძაფი გასდევს. რა თქმა უნდა, ნიკოლაძის შეხედულებებმა ევოლუცია განიცადეს. ეს ევოლუცია მარცხნიდან მარჯვნივ წაიღია. 60—70-იანი წლების ნიკოლაძის ბურჟუაზიული დემოკრატიზმი 80—90-იანი წლებში ბურჟუაზიულ ლიბერალიზმად იქცა. მაგრამ უკვე მაშინ, 60-იან წლებში, ნიკოლაძე აყენებს იმ ბურჟუაზიულ შეხედულებებს, რომლებიც შემდეგში, 90-იან წლებში პროგრამული სახით ჩამოყალიბდა.

წ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციის მაგალითზე ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიის ისტორიული გენეზისი და განვითარება, ნიკოლაძე ასახავს და თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ შრომებში რელიეფურად გამოხატავს ქართველი ბურჟუაზიის განვითარების გზას. 60-იან წლებში ჩვენში კაპიტალიზმი მხოლოდ ის-ის იყო ისახებოდა და პირველ ნაბიჯებს სდგამდა. მაშინ ჯერ კიდევ არ სჩანდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიის იდეოლოგები მთელი ხალხის სახელით გამოდიოდნენ, ფეოდალიზმის ნაშთებს ებრძოდნენ და საერთო-სახალხო საქმეს აკეთებდნენ. შემდეგში 90-იანი წლების დასასრულს, როცა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობა გამოაშკარავდა, ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენცია მარჯვნივ გადაიხარა და ცარიზმს ამოუდგა გვერდით, როგორც მისი მოკავშირე რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ.

ლენინი ჯერ კიდევ 1897 წელს შრომაში „რა მეშვეიერებოდა ვამბობთ უარს?“ მოითხოვდა ბურჟუაზიის როლის ისტორიულ ასპექტში განხილვას. სიტყვა „ბურჟუა“ — სწერდა ლენინი, — აღებულ უნდა იქნას ისტორიულად, ჩვენში კი „ხშირად უმართებულოდ, ვიწროდ, ანტი-ისტორიულად ესმით ეს სიტყვა, უკვეშირებენ რა მას (ისტორიულ ეპოქათა განუსხვაებლად) უმცირესობის ინტერესთა ანგარებიან დაცვას. ნუ დაევიწყებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც მე-18 საუკუნის განმანათლებლები სწერდნენ, (როგელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით — ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებიან), როდესაც სწერდნენ ჩვენებური განმანათლებლები 40-იანისა და 60-იანი წლებისა, ყველა საზოგადოებრივი

საკითხი მაშინ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგობაში იყო გამოიხატებოდა. ახალი საზოგადოებრივი-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ ვერავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ იჩენდნენ. პირიქით, დასავლეთ ევროპაშიაც, რუსეთშიაც მათ საესებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწადათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ არ შეეძლოთ ჯერ კიდევ დავინახოთ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“ (გვ. 11, ტ. 446).

ლენინის ეს სიტყვები გვაძლევენ გასაღებს მეორე დასის — ბურჟუაზიული პროგრესიული მიმდინარეობის, კერძოდ წ. ნიკოლაძის ისტორიული დამსახურების გასაგებად. როცა ნიკოლაძე და მეორე დასის სხვა მოღვაწენი ასპარეზზე გამოვიდნენ (60—70-იანი წლები) ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონ-ყმობისა და მისი ნაშთების მოსპობის გარშემო ტრიალებდა. იგი იყო ძირითადი საკითხი. მათ გულწრფელად სწამდათ საყოველთაო ბედნიერება და კეთილდღეობა და მისი მოპოვებისაკენ მისიწრაფვოდნენ. ამ პერიოდში ისინი ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ხალხის ინტერესების დაცვას სცდილობდნენ. მათთვის უცხო იყო უმცირესობის ინტერესების ანგარებიანი დაცვა. მშობიარობის პროცესში მყოფი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგობანი მხოლოდ ის-ის იყო ისახებოდნენ. ისინი მათ ვერ ხედავდნენ და არც შეეძლოთ დავინახოთ. ბატონ-ყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამდენად მთელი ხალხის ინტერესებს იცავდნენ. შემდეგში, 90-იან წლებში, როცა ახალი საზოგადოებრივი-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი



წინააღმდეგობანი ნათლად ჩამოყალიბდნენ და გამოისახნენ, მეორე დასვლები აშკარად დაადგნენ ექსპლოატატორული უმცირესობის, მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურის გზას.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი, ეპრობა-მრეწველობის განვითარებაში ხედავდა საქართველოს ეროვნული აღორძინების საშუალებას, ხოლო ბურჟუაზიას ხელმძღვანელ, წამყვან ძალად სახავდა, მისი მეთაურობით უნდა მომხდარიყო ახალი ცხოვრების შექმნა.

ნიკოლაძე მკვეთრად ანსხვავებს ერთმანეთისგან ევროპისა და საქართველოს პირობებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ ევროპაში კაპიტალიზმმა უკვე შეასრულა თავისი პროგრესიული როლი, საქართველოში იგი მხოლოდ ახლა იწყებს ამ როლის შესრულებას.

ნიკოლაძე სწერდა: „ევროპაში დაიბადა და ნელ-ნელა იზრდება ახალი ძალა, უფრო სანდო, უფრო სამართლიანი, უფრო სახირო, ვიდრე ბურჟუაზია, ამიტომ იქ ყველა, ვისაც გული კი მარჯვედ ჰფეთქს სიმართლისა და სამართლისათვის, ამ ახალ ძალას ეჭომაგება: შეერთებული, თანასწორად შეერთებული შრომის ძალას. მაგრამ როცა ევროპა—ამ ასი, ასორმოცდაათი წლის წინაღ-სწორედ იზნაირსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ, ყველაფერი რაც კი შიგ ახალგაზრდა, გულწრფელი, პატიოსანი და შორსმჭვრეტელი იყო, სწორედ იმ შუათანა დამის მომხრე გახლდათ, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ეძახიან. ისტორიული პროგრესის კანონი თხოულობდა ამას და, ვხლავ ამასავე თხოულობს ჩვენგნით. ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღატაკისა და მონობისაგან, უმცირესობისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“ („მოამბე“ № 8,

გვ. 137. 1894 წ.).  
ესე ასაბუთებდა ნიკოლაძე ეპრობა-ტალიზმის პროგრესიულობას და ბურჟუაზიის ხელმძღვანელ როლს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ნ. ნიკოლაძემ თავისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები შემომშავა ერთის მხრივ ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის და მეორეს მხრივ დასავლეთ ევროპის სოციალ-უტოპისტების უშუალო გავლენით. ნიკოლაძეზე განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდათ რუს განმანათლებლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე არ არის მათი ორტოდოქსალური მიმდევარი. მან რუს განმანათლებელთა შეხედულებები თავისებურად შეითვისა და მათი მოძღვრების თავისებური გაგება და ინტერპრეტაცია მოკცა. ნიკოლაძე მერყეობს დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შუა. 60—70-იან წლებში ნიკოლაძეში დემოკრატი იმარჯვებდა, 90-იან წლებში კი ლიბერალი. ნიკოლაძე ცდილობდა მოეძებნა საშუალო ხაზი. იგი არც ცარიზმის ძალდატანებით დამხობას უკერდა მხარს და არც ცარიზმთან თანამშრომლობას. ნიკოლაძე მოუწოდებს ინტელიგენციას სამრეწველო-ეკონომიური მოღვაწეობისაკენ. იგი უპირატესობას აძლევს არა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას, არამედ ეპრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ზრუნვას. ნიკოლაძე მასში ხედავდა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და ზემოქმედების ცხოვრების გაუმჯობესების ძირითად საშუალებას. აქ ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი: თუ ნიკოლაძე 60—70-იან წლებში განვითარების კაპიტალისტური გზის გამომხატველი იყო ობიექტურად, მოუხედავით იმისა, რომ სუბიექტურად თვით იგი გულწრფელად ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდა, 90-იან წლებში, როცა ნათლად გა-

მონდა, რომ საქართველო კაპიტალიზმის გზით მიემართებოდა, ნიკოლაძემ უკვე ზოელი თავისი შეგნებით დაუქირა ამას მხარი და ყოველნაირად ცდილობდა დაეჩქარებინა საქართველოს ამ გზით სვლა. იგი ამკარად დაადგა მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურისა და ცარიზმის მხარდაჭერის გზას.

## II

6. ნიკოლაძემ განიცადა 60-იანი წლების რუსი განმანათლებლების დიდი გავლენა. იგი აღიზარდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რუსეთის მოწინავე ლიტერატურაზე. აი, რას სწერდა თვით ნიკოლაძე 60-იანი წლების ახალთაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის რევოლუციური ლიტერატურის ვებრძოლ ორგანოს — „სოვერემნიკის“ მნიშვნელობის შესახებ: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე მკითხველო! ჩანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ქურნალის ახალი წიგნი გამოვიდოდა? რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ ზის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება. რამდენი გრძელი, ბოლო-მოკლებული ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მის სიტყვებში სჯავში, მათზე დავაში და რამდენი ღამეები მოუსვენრად უწვალებოვართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ქურნალს ჩვენში ზოუზღენია! ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამალღების დღეებს ან ვინ დაივიწყებს მათ სანადაგოთ გულში ჩაბეჭდილს კვალს“ („კრებული“—№ 4, გვ. 152, 1873 წ.).

ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობა ჩერნიშევსკის უშუალოდ გავლენით ჩამოყალიბდა და გაფორმდა. ჯერ კიდევ პეტერბურგში სტუდენტობის წლებში, როცა ნიკოლაძის მსოფლმხედველობა მხოლოდ ყალიბდებოდა. იგი ახლო დაუკავშირდა ჩერნიშევსკის. ნიკოლაძემ ჩერნიშევსკისადმი ღრმა პატივისცემა სიყვდილამდე შეინარჩუნა, იგი თავის თავს დავალებულად სთვლიდა ჩერნიშევსკის მიმართ და ეძებდა საშუალებას, დროსა და საბაბს რითიმე გამოეხატა თავისი სიყვარული მასადმი. აი, რას სწერდა იგი 1884 წლის 23 სექტემბერს იმ ხანებში გადასახლებიდან დაბრუნებულ ჩერნიშევსკის: „შემიძლია დავაწმუნოთ, რომ ჩემთვის უსაზღვრო ბედნიერებად ჩავთვლიდი რითიმე გასიამოვნოთ ან სარგებლობა მოგიტანოთ თქვენ ყოველივე იმის ნაცვლად, რითაც თქვენგან დავალებული ვარ ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრივ. თქვენს ყოველ დავალებას და ჩემდაძი მომართვას ვთელი და ყოველთვის ჩავთვლი ბედნიერ შემთხვევად თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც ოდნავ ზაინც შევამსუბუქო თქვენდაძი ჩემი ვალის სიმძიმე“ („ზარია ვოსტოკა“, 27 ივლისი, 1940 წ.).

1868 წელს ნიკოლაძე რედაქტორობს ჩერნიშევსკის თბზულებათა პირველ გამოცემას. 1883 წლის დეკემბერში ნიკოლაძე სწერს სტატიას, რომელიც ცენზურამ აკრძალა. იგი თავის თავს ჩერნიშევსკის მიმდევრად სთვლიდა. ნიკოლაძეს გულწრფელად სწამდა, რომ მას სწორად ესმოდა ჩერნიშევსკის მოძღვრება და რომ იგი დიდი მასწავლებლის ქეშმარიტი მოწაფეა.

ნიკოლაძე მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ზანძილზე დიდი სიმპატიითა და სიყვარულით იხსენიებდა ჩერნიშევსკისთან ერთად ბელინსკის და დობროლიუბოვს. ნიკოლაძეს არაერთხელ მოუყვანია თავის სტატიებში

ამონაწერები მათი ნაწარმოებებიდან იმისათვის, რომ დაესაბუთებინა თავისი დებულებები.

ნიკოლაძე ყოველთვის ცხარედ იცავდა რუსეთის ამ დიდ მოაზროვნებს ყოველგვარი თავდასხმისაგან. ნიკოლაძე მათ მოღვაწეობას უკავშირებდა რუსეთის ლიტერატურისა და საერთოდ საზოგადოებრივი აზრის მძლავრ აღმავლობას. იგი ბიუთითებდა იმაზე, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ რუსეთის ლიტერატურულმა კრიტიკამ „ბელინსკის მოღვაწეობის უკანასკნელი ხანის მეოხებით, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ გამოქვეყნდა „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი“ და დობროლიუბოვამ ამ დისერტაციის პრინციპები გამოიყენა ლიტერატურულ ნაწარმოებთა განსახილველად“ („კავკაზობოზ“. № 2719, 1891 წ.).

ნიკოლაძე კარგად ხედავს, რომ ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი ლიტერატურულ კრიტიკას იმისათვის იყენებდნენ, რომ ემხილებინათ რუსეთის ცხოვრების ბნელი მხარეები და მოენახათ მისი დაძლევის გზები. ნიკოლაძე აღნიშნავს რომ ლიტერატურა მათ ხელში პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცა. ნიკოლაძე სთვლის რომ დიდი რუსი საზოგადო მოღვაწეების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის ლიტერატურული შეხედულებები ერთგვარი განაჩენი იყო რუსეთის სინამდვილისათვის იმავე დროს იგი იყო მძლავრი მოწოდება არაკონიური სინამდვილის გონებრივ სინამდვილედ გარდაქმნისაკენ. ამ დებულების დასამტკიცებლად ნიკოლაძე ერთმანეთს ადარებს ოსტროვსკის შეფასებას. რომელიც მოცემული აქვთ ერთის მხრივ გრიგორიევს და მეორეს მხრივ დობროლიუბოვს და სწერს: „ბელინსკი და მისი განმგრძნობნი კრიტიკოსები იყვნენ და ლიტერატურულ კრიტიკას ეწეოდნენ მხროლდ იმიტომ,

როგორც „ესთეტიკურ დაპოვნებულების“ ავტორი სწერდა: „ესთეტიკურ რატურას და პოეზიას ჩვენთვის, რუსებისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, არსად არა აქვს“. ა. ა. გრიგორიევისათვის საქმის მთელი დედაარსი ის იყო, რომ მოენახა ა. ნ. ოსტროვსკის ნიჟის ზუსტი განსაზღვრა, სრული ბრწყინვალეობით წარმოედგინა მისი შემოქმედების მარგალიტები. დობროლიუბოვისათვის, დობროლიუბოვის თვალში ასეთი საქმიანობა არ შეეფერებოდა სერიოზულ ადამიანს, რომლის მთელი ცხოვრება სამშობლოს პროგრესის სამსახურს უსდა მოხმარდეს. იგი ოსტროვსკის, მის ნაწარმოებებს და ამ ნაწარმოებთათვის კრიტიკას იყენებდა მხოლოდ დამხროდ როგორც იარაღს, რომელიც ხელს უწყობდა ამ პროგრესის აღქმულელობის გადაუდებლობის განმარტებას საზოგადოებისათვის. ამიტომ მის მიერ ოსტროვსკის გარჩევა მარგალიტების ჩამოთვლა კი არ არის, არამედ ოსტროვსკისაგან ნასესხები შტრიხების კონცენტრაციაა „ბნელი სამეფოს“ სურათის გამოსახატავად, სურათისა, რომელზედაც დრამატურგი არ ფიქრობდა, მაგრამ რომელიც საქვეყნოდ ავლინებდა ჩვენი წყობილების მკაფიოდ გაშუქებულ წყლულებს და ყველას მოუწოდებდა მისი განკურნებისაკენ („ნოვოე ობოზრენიე“ — № 2719. 1891 წ.).

ნიკოლაძის სტატიიდან მოტანილი ეს ვრცელი ამონაწერი ცხადყოფს, თუ როგორ კარგად ესმის მას ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის როლი არა მარტო რუსეთის ლიტერატურის განვითარებაში, არამედ, აგრეთვე, რაც მთავარია, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ აქ შევეჩებით შელგუნოვისა და ნიკოლაძის პაექრობას, 60-იანი წლების

მოღვაწეთა მემკვიდრეობასა და ტრადიციებთან დამოკიდებულების შესახებ.

შელგუნოვა ეურნალ „რუსკაია მისლ“-ის 1889 წლის აპრილის ნომერში მკაცრად გააკრიტიკა — ნიკოლაძის 1889 წლის საახალწლო ფელეტონი, რომელიც „ნოვოე ობოზრენია“-ში იყო დაბეჭდილი. შელგუნოვი ნიკოლაძეს უსაყვედურებდა რუსეთის მოწინავე ლიტერატურის ტრადიციებთან იდეური კავშირის გაწყვეტას. შელგუნოვი აღნიშნავდა, რომ ნიკოლაძე პუბლიცისტის წინაშე ამოცანად აყენებს მთელი თავისი გულისყურით მიაპყროს მართო სამრეწველო-ეკონომიურ საქირობო, ყოველდღიურ საკითხების გარკვევას და სრულიად იგივეებს საქმის იდეურ მხარესო.

ნიკოლაძე შელგუნოვის მასთან შეკამათებას გაუგებრობად სთვლის. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ პუბლიცისტი ვალდებულია არ დაიფიქროს საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც სამრეწველო-ეკონომიური, ისე იდეური მხარე. თავისი მოღვაწეობის დამსახურებად იგი სწორედ იმას სთვლის, რომ მან თითქოს შეაერთა ორივე ეს მხარე და ამით განაგრძო რუსეთის მოწინავე მოღვაწეთა ტრადიციები.

ნათობის, ქვანახშირის, შავი ქვის საბადოების დამუშავება, რკინიგზის მშენებლობა, ნაოსნობის მოწყობა, ფაბრიკა-ქარხნების გამართვა — ეს ის სამრეწველო ეკონომიური საქმიანობაა, ურომლისოდაც არ არის ხალხის კეთილდღეობა და რომელსაც ამის გამო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს იდეური მუშაობა, ასეთია, ნიკოლაძის მტკიცებით, მესამოცე წლების მოღვაწეთა ანდერძი, რომელიც ახალმა თაობამ სინამდვილედ უნდა აქციოს.

ნიკოლაძეს იე. ჯაბაძარცი გამოეკავათა. მან ნიკოლაძეს იგივე უსაყვედურა, რაც შელგუნოვმა: იდეალის დავიწყება, უარყოფა მომავლისათვის

ზრუნვისა. ნიკოლაძემ თავის საპასუხო სტატიაში დობროლიუბოვს მითივანა ვრცელი ამონაწერით სწავლაძე ცდილობს დობროლიუბოვის ავტორიტეტი დაიხმარიოს იმის დასამტკიცებლად, რომ მთავარია ხალხის ყოველდღიურ საქირობო საქმეებზე ზრუნვა და ამ გზით მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქება.

მწელი დასაწახი არ არის ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის დიდი გავლენა ნიკოლაძეზე, მაგრამ იმავე დროს მის მიერ მათი შეხედულებების თავისებური გაგებაც. ნიკოლაძე გულწრფელად სცდებოდა, მას სწორად არ ესმის ჩერნიშევსკის მოძღვრება და ამიტომ იგი არ არის მისი ნამდვილი მიმდევარი.

„მაშინდელი ახალი თაობის წარმომადგენელი ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, — სწერდა ნიკოლაძე, — არკვევდნენ იმ მიზეზებსა და ჩავერის პირობებს, რომელიც მძიმე ლოდად აწეა რუსეთის მაშინდელ ცხოვრებას... ისინი ყოველ მოხერხებულსა თუ მოუხერხებელ დროს ცდილობდნენ ის აზრი გავერცელებინათ, რომ უნაყოფოა მალაღმადოვანი ფრაზების ხარჯვა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საერთო წყობილების წინააღმდეგ, ან მის საწინააღმდეგოთ უნაყოფო ლაშქრობანი. ისინი ამბობდნენ: ახლა აუცილებელია ჩვენს მიერ ათვალისწინებული ყოფაცხოვრების ოდნავ მაინც შესაცვლელად უფრო მოსაზრებელი და პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ, ჩვენი პირადი და ჩვენი ახლობლების ცხოვრება მოვაწყოთ იმნაირ საფუძველზე, რომელიც პატიოსან და სამართლიან საფუძველად მიგვაჩნია, რათა ამით თანდათანობით შევქმნათ ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველის უფრო ფართოდ და რეალურად გარდაქმნას შესძლებსო“ (ტ 1, გვ 269)



ამგვარად, არა ცარიელი, მაღალფარდოვანი ფრაზეით, არა უნაყოფო უშედეგო გამოსვლები, არაძედ ახალი თაობის, საერთოდ ინტელიგენციის მომზადება და ამით იმ აუცილებელი წინაპირობების შექმნა, უროძლისოდაც შეუძლებელია ხალხის დუხჭირი ცხოვრებიდან ახალ, ბედნიერ ცხოვრებაზე გადასვლა. ანე ესმოდა ნიკოლაძეს ჩერნიშევსკის მოძღვრება. ეს იყო ჩერნიშევსკის რევოლუციური მოძღვრების არსებული წყობილების ფარგლებში ოპორტუნისტული პრაქტიკული გამოყენების პროგრამა.

თუ ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის მიმართ ნიკოლაძემ თავისი გულწრფელი, უანგარო სიყვარული და პატივისცემა ბოლომდე შეინარჩუნა და თავის სტატიებში მას ამგვარად გამოხატავდა, იგივე არ შეიძლება ითქვას პისარევის მიმართ. მან მკაცრად გააკრიტიკა ჯაბაძარი იმიოსათვის, რომ მის შეხედულებებში პისარევის მოძღვრების დაცვა დაინახა. ნიკოლაძემ უკუაგლო ჯაბაძარის ცდა—ნიკოლაძეც ერთ დროს პისარევის მიმდევრად გამოეცხადებინა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არასდროს პისარევის მიმდევარი არ ყოფილა. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ პისარევი თუმცა მოწინავე მიმდინარეობას ეკუთვნოდა, მაგრამ ყალბ ნიადაგზე იდგა და მისი შეხედულებები შემცდარი იყო. „ეს ნიჭიერი, სწავლადარუმთავრებელი კაცი, რომელიც, გერცენის გამოთქმით, ქადაგებდა და „სწერდა ყველაფერზე, ზოგჯერ იმაზეც კი, რაც იცოდა“, როგორც ეს ემართება ხოლმე ყველა თუთიყუშს, მთლიანად ჩაეფლო ფრანაში, სიმკიახეში, აფექტში, და არა აზრში, ვნებაში“ („ნოვოე ობოზრენიე“ № 2048, 1889 წ.).

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის ისტორიული 2ნიშნელობა, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ მან პირველმა შემოიტანა ნაროდნიკული იდეა-

ბი საქართველოში, იგი განდა ნაროდნიკობის პირველი პრაქტიკული საქართველოში.

1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ რიონელის ფსევდონიმით დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის სტატია: „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. გერცენმა ნიკოლაძის სტატიას მაღალი შეფასება მისცა. ოგარიოვისადმი მიწერილ წერილში იგი სწერდა, რომ „ქართული სტატია ძალიან კარგია“.

ნიკოლაძის ამ სტატიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ცნობილმა რეაქციონერმა კატკოვმა თავის შერაზმულ გაზეთში „მოსკოვის უწყებებში“ (იხ. №№ 154, 194, 250. 1865 წ.) მთელი რიგი მოწინავე სტატიები უძღვნა „კოლოკოლში“. დაბეჭდილ ნიკოლაძის სტატიას, რომლებშიც მკაცრად გაილაშქრა ნიკოლაძის წინააღმდეგ. კატკოვმა ნიკოლაძის სტატია საბაბად გამოიყენა იმისათვის, რომ გაელაშქრა ქართველი ერის წინააღმდეგ. მან ქართველ ხალხს ნაციონალიზმში დასდო ბრალი.

ნიკოლაძის სტატია ნაროდნიკული ხასიათისაა. მასში დასაბუთებულია ნაროდნიკული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში.

ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი დღითიდღე და უფრო და უფრო მეტად იმსჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. აღნიშნავს რა ამ ფაქტს, ნიკოლაძე იქვე დასძენს, ნაციონალური მოძრაობის განვითარებას შეუძლია დიდი ზიანი მიიყენოს ქართველ ერს. ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებას, ნიკოლაძისათვის მიუხეიბელია. იგი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ორ ძირითად მოსაზრებას აყენებს. ჯერ ერთი, ნაციონალური მოძრაობით გაბოროტებული ცარიზმი სასაქლოზე მიიყვანს ქართველ ერს; მეორეც საქართველომ კი-



დეც რომ შესძლოს რუსეთის მფარველობისაგან განთავისუფლება და რუსეთის ნაცულად ინგლისის და საფრანგეთის მფარველობას მიაღწიოს, არც ეს იქნება ქართველი ხალხისათვის სასარგებლო, ვინაიდან ექვს, გარეშეა, რომ „ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზებას ალკირის მსგავსად ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად“ (ტ. 1, გვ. 174).

ნიკოლაძე მოუთხოვს საქართველოს რუსეთთან კავშირის მნიშვნელობაზე. მისი აზრით, საქართველო, რუსეთთან კავშირით უფრო მალე და უფრო ადვილად შესძლებს სასურველ წყობილებას მიაღწიოს.

სდგას რა ნაროდნიკობის პოზიციებზე, ნიკოლაძე მათელის, რომ სოციალიზმი უნდა განხორციელდეს თემურ მიწათმფლობელობაზე დაყრდნობით. ნიკოლაძე გლახურ თემში ზედაც სოციალიზმის ჩანასახსა და საფუძველს, ქართველი ხალხის სასურველი წყობილება და ბედნიერ ცხოვრების საფუძველს.

„ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, — სწერდა ნიკოლაძე, — რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვაგამგეობის სათემო ორგანიზაცია, ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად და უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებს სამეზობრო, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც თავისი მხრით, ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ძალღონასა და ნიჭის განვითარებას“ (იქვე).

ღრმად სწამს რა თემობრივი საზოგადოებრივი წყობილებების სარგებლობა ქართველი ხალხისათვის, ნიკოლაძე ეძებს უახლოეს გზას, რომ ის რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს საქართველოში. თემური წყობილება მხოლოდ რუსეთშია შენარჩუნებული, ამიტომ მხოლოდ რუსეთთან კავშირით შეიძლება საქართველომ ადვილად და უფრო ჩქარა მიაღწიოს სოციალიზმს.

ამგვარად ნიკოლაძე მთლიანად იზიარებს ნაროდნიკობის მოძღვრებას და ამტკიცებს, რომ რუსეთს აქვს თავისი საკუთარი, ევროპისაგან განსხვავებული, უფრო მკვლე და უფრო ადვილი გზა, რომელსაც სოციალიზმისაკენ მიყვება. ეს არის კაპიტალიზმის გაუფლელად თემურ მიწათმფლობელობაზე დაყრდნობით სოციალიზმის განხორციელების გზა. საქართველოც ამ გზას უნდა დაადგეს. ნიკოლაძე ოცნებობს სოციალიზმის განხორციელებაზე საქართველოში რუსეთთან კავშირით, უპროლეტარიატოდ, თემურ მიწათმფლობელობაზე დაყრდნობით გლახობის საშუალებით, რომელსაც ინტელიგენცია ხელმძღვანელობს.

ძნელი დასანახი არ არის გერცენის „რუსულ“ სოციალიზმთან-ნაროდნიკობასთან ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ახლო ნათესაური კავშირი. ნიკოლაძე მთლიანად იზიარებს გერცენის მოძღვრებას გლახური თემის შესახებ. ნიკოლაძე გერცენთან ერთად, მის კვალდაკვალ, სოციალიზმს სათემო მიწათმფლობელობაში ნედავს. მაგრამ ნიკოლაძე არ მისულა ევროპის მიმართ იმ უკიდურეს დასკვნამდე, რომლებამდისაც გერცენი მივიდა. ნიკოლაძისათვის უცხოა ევროპის მიმართ ის ღრმა სკეპტიციზმი, და პესიმიზმი, რომელმაც მოიცვა გერცენი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ნიკოლაძის ღრმად სწამს, რომ ევროპაც შესძლებს თავი დააღწიოს ინდივიდუალიზმს და განხორციელოს კო-

ლექტივიზმის პრინციპი. ნიკოლაძე სთვლის, რომ ევროპაც სოციალიზმი-საკენ მიემართება, მაგრამ უფრო ნელა და ძნელი გზით, ვიდრე რუსეთი.

„ჩვენ არა გვეგონია, — სწერდა ნიკოლაძე, — რომ დასავლეთი ევროპა ერთ წერტილზე გაყინულიყოს და უკეთესი ცხოვრების უნარი არ შესწევდეს ახალი ელემენტების — სლავებისა ან სხვა ვისიმე დაუხმარებლად. ამ მხრით, მოგვიტევეთ „კოლოკოლ“-ის დიდად პატივებულმა გამოპყვებულმა, ჩვენ მთლად არ ვიზიარებთ მათს უიმედობას ევროპის თანამედროვე ზოუწესრიგებლობის გამო. წინააღმდეგ მათი შეხედულებისა, ჩვენ გვწამს, რომ ევროპა მაინც თავისას გაიტანს და მაღლწევს სასურველ იდეალს. თუმცა თეორიულად მთლიანად არ დაუშუშავებიათ იგი ევროპის მოაზროვნეებს. მაგრამ ევროპის მუშაობა მეტის-მეტად ძნელია; უმთავრესი კი ის არის, რომ იგი კიდევ დიდ ხანს უნდა ეწელოს, რუსეთი კი ჩვენის რწმენით, როგორც „კოლოკოლის“ ბატონ გამოპყვებულთა რწმენითაც, თუმცა მთლად განთავისუფლებული არ არის ამ მუშაობის სიძნელისაგან, მაგრამ ამ მუშაობას გაცილებით უფრო ადვილად გაუძლეება და სასურველ მიზანს ბევრად უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა ევროპაში“ (ტ. 1, გვ. 175).

როგორც აქ მოტანილი ადგილიდან ნათლად ჩანს, ნიკოლაძე გერცენის ორტოდოქსალური მიღწევაი მაშინაც კი არ ყოფილა, როდესაც მის „კოლოკოლში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა. შემდეგ კი, რაც დრო გადიოდა, ნიკოლაძე მით უფრო შორდებოდა გერცენს. 1868 წელს ნიკოლაძე აქვეყნებს სტატიას: „რუსეთის ემიგრაცია“, რომელშიც იგი უკვე მთლიანად სწყვეტს კავშირს გერცენთან. ნიკოლაძეს გერცენისა და ოგარიოვის მოღვაწეობა უკვე დამთავრებულად მიაჩნია.

ნიკოლაძის ამ თავდასხმას არ შეიძლება არ დაერღვია ის, რომ უკეთესობა, რომელიც პირველ ნახეშში ნიკოლაძესა და გერცენს შორის არსებობდა, „კოლოკოლის“ წინააღმდეგ ნიკოლაძის გაღაშებულობას მკაცრად გამოეხმაურა გერცენი. იგი აღმფრთხილებული იყო ნიკოლაძის კრიტიკით და თავის კერძო წერილებში უშვერად ლანძღავდა მას.

იმავე წელს ნიკოლაძე ისევ გამოვიდა გერცენის წინააღმდეგ. აი რას სწერდა იგი ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში: „ორმოციანი წლების დამლევს, ბელინსკისა და მისი თანაშრომლების მიერ აზროვნების წუთიერი გაღვიძების შემდეგ და მაშინდელი დროის იმედების გაცრუების შემდეგ, რუსის მოწინავე საზოგადოებამ დაჰკარგა რაიმე გამოსავლის გამოჩანების შესაძლებლობის იმედი, ჩავარდა სრულს აპატიაში, რომელსაც უხეიროდ ფხრავდა დესპოტიზმის საზიზღრობისა და თავისუფლების სიყვეთეთა შესახებ ნამძალდევი პათეტიური ფრაზებით. (ტ. 1, გვ. 307).

წინასიტყვაობის აქ მოტანილ ადგილში გერცენმა თავისი და ოგარიოვის საწინააღმდეგო აზრები დაინახა. 1868 წლის 15 მაისს ის ოგარიოვს სწერდა: „ნიკოლაძემ, რომელსაც ქართული ბრძკალები დაუმალავს, ჩერნიშევსკისადმი წინასიტყვაობაში კლანჭი ჩაგვიკიდა და საცხებით იმ თვალსაზრისით რომლითაც პისარევემა ბაზაროვში. (ჩანს მე არ შეგმცდარავარ). შენ ღმერთმა თვალბში ისეთი წყალი გაჰკურა, რომ ვარდებს ზედავ. ეკლის დანახვა კი არ შეგიძლია. გაიგე, რომ როგორც ნამდვილი არამზადები, ისინი ჩვენ არ გვიხსენიებენ და გვირტყამენ გადაკრული სიტყვებით, რომლებსაც ადვილად გადათქვამ, და თავს ძნელად დაესხმი“ (იხ. ნიკოლაძე თხზ. ტ. 1, გვ. 445).

ნიკოლაძის მიერ გერცენთან კავშირის გაწყვეტა არ ნიშნავდა საერთოდ ნაროდნიკულ მსოფლმხედველობასთან კავშირის გაწყვეტას. ნაროდნიკული მსოფლმხედველობის გავლენა ნიკოლაძემ შემდეგშიაც შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე ნაროდნიკული იდეოლოგიის დიდ გავლენას განიცდის, მას ნამდვილ ნაროდნიკად მაინც ვერ მივიჩნევთ. იგი იზიარებს ნაროდნიკობის იდეოლოგიას, მაგრამ უარყოფს ნაროდნიკობის ტაქტიკას და საერთოდ უარყოფითად აღქმებს ნაროდნიკულ მოძრაობას.

ნიკოლაძე განსაკუთრებით ილაშქრებდა ინდივიდუალური ტერორის წინააღმდეგ. იგი კარგად ხედავდა, რომ ცალკეულ მკვლელობათა საშუალებით არ შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა. 1866 წლის მაისში ენევეში გამოცემულ ბროშურაში: „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელიც ალექსანდრე II-ზე 1866 წლის 4 მაისს კარაკოზოვის თავდასხმის გამო არის დაწერილი, ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ცალკეულ პირთა ბოკვლით ხალხისთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეიძლება. პირიქით, ინდივიდუალური, ტერორისტული თავდასხმები ზიანს აყენებენ ხალხს და სამსახურს უწყვენ რეაქციას.

ნიკოლაძის აზრით საზოგადოებრივი პროგრესი დამოკიდებულია არა ცალკეულ რევოლუციონერთა გმირულ, თავგანწირულ მოქმედებაზე, არამედ ხალხის ძალენისა და ცნობიერების თანმიმდევრობითს ზრდასა და განვითარებაზე. ტერორის გზა ტყუილ-უბრალოდ ანიაგებს ინტელიგენციის საუკეთესო ძალებს და ამით ხალხს კი არ უწყობს, არამედ აფერხებს პროგრესის საქმეს. ნიკოლაძე ამკარად ამბობს, რომ ახალი თაობა „განზე სტოვებს, ცოტა თუ დიდი ხნით, როგორც ტახტს, ისე სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებს: ახლა მას მათთვის როდი სცა-

ლია“. პირველყოელისა მოსამზადებელი მუშაობა უნდა იქნეს, ჩიტყრებელი, ძველი სახელმწიფოებრივი წესებისა და ახლით რომ შეიცვალოს, ამისათვის საჭიროა ხალხის მომზადება, მისი ახალ პრინციპებზე აღზრდა.

„იზისათვის, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში, — სწერდა ნიკოლაძე, — განვახორციელოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საწყისები, საჭიროა გარდაცემნათ თანამედროვე საზოგადოების ცნებები, დავიწყოთ მისი გონებრივი განვითარება, ჩავკლათ მასში სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი და პატიოსანი შრომისადმი სიმპატიები აღუძრათ. ამნაირი ამოცანის შესრულება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე, რომელიმე პოლიტიკური რევოლუციის, 1830 ან 1848 წ. რევოლუციის მსგავსის მოხდენა“ (ტ. 1, გვ. 251).

1888 წელს ცნობილმა ნაროდნიკმა, „ნაროდნაია ვოლიას“ ერთერთმა გამოჩენილმა მეთაურმა, იმ დროს უკვე რენეგატმა ლ. ტიხომიროვმა პარიზში გამოსცა ბროშურა: „რატომ აღარ ვარ რევოლუციონერი?“ ბროშურამ, რომელშიც ავტორი ინანიებდა თავის წარსულს და ახალგაზრდობას მოუწოდებდა ხელი აეღო რევოლუციურ ბრძოლაზე და მშვიდობიანი, ლეგალური მუშაობის გზას დადგომოდა, დიდი გამოხმაურება ჰყოვა, მას ნიკოლაძეც გამოეხმაურა. მან „ნოვოე თოზრენიეში“ ტიხომიროვის ამ ბროშურის გარჩევას სპეციალური ფელეტონი მიუძღვნა, ნიკოლაძე ეთანხმება ტიხომიროვს იმაში, რომ საერთო მიზნის განხორციელების სწორი გზა არის მთელი თაობების ლეგალური, განუწყვეტელი და თანმიმდევარი შემოქმედებითი მუშაობა.

ეს აზრები ნიკოლაძემ გამოსთქვა ჯერ კიდევ ტიხომიროვის რენეგატობამდე ოცი წლით ადრე თავის ბროშურაში „მთავრობა და ახალი თაობა“. უკვე მაშინ, 1868 წელს, ნიკოლაძე ხმის მომხრე იყო, რომ ახალ თაობას

ტერორის გზით ბრძოლაზე ხელი აეღო და მის ნაცვლად ლეგალური ბრძოლის მიზანშეწონილება ელიაზებინა.

„ჯერ კიდევ უწვერულვამო ჰაბტკმა, — სწერდა ნ. ნიკოლაძე, — რომელიც იცნობდა მხოლოდ წიგნებს და არა ცხოვრებას, მე სიტყვით და საქმით დავიწყე ქადაგება მხოლოდ იმ გზის აუცილებლობის და გონიერულობისა, რომელზეც, როგორც ერთადერთ მიზანშეწონილ გზაზე, ახლა მიუთითებენ ტიხომიროვიც და „მოსკოვსკიე ვედომოსტიც“. არა ამ ორ უაღრესად საწინააღმდეგო მიზართულებას შორის დავდები მათ და ვიდები ყოველთვის, — ო, არა, არამედ მათს გარეშე ვხედავდი ხსნას სულ სხვა სისტემებსა და ბერებში, ვიდრე ისინია, რომლებითაც ორივე ეს მიმართულება დღემდე ხელმძღვანელობდა. ღარტოოდენ ჩემმა სწავლმა გულმა იცის — თუმცა მას ისინი არ დაუთვლია — რამდენი უღმობელი დარტყმა და უმართებულო ეჭვი ვიგემე მე მთელი ამ ხნის განმავლობაში ორივე მხრიდან“ („ნოვოე ობოზრენიე № 1620. 1888 წ.).

ზედმეტი არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ 90-იანი წლების ბოლოს ვინმე ივანოვიჩმა „ნოვოე ობოზრენიეში“ ნიკოლაძის წინააღმდეგ მოიყვანა ამონაწერები მისი წერილიდან ტიხომიროვის შესახებ და დაასვენა, რომ ნიკოლაძე რენეგატია, რომ ტიხომიროვის მსგავსად, უღალატა თავის ძველ, ნაროდნიკულ პრინციპებს. ნიკოლაძემ გაზეთ „კავკაზში“ საპასუხო სტატია დასტამბა, რომელშიც იგი ერთხელ კიდევ აშკარად გაემოჯნა ნაროდნიკობას და ნათლად ჩამოაყალიბა თავისი სამოღვაწეო პროგრამა. (იხ. „კავკაზ“ № 342. 1898 წ.)

70-იანი წლების ნაროდნიკული მოძრაობისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი ბაკუნინისა და ლავროვის

შეფასებაში. ნიკოლაძე ემხროებოდა ბაკუნინს, ისე კი არა, როგორც ნიკოლაძის მათი შეხედულებები შემცდარათ მიაჩნია. იგი სთვლის, რომ ბაკუნინი და ლავროვი იცავენენ ცალმხრივ, უკიდურეს შეხედულებებს, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოებრივ პროგრესს.

ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1868 წელს საზღვარგარეთ ყოფნის დროს მკაცრად გააკრიტიკა ბაკუნინის ანარქისტული შეხედულებები. მის ეურნალ „თანამედროვეობაში“ გააჩნია ბაკუნინის რედაქტორობით გამოსული გაზეთის „ნაროდნიკ დელო“-ს პირველი ნომბრის მოწინავე სტატია, რომელიც ბაკუნინის მიერ იყო დაწერილი. ნიკოლაძემ განსაკუთრებით გაილაშქრა სახელმწიფოს ანარქისტული უარყოფის წინააღმდეგ. მან დაასაბუთა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების წინააღმდეგობა ხალხთა ცხოვრებაში და დასამტკიცებლად ჩერნიშევსკი დაიმოწმა.

ნიკოლაძემ განსაკუთრებით მკაცრად გაილაშქრა ლავროვის წინააღმდეგ. ნიკოლაძემ ლავროვი კატკოვს შეადარა და გესლიანად დასცინა. იგი ამტკიცებს, რომ ლავროვი და კატკოვი ცალმხრივს, უკიდურეს მიმდინარეობებს წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთ საქმიანობით ხელს უშლიან და აფერხებენ საზოგადოებრივი პროგრესის საქმეს. (იხ. „თბილისის უწყებები“ № 90. 1875 წ.)

ნიკოლაძე სთვლის რა მათ ცალმხრივ, უკიდურეს მიმდინარეობებად, თვითონ ცდილობს მათ გარეშე დადგეს, საშუალო გზა მოსძებნოს. თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ნიკოლაძე სწორედ აკრიტიკებს ნაროდნიკების შემცდარ და რევოლუციისათვის მავნე ტაქტიკას, მაგრამ ნაროდნიკული მოძრაობის წინააღმდეგ მისი გამოსვლა საერთოდ ნაროდნიკობის (რომელიც

მაშინ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა) მარჯვნიდან კრიტიკას წარმოადგენდა. ნაროდნიკობასთან ბრძოლაში მან წამოაყენა ლიბერალურ-ბურჟუაზიული შეხედულებები.

ნიკოლაძეს ვერ ჩავთვლით ჩვეულებრივი ტიპის ლიბერალად, რომელიც ხალხის ინტერესების დაცვაზე ლაყბობს, სინამდვილეში კი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს, ნიკოლაძე, რა თქმა უნდა, ობიექტურად ბურჟუაზიის იდეოლოგია მაგრამ უნაგაროდ, სრულიად გულწრფელად დაწმენებულია, რომ ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარებისათვის ერთადერთი სწორი გზა არის ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისა და ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული საქმიანობა, რაც შეერთებული იქნება ხალხის მორალურ-აღზრდასთან. ეს იყო ბურჟუაზიული, ლიბერალურ-პროგრესული პროგრამა.

### III.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ არც ერთი ქართველი პუბლიცისტი ისე ბევრს არ სწერდა ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, რამდენსაც ნ. ნიკოლაძე. იგი დაწვრილებით განიხილავს ევროპის ხალხთა ცხოვრებას და გვაძლევს მის საინტერესო გაგებას. ნიკოლაძისათვის დიფერენციალი არ არის ის სოციალური უთანასწორობა, რომელსაც ადგილი აქვს დასავლეთ ევროპაში. ნიკოლაძე აღნიშნავდა ხალხთა ცხოვრების მოუწყვრეველობას) და ეძებდა საშუალებას მის გამოსწორებისათვის.

„დღემდე ჯერ კიდევ არ არის ქვეყნიერებაზე, — სწერდა ნიკოლაძე, — არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილებაც შეიძლება

ჩაგვეთვალოს დამაკმაყოფილებლად. ყველა ხალხზე უფრო განსრულწმენილნი და ბედნიერები: ფრანგები, ჰოლანდელი, ამერიკელები — რომ არ ვილაპარაკოთ სხვებზე — განიცდიან საზოგადოებრივ და ეკონომიურ ურთიერთობათა არეულობას. ისინი აღიარებენ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ უნდა იქნეს სამუდამო, რომ საჭიროა სწრაფვა უფრო სამართლიან წყობილებისაკენ, საზოგადოებრივ ვალდებულებათა და უფლებათა უკეთეს განაწილებისაკენ“ (ტ. II, გვ. 120).

1873 წელს ნიკოლაძემ ევროპაში იმოგზაურა. მან დაგვიტოვა საფრანგეთის იმდროინდელი ცხოვრების საინტერესო მიმოხილვა და პარიზის კომუნის ღრმა შეფასება.

ნიკოლაძე პარიზის კომუნის გამოცხვევ მიზეზებს სოციალურ და ნაციონალურ ჩაგვრაში ნახულობს. პარიზის მშრომელნი ქუჩაში საბრძოლველად გამოიყვანა აუტანელმა ეკონომიურმა გაჭირვებამ და პოლიტიკურმა შევიწროებამ. მაგრამ ხალხი შეურაცყოფილმა ნაციონალურმა გრძნობებმაც აიძულა გამოსულიყო როგორც გამარჯვებული მტრის ისე საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, საკუთარი მთავრობისა, რომელიც გერმანელებს ზეირიანად არ ებრძოდა, მტერს სამარცხვინოდ შეურიგდა და იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართა.

ნიკოლაძის თანაგრძნობა ხალხის მხარეზეა. იგი საშინელ ვულსტიციელს განიცდის მისი დამარცხების გამო. აი, როგორი ღრმა თანაგრძნობისა და სიყვარულის გრძნობით ახასიათებს იგი პარიზის მშრომელი ხალხის განწყობილებას. პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ: „მუშა-ხალხზე კი რა ითქმის? წარმოიდგინე მკითხველო, რომ შენ დიდი შრომით და გაჭირვებით ჩინებულნი ხილი გიმოვნია, რომლის ჩამოსატანათ უშველებელ ხეზე აფორთხებულხარ და კისერი ათასჯერ კინალამ

მოგიტყრევია. ჩამოსულხარ ხიდგან და იმ დროს, როცა ხილის შეჭმას ემზადები, სტაცებს ვინმე, იმ შენ ხილს და ხელიდან გაცოცებს. შენ გრძობ, რომ ხილს ველარ შეირჩენ, რომ ის გერთმევა, აი ნაწევარიც აღარ გიჭირავს ხელში. აი ორი თითი კიდევ გაგხსნა, აი ესეც არის გამოგისხლება ხელიდან ის ნაწილიც, რომელსაც ნახევრამდე ჩაქტლო შენი თითები. შენ გრძობ ამას და დახმარების, გამარჯვების იმედი არსაით გაქვს. რა გუნებაზე იქნები შენ მაშინ, თუ მართლა ის ხილი გიყვარს და მისი შერჩევა გულდაგულ გინდა? რა ქეიფზე დაგაყენებს შენ ეს გრძობა? რა სიმწარე და ბრაზი გამოიხატება შენს პირისახეზე განსაკუთრებით თუ ხილის წართმევის დროს ორიოდ თითი მოგამტერიეს და მთელი შკლავი დაგილურჯეს? — აი, სწორედ ამ გუნების და პირისახის მეჩვენა მე პარიზელი ბუშა ხალხი, როცა იმას გვერდი აუარე, შინ, რომ მიგვიოდი მოსასვენებლად“ („კრებული“ № 4, გვ. 193—200, 1873 წ.).

ნიკოლაძე, განიხილავდა რა ევროპის ხალხთა ცხოვრებას და ეძებდა რა მისი უმჯობესით შეცვლის საშუალებებს, ცხადია, ეზებოდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის იმდროინდელ მოღვაწეთა შეხედულებებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მომავლის შესახებ. იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმ უტოპიურ გეგმებსა და პროექტებს, რომელთა საშუალებით მათი აქტორები ცდილობდნენ ხალხთა საყოველთაო ბედნიერების მიღწევას. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ თუკი ეს პროექტები და გეგმები პრეტენზიას აცხადებენ იყვნენ უნივერსალური საშუალებანი რთული და მრავალმხრივი ცხოვრების ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ სინამდვილეში ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ცალმხრივი მიდგომისა და ცალმხრივი დასვენების ნიმუშებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკოლაძის მიერ პროუდონის მოძღვრების კრიტიკა. მას შემდეგ, როცა პროუდონის გარდაცვალების გამო ნიკოლაძემ „სანკტ-პეტერბურგის უწყებაში“ მოათავსა ვრცელი წერილი. ეს წერილი შემდეგ გადაბეჭდა ეურნალმა. „ზაგრანიჩნი ვესტნიკი“-მა, რომელსაც პ. ლავროვი რედაქტორობდა. ლავროვმა ნიკოლაძის სტატია ძლიერ მოიწონა, მას „შესანიშნავი სტატია“ უწოდა.

ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ პროუდონის პროგრამის განხორციელება ვერ მოსპობდა წოდებათა განსხვავებას, ვერ აღმოფხვრიდა მათ შორის არსებულ ბრძოლას, იმის გამო, რომ პროუდონი უარყოფდა საერთო წარმოებისა და მოხმარების საფუძველზე მწარმოებელთა შეამზანავებას.

ნიკოლაძე ცდილობს მოსძებნოს პროუდონის მოძღვრების სოციალური ფესვები. იგი სთვლის, რომ ინდივიდუალიზმი, როგორც პროუდონის მოძღვრების გამოსავალი დებულება, იმ საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალური გამოხატეა, რომელიც წვირს, ინდივიდუალურ მეურნეობას ემყარება.

იმავე დროს ნიკოლაძე კარგად ხედავს იმ განსხვავებას, რომელიც ანარქიზმსა და სოციალიზმს შორის არსებობს. იგი ორ ძირითად დამახასიათებელ ნიშანზე მიუთითებს. ჯერ ერთი, სოციალიზმი იმას ცდილობს, რომ ცხოვრების ახალი წესი შექმნას და ყველა საერთო, საზოგადო შრომით შეაერთოს. ანარქიზმი კი წინააღმდეგაა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი წესისა. მეორეც სოციალიზმი ცდილობს დაამყაროს ისეთი სახელმწიფოებრივი მმართველობა, რომელსაც შეეძლება ხალხთა ნამდვილი ბედნიერი ცხოვრების შექმნა. ანარქიზმი კი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მტერია. სოციალიზმსა და ანარქიზმს შორის არსებული განსხვავება სწორად არის გაგებული, მიუხე-

დავად იმისა, რომ სოციალიზმად იგი გულისხმობს უტოპიურ და არა მეცნიერულ სოციალიზმს.

ნიკოლაძე პრუდონის მოძღვრების სოციალ-უტოპისტთა მოძღვრებას ადარებს და უპირატესობას ამ უკანასკნელს აძლევს.

ნიკოლაძე უტოპიური სოციალიზმის საგრძნობ გავლენას განიცდის. მისი ბურჟუაზიული შეხედულებები სოციალიზმის სამოქალაქო გაცველი.

ნიკოლაძე ასოციაციების თეორიას აყენებს, მას იცავს და ქადაგებს, იგი ასოციაციებში ხედავს მშრომელი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა და ბედნიერების საშუალებას.

„ხალხის განთავისუფლებისათვის, — სწერდა იგი, — საჭირო და საკმაო შეერთებული შრომისა და ცხოვრების შემოღება, იმნაირად, რომ მუშა ხალხს შეერთებით თავის სასარგებლოდ ქარხნებში და სოფლებში წარმოება შეეძლოს და ერთათ ცხოვრებით ნაწარმოები სიმდიდრის ზოგიანი გამოზოგებაც. ამ სწავლას ეძახიან „ასოციაციების მომხრე“ სწავლას“ („კრებული“ № 1, გვ. 72 — 73. 1873 წ.).

უტოპიური სოციალიზმის ამ შეხედულებებს ნიკოლაძე 90-იან წლებშიც იცავს.

რა არის საჭირო პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად? — კითხულობს ნიკოლაძე და თავით უპასუხებს: „მარტო შეერთებული შრომით, მარტო ამხანაგობის გზით, მარტო კერძო ინტერესების ალაგვით და ურთიერთობის შეთანხმებით შესაძლოა მშრომელი ხალხისათვის იმ რეალური პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელსაც მართველობა და კანონმდებლობა შეადგენს და რომელიც აუცილებლად საჭიროა საზოგადო სიკეთის და კეთილდღეობის დასამყარებლად და დასაცველად“ („მოამბე“ № 8, გვ. 147, 1894 წ.).

რა არის საჭირო ეკონომიური კე-

თილდღეობისათვის? — კითხულობს ნიკოლაძე და უპასუხებს: „ჩვენთავეისუფლება ეკონომიური ზონობიდან ისე ადვილი საქმე როდია, რომ ათისა და ოცდაათი წლის განმავლობაში შესრულდეს. ამ განთავისუფლებისათვის ის არის საჭირო, რომ შრომის ნიადაგი და იარაღი მშრომელისა იყოს, ანდა საერთო, სახაზინო, დროებით დათმობილი მშრომელებისათვის. ამგვარი „ნაციონალიზაცია“ მადნებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, რკინის გზებისა მიწისა და სხვადასხვა დიდაც შესაძლებელი და სასურველია, მაგრამ ადვილი როდია. ეს პროგრამა ყველაზე უწინ იმას მოითხოვს, რომ ჩინებულად გაწვრთნილი და გაპატიოსნებული იყოს ის მშრომელების კრება, რომელსაც საერთო სახმარებლად უნდა გადაეცეს გახაზინებული ზაღანი ან ქარხანა“ (იქვე, 146).

ასეთია ნიკოლაძის უტოპიურ-სოციალისტური შეხედულებები, რომელნიც მან ოუენის, სენ-სიმონის, ფურიეს მოძღვრების უშუალო გავლენით შეიმუშავა. როგორც დაინახეთ, მათგან განთავისუფლება ნიკოლაძემ 90-იანი წლების მიწურულისათვისაც კი ვერ შესძლო.

ეს გავლენა უფრო ძლიერად იგრძნობა, როცა იგი საზოგადოების მომავალს იხილავს.

ნიკოლაძის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ყოველი მეცნიერული მოძღვრება სამი ძირითადი ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილი ზოიცავს ძველის კრიტიკას, მეორე — ახლის გათვალისწინებას და, ბოლოს, მესამე — ძველის ახლით შეცვლის გზების საკითხს. ნიკოლაძის მტკიცებით, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების არა იმ მხარეს, რომელიც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის კრიტიკას შეიცავს, არამედ დადებითს, შემოქმედებითს მხარეს, რომელიც ხალხთა მომავალ საზოგადოებრივ



ცხოვრებას გეხატავს. ახალი წყობილების მოგონება, მისი თეორიულ გამოხატვა და იმის დამტკიცება, რომ მით წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ძველი წყობილება—აი, რა არის ზთავარი. ნიკოლაძე მიუთითებს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მაგალითზე და აღნიშნავს, რომ სანამ დაიწყებოდა რევოლუცია, მთელი საუკუნე შეეწირა არა მარტო „წინანდელ წყობილების“ დაუზოგველ კრიტიკას, არამედ, რაც მთავარია სერიოზულ შემოქმედებითს მუშაობას, იმ ახალი წყობილების მოფიქრებასა და დამტკიცებას, რომელსაც უნდა განეხლებინა საფრანგეთის ხალხის ცხოვრება.

„საფრანგეთის რევოლუცია, — სწერდა ნიკოლაძე, — შექმნეს არა ბარიკადებმა, არა ვერსალის სასახლის აღებამ, არამედ ის შექმნილი იყო ბევრად უფრო ადრე, როცა მონტესკიემ, ენციკლოპედისტებმა, ვოლტერმა, რუსომ და სხვ. გამოხატეს თავიანთ თხზულებებში, დაწერილებით, მთელი ის წყობილება, რომელსაც უნდა შეეცვალა ძველი არეულობა და რომელიც განხორციელდა კონვენტის „კოდექსებით“ (ტ. II, გვ. 122).

აქ მოტანილი ადგილიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიკოლაძე ფრანგი განმანათლებლების მოწინავე იდეებსა და შეხედულებებს. იგი გარკვევით უახლოვდება იმის გაგებას, რომ თეორიულ ფილოსოფიური რევოლუცია წინ უსწრებდა და ამზადებდა პოლიტიკურ რევოლუციას; ნიკოლაძე აგრეთვე გარკვევით უახლოვდება მოწინავე, რევოლუციური იდეების როლის გაგებას.

რაც შეეხება ძველის ახლით შეცვლის გზების საკითხს, ნიკოლაძე მას არ სთვლის პირველი მნიშვნელობის საკითხად. ძველი ახლით უნდა შეიცვალოს. ეს აუცილებელია. საშუალება კი, რომლითაც ეს გადასვლა უნდა განხორციელდეს, სხვადასხვა პირობებში

სხვადასხვა შეიძლება იყოს. „უზთავრესი საქმეა ნიკოლაძის იყო, — სწერდა ნიკოლაძე, — რომ მოეგონებიათ ეს ახალი წყობილება, დამტკიცებიათ ხელშესახებ, რომ მას წარმატებით შეუძლია შესცვალოს ძველი წყობილება. ძველი ყოფაცხოვრების ახლით „შეცვლის“ განხორციელება კი ასე დიდ საქმეს არ წარმოადგენდა. საფრანგეთში ეს მოხდა ძალდატანებითი წესით, მაგრამ შესაძლო იყო მომხდარიყო, თუმცა უფრო გვიან, სრულიად მშვიდობიანი გზით. რაკი მოგონილია ახალი წყობილება, ძველმა ყოველ მიზეზს გარეშე, ადრე თუ გვიან უნდა დაუთმოს მას ადგილი. ძალდატანებით თუ მშვიდობიანი გზით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ასე თუ ისე, ადრე თუ გვიან, ეს შეცვლა აუცილებელია, როგორც სიკვდილი“ (ტ. II, გვ. 123).

ნიკოლაძის ამ მტკიცებაში ნათლად ჩანს გავლენა უტოპიური სოციალიზმისა, რომელიც მარჩილობდა მომავალზე, თხზავდა მომავლის ფანტასტიურ სურათს, კმნიდა იდეალურ გეგმებსა და ყოველშემცველ პროექტებს და მათ საფუძველზე ცდილობდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას.

ნიკოლაძე კარგად ხედავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმების ახლით შეცვლა გარდუვალია. მაგრამ იგი ვერ ხედავს, რომ ეს გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ძალდატანებითი გადატრიალების გზით, სოციალური რევოლუციის გზით. ნიკოლაძე ფიქრობს, რომ პოლიტიკური გადატრიალება მაშინ ხდება, როცა ხალხის ცხოვრების განკარგების გზით ბუნებრივი მიმდინარეობის შეკავებას ცდილობენ, ხელს უშლიან და აფერხებენ მას. ნიკოლაძეს ღრმად სწამს, რომ თუ ნდობას გამოუცხადებენ „ხალხის გონიერულ აზრს და ინტელიგენციის პატიოსან ძალებს“, თუ ხალხის კანონიერ მისწრაფებებსა და მოთხოვნი-



ლებებს მიეცემა ბუნებრივი მიმდინარეობისა და განვითარების საშუალება, მაშინ ძალდატანებითი გადატრიალება ადგილს დაუთმობს მშვიდობიან ევოლუციას.

„ჩვენი დროის სოციალური მოძრაობანი, — სწერდა ნიკოლაძე, — მხოლოდ მაშინ იქცევიან პოლიტიკურ გადატრიალებათ, როცა ქვეყნის პოლიტიკური ძალები გადაწყვეტენ წინაღუდგენ მას“ (იქვე, გვ. 126).

ამგვარად, ნიკოლაძე ხვდება, რომ სოციალური მოძრაობანი ყოველთვის პოლიტიკურ რევოლუციას როდი იწვევენ. იგი ხედავს, რომ საზოგადოებაში, რომელიც გათიშულია ანტაგონისტურ კლასებად, სოციალური მოძრაობა არ შეიძლება არ ატარებდეს პოლიტიკური გადატრიალების ხასიათს. იმავე დროს ნიკოლაძე იმასაც ხვდება, თუმცა ნეგატიურად, რომ შეიძლება სოციალური მოძრაობანი პოლიტიკური გადატრიალების გარეშე მიმდინარეობდნენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე საერთოდ დგას რა მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის თვალსაზრისზე, შესაძლებელად სთელის შექმნილი ვითარების გათვალისწინების სფეროებზე ძალდატანებითი საშუალებების გამოყენებასაც.

აი, ერთი დამახასიათებელი ადგილი ლუი ბლანისა და ნიკოლაძის საუბრიდან:

ლუი ბლანი:

„რამდენადაც უფრო და უფრო ვაკვირდები მე ისტორიას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მარტო შთავგონებით, დათანხმებით, კანონიერი წესით უნდა ვიმოქმედოთ და ძალადობას, აჯანყებას და ნამეტანს გამხედრობას თავი უნდა დაეანებოთ. თქვენ კარგად იცით, რომ 1848-შიაც ამ შეხედულებამ შემაჩერა და ამნაირათაც მოვიქეცი. ჩვენ საკმაო იარაღი და ასპარეზი გვაქვს ეხლა ხელში. რუსუბლიკა არსებობს,

ნაკლულოვანათ; დროებითად მაქვს მაინც არსებობს. საყოველთაო უფლება ნებას გვაძლევს წესიერათ და კანონიერათ ვაერცელოთ ჩვენი აზრები და დავამზადოთ მათი საბოლოო გამარჯვება“.

ნიკოლაძე:

— „მართალია, ზაგრამ როცა თქვენი მოწინააღმდეგეები შეგამჩნევენ რომ კანონიერი გზით და იარაღით იმარჯვებთ, ისინი ამ გზას და იარაღს ხელიდან გამოგაცილიან, როგორც 1850-ში, რადიკალების გამარჯვების დროს, როცა პარიზში სვენ სიუ და დე-ფლოტი ამოირჩიეს, მონარქიელებმა საყოველთაო კენჭის უფლება შეამცირეს და აღაგმეს, ეხლაც ისე მოიქცევიან... ერთი სიტყვით, ყოველ კანონიერ იარაღს თქვენ ხელიდან გამოგაცილიან, რომ უკანონო მოქმედებაზე გამოიწვიონ და ამოგელიტონ და ამ გამოწვევის დროს თქვენ ნიადაგ უიარაღონი, დაუშვადებელნი და დასუსტებულნი გამოიხიზართ“ („კრებული“ № 4, გვ. 224—226. 1873 წ.).

აქ მოტანილი ადგილი, რა თქმა უნდა, არ სცელის ნიკოლაძის საერთო შეხედულებას არსებული წყობილების მშვიდობიანი გზით რეფორმირებისა და გაუმჯობესების შესახებ.

შენიშვნის სახით: ნ. ნიკოლაძე იცნობდა მარქსის მოძღვრებასაც. მან ერთერთმა პირველთაგანმა ისაუბრა მარქსის შესახებ ქართულ პრესაში. მან 1876 წელს „თბილისის უწყებაში“ ბაკუნინის გარდაცვალების გამო მოათქვამა საინტერესო სტატია, რომელშიც სხვა ამბებთან ერთად მოთხრობილია იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ ინტერნაციონალში მარქსსა და ბაკუნინს შორის. 1883 წელს ნიკოლაძე სტატიაში: „ლუი ბლანი და გამბეტა“ ისევ შეეხო მარქსს. მან მარქსი ლუი ბლანის გვერდით მოიხსენია და ორივე სახელმწი-

ფო სოციალიზმის ფუძემდებლებად აღიარა.

მაგრამ ნიკოლაძისთვის მარქსის მოძღვრება გაუგებარი და მიუწევლომელი დარჩა. ნიკოლაძე, როგორც ქართველ ვროენული ბურჟუაზიის იდეოლოგი, მარქსიზმს რა თქმა უნდა ვერ მიიღებდა.

#### IV.

როგორია ნ. ნიკოლაძის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შეხედულებები? ნ. ნიკოლაძე მარქსამდელი, მეტაფიზიკური მატერიალიზმის წარმომადგენელია, იგი, როგორც ყველა მარქსამდელი მატერიალისტი თანმიმდევრად და ბოლომდე ვერ ატარებს მატერიალისტურ თვალსაზრისს და ხშირად იდეალიზმში ვარდება.

ნ. ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში პოზიტივიზმის საგრძნობ გაელენას განიცდიდა. ზაშინ იგი, სთვლიდა რა როგორც სპირიტუალიზმს ისე მატერიალიზმს ცალმხრივ მიმდინარეობდად, მოითხოვდა მათ უარყოფას და მათ ნაცვლად პოზიტივიზმის აღიარებას. ნიკოლაძე 1888 წელს „ნაროდნოე დელოს“ წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში გადმოგვცემდა პოზიტიური მეთოდის შინაარსს და ამტკიცებდა: „ძთელი თანამედროვე მეცნიერება ბეკონიდან დაწყებული, ამ მეთოდს ეყრდნობა და მიღის წინ მისი წყალობით. ამ მეთოდს უნდა ეუმაღლოდეთ იმ წარმატებისათვის, რომელსაც ბუნებისმეტყველებამ მიადგინა და ყველა ამის შემდეგ „ნაროდნოე დელოს“ ფილოსოფოსები მამაცად მოითხოვენ, რომ მეცნიერებმა, რომელთაც „რევოლუციის მოციქულთა“ სახელის პრეტენზია აქვთ, ხელი აიღონ ამ მეთოდზე და „საყოველთაო სახალხო ენაზე უწოდონ თავიანთ თავს ათეისტები და მატერიალისტები“ (ტ. 1, გვ. 299 — 300).

ნიკოლაძე ვერ ხედავს, რომ პოზიტივიზმი, რომელიც უპარტიოების პრეტენ-

ზიით, მატერიალიზმსა და რევოლუციზმზე მალა დგომის პრეტენზიას წამოაყენებდა, ნამდვილად რეაქციონურ, იდეალისტურ მიმდინარეობას წარმოადგენდა. იგი ვერ ხედავს, რომ პოზიტივიზმი „უბადრუკ ფაფას წარმოადგენენ, შუაგულის ბეჩავ პარტიას ფილოსოფიაში, ისინი ყოველ ცალკე საკითხში მატერიალისტურ და იდეალისტურ ზომართულებას ურევენ ერთმანეთში. ცუდია, რომ ორი ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებიდან გამოხტომისა არაფერს შეიცავს, გარდა „შემრიგებელ შარლატანობისა“ (ლენინი).

ნ. ნიკოლაძეც ცდილობდა დამდგარიყო მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, გამოენახა რაღაც საშუალო ხაზი. მაგრამ იმყოფებოდა რა პოზიტივიზმის გაელენის ქვეშ, აშკარად დგებოდა იდეალიზმის პოზიციებზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ნიკოლაძე არ შეიძლება კონტის პოზიტივიზმის ორტოდოქსალურ მიმდევრად ჩავთვალოთ, კონტი იდეალისტია, ნიკოლაძე კი ძირითადად მატერიალისტი, რაც არ გამოირიცხავს მის იდეალიზმს საზოგადოების ახსნის საქმეში.

ნიკოლაძე შერყევს და ერთმანეთში ურევს მატერიალიზმსა და იდეალიზმს. იგი მატერიალიზმს ცალმხრივ მიმდინარეობად სთვლის, მაგრამ ვერ ხედავს, რომ თვით მატერიალიზმის თვალსაზრისზე სდგას და ზოგად თეორიულ-ფილოსოფიური პრობლემების გარკვევას მატერიალიზმის პოზიციებიდან ცდილობს.

ნ. ნიკოლაძე სამყაროს ერთიანობიდან გაშოდის, იგი სამყაროს ერთიანობას მის მატერიალიზმში ხედავს. ბუნება ადამიანის ცნობიერების გარედ და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. ბუნებას თავისი საკუთარი მარადიული და უცვლელი კანონები აქვს.

„ბუნება ერთია, — სწერს ნიკოლაძე, — ყოველი მისი მოვლენა ერთ და

იმავე უმთავრეს ბუნების კანონს ემონება; კაცის ცხოვრებაც ერთი ამნაირი მოვლენებათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს“ (ტ. 11, გვ. 41).

ნიკოლაძე ადამიანს ბუნების კანონების შემეცნებისაკენ მოუწოდებს. ადამიანმა უნდა შეიცნოს მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებული ბუნების ობიექტური კანონები და მის მიხედვით იმოქმედოს. მხოლოდ ამ გზით შესძლებს ადამიანი თავი დააღწიოს ბუნების ბრმა ძალებისადმი მორჩილებას და განატონდეს ბუნებაზე.

ბუნების კანონების ცოდნას ბუნების მეცნიერება იძლევა, ადამიანი უნდა დაეუფლოს მას. ნიკოლაძე ილაშქრებს რელიგიურ-თეოლოგიური შეხედულებების წინააღმდეგ რომელიც პასიურობისკენ განწირავს ადამიანებს იმით, რომ ამტკიცებს, თითქოს ადამიანები ბედნიერებას გარედან ზეგარდმო უნდა მოელოდნენ. ადამიანებმა უნდა შეისწავლონ ბუნების მეცნიერება რომელიც ადამიანებს მოქმედებისკენ მოუწოდებს, მასში ბუნების ძალებთან ბრძოლის წყურვილს ბადებს, ბრძოლაში ამხნეებს და გამარჯვების რწმენით მსჭვალავს.

ბუნების მეცნიერება ადამიანს იმას ასწავლის თუ როგორ მოიპოოს და აწარმოოს საზოგადოებრივი დოვლათი, საზოგადოებისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებები. მაგრამ მარტო ამის ცოდნა არ არის საკმარისი. აუცილებელია აგრეთვე იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოპოვებულ დოვლათის, მოპოვებულ საარსებო საშუალებების სამართლიანი განაწილება. იმის ცოდნას საზოგადოებრივი მეცნიერება იძლევა. მასსადამე, ადამიანისათვის აუცილებელია არა მარტო ბუნების მეცნიერების ცოდნა, არამედ ამავე დროს საზოგადოებრივი მეცნიერების ცოდნაც.

„ბუნების მეცნიერების გარდა, — სწერდა ნიკოლაძე, — რომელიც სიმ-

დიდრის მოყვანას და დანაწილებას გვასწავლის, საჭიროა მეორე ცდომილება, რომელიც იკვლევს, თუ რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი-სიმდიდრის მეორეში გადასვლა, რანაირად უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევაში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მართველობა და რა განწყობილება გამოსადეგია ამ საქმეში. ეს საგანი ეკუთვნის „საზოგადოების“ მეცნიერებას“ (იქვე, გვ. 42).

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს იმ შინაგან კავშირზე, რომელიც ბუნებას და საზოგადოებას და აქედან გამომდინარე ბუნებისმეტყველებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას შორის არსებობს. ბუნების მსგავსად საზოგადოებასაც განვითარების თავისი კანონები აქვს. საზოგადოებრივმა მეცნიერებამ აღმოაჩინა იმ კანონები „რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება. ეს კანონები ერთ, საქვეყნო, ბუნების კანონს ჩამოაგავენ და როგორც ბუნებაში ყოველიფერი ბუნების კანონს ემონება, და მისგან იღებს თავის ძალას და სიცოცხლეს ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურათ და უცოდნელად ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, აუცილებლად მისდევს მის ნებას“ (იქვე, გვ. 45).

ნ. ნიკოლაძემ დაინახა ბუნებისა და საზოგადოების ერთიანობა, ხაზი გაუსვა, როგორც ბუნების ისე საზოგადოების კანონზომიერ ხასიათს და მიუთითა ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერების მიერ აღმოჩენილ და შესწავლილ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონების მიღწევის საშუალებაზე.

ნ. ნიკოლაძემ ვერ დასძლია ძველი მატერიალიზმის მეტაფიზიკური ხასიათი. სამყაროსადმი მისი მიდგომა, სამყაროს მოვლენების შემეცნების მისი მეთოდი მეტაფიზიკურია. როგორც

დავინახეთ, ნიკოლაძეს ჰგონია, რომ სამყაროს აქვს მარადიული და უნივერსალური კანონები, რომლებიც არასოდეს არ იცვლებიან. მარადიული და უცვლელი კანონები მოქმედებენ არა მარტო ბუნებაში, არამედ აგრეთვე საზოგადოებაშიც. იგი ამტკიცებდა: „საზოგადო ცხოვრებაში არაფერი ხდება უეცრად და უმიზეზოდ, ისე, რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს“ (იქვე, გვ. 45) ან კიდევ: „საზოგადოების ცხოვრება ყოველგან და ყოველთვის ერთ და იმავე წესით და კანონით სწარმოებს“ („კრებული“ № 5, 6, გვ. 395. 1873 წ.).

ნიკოლაძის აზრით ბუნებას კანონები იმიტომ არიან უცვლელი და მარადიული, რომ თვით ბუნება არას უცვლელი და მარადიული. ასევე ითქმის საზოგადოების შესახებაც. საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი მარადიული პრინციპები აქვს, რომელნიც ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის გამოსადევნი არიან.

ნიკოლაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა ძირითადი მეტაფიზიკური ხასიათი სრულიად არ გამოირჩევა მის შეხედულებებში დიალექტიკის ცალკეული ელემენტების არსებობას.

ნიკოლაძე კარგად ხედავს, რომ ობიექტური სინამდვილე წარმოადგენს განვითარების განუწყვეტელ პროცესს, სადაც რაღაც წარმოიშობა და ვითარდება, რაღაც ინგრევა და ისობა. ნიკოლაძე მოითხოვს, ახლისადმი გამოსარწმუნებასა და მის დაცვას.

„ეს „ახლის“ სიყვარული და ახლის წაღილი, — სწერს ნიკოლაძე, — უსაფუძვლო მიზეზობათ ზოდი უნდა ჩავთვალოთ, ჩემო მკითხველო. ამ გრძნობას ძალიან მტკიცე და შეურყეველი საფუძველი აქვს, რომელიც ბუნების კანონებზეა დამყარებული. რადგან ყოველიფერი ქვეყანაზე იზრდება, ხტუნდება და კედება, ბუნება დიდი ნაწილი

დალბებოდა და გაქრებოდა, გამცხრეველებელი და გამაახლებელი, რომ არ ჰქონდეს, რომელიც გაფუჭებული და დაძველებული ნაწილების მაგიერათ ახალს, უკეთესებს უშზადებს და აძლევს. და ყოველ ძალას, რომელიც ბუნებაში არსებობს და მოქმედებს კაცის ცხოვრებაზეც პირდაპირი ზემოქმედება აქვს“ (ტ. 11, გვ. 20).

ნიკოლაძე ხედება იმას, რომ ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს შეადგენს. იგი იმსაყ ხედება რომ ბრძოლის ფორმები პრაქტიკული და ცვალებადნი არიან, თვით ბრძოლა კი მარადიული და აბსოლუტურია, ვინაიდან იგი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობისა და წინსვლის წყაროა.

ადამიანთა ცხოვრების ისტორია ეს ბრძოლის ისტორიაა. ბრძოლა სწარმოებს საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის. იმარჯებენ ძლიერნი, მარცხლებიან სუსტნი და უძლურნი. რომა ვალში, როცა ადამიანთა შორის ცხოვრება გონიერულად მოგვარდება, ადამიანთა ურთიერთ ბრძოლასაც ბოლო მოეღება მაგრამ თვით ბრძოლა სახე შეცვლილი ძვედ დარჩება. ბრძოლა იქნება ადამიანებსა და ბუნებას შორის.

„ცხოვრება-ელანდელ თავის მდგომარეობაში — ბრძოლაა. რაგინდ გაუკეთესდეს ის შემდეგში, რაგინდ გონიერი და ძმური გრძნობით აღვსილი გახდეს კაცობრიობა, ყოველთვის და ყველა ხალხისათვის ცხოვრება ბრძოლა თუ არა, შრომა მაინც იქნება. კაცი იბრძვის და ყოველთვის ბრძოლაში იქნება ბუნებასთან, იმისთვის, ყოველთვის, საჭირო იქნება ამ ბუნებით სარგებლობა და იმგვარი განწყობილება მახლობლებთან. რომ, ცალკალკობის მაგიერ ერთი ძმური და გონიერი კაცობრიობის ოჯახი ბუნების სარგებლობას ეწყაფოდეს და გონიერათ იყოფდეს მის ნაყოფს“ („კრებული“ № 3, გვ. 192, 1871 წ.).

ნიკოლაძემ მოგვცა არა მარტო ბუნ-

ნებისა და საზოგადოებისადმი დიალექტიკური მიდგომის საყურადღებო ელემენტები, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტური ახსნის მნიშვნელოვანი ელემენტებიც.

ნიკოლაძე მთელ რიგ თავის სტატიებში მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების შემეცნებას იმისთვის, რომ გამოყენებული იქნას ისინი, ეს კანონები: „ცხოვრება მისი მოვლენები, ზისი ძალები იმისთვის უნდა შევისწავლოთ, რომ გავიგოთ მისი კანონები, მხოლოდ ამ უკანასკნელთა გაცნობის შემდეგ შევძელით ჩვენ ზეგაუღონა მოგვეხდინა ცხოვრებაზე, გამოგვეყენებინა მისი ძალები“ („ნოვოე ობოზრენიე“, № 2032).

იქვე ნიკოლაძე მიუთითებს, რომ თანამედროვეობა არის რეალობა. იგი არ არის ადამიანთა სურვილებით შექმნილი. მოსწონს თუ არა, ადამიანმა უნდა მიიღოს იგი, როგორც არსებული, და ანგარიში გაუწიოს მას. სინამდვილის არა უბრალოდ უარყოფა, მისგან გაქცევა, და არც პასიური შერიგება და შეგუება მასთან, არამედ მისი კანონების შესწავლა და მის მსვლელობაზე შემოქმედება. „რაც უფრო მიუღებელია ჩვენთვის ეს თანადროელობა, რაც უფრო ძლიერ გეწადია ჩვენ მისი გაუმჯობესება, მით უფრო ახლოს უნდა შევისწავლოთ იგი, მისი გამოვლინებები, კანონები, ძალები, რათა ცოტად თუ ბევრად ნაწილობრივი ზეგავლენა მაინც მოვახდინოთ მის მსვლელობაზე“ („ნოვოე ობოზრენიე“ № 2032 1889 წ.).

ამგვარად სინამდვილის შემეცნება მისი გარდაქმნისათვის—აი რას მოითხოვს ნიკოლაძე. აქ, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, იგი დაშორდა მარქსადიდელ მატერიალიზმს, მაგრამ ნიკოლაძეს, რომელიც არ მდგარა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის პოზიციებზე, როდი შეეძლო დაეძლია

ძველი მატერიალიზმის მკერეტლობითი ხასიათი.

ნიკოლაძე გვაძლევს ისტორიაში მასთან როლის სწორად განსაზღვრის საინტერესო ცდას. ხალხი ისტორიის ნამდვილი შემოქმედია ხალხის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს ისტორია, ამიტომ იმისათვის, ამტკიცებდა ნიკოლაძე, რომ დაიწეროს საქართველოს ისტორია, ჯერ შესწავლილი უნდა იქნას თვით ხალხის მდგომარეობა, მოქმედება და მისწრაფებები; მხოლოდ მაშინ, როცა გამოჩვეული იქნება თუ რაა საჭირო და რა სურდა ჩვენს ხალხს, რას ეძიებდა, საით მიიღტვოდა და რას ეტრფოდა იგი, შეიძლება დაიწეროს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია. „ხალხი, ხომ ისტორიის პირველი შემოქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია, თუ მის პირველ მოქმედ პირზე ჩვენ სრულიად არაფერი გავება არა გვაქვს“ ამბობს იგი („კრებული“ № 10, გვ. 148. 1872 წ.).

ნიკოლაძე უარყოფს სუბიექტურ თვალსაზრისის ისტორიაზე. იგი ამტკიცებს, რომ პიროვნებას არ ძალუძს საკუთარი სურვილების მიხედვით გამოიწვიოს და მომართოს ხალხის მოძრაობა. ხალხთა მოძრაობა მაშინ იწყება, როცა თვით ხალხი იგრძნობს ამის აუცილებლობას. ცალკეულ პიროვნებათა მოქმედებაც მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მას ხალხი თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს.

„ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მივხედეთ, — სწერდა, ნიკოლაძე, — რომ ცალკე პიროვნებათა ვერავეითარი თავაღებულობა, ვერავეითარი მათი სიმამაცე და ვერც ვერავეითარი მათი მოხერხებულობა, თუ ეშმაკობა, ვერ გამოიწვიეს ხალხის მოძრაობას. თუ ხალხის მასაში, ან, ყოველ შემთხვევაში, მის უმრავლესობაში არ სუფევს იმ უკმაყოფილების ელემენტი, რომლისადაც უკვე ალორისა ხალხის სახელგანთქმული მოთმინების ფიალა. ცალკე პიროვე-

ნებათა და კასტების ყოველი მოქმედება, ყოველი მათი აზრები, რაგინდ ქეთილმობილი და წმინდა იყოს ეს აზრები — მასებისათვის სრულიად უცხო რჩება; იგი მოსაკვდინებელი გულგრილობით ხედება მათ, ვიდრე არ იგრძნობს, რომ მის უკმაყოფილებისა და ზემოხსენებულ ადამიანთა მეცადინეობას შორის ძირეული და განუყრელი კავშირი არსებობს. ამნაირ შემთხვევაში (უნდა ითქვას კი რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია) მასა ერევა, საქმეში და ცალკე პიროვნებათა ცდას თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს, თავის საკუთარ ხასიათსა და სახეს მისცემს ხოლმე მას“ (ტ. 1, გვ. 215 — 216).

ნიკოლაძე არ უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში. იგი ხაზს უსვამს რა მასის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამავდროს მოუთითებს გამოჩენილ პიროვნებათა სერიოზულ მნიშვნელობაზე. „მე გენიოსებისა და ტალანტების მნიშვნელობასა და როლს როდი უარყოფ, მაგრამ მარტოოდენ გენიოსები, მარტოოდენ ტალანტები საერთო საქმეში ისევე უძლურნი არიან, როგორც ხალხი უგენიოსებოდ და უტალანტებოდ“ („ნოვოე ობოზრენიე“ № 1307, 1887 წ.).

ნიკოლაძე ხედება, რომ საზოგადოებრივი შეხედულებები კი არ განსაზღვრავს ისტორიულ პირობებს, არამედ ისტორიული პირობები განსაზღვრავს შეხედულებებსა და იდეებს.

ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას განსაზღვრავს ის საზოგადოებრივი პირობები, რომელშიც იგი სცხოვრობს. ადამიანის ამა თუ იმ მოქმედების მიზეზი მის გარეშე სძევს. იგი იმყოფება იმ გარემოში, რომელშიც ადამიანი მოქმედებს. მაშასადამე დანაშაულობის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოისპოს ის მძიმე და დუბჭირი პირობები, რომლებიც დანაშაულს ჰქმნიან.

ფრანგ განმანათლებელთა და უტოპისტ-სოციალისტთა კვალდაკვალ ნი-

კოლაძე ამტკიცებს, რომ ადამიანებ ბუნებით თანასწორნი არ არიან. რეზობის ერთნაირი უფლება აქვთ. ყველა ადამიანს სრული უფლება აქვს იყოს თავისუფალი და საზოგადოებრივ დოვლათში წილი იქონიოს.

„ყველა ადამიანს თანაბარი უფლება აქვს ცხოვრებისა, რანაირიც გნებავთ იყოს მისი ქონებრივი და მემკვიდრეობითი უფლებები და იქამდე ვიდრე არ დაუმტკიცებიათ, რომ ზოგიერთი ადამიანი ფეხზე დეზებიათ იბადება, როგორც ამბობდა ვოლტერი, — ხოლო ზოგიერთი კი ზურგზე კურტინითაო. უმწველია, ყველა ადამიანს განურჩევლად, თანაბარი უფლება აქვს მიწიერ დოვლათიდან თავისა წილიც მოითხოვოს“ (ტ. 1, გვ. 238).

ეს მატერიალისტური შეხედულება ნიკოლაძეს არც შემდეგში უარუყვია. იგი წლის შემდეგ 1888 წელს ნიკოლაძე სწერდა: „საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ არსებითად ყველა ადამიანი თანასწორი და ერთნაირია. რომ მხოლოდ შემთხვევა, მხოლოდ ბედისწერის ან წყობილების უკუღმართობა ხელოვნურად განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. ამიტომ მთელი ჩემი არსებით შემოცანა მე არისტოტელე ზოცა სადღაც წავიკითხე, რომ მისი გაგებით თითქოს ერთნი იბადებიან იმისათვის, რომ იბრძანებლონ, ხოლო მეორენი იმისათვის, რომ მორჩილნი იყვნენ“. და შემდეგ იქვე: „ჩვენ მტკიცედ გვწამდა თანახმად ჟან-ჟაკ რუსოსა და რობერტ ოუენისა, რომ ადამიანისგან რაც გნებავთ იმას გამოკვეთთ: მისგან გმირსაც გამოიყვანთ, განდგეგოსაც და ავაზაკსაც“ („ნოვოე ობოზრენიე“ № 1427, 1888 წ.).

ნიკოლაძეს დამტკიცებულად მიაჩნია ის, რომ ადამიანის ბუნებაში არ არის არც ბოროტი და არც კეთილი საწყისები და რომ ყოველი მოქმედება დამოკიდებულია გარემო პირობებზე. ამის გამო უნდა ვიზრუნოთ იმისათვის,

რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ის პირობები შევცვალოთ, რომლებიც აწვევენ ბოროტ მოქმედებებს.

ის გარემოება, რომ ადამიანის მოქმედება საზოგადოებრივი პირობებით არის გაპირობებული, არ ნიშნავს იმას, პიროვნება არ იყოს მის მიერ ჩადენილ მოქმედების პასუხისმგებელი, და რომ საზოგადოება შეუძრიდეს არ შეებრძოლოს ამა თუ იმ პიროვნების საზოგადოების საწინააღმდეგო გამოსვლებს.

ნიკოლაძე სთვლის, რომ მოაზროვნენი უნდა არკვედნენ იმ მიზეზებს, რომლებიც ადამიანის კეთილ თუ ბოროტ მოქმედებას განსაზღვრავენ, კანონმდებლები უნდა ცდილობდნენ მოსპონ ის პირობები, რომლებიც ბადებენ ადამიანთა ბოროტ მოქმედებას; ხოლო საზოგადოება უნდა გაზოხატაიდეს თავის გარკვეულ დამოკიდებულებას ადამიანთა ამათუიმ მოქმედებისადმი, იგი უნდა აძლევდეს შეფასებას ადამიანის კეთილ თუ ბოროტ, სამართლიან თუ უსამართლო მოქმედებას.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ნიკოლაძემ ვერ შესძლო დაეძლია ძველი მატერიალიზმის ცალმხრივობა. იგი საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნის საქმეში იდეალისტად დარჩა.

ცდილობს რა საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნას, ნიკოლაძე საერთო ასპარეზზე მოღვაწე პირებს ორ ჯგუფად ჰყოფს. ერთნი პატიოსანი მოღვაწენი არიან. ისინი ერისადმი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით, არიან გამსჭვალულნი. მათი ერთად-ერთი გულწრფელი სურვილია ერისადმი უანგარო სამსახური. მეორენი ისინი არიან რომელთაც არ უყვართ ერი, არ ზრუნავენ მისი მომავალი, არ სურთ მისი სიკეთე. ისინი ატყუებენ, რყენიან და ფლუფენ ხალხს. ნიკოლაძე ფიქრობს, რომ საზოგადოების ისტორია არის ამ ორი ტიპის მეთაურთა ბრძოლა და ყოველთვის „როცა მეორე ტიპის

კაცებს, ქვეყნის საქმეზე ზედმეტად დიათ, საქვეყნო ისტორიულ-საზოგადოებრივ მოვლენებს, რომ მათ გაძლიერებას, მათ იზიარებენ, ერიც ყოველგან გაურყენიათ და ქვეყნის საქმეც ყოველგან დაუღუპავთ“ („მოამბე“ № 11, გვ. 110, 1894 წ.).

ნიკოლაძე ლაპარაკობს კეთილსა და ბოროტზე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების მამოძრავებელ ძალებზე. მას ღრმად სწამს, რომ „ქვეყნად არსებობს ზარალიანი სიმართლისა და სამართლიანობის კანონები, ურღვევი კანონები, ყველაფერი წარმავალია“, მართლმოდენ კეთილია ცხოველმყოფელი ქვეყნად“. სიმართლე, სამართლიანობა უძლეველი ძალაა. იგი იმორჩილებს ყოველგვარ სხვა ძალებს და საბოლოოდ ბატონდება მათზე. ნიკოლაძე დარწმუნებულია იმაში, რომ არის ერთი ძალა, რომელსაც ვერ უმკლავდება ვერც ორთქლის, ვერც ელექტრონის და ვერც სხვა რომელიმე ძალა: „ესაა სიმართლის ძალა“ („ნოვოე ობოზრენიე“ № 1284, 1887 წ.).

ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ სიმართლისა და სამართლიანობის ძალა არის ის, რაც ასულდგმულებს მის მსახურთ, აზნეუებს მათ, ბრძოლის წყურვილს აღვიძებს მათში და მათ გამარჯვების რწმენას უნერგავს. კაცობრიობის ბედნიერი მომავალი სიმართლის ძალას ემყარება. იგი დასძლევს ბოროტების დროებით ბატონობას, დამყარდება მუდმივობა სიმართლისა და სამართლიანობისა.

მგვრამ მის დასამყარებლად საჭიროა ადამიანი, ქვეყნისადმი კეთილშობილი და გონიერი, რომელიც კაცობრიობის ცნობიერებაში შეიტანს იმის შეგნებას რომ სიმართლე უძლეველია. საზოგადოების ისტორიის პირველივე საუკუნეებიდან, აღნიშნავს ნიკოლაძე, არა ერთ დიდებულ მოძღვარს უქადაგ-



ნია ბოროტებისადმი სიძულვილი და კეთილისადმი სიყვარული. მაგრამ დღემდე ვერაიენ შესძლო კაცობრიობა დაერწმუნებია სიმაართლის უძლეველობაში. მხოლოდ მაშინ, როცა სამართლიანობის ძალა კაცობრიობას დაეუფლება და მის კუთვნილებად გადაიქცევა — მაშინ დამყარდება ხალხთა ის ცხოვრება, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობა ასე ამოოდ შენატროდა... ადამიანი, რომელიც ამ უკვდავ საქმეს გააკეთებს უნდა დააზადოს, იგი დაიბადება.

„როდის-ღა გამოჩნდება, ბოლოს-დაბოლოს, ისეთი მწერალი, მოაზროვნე, პოეტი — სწერს ნიკოლაძე, — რომლის მძლავრი ძალა შესძლებს კაცობრიობის შეგნებაში ჩანერგოს ის უბრალო და მარადიული ქეშმარიტება, რომ სიმაართლე ურყევია, რომ მის წინაშე სიცრუე უძლურია, რომ ქვეყნად არ არსებობს ისეთი საშუალება და ძალა, რომელსაც შეეძლოთ სიცრუე სიმაართლედ გაასაღონ... განუზომელად დიდი იქნება ამ ჩვენთვის საჭირო მოაზროვნის თუ პოეტის როლი და უსაზღვრო იქნება მისი დიდება დედამიწაზე, იმიტომ რომ ვერავითარი დიადი აღმოჩენები ვერ მოუტანს კაცობრიობას იმ-

დენ სარგებლობას, მშვიდობას და სიკეთეს, და მხოლოდ მას რწმუნებულად დამყარდება ის „მშვიდობის კაცობრიობა“, რომლის მოვლინებაზე ასე ზხურვალედ და ამოოდ ლოცულობენ დედამიწის ყველა ენაზე მთელი კაცობრიობის საუკეთესო გულები“ („ნიკოე თბობრენიე“ № 1472, 1889 წ.).

ამგვარად ნიკოლაძე, გამოდის რა „დიდ ადამიანთა“ კეთილ სურვილებიდან. ამჟამად ვარდება იდეალიზმში.

ნ. ნიკოლაძეს სოციალ-პოლიტიკური და თეორიულ-ფილოსოფიური შეხედულებები გამოხატავს ახალგაზრდა ქართველ ნაციონალური ბურჟუაზიის გაორებას და მერყეობას, რაც საქართველოს ვითარების თავისებურებით იყო ნაკარნახევი.

ბურჟუაზიის პროგრესიულობა დასავლეთ ევროპაში ამ დროს უკვე დამთავრებული იყო, აქედან მომდინარეობს მისი იდეოლოგიის რეაქციულობა, ჩვენში კი ამ დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის ის ჯგუფი, რომელსაც ნ. ნიკოლაძე მეთაურობდა, ბურჟუაზიულ-პროგრესიულ მიმდინარეობად წარმოგვიდგება.



## გორაკი და საქართველო



— 1892 წელს, როდესაც ვერის ბალთან კონკის სადგური იყო, აქ სცელიდნენ კონკის ცხენებს — აი, ამ სადგურთან ვილაც მანდილოსნისათვის უცნობ მოხელეს სკანდალი აეტეხნა. ხალხი შეგროვდნენ. არავინ გამოეჭიკნა თურმე მანდილოსანს და ქალი იდგა შეზარბოშებულ მოხელეს მიერ შეურაცხყოფილი. ამ დროს ხალხის წრე გაარღვია უცნობმა ახალგაზრდამ, რომელიც გამოეჭიკნა შეურაცხყოფილს და სასტიკად დატუქსა მოხელე-გორაკოვებმა არ დააყოვნეს გამოცხადება. ჩქარა ეს უცნობი ახალგაზრდა, რომელიც თურმე ახალი ჩამოსული იყო ტფილისში, აგრეთვე ყველა იქ მყოფნი წაიყვანეს პოლიციის საუბნო სამმართველოში. ეს უცნობი ახალგაზრდა მაქსიმ გორაკი იყო. მას იცნობდა პოლიცია, თუმც ჯერ არ ენახა<sup>1</sup>.

ასე რომანტიულად, — ადამიანის ღირსებისა და უფლებების მგზნებარე დამცველად — გეიხატავს ახალგაზრდა გორაკის თავის ზოგონებაში კალიუენი, ახალგაზრდა გორაკის დიდი კეთილისმყოფელი და მოამაგე.

გორაკი ამ დროს უკვე რამდენიმე თვის ჩამოსული იყო თბილისში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ შემდგარიყო ლიტერატურის დიდ შარა გზაზე. გორაკი ამ დროს მხოლოდ აჯადოებდა მსმენელებს თავისი უებრო მეტყველებით, გორაკის მომხიბვლელ საუბ-

რებით აღტაცებულნი იყვნენ თბილისში შეძენილი მისი ახალი მეგობრები. რომანტიული ქაბუკი თავისი ორიგინალური გარეგნობითაც იქცეოდა ყურადღებას. მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, მეოცნებე თვალები და შთაგონებული სახე — ასეთი იყო გორაკი, როცა იგი პირველად ესტუმრა საქართველოს 1891 წლის ნოემბერში. ამ დროს იგი უკვე გატაცებული იყო რევოლუციური იდეებით, ადამიანისათვის ბედნიერების მოპოების რწმენით.

მაქსიმ გორაკის თბილისში ჩამოსვლის დროისთვის ის-ის იყო იკიდებდა ფეხს მუშათა მოძრაობა. მოწინავე, დემოკრატიული ინტელაგენციის წრეებში ღვიოდა ძლიერი პროტესტის სული მონარქიულ-ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ. მაქსიმ გორაკი თბილისში ჩამოსვლისთანავე აბამს კავშირს პროგრესიულად განწყობილ პირებთან.

მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ხუდადოვის შემწეობით მაქსიმ გორაკი სულ მალე ეწყობა თბილისის რკინიგზის სახელოსნოში და უერთდება ჩუღურეთის რევოლუციურ-კონსპირატიულ წრეს, რომელშიაც აქტიურ მუშაობას იწყებს.

ამ პერიოდში გორაკი გაეცნო თბილისის რევოლუციურ ახალთაობას, რომელთაგან ზოგმა დრმა კვალი დასტოვა მის ადრეულ შემოქმედებასა და ცხოვრებაზე. მთელი რიგი მოგონებე-

<sup>1</sup> „კომუნისტი“, 1936 წ. 20 აგვისტო.

ბით ირკვევა, რომ გორკი იმ დროს უადრესად დაახლოებული იყო თბილისის რევოლუციურ ინტელიგენციასთან და მუშათა წრეებთან.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ჩაწერეთ გორკის თბილისელი მეგობრებისა და თანამედროვეების საინტერესო მოგონებანი, რომლებიც საშუალებას გააძლევენ ფართოდ გავაშუქოთ გორკის ყოფნა საქართველოში და მისი სულიერი ურთიერთობა ქართულ საზოგადოებასთან.

გორკის თანამედროვემ, მისი აღრუული წლების მეგობარმა ვლადიმერ იაკობისძემ როზლინმა (დაბ. 1867 წ.) შედეგი გადმოგვცა გორკის საქართველოში პირველად ჩამოსვლის შესახებ:

„1888 წელს როსტოვიდან ჩამოვედი ტფილისში, სამხედრო ბეგარის მოსახდელად. ვიყავი არტილერიის მეორე ჯარისკაცი. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ვაძლევდა კერძო გაკვეთილებს. 1890 წელს მოვეწყვი ქალაქის მმართველობის წყალსადენის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე ათეული წელწადი ვმუშაობდა განუწყვეტლად: 90-იან წლების ტფილისში მნიშვნელოვანი რევოლუციური მუშაობა იყო გაშლილი. ამ მუშაობის გაღვივებას განსაკუთრებით უწყობდნენ ხელს რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული პოლიტიკური დამნაშავეები.

1891 წელს, ნოემბერში თუ დეკემბერში ჩვენ გეთხოვეს მორიგეობა გაგვეწია ავადმყოფ გოლა ჩიტაძესთან, რომელიც ჩუღურეთში მოსე თოიძის ბინაში იწვა. ჩვენ გაგვაჯანა სამორიგო ექიმმა ნიკო ხუდადოვმა, ცნობილმა ხალხოსანმა — რევოლუციონერმა. ერთ დღეს მარტო ვიმორიგევე, მეორე დღეს მოვიდა ჯანმრთელი რუსი ახალგაზრდა. მე და ფედიკა აფანასიევი ვიყავით იმ საღამოს ჩიტაძესთან, გამოველაპარაკეთ ან ახალგაზრდას, რომელიც გვარად პეშოვი გა-

მოდგა, — კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. მორიგეობა მხოლოდ დებოდა, რადგან ჩიტაძეს მხოლოდ მყოფი იყო. ალექსი პეშოვი, რაღაც გასაოცრად აწყნარებდა ავადმყოფს, ისე მოზერხებულად ეპყრობოდა. ამ მორიგეობის დროს ძალიან დავმეგობრდით პეშოვი, მე და აფანასიევი. პეშოვი გვიყვებოდა თავის მრავალფეროვან ცხოვრების ისტორიას, პირდაპირ ფანტასტიურ თავგადასავალს. ამას ყველაფერს ისე გატაცებით და მხატვრულად ყვებოდა, რომ თვალს ვერ ვაცილებდით. ერთად გატარებულმა დამეგობა ჩვენ სულიერად დაგვაახლოვა ერთმანეთს და გადაეწყვიტეთ ერთად გვეშოვნა ბინა. სულ ზალე ჩვენ მოენახეთ თეთრი სარდაფი კრასნოგორსკის ქუჩაზე. (ახლა უკვე გორკის ქუჩაა) და აქ დავიწყეთ ერთად ცხოვრება — პირველად გორკიმ, აფანასიევმა და მე. შემდეგ სხვებიც შემოგვიერთდნენ (ბილანიშვილი და სხვ.). პირველად, მოგვემზრო შიო ჩიტაძე, გოლას ძმა. ჩვენ ხშირად ვაწყობდით ლიტერატურულ საღამოებს. ამ საღამოებზე ხანდახან ასამდე კაცი იკრიბებოდა. მოდიოდნენ სემინარისტები, რევოლუციონერად განწყობილი ახალგაზრდობა. ამ ლიტერატურულ საღამოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალი ფლეროვსკი-ბერგი, იმ დროს „კავკაზის“ კორექტორი, რევოლუციონერ საქმიანობისთვის საქართველოში გადმოსახლებული გორკის ეჭირა ყველაზე დიდი ოთახი. იმ დროს გორკის ქონთა უკვე ორი დიდი რეეული, რომლებშიც საკუთარი ლექსები და მოთხრობები ქონდა ჩაწერილი. 1891 წელსვე გორკი მოეწყო აკაკეასიის რკინიგზაზე მოანგარიშე — „ტაბელშიკად“. გორკის ამ მხრით ძალიან ეხმარებოდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ექიმი ნიკო ხუდადოვი. როდესაც გორკი პირველად

მოწყობა რკინის გზაზე, ჯერ გამოუცდელი იყო და ძე ვეზაარეაიოდი.

1892 წლის ივნისში გორკი გადავიდა კალიუქისთან ბინაში. კალიუქისთან ძე უფრო ადრე ვიყავი და ავტობრტებული იხანე ჯაბადარის მეშვეობით და გორკისა და კალიუქის დაახლოებაშიც მივიღე მონაწილეობა რამდენჯერმე მოვიყვანე გორკი კალიუქისთან.

ივანე ჯაბადარი შესანიშნავი პიროვნება იყო. ყველა გადმოსახლებულებს და რევოლუციურ ელემენტებს დიდ დახმარებას უწევდა.

გორკი შემდეგ ვინაზე 1924 წელს, როცა ტფილისში ჩამოვიდა, გააშკიბა ძველ ამხანაგებზე. სიხარულით მოვიგონეთ ერთად გატარებული დღეები კრასნოვოროსკის უბანში.

ქართველ მოღვაწეებიდან — გორკის ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობები ჩაეწერეთ მ. გორკის თანამედროვის ვასილი ივანეს-ძე მაიკოვისაგან (1860 — 1940). ვ. ი. მაიკოვი ტფილისში გადმოსახლებულა 90-იან წლების დასაწყისში ყირიმიდან, სადაც მას სასტიკად დევნიდა ყანდარმერია რევოლუციური მუშაობისათვის. იგი თბილისში მოწყობილა ქართველი მოღვაწის ივანე სპირიდონას-ძე ჯაბადარის შემწეობით. — „ივანე სპირიდონის-ძე ჯაბადარი იყო, — ვკითხულობთ მის მოგონებაში, — ძე გადმოსახლებულთა ნამდვილი მამა. მან დიდი საშახტური გაუწია კალიუქისსაც და მონაწილეობა მიიღო გორკის მოწყობაში. კალიუქნი იყო მეტის მეტად ფაქიზი და ადამიანური კაცი. პატიოსნებით საესე. ტფილისში, ისევე, როგორც მე და ჩემი ამხანაგები ცხოვრობდა, როგორც ყანდარმერიისგან დევნილი.

მაქსიმ გორკი მე მასთან ვაეციანი. ახალგაზრდა გორკი (მაშინ ალექსი პიშოვი) სტოვებდა მეტად მკვეთრ შთაბეჭდილებას. ათას კაცში გამოარ-

ჩევიდით. მაღალი, მტკიცე, კარგად შენარჩუნებული მოხილი ცოცხალი უფლებიანი კალიუქისა და აიოველ შეხვედრისთანავე მითხრა, რომ მეშკოვი გახსაკუთრებული ტალანტის ადამიანია.

გორკის უახლოესი ადამიანები იყვნენ აგრეთვე ფედია აფანასიევი და შიო ჩიტაძე. ფედია აფანასიევი გორკისთან ერთად ცხოვრობდა კრასნოვოროსკის ქუჩაზე. იგი ძალიან ამაყობდა გორკის მეგობრობით. შიო ჩიტაძე ყველასათვის საყვარელი რევოლუციონერი იყო: თავის ავზნებას ყველას გადაადებდა ხოლმე. გორკი და ის ხშირად დადიოდნენ ერთად, კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ხშირად ჩხუბობდნენ კიდევ... გორკის გარდა ამ საღამოებიდან მახსოვს უფრო მკვეთრად ფლეროვსკი-ბერვი და შიო ჩიტაძე.

ქართველ მოღვაწეებიდან, რომლებმაც ხელი გაუწოდეს გორკის საქართველოში მისი პირველად ჩამოსვლისას, ვ. მაიკოვი, ივ. ჯაბადართან ერთად, ასახელებს ნიკო ხუდადოვსაც. „გორკის მეგობრებიდან, — გვიამბობს ვ. მაიკოვი, — აღსანიშნავია ნაჩალოვი, ა. — კ. რკინიგზების მოსამსახურე. პირველი რეკომენდაცია გორკის მან გაუწია, თორემ შეიძლება ეტაპით უკანვე გაეგზავნათ ჩამოსვლისთანავე. ხოლო სამსახურის შოვნაში ხუდადოვი დაეხმარა. ნიკო ხუდადოვი ყველა ჩვენ დიდ პატივს ვცემდით. ვიცოდით, რომ თანამშრომლობდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში და ხშირად მიემართავდით ხოლმე დახმარებისათვის.“

როგორც ამ მოგონებებიდან ირკვევა ჰაბოკი პეშკოვი თბილისში ჩამოსვლისთანავე უახლოვდება მოწინავე როს და ქართველ ინტელიგენტებს, კავშირს აბამს მუშათა წრეებთან, იკრებს თავის ვარშემო რევოლუციონერ ახალთაობას და კიდევ უფრო მძლავრად აღვიქვას მასში ბრძოლის სურვილს მაღალ იდეალებსათვის.

იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდა ახალგაზრდა ვორკი, ხსენებულ შიო ჩიტაძის გარდა, იგი ხედებოდა რევოლუციურად განწყობილ სხვა ქართველ ახალგაზრდა მოღვაწეებს, რომელთაგან აღსანიშნავია მწერალი ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ლადო დარჩიაშვილი, ილია აგლაძე, სერგო რობაქიძე, მხატვარი მოსე თოიძე და სხვ.

როგორც ჩანს, ქართველი მოაზროვნე ახალთაობის წრეში ვორკის ურჩიეს ქალაქებზე აღებუქდა ყოველივე ის, რასაც რომანტიკული ქაბუჯი ასე მომხიბლავდა უყვებოდა თავის მეგობრებს. ამ მხრით ვორკის ერთერთი სტიმული გამხდარა ცნობილ ქართველ მწერალთან ეგნატე ნინოშვილთან შეხვედრა. ამ საინტერესო შეხვედრის შესახებ ცნობა შემოგვინახა ახალგაზრდა ვორკის თბილისელმა მეგობარმა, ვორკის ერთმა პირველმა მთარგმნელთაგანმა ქართულად—სერგო რობაქიძემ.

ვორკის შეხვედრას ნინოშვილთან ასე აგვიწერს ს. რობაქიძე თავის მოგონებებში: — „ერთ კვირა დღეს ინსტიტუტიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები კონსპირატიულ ბინაზე მივედით. იმ ბინაზე დაგვხვდა ახლად ჩამოსული ეგნატე ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მოსულებმა თან ზოგიტანეთ გახეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი (სახელი არ მახსოვს), მოთხრობა წავეკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავსტრიალებდით სხვადასხვა კითხვებით, შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკოვი ნაღვლიანი სახით მისმერებოდა ჭლექის მიერ დატანჯული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთქული წმით ეუბნებოდა: „Ты счастлив, товарищ, тем, что своими глазами видишь, как

любят и уважают тебя“ (ეს შეგნატემ რუსული ენა კარგად იცნობდა, თუმცა გამოთქმა არ ჰქონდა წმინდა რუსული; თავისი რუსულ-იმერული გამოთქმით უთხრა ალექსი პეშკოვს: „Напиши то, что ты так хорошо рассказываешь и также увидишь как все полюбят тебя“). ეგნატეს ხშირად უამბობდა ხოლმე პეშკოვი თავის თავგადასავალს და ნიჭიერი მწერალი ხედავდა, რომ ასეთი მოსაუბრე პიროვნება კარგად დაწერასაც შესძლებდა და არც მოსტყუვდა“.

ეგნატე ნინოშვილი ამ დროს ყალიბდებოდა, როგორც მარქსისტი მოაზროვნე, ორი წლის შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ „შესამე დასში“. ექვს გარეშეა ისეთს რევოლუციური მსოფლმხედველობის მწერალთან, როგორიც იყო ეგნატე ნინოშვილი, ბევრს საერთოს გამოიხახავდა მებრძოლი სულისკვეთების რომანტიკული ქაბუჯი — ალექსი პეშკოვი.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მაქსიმ ვორკი საქართველოში პირველად ჩამოსვლისას ქართველ ახალგაზრდებთან ერთად გატაცებული ყოფილა თეატრალური ხელოვნებით და დრამატიული დასის ჩამოყალიბებაც უცდია. ამ ცნობას ერთხმად ადასტურებენ ვორკის მაშინდელი მეგობრები.

ვორკისთან ერთად განსაკუთრებით გატაცებული არტიტული ხელოვნებით ყოფილა შიო ჩიტაძე, რომელიც ახლო მეგობარი იყო ვორკისა და რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ შესანიშნავი წერალები მიუძღვნა ვორკის შემოქმედებას. ვორკისა და შიო ჩიტაძის თეატრალურ გატაცებაში ცოტა წვლილი არ მიუძღვის დიდებულ ქართველ ტრაგიკოსს ელადიმერ მესხიშვილს. ამის შესახებ ს. რობაქიძის შემოაღნიშნულ მოგონებაში ვკითხულობთ: — „ჩვენს წრეში იყო მხოლოდ

ორი წევრი, რომელთაც თავისი თავი შესანიშნავი მსახიობი ეგონათ. ერთი ასეთი იყო შემდეგ ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი და შემდეგ უდროვოდ დაღუპული შიო ჩიტაძე და მეორე თვით ალექსი პეშკოვი. საქმე იმაშია, რომ ამ დროს თბილისის ქართულ თეატრში მუშაობდა ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ელადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი, რომელიც გასაკვირველად ასრულებდა შილერის ცნობილ „ყაჩაღებიდან“ ფრანც შოორის როლს. შიო ჩიტაძე გატაცებული იყო ფრანც შოორის როლის შესრულებით და ალექსი პეშკოვი კარლოს შოორის როლით. ეს ორი პიროვნება ეგვიპტეობდნენ ერთმანეთს ამ როლების შესრულებაში.

ამ ცნობას ადასტურებს ვლ. როზლიანიც: — „შიო ჩიტაძე ძალიან დაუმეგობრდა გორკის. შიო ჩიტაძე დიდი ნაქიბი ახალგაზრდა იყო, გრძნობიერი, მღელვარე, სოციალისტურა იდეებით გატაცებული. გორკიმ და ჩიტაძემ მალე გამოიხატეს საერთო ენა. გარდა იდეური დაახლოებისა მათ აახლოვებდათ აგრეთვე გატაცება თეატრით. ორივენი შილერის „ყაჩაღების“ დიდი თაყვანისმცემელი იყვნენ“. ვ. მიკოვაც იგონებს: „შიო ჩიტაძე და გორკი ერთად აპირებდნენ მოგზაურობას და ამის გეგმას ადგენდნენ“.

სულ მალე ალექსეი პეშკოვში თეატრალური ინტერესები ადგილს უთმობს ლიტერატურით მძლავრ გატაცებას, — 1892 წელს 12 სექტემბერს იგი მაქსიმ გორკის ფსევდონიმით აქვეყნებს თბილისის გაზეთ „კავკაზში“ თავის პირველ მოთხრობას „მაკარ ჩულდას“. შესრულდა ამროგად ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის წინას-

წარმეტყველება: — მომხატვეთ უმჯობესი პეშკოვი, მისთვის მწიფე ტანულად გახდა მწერალი, რომლის ორიგინალურ შემოქმედებას სულ მალე მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ მიაპყრო ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ მაქსიმ გორკიმ სწორედ ამ პერიოდში დასწერა თბილისში თავისი შესანიშნავი ზღაპარი „სიკვდილი და ქალიშვილი“, რომელშიც მან პირველად გამოამჟღავნა თავისი რატონისტურ-ფილოსოფიური მრწამსი.

გორკის მეგობარი ალექსანდრე მეთოდის-ძე კალუჟნი, რომელმაც პირველი ბიძგი მისცა მას სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად, — ამ ნაწარმოების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

— „გორკის მეორე ნაწარმოები (პირველში ივლისისმება „მაკარ ჩულდას“ — ა. 5.) უარყოფილ იქნა რედაქციის მიერ. ჩემთან მის შესახებ ალექსი მაქსიმეს-ძეს არაფერი უთქვამს. დასწერა და თვით წაიღო რედაქციაში. დაწუნების შესახებ გავიგე ცენტრიკისაგან („კავკაზის“ რედაქციის წევრი, რომელიც დაეხმარა გორკის „მაკარ ჩულდას“ გამოქვეყნებაში) ვერ ექნებოდა „კავკაზში“ ადგილი ნაწარმოებს, რომელიც ამხელდა საზოგადოებას. „მაკარ ჩულდას“ არ შეეფერებოდა ოფიციალს და დაბეჭდილ იქნა შემთხვევით“.

ცენზურული პირობების გამო „სიკვდილი და ქალიშვილი“ 1917 წლამდე არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მოხერხდა მისი დაბეჭდვა. ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ეგზემპლარს ამშვენებს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წარწერა:

— „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ („სიყვარული ამარცხებს სიკვდილს“).

1 ქართული მწერლობა, 1928 წ. № 5, გვ. 14.

ამ წარწერაში გენიალური სიღრმით არის ახსნილი გორკის ზღაპრის ღრმა მებრძოლი ფილოსოფიური აზრი.

ამრიგად, საქართველოში პირველად ყოფნის ღროს, გორკის შემოქმედების, უადრეს პერიოდში, უკვე მკაფიოდ გამოვლინდა ის დიადი მებრძოლი ჰუმანისტური იდეა და რევოლუციურ-რომანტიკული სული, რომელიც მთავარ ღერძად გადაიქცა გენიალური რუსი მწერლის მთელი მხატვრული აზროვნებისათვის.

უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა პეშოვის რევოლუციური მსოფლმხედველობის გაღრმავებაში და გაფართოებაში ცოტა წვლილი არ მიუძღვის თბილისში მიღებულ შთაბეჭდილებებს, განსაკუთრებით მის ურთიერთობას რევოლუციურ მუშათა წრეებთან. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში მაქსიმ გორკი ხარბად დაეწაფა თვითგანვითარებას, რევოლუციური შინაარსის ლიტერატურის კითხვას. ამ მხრით დიდი როლი შეასრულა გორკის განვითარებაში თბილისში 90-იან წლების დასაწყისში დაარსებულმა ე. წ. „იაფ-ფასიანმა ბიბლიოთეკამ“. ამ ბიბლიოთეკის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ გორკის ახალგაზრდობის მეგობრის ელ. როხლინის მოგონებებში: „განსაკუთრებულ მოვლენას 90-იანი წლების დასაწყისის თბილისისას, — ვითხოვლობთ ამ მოგონებებში, — წარმოადგენდა ოლგა ვლადიმერის ასულ კაიდანოვას ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ პლეჩანოვის ქუჩაზე არსებობდა და შემდეგ კირკის ქუჩაზე გადავიდა. ამ იაფი ბიბლიოთეკის გარშემო ვიყრიდით თავს ჩვენ, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. ყველა გატაცებით ვკითხულობდით ამ ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. რა თქმა უნდა, აქ ბევრი იყო თავისუფალი ხასიათის წიგნები. ეს წიგნები ზრდიდა

და ამტკიცებდა ჩვენში რევოლუციურ რწმენას.

გიგლინიძე

ოლგა ვლადიმერის ასული შესანიშნავი ქალი იყო, განვითარებული, მოწინავე ქალი, გულკეთილი, მასთან მტკიცე და პრინციპული ხასიათი ჰქონდა. ის დიდ გავლენას ახდენდა მისი ღრვის ახალგაზრდობაზე. ეს ბიბლიოთეკა აგრეთვე იყო ადგილი სადაც პროგრესული ახალგაზრდობა ერთმანეთს ეცნობოდა“.

მაქსიმ გორკი იყო ამ ბიბლიოთეკის ყველაზე უფრო ბეჯითი, აქტიური მკითხველი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ამ ბიბლიოთეკით 90-იან წლებში სარგებლობდა აგრეთვე ამხანაგი სტალინი. ეს ფაქტი მტკიცდება მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტებით მაგ., სასულიერო სემინარიის თვალყურის დევნების წიგნში 1896 წლის ნოემბერში ნათქვამია: „ჯულაშვილს, როგორც გამოირკვა აქვს სააბონემენტო ფურცელი „იაფი, ბიბლიოთეკისა“, რომლის წიგნებითაც იგი სარგებლობს, დღეს მე მას ჩამოვართვი ვ. პიუგოს თხზულება:— „ზღვაზე მომუშავენი“, სადაც ვნახე აღნიშნული ფურცელი.“

ინსპექციის თანამემწე ს. მურახოვსკი, სემინარიის ინსპექტორი იერომონახი გერმოვენი.

დაბეზღებაზე არის წარწერა: „დაისაჯოს კარცერში ხანგრძლივი ჯდომით, ჩემს მიერ უკვე იყო გაფრთხილებული გარეშე წიგნის, ვ. „პიუგოს“ 93 წელის გამო“.

1897 წ. მარტში არის ასეთი ჩანაწერი: „11 საათზე მე ჩამოვართვი ჯულაშვილს იოსებს, ლეტურნის წიგნი „ხალხთა რასების ლიტერატურული განვითარება“, რომელიც მას გამოუტანია „იაფი ბიბლიოთეკიდან“. წიგნში აღმოჩნდა სააბონემენტო ფურცელი“.



ლი. აღნიშნულ წიგნს კითხულობდა ეკლესიის კიბეზე. „იაფი ბიბლიოთეკის“ წიგნების კითხვაში აღნიშნული მოწაფე შენიშნულია უკვე მეცამეტეჯერ...“

„ინსპექტორის თანაშემწე ს. მურახოვსკი“.

დაბეზღებამ რექტორის მიერ წარწერილია: — „დასჯილ იქნეს კარცერში დიდი ხნით ჯდომით, მიეცეს მკაცრი ვაფრთხილება“.<sup>1</sup>

არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნული სამკითხველო თავშესაფარი და მიწოდებული კერა იყო არა მარტო რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციასათვის, არამედ თბილისის მოწინავე მუშებისათვისაც. თვით ოლგა კაიდანოვას მოგონებით ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ყოფილა დიდი სტალინის შესანიშნავი თანამებრძოლი მიხეილ ივანეს-მე კალინინი მისი თბილისის რკინიგზის სახელოსნოში მუშაობისას.

ახალგაზრდა მაქსიმ გორკის გონებრივი განვითარება დღითიდღე ღრმავდებოდა. მას აინტერესებდა სულიერი ცხოვრების მრავალი სფერო. იგი დაინტერესებული ყოფილა არა მარტო მხატვრული ლიტერატურით და თეატრით, არამედ ხელოვნების თეორიული პრობლემებით, ესთეტიკის საკითხებით. თბილისელ მეგობართა წრეში მას მოხსენებაც კი წაუკითხავს „შილერის ესთეტიკური მოძღვრების შესახებ“.

სერგი რობაქიძე მაქსიმ გორკის ამ მოხსენების შესახებ სწერს: „ეს იყო ლექცია ხელოვნებაზე და ცხადად მახსოვს, რომ თავის ლექციის საგნად მან აიღო შილერის ტრაქტატი ხელოვნებაზე და მშვენიერი ენით გადმოგვცა მსმენელებს ამ ტრაქტატის შინაარსი, სრულიათ გასაგებად და პოპულიარუ-

ლად“. „არ შემიძლია განვხილავს ს. რობაქიძე, — აქვე მოხსენიებული მკითხველებს ერთი ეპიზოდი მაქსიმ გორკის იმ დროინდელ ცხოვრებიდან: ერთ საღამოს მაშინდელ მიხეილის ქუჩაზე მივდივარ და შორს ვხედავ ვილაცას პეშკოვის მსგავსს ჩემ პირდაპირ მომავალს. ვფიქრობ, ნუთუ ეს მაქსიმინია? მიახლოვდება და ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ის არის, ის არის, მაგრამ რად მიუღია მას ასეთი სახე? მას აცვია მშვენიერად შეკერილი სერთუკი, თეთრი ქილეტი, ყელზე ახალი ვალსტუკი ბრჭყვილა ქინძისთავით, თავზე მალალი ცილინდრი, ფეხებზე გაპრიანებული ფეხსაცმელები და ხელში კოხტა „ტროსტი“.

— ეს შენა ხარ, მაქსიმინი?!

— დიახ, მე ვარ!

— მერე რა მოგვლია?

— არაფერი! მე მინდა ვნახო, როგორ გრძნობს ადამიანი თავს ასეთ უცნაურ ტანსაცმელში! და გაიარა როგორღაც ისეთი პრანკვა-გრეხით, როგორც ქარავასლის ნოქრებმა იცოდნენ ხოლმე თავის დამებთან სიარული.

მეორე დღეს მაქსიმინი ისევ თავის ხალაში ვნახე და ჩემს შეკითხვაზე, რა უყო თავის მორთულობა, მიპასუხა, რომ მალე მოიშორა მან ეს სამოსელი, რათა მას არ მოესწრო თავის დედის დასმა მის არსებაზე“<sup>1</sup>.

ზემოთმოყვანილი დეტალი კარგად გვისურათებს ახალგაზრდა გორკის განწყობილებას, მის დემოკრატიულ ბუნებას და მძაფრ სიძულვილს მეშინური საზოგადოების მიმართ, რაც სულ მალე მან ბრწყინვალედ გამოამჟღავნა თავის მხატვრულ შემოქმედებაში. დაჩაგრული ფეხებიდან გამოსული გორკი, რომელმაც თვითონვე ყრმობიდანვე განიცადა მთელი ჯო-

<sup>1</sup> Е. Ярославскій — „о товарище Сталине“, 1939 წ., გვ. 12 — 13

ქართული მწერლობა, 1928 წ., № 5, გვ. 15.



ჯოხეთური საშინელება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილებისა, — აღრევე გაიმსჭვალა რევოლუციური სულსკვეთებით, ამიტომ ბუნებრივია, რომ თბილისში პირველ ჩამოსვლისთანავე მან მკიდრო კავშირი დაამყარა არა მარტო მოწინავე ინტელიგენციასთან, არამედ რევოლუციურად განწყობილ მუშათა წრეებთანაც. ამ გარემოებას ხელი შეუწყო გორკის მოწყობამ სამსახურში ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველოში, გორკის უშუალო შესაძლებლობა მიეცა დაახლოვებოდა რკინიგზის დეპოს მუშებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, გორკი ხშირად იწვევდა „კრასნოგორკის კომუნის“ ლიტერატურულ საღამოებზე და მათი თვითგანვითარების ასამაღლებლად სპეციალურ საუბრებსაც კი მართავდა. „კრასნოგორკის ქუჩაზე ლიტერატურულ საღამოებში რკინიგზის რევოლუციონერი მუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. გორკი იყო ამ საღამოების მთავარი ორგანიზატორი“. ამ მხრით კიდევ უფრო საინტერესო მასალას გვაწვდის თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის რუსული ლიტერატურის მასწავლებელი, ალექსანდრე ივანეს-ძე სლავინსკი (1852—1945). — 1891 თუ 1892 წელს, — ივონებს იგი, — ჩვენთან გიმნაზიაში მოვიდა ახალგაზრდა კაცი, უბრალოდ ჩაცმული, პიჯაკში. ის ძალიან მაღალი იყო, ოდნავ მოხრილი, ხმას უმალღებდა ო-ზე, მოკვეთით, მძიმედ ლაპარაკობდა, თან ლიტერატურულად და დამოუკერებლად. იგი გამოდგა ალექსეი პეშკოვი. ჩვენთან პეშკოვი გამოეგზავნა ნიკოლოზ ალექსის-ძე ხუდადოვს. პირველი შთაბეჭდილებით პეშკოვი უბრალო კაცი გვეგონა, ისე უბრალოდ იყო ჩაცმული, მაგრამ სულ მალე დაერწმუნდით, რომ საქმე გვქონდა მოაზროვნე ახალგაზრდასთან, ლიტერატურულად განათლებულ კაცთან. ის

გვთხოვდა სურათებს ვეფოქეფანტაზსათვის — (Волшебный фантазис) ბუნებისმეტყველებიდან. მისი ლაპარაკიდან ჩვენ გამოვარკვეით, რომ იგი ძალიან დაინტერესებული იყო არა მარტო ლიტერატურით, არამედ ბუნებისმეტყველებითაც. პირდაპირ ხარბად ეწაფებოდა ყოველ ახალ, მისთვის უცნობ მოვლენას ბუნების სამყაროდან. ძალიან დაინტერესებას იჩენდა აგრეთვე ასტრონომიით. ჩვენზე პეშკოვი სტოვებდა ბუნების შვილის, არაჩვეულებრივი ნიჭიერი ახალგაზრდას შთაბეჭდილებას, ახალგაზრდასა, რომელიც თავდავიწყებით მიისწრაფოდა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისაკენ. სურათები, რომელსაც ჯადოფანრისათვის გვთხოვდა პეშკოვი, ებარა ივანე ჯაბადარს, როგორც ფიზიკის კაბინეტის ხელმძღვანელს. როგორც მასსოვს გორკიმ ეს სურათები ჩვენგან ხუთჯერ-ექვსჯერ წაიღო.

ბოლოს, ჩვენ ისე დაეინტერესდით გორკით, რომ მე და ჯაბადარი წავედით კრასნოგორსკის ქუჩაზე, სადაც გორკი ცხოვრობდა აფანასიევთან, როხლინთან და სხვებთან ერთად. ეს სახლი ეხლაც იმავე სახით დგას, როგორც იმ დროს. გორკი და მისი მეგობრები ცხოვრობდნენ დაბლა სართულში, სარდაფში, რამდენიმე ოთახი ეჭირათ.

როგორც მასსოვს გორკის ჩვენგან წაღებული სურათები უნდოდა არა მარტო კრასნოგორსკის კომუნისათვის, არამედ უფრო რკინიგზის მუშებისათვის. იმ დროს გორკი რკინიგზაზე მუშაობდა, ახლო კავშირი ქონდა რკინიგზის რევოლუციურ მუშებთან და მათი გათვითცნობიერებისათვის მეტად ზრუნავდა — სხვა მაშინდელ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად.

სხვათა შორის გორკის „მაკარ ჩუდრას“ შესახებ პირველი კრიტიკული სტატია 1892 — 1893 წლებში პირველად დასწერა ჩემმა მეგობარმა, პირ-





ველი გიმნაზიის ლიტერატურის მასწავლებელმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შულგინმა (1860 — 1920).

ასეთივე შეუენელებელი ინტერესით ეკიდებოდა გორკი მუშათა რევოლუციური მოძრაობის საქმეს საქართველოში შემდეგ ჩამოსვლების დროსაც. ძველი თბილისელი მუშა-რევოლუციონერი, ამჟამად ხანდაზმული ორდენოსანი ინჟინერი მიხეილ ზოსიმეს-ძე გურუშიძე (დაბ. 1880 წ.) თავის მოგონებებში შემდეგს გადმოგვცემს მ. გორკის შესახებ: „900-იან წლებში მე ვმუშაობდი თბილისში იარაღოვის მექანიკურ ქარხანაში (ეხლანდელი კალინინის სახელობისა)—ზეინკლად. ...1902 წლის თებერვალში მე დამიჭირეს და რამდენიმე თვე დავეყავი მეტეხში. იქიდან გადამასახლეს ქუთაისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ქუთაისში იმ დროს იყო ცნობილი რევოლუციონერი პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, რომელიც აღვივებდა ქუთაისში რევოლუციურ მუშაობას.

ამ დროს — 1903 წლის ზაფხულში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი არტისტ პიატნიცკისთან ერთად. გაჩერდნენ ისინი თბილისის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციაში“.

სალამოს მოვიდა ჩემთან რევოლუციონერი როდზევიჩი და წამიყვანა გორკისთან. გორკიმ სიყვარულით მივეილო. ჩაკეტა კარები და ბევრი გვესაუბრა. მას ინტერესებდა უმთავრესად მუშათა მოძრაობის საქმე. გამოგვკითხა დაწვრილებით მუშაობის განწყობილება. მათი ეკონომიური მდგომარეობა. რევოლუციური მუშაობის გაშლა.

ამას გარდა გამოგვკითხა ეროვნული საკითხის ვარშემო და ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ იქ ნაციონალური შუღლი გაღვივებული არ იყო. სათითაოდ გვკითხავდა ყველა რევოლუციონერ მოამუშავეზე. როცა ადგილობრივმა ინტელიგენციამ გაიგო

გორკის ჩამოსვლა, მოუწყვეს მუშაკები თოფურიას საავადმყოფოში მისი კამის ორგანიზაცია ითავა ძველმა ხალხოსანმა რევოლუციონერმა სნეგირიოვმა. ამ ბანკეტზე ჩემსა და როდზევიჩის გარდა დაესწრენ გამოჩენილი ექიმი თოფურია, ექიმი დანდუროვი (მწერალი აზიანის ძმა), სტუდენტი პუშკარიოვი და სხვები.

გორკი ძალიან დაინტერესდა ქუთაისის წარსულით. ძლიერ მოეწონა რიონი თავისი მხატვრული ნაპირებით და პირდაპირ აღტაცებული დარჩა მოწამეთის ტაძრით და დიდებული ბუნებით. მოწამეთაში მე წავეყვანე. იქ მონასტრის ყოველ დეტალს ათვალეერებდა.

მოწამეთაში წავედით ფაეტონით. გზაზე დაწვრილებით გამოგვკითხა ჩემი ისტორია. როცა გაიგო, რომ ახლადგათავისუფლებული ვიყავი მეტეხიდან და განაჩენს დღე-დღეზე ველოდი, მითხრა: არ გინდა რომ გადასახლების მაგივრად საზღვარგარეთ წახვიდეო. მე უთხარი, — ძალიან მინდა, მაგრამ ფული არ მაქვს-მეთქი. „ფულს მე გიშოვნის“, მითხრა გორკიმ, პასპორტი კი შენ იშოვნეო. ხელში რაღაც წიგნი ეჭირა, ჩაიწერა ჩემი მისამართი და დამამშვიდა.

... როცა მოწამეთიდან ქუთაისში დავბრუნდით, მთხოვა მეჩვენებინა ქუთაისის რომელიმე სამიკიტნო, სადაც ადგილობრივი გლეხობა გროვდებოდა. მე წავეყვანე წითელ ხილთან, (იქ ონში წამსვლელები იკრიბებიან), სამიკიტნოში, რომელიც ერთი მხრით რიონს გადაყურებდა, იქ მოვითხოვეთ ყიფიანის ღვინო, რომელიც ძლიერ მოეწონა გორკის. სმის დროს მთვრალ გლეხებს აკვირდებოდა, ისინი მღეროდნენ „ოდელია რანუნის“. გორკიმ მთხოვა, სიტყვები გადამითარგმნეო. მე უთხარი, ამის გადათარგმნა ძნელია-მეთქი. იქ ერთი-ორი საათი დავეყავით. გორკი ძალიან კმაყოფილი

დარჩა. მეორე დღეს გორკი თავის თანამგზავრით ქუთაისიდან წავიდა. როცა მე საზღვარგარეთ (ყენევაში) გორკის დახმარებით წავედი, იქიდან გორკის გაუფრთხილად წერილი. მისგან მივიღე პასუხი, რომელშიც მეკითხებოდა, ხომ არ მჭირდებოდა ნივთიერი დახმარება. მე პასუხის მიწერა ვერც კი მოვასწარი, როცა მივიღე მისი გამოგზავნილი 100 მანეთი. ამ ფულის მიღებისთანავე გაუფრთხილად ბარათი გორკის, რომელშიც მადლობას ვუხდელი და ვწერდი, რომ დახმარებას აღარ ესაჭიროებ, რადგან „ისკრის“ რედაქციაში მოვეწყე ასოთამწყობად-მეთქი“.

საქართველოს მუშათა მოძრაობით გორკის დაინტერესების შესახებ სწერს თავის მოგონებებში აგრეთვე თბილისელი მუშა-რევოლუციონერი ალექსი პეტრეს-ძე ზაკომოდინი. „პირველი რევოლუციური ნათლობა მივიღე მე, — გადმოგვცემს იგი, — ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე. ჩვენს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაფ ბიბლიოთეკას ყოფილ „კიროჩნის“ ტუჩაზე. ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელი იყო კაიდანოვა, რომელიც გულთბილად გვიღებდა მუშებს და გვიჩვენებდა ლიტერატურას. გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში მე არ მახსოვს. მაშინ სულ პატარა ვიყავი. მისი საქართველოში ყოფნაზე ბევრი გამოგონია სერგეი იაკობის ძე ალილუევისაგან, რომელიც იცნობდა გორკის აღრევს.“

გორკი პირველად მე ვნახე 1903 წელს ქუთაისში. ამ დროს იქ ვიყავი ჩასული მოწინავე მასწავლებელ პუშკარიოვთან სტუმრად.

როცა გორკიმ გაიგო, რომ დაპერილი ვიყავი და სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ვეწეოდი დაინტერესდა ჩემით. დიდხანს მესაუბრა. ჩვენი თემა იყო თბილისის რკინიგზის მუშათა მდგომარეობა. გორკის ძალიან გაუხარდა, როცა მე ვუთხარი, რომ თბი-

ლისის მუშებში დიდი პარკის მქონე-რი შეგნება არის შეტანილი-მეთქი. ამ დროს ჩვენი პოლიტიკური აღმზრდელი იყო ამხანაგი სტალინი. ის გვიჩვენებდა ჩვენ რევოლუციურ იდეებს და სჭედავდა ჩვენ ნებისყოფას მეფის ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

პუშკარიოვი გორკის გატაცებული თაყვანისმცემელი იყო. მან მიამბო, რომ გორკის მეშვეობით ბევრი რევოლუციური მუშა წავიდა საზღვარგარეთ, ან არალეგალურ მუშაობაზე გადავიდაო“...



ქართული საზოგადოება განსაკუთრებულ გულსხმიერებით შეხვდა გორკის პირველივე ლიტერატურულ ნაბიჯებს.

ალსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 90-იან და 900-იან წლებში იმდენად დიდი იყო ინტერესი გორკისადმი, რომ არ დარჩენილა თითქმის არცერთი მისი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომლის თარგმნა ქართველ მწერლებს არ ეცადნათ.

ამ დროს ითარგმნა „სამნი“, „შევარდენი“, „სამყრობილე“, „ანთებული გული“, „დედა“, „პირველი სიყვარული“, „მოუსვენარი წიგნი“, „ქარი-შხალა“, „ფსკერზე“ და სხვა მრავალი მისი ნაწარმოები, რომლებიც იზიდავდნენ ქართველ მკითხველებს არაჩვეულებრივი შინაარსით, ორიგინალობით და მწვავე სოციალური საკითხების ახლებური გაშუქებით.

გორკის მთარგმნელთა უმრავლესობა — ცნობილი ქართველი მწერლები და მოღვაწენი იყვნენ: ჯოლა ლომთაიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, განდევილი, ია ეკალაძე, ზ. ახოსპირელი, ივ. პოლუმორდინოვი, სერგო რობაქიძე, 900-იან წლებში გორკის ბევრი მოთხრობა თარგმნა ვ. გიუნაშვილმა.

ეს თარგმანები მოთავსებულია „ივერიაში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

1902 წელს ქართულად ცალკე წიგნად გამოვიდა მ. გორკის მოთხრობები ი. იმედაშვილის გამოცემით. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: — „ჩვენი მიზანია შერჩევით ვათარგმნინოთ... და გამოვეცეთ. რასაცირველია ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივუქცევთ იმ მწერალთა გამოცემას რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნობიერებენ... ასეთ მწერლად ჩვენ, სხვათაშორის, მიგვაჩნია მაქსიმე გორკი და ამიტომ ამ რიგის წიგნების გამოცემა ხსენებული მწერლიდან დაიწყეთ“.

გორკის პიესები იატაცებდა ქართველ მაყურებელს. „ფსკერზე“ დაიდგა ქართულ სცენაზე ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ თეატრმა სათაური „ნაძირალნი“ შესცვალა. ქართული პრესა სისტემატურად ეხმაურებოდა გორკის პიესების დადგმებს.

900-იანი წლებიდანვე ქართულ პერიოდიკაში დიდი ყურადღება ეთმობა გორკის შემოქმედებასა და ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტერატურული კრიტიკის გულთბილი დამოკიდებულება გორკისადმი და მისი პროგრესიული სულით გამსჭვალულ შემოქმედების მიმართ.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გორკის შემოქმედების ღრმა და დაკვირვებული ანალიზი, რომელიც მოცემულია ქართველი საზოგადო მოღვაწის ივ. გომართელის და რევოლუციონერ ხალხოსანის, — გორკის ახალგაზრდობის მეგობრის შიო ჩიტაძის წერილებში. 1901 წლის გაზ. „კვალის“ № 35 მოთავსებულ ივ. გომართელის წერილში ვკითხულობთ:

„გორკის მოთხრობებში ყველაზე გართაბებულია სევდა, მაგნიტის მწველი არ არის არც ლერმონტოვი, არც მუხომინის, არც გარშინის, ან ჩეხოვის: პირველთა სევდა, რაღაც უიმედო, უმოძრაოა, გორკის სევდა კი ხანდახან თუ მშვიდი და წყნარია, ხანდახან გაბრაზებული, აღელვებული, ამხედრებული, და საბრძოლველად გამზადებული. მეოთხმოცე წლების სევდის დამახასიათებელ თვისებას უძღურება შეადგენს, გორკის კი ძალღონის სიჭარბე.“

გორკის მკაფიო იდეალი აქვს და ამ იდეალით აღჭურვილი იველევს ის თანამედროვე ცხოვრებას; რადგანაც ეს ცხოვრება მის იდეალს სრულიად არ შეეფერება, ამიტომ ერთსა და იმავე დროს მისი მოთხრობები მდიდარ პოეტურ სურათსაც წარმოადგენენ. ცხოვრებისა და შეუბრალებელ სატირასაც. გორკის მიზანია დღევანდელ ცხოვრების ნაკლოვანებანი გადუშალოს მკითხველს, ამ ცხოვრებას ძლიერი პროტესტი გამოუცხადოს და მიუთითოს მკითხველს, თუ სად არის ხსნა, რა არის საპირო ცხოვრებისა და აღამიანის ასამალღებლად. გორკის დიდი მნიშვნელობა და ორიგინალობა სწორედ ამაში მდგომარეობს: ის არ კმაყოფილდება მარტო ცხოვრების გაიკცხვით, როგორც შერებოდენ რუსეთის ყველა ბელეტრისტები და პოეტები. ის გვითითებს წამალზედაც“.

„გორკის გმირები, თუმც ყველანი რეალური პირნი არიან, თვით ცხოვრებიდან ამოღებულნი, თუმცა მათს დახასიათებაში გორკის რუსეთის მწერლობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ გორკის მნიშვნელობა მაინც ამაში არ მდგომარეობს; მან შთაბერა მომავლის სული თავის გმირებს, მათში გამოხატა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო და მასთან უსაპიროესტ, მომწიფებული მისწრაფებანი; ცალის ხე-

ლით გორკი აქცევს აწმყოს, მეორე-  
თი ის აშენებს მომავალს, გვითითებს,  
თუ როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ და რო-  
გორი მომავალი უნდა შეექმნათ, და აი  
აქ არის გორკის ძალა და მისი ღრმა  
მნიშვნელობა. რუსეთის ბელეტრის-  
ტიკის უმოდრაო, უძლური და უიმედო  
სევედა გორკის ნიჭმა მოძრავ, დაუდ-  
გრომელ, ძლიერ და იმედით აღსავსე  
სევედათ აქცია; გორკი წინ მისწრაფის  
მთელი თავისი ძლიერი არსებით და  
იქითკენ ეზიდება ძლიერათ კაცობრი-  
ობასაც“.

გორკის შემოქმედების კიდევ უფრო  
მძაფრი და ღრმად შესანიშნავი დახასია-  
თება მოცემულია გორკის სიკვამლეის  
თანამგზავრის შიო ჩიტაძის მგზნებარე  
სტატიებში. მის ერთერთ სტატიაში  
გორკის შესახებ ვკითხულობთ:

„იმისთვის (გორკისთვის — ა. ნ.)  
„ადამიანი“ დიადი სიტყვაა. „ადამი-  
ნი — აი სიმართლე — ქეშმარიტება! —  
ამბობს გორკი სატინის ბავეთი. — რა  
არის ადამიანი? ეს არის არა შენ, არა  
მე, არა ისინი... არა! ეს შენა ხარ, მე  
ვარ, ისინი არიან. არსებობს მარტო  
ადამიანი, ყველაფერი დანარჩენი — მი-  
სი ზელების და ტენის საქმეა. ადამი-  
ნი! ეს მშვენიერებაა! ეს სიტყვა ამაყუ-  
რად გაისმის უნდა პატივს ვსცემდეთ  
მას. სიტყვას შებრალება, დამდაბლება  
კი არა სჭირია, პატივისცემა, პატივის-  
ცემა.“

...გორკის ღრმად სწამს, რომ ად-  
მიანი შექმნილია ცხოვრების აშენებ-  
სათვის. ამიტომ თავის პირველ ნაწარ-  
მოებებში ჰიმნს უმღერის იმ ძალოვან  
გმირებს, რომელთაც ქეშმარიტება  
გულში უძევთ, რომელნიც ცხოვრების  
ყმები — კი არა, ბატონები არიან.  
ამისთანა გმირები გორკიმ ნახა არა მა-  
ღალ კლასებში, არამედ გარეულად  
შეცხოვრებთაშორის, იმათ შორის, რო-  
მელთაც არ უგემიათ თანამედროვე

გამანებიერებელი კულტურა, არ მო-  
ხვედრიათ ივეიანობის სინჯებს. მშენ-  
ების შეილნი, თავისუფალი ტრიბუნლე-  
ბისავით მცხოვრებნი, გახდნენ გორ-  
კის მუშის საყვარელი საგნები.

აი, თქვენ წინ დგას ძალოვანი მშვე-  
ნიერი ზობარ ლოიკო. ...აი, გულადი  
დანკო, რომელსაც უშიშრად მიჰყავს  
ბნელ ტყეში ბრბო მხდალებისა და  
სულმოკლეობისა. იგი მზად არის თა-  
ვისი გმირული საქმე დაასაბუთოს  
თვის სიკედილით; იგი გულს, ცხელ  
გულს იგლეჯს და იმით უნათებს  
გზას საბრალო ქმნილებათ, რომელ-  
თაც ადამიანებს უწოდებენ, რომელნიც  
ფეხითა სთელენ კეთილშობილ გულს“:  
ასეთი მაღალი პათოსით არის გამოთბა-  
რი ქართველი კრიტიკოსის მთელი სტა-  
ტია. სტატიის ავტორი აღფრთოვანე-  
ბულია გორკის გმირების ამაყი სულით  
და მათი ბრძოლით ძველი სამყაროს  
წყველიადის წინააღმდეგ.

გარდა ზემოთაღნიშნულისა ჩვენს  
ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს  
შიო ჩიტაძის აღნიშნულ წერილში  
გორკის მოთხრობის „შეცდომის“ და-  
წერილებითი და ზუსტი რეალისტურ-  
მხატვრული ანალიზი.

შიო ჩიტაძე ჩამოთვლის გორკის  
გმირებს რომლებიც უკუღმართ ცხოვ-  
რებასთან ბრძოლაში იღუპებიან და  
ამთავრებს პირველ თავის წერილს  
გორკის გმირების იაროსლავეცივის და  
კრავცივის სულიერი დრამის ღრმა  
სოციალური ანალიზით:

„ასე იღუპებიან, ასე ირყებიან  
ცხოვრებიდან, სწერს მათს შესახებ  
შიო ჩიტაძე, — არა მარტო ისინი, ვინც  
გულით იგრძნობს ცხოვრების უსა-  
მართლობას. არა, იგივე ბედი უწე-  
რიათ იმათ, ვინც გულით იგრძნობს და  
გონებით შეამოწმებს ცხოვრების სისა-  
ძაგლეს. აი, თქვენ თვალწინ სდგას კი-  
რილე ივანეს-ძე იაროსლავეცივი, სოფ-

ლის მასწავლებლად ნამყოფი. დიდხანს და ტანჯვით ფიქრობდა ცხოვრების უწესრიგობაზე და აი რა დასკვნამდის მივიდა: „მიზეზი თანამედროვე აზრის რყევისა არის იდეალიზმით ღარიბობა. ვინც ცხოვრებიდან განდევნა ყოველნაირი რომანტიზმი, იმან გაგვატიტვლა. აი რისთვის ვეპყრობით ერთი ერთმანეთს უგულოდ, რისთვის ვეძაგვ ერთი ერთმანეთი.

მტანჯველი ფიქრები ცხოვრებაზე ჰლრდნის კირილე ივანეს-ძის ტეინს და ბოლოს ჰკუდიდან შლის: კირილე ცხოვრების უწესრიგობის ფიქრმა იმსხვერპლა. იგივე ბედი ეწვია კირილეზე სულით უფრო ძლიერს, კირილეს ნაცონობს (მარკ დანილეს-ძეს კრავცოვს). იმისი სული გამსჭვალულია იდეალურის მისწრაფებით, ოკი მზად არის თავი დასდოს მოყვასისათვის მოყვასნი კი ისევე ის აღამიანები არიან— უგონო მონების ბრბო. აღამიანის აზარაობა და წვრილმანობა მძიმე ლოდვიით აწევს მარკის ტეინს და იმისი გონება ბნელდება. შეშლილი უფრო თავისუფლად სუნთქავს თავისუფლად შეუძლიან უქეთეს ცხოვრებაზედ ოცნებით, ჰვეყნიერების სამოთხით გაიხაროს გული.

„იცნობ, მედიდურად ეუბნებოდა კრავცოვი იაროსლავცევს, — იცნობ ცხოვრების ტყვეებს? ეს ის აღამიანები არიან, რომელთაც სურდათ გმირებად გამხდარიყვნენ და ამის მაგივრად სტატისტიკოსებად და სოფლის მასწავლებლებად გახდნენ. ისინი ოდესღაც უბრძოდნენ ცხოვრებას, მაგრამ დამარცხდნენ და ტყვედ ჩაუვარდნენ ცხოვრების წვრილმანებს. იმათზე გეუბნები, ისინი მსურს დავიხსნა... გაიგე? ისინი ილუპებიან, რადგან დევნილი არიან, რადგან იმათ ყველა უცქერის, როგორც მტერს, ნამდვილად—კი ისინი არიან თავისი თავის მტერნი. გა-

ფანტულები ყველგან, ისინი ილუპებიან იქვიანობისა და სეგნისგან შექმნილობისაგან — თქმისუფლად ხერონ, ილაბარაკონ და იფიქრონ. მე ბევრი რამ ვიცი, იმ საგნებზე მეტი, რომელნიც არსებობენ ცოდნისათვის. მე ცოდნა მაქვს ყველა საგნების შესახებ და ზედმეტი — ჩემი ცოდნა.. წვეთწვეთად დავეღრით ჩვენ სისხლს უღანოს ქეიშაში და გავაცოცხლებთ და ავაგებთ ბედნიერების შენობებს“.

კიდევ დიდხანს ოცნებობდა ჰკუაზე-შეშლილი კრავცოვი მომავალ ბედნიერებაზე; თვალუბანთებული უგდებდა ყურს სულით ავადმყოფს ბოლევს იმისი ამხანაგი იაროსლავცევი. რითი გათავდა ამ ორი აღამიანის სულისკვეთება? სიგიჟით და საავადმყოფოთი: სულით მალაღნი ვერ შეიფერა ცხოვრებაშ და განდევნა თავისაგან. ასე ილუპებიან ძირეულ და შუათანა საფეხურზე მღვდომნი“.

უნდა აღინიშნოს, რომ გორკის მოთხრობა „შეცდომა“ უეჭველად იდეურ და მხატვრულ ასოციაციებს იწვევს ჩეხოვის „Припадок“-სა და გარშინის „წითელი ყვავილ“-თან, რადგან როგორც ვიცით ამ ორივე ნოველის გმირებიც სწორედ „შეცდომის“ გმირების კრავცოვის და იაროსლავცევის მსგავსად ტრაგიკულად ილუპებიან სინამდვილის ბნელ ძალებთან შეჯახებაში. და განა მეოცნებე კრავცოვი ან იაროსლავცევი, რომლებიც მხოლოდ ერთი იდეით არიან შეპყრობილი — აღამიანებს თავისუფლება მოუპოვონ — არ გვაგონებენ გარშინისა და ჩეხოვის გმირებს — რომლებიც ასევე სულიერად ავადდებიან აღამიანებისათვის „ბედნიერების გასაღების“ ძიებაში.

სიყვარული ღრმა და შეუპოვარი და სიძულვილი, რომელიც დიდმა სიყვარულმა დაბადა, ასულდგმულებს გორ-

კის გმირებს. ორი გრძნობა თანაბარი სისწორით ჩაქსოვილია გორკის მთელ შემოქმედებაში, მის ცხოვრებაში. ადამიანისათვის ბედნიერების ძიებით გატაცებული ჰუმანისტი მწერალი არ ეძლევა დოსტოევსკის მსგავსად სასოწარკვეთას და არ გაიმახის: „ქედი მოიხარე ამაყო ადამიანო!“ გორკი, პირიქით, თავის ლეგენდარულ გმირებთან ერთად იბრძვის ადამიანის გასათავისუფლებლად, და თუმც იგი ხშირად გაბოროტებული სცილდება გარემოს, რომ შემოწოლილი ქვითინი შეიმავროს, იგი მაინც იარაღს არ ყრის მას სჯერა, რომ შორს ზრ არის „ნამდვილი დღე და ამ დღის მოსვლას“ „წყვედიადი ღამე“ უშლის, რომელიც მისმა გმირებმა უნდა გააქანტონ, რომ ნათელი მზის სხივები მოჰქინონ სამყაროს.

შოა ჩიტაძეს გორკისთან ერთად სჯერა, რომ ადამიანი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს, მას სჯერა რომ საშინელი სინამდვილე მაინც ვერ გასთელავს სულიერად მტკიცე ადამიანს. ეს აზრი განსაკუთრებით მკვეთრად ელერს მის მიერ „ფსიქერის“ გარჩევაში.

შოა ჩიტაძის აზრით გორკის გმირები აფხიზლებენ ადამიანს მოდუნებულ მდგომარეობიდან, აგონებენ მას მის მაღალ დანიშნულების შესახებ. ამაშია ცხოველი ძალა გორკის დიდი ტალანტისა.

თვით შოა ჩიტაძე 28 წლის პასაკში უღმობელი მსხვერპლი გახდა ცარიზმის ბნელ ძალებთან უთანასწორო ბრძოლისა. 1906 წლის 4 ივლისს იგი მოკლულ იქნა მეფის ჯალათების მიერ.



ცალკე კვლევის საგანია ქართული თემა გორკის შემოქმედებაში. დიდმარტსმა მწერალმა საქართველოში

ღრმად განცდილი და ნაგრძნობი მოვლენები გადაიტანა თავის შემოქმედებულ ტილოებზე და დაგვიტანა ჩვენს წინაშე „შესანიშნავი მოთხრობა, რომელშიაც აღბეჭდილია დიდი მწერლის საქართველოში ყოფნა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მისი მოთხრობები: „შურისგება“, „პირველი სიყვარული“, „შეცდომა“, „ორი ბოსიაკი“, „ჩემი თანამგზავრი“, ნარკვევები „გორში“, „ყაჩაღები კავკასიაში“ და „შიიტების დღესასწაული“.

აღსანიშნავია, რომ გორკის ზემოთხსენებული მოთხრობის „Ошишка“-ს („შეცდომა“) მთავარი გმირის — კრავცოვის პროტოტიპი რევოლუციონერი ხალხოსანი გოლა ჩიტაძე არის. ისევე როგორც ჩეხოვმა თავის ნოველისათვის გამოიყენა გარშინის წამებული სახე, — გორკიმ კრავცოვის ტრაგიკული ცხოვრების დასურათებით მკითხველს გადუშალა გოლა ჩიტაძის მეტრძოლი ცხოვრების დრამა.

თბილისთან არის დაკავშირებული გორკის შესანიშნავი მოთხრობა „პირველი სიყვარული“, რომელშიც ასახულია გორკის ერთი პირველი გატაცებათაგანი. თბილისში პირველი ყოფნისას გორკი შეხვდა თავის ქაბუკურ გატაცების საგანს ოლგა კამინსკაიას. ეს შეხვედრა ისე ძლიერ განიცადა მწერალმა, რომ მისივე მოწმობით, მან გრძნობა დაჰკარგა. გორკი და ოლგა კამინსკაია თბილისიდან ერთად გაემგზავრენ 1892 წლის შემოდგომაზე ნიუნი-ნოვგოროდში და იქ დასახლდნენ.

მ. გორკიმ საქართველოში პირველი ყოფნის დროსვე მოვლო მრავალი კუთხე ჩენი ქვეყნისა. მისი ბიოგრაფი ი. გრუზდევი სწერს: — „ამ წლის განმავლობაში (1892 წ. — ა. ნ.) სხვადასხვა დროს გორკიმ იმოგზაურა



მთელს საქართველოში. იგი ხარბად ეწაფებოდა შთაბეჭდილებებს, რომელსაც მასზე ახდენდა მისთვის ახალი, ესოდენ მომხიბვლელი ქვეყანა. ამ ახალი მოგზაურობის დროს მან მოინახულა ახალქალაქი, ბორჯომი, ბათუმი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, თელავი და გორი. 1892 წლის ზაფხულში მან მოიარა შავი ზღვის სანაპირო.<sup>1</sup>

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ გორკის ამ მოგზაურობის ერთს საყურადღებო ეპიზოდზე, რომელმაც, როგორც ჩანს, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და რომელიც აღწერა თავის მხატვრულ ნარკვევში „გორკი“. ეს ნარკვევი შეეხება 1892 წლის 13 თებერვალს ქ. გორში მწერლის მიერ პირადად ნახულ შემაძრწუნებელ სურათს: ცარიზმის უღმობელ მსხვერპლთა — ორი ქართველი გლეხის საჯარო ჩამოხრჩობას. დიდი მხატვრული ძალით და ღრმა პროტესტის გრძნობით აქვს გორკის გადმოცემული ეს ტრაგიკული სცენა. გორკის არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ამ შემზარავ დრამას მრისხანე მწუხარებით უცქერდა ყრმა სტალინი, გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე. ამ ამბებს დაწვრილებით აგვიწერს აგრეთვე თავის მოგონებებში ამხანაგ სტალინის ყრმობის მეგობარი დამსახურებული პედაგოგი პეტრე კაპანაძე. აღსანიშნავია რომ აღნიშნულ ამბავს გამოხმაურებია ილია ჭავჭავაძის „ივერიაც“.

გორკი მუდამ ატარებდა გულში იმ პირველ სიყვარულს და მადლობის გრძნობას, რომლითაც ჰაბუკობიდან იყო გამსჭვალული იგი თავის მეორე სამშობლოსადმი — საქართველოსადმი, სადაც მან პირველად განიცადა

ბედნიერი წამები მწერლად დაბადებისა. ხანდაზმულობაში ვერც კი შეწყვეტილით სწერდა საქართველოზე, როგორც წარმტაც ქვეყანაზე, რომელიც გახდა პირველი აკვანი მისი შემოქმედებისა. „სწორედ ამ ქვეყნის დიადმა ბუნებამ, — სწერდა იგი საქართველოზე, — მისი ხალხის რომანტიულმა სირბილემ — სწორედ ორმა ძალამ მომცეს მე ბიძგი, რომელმაც შექქმნა ბრადი-გიდან ლიტერატორი“.<sup>2</sup>

გორკი არა ერთგზის ამტკიცებდა თავის სიყვარულს საქართველოსადმი. დიდი რუსი მწერალი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა და აფასებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ სულიერ კულტურას. გორკი მხურვალედ ეკიდებოდა ქართული ლიტერატურული ძეგლების რუსულად თარგმნის საქმეს. 1912 წელს ჟნძელ კაპრიდან იგი სწერდა ერთ ქართველ მოღვაწეს: — „...თუ თქვენ უკვე გაქვთ ქართველი მწერლების თხზულებები რუსულ ენაზე თარგმნილი, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ ხელნაწერები. ...ამასთანავე: მე გთხოვდით თქვენ მოგეწოდებინათ „სოფრემენიკისთვის“ ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, და აგრეთვე სტატია თემაზე: საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა, მისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. თქვენ რა თქმა უნდა, ეს თემა ვესმით უფრო ფართოდ და ღრმად, ვიდრე მე. თარგმნების რედაქტორობის თავისთავზე აღება მე შერიდება, მაგრამ, თუ თქვენ საჭიროდ სცნობთ, — ავიღებდი. მე დამპირდებოდა დამხმარე, რომელსაც ეცოდინებოდა კარგად თავისი, ქართული ენა და საკუთარი ლიტერატურა. შემიძლია თუ არა მე იმედი ვი-

<sup>1</sup> И. Груздев — „Горький и его время“, 1933 წ., გვ. 335.

11. „მნათობი“, № 4.

<sup>2</sup> М. Горький — „Публицистические статьи“, 1933 წ., გვ. 210.



ქონიო ასეთ კაცზე? ამ შემთხვევაში გთხოვდით მიგეთითებიათ ჩემთვის ყველა ცნობილი წიგნები და სტატიები რუსულ ენაზე საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. თუ რაიმე ამდაგვარი მასალა ამჟამად ზელთა გაქვთ, გამომიგზავნეთ, გთხოვთ“.<sup>1</sup>

გორკის კავშირი ქართულ კულტურასთან კიდევ უფრო გაღრმავდა საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში. ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ძლიერი გავლენა განიცადა გორკის მებრძოლი, სოციალისტური შემოქმედებისა. ცნობილმა ქართველმა მწერ-

ლებმა ლეო ქიაჩელმა, დემნა შენგელაიამ, ილია აგლაძემ და სხვებმა სთარგმნეს გორკის მთავარი თხზულებები. გორკის მხატვრული ნაწერები ქართულ ენაზე გადაიქცნენ სახალხო წიგნებად. ასეთივე დიდი სიყვარულით სარგებლობენ დღეს ქართველ საზოგადოებაში გორკის ლიტერატურულ პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც გორკი სჩანს, როგორც დიდი მესიტყვე სოციალისტური კულტურისა და დაუღალავე მებრძოლი პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის.



## ბიბლიოგრაფია



ბიოგრაფი ჯიბლაძე — „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, საბჭოთა მწიარალი“ 1946 წ.

გ. ჯიბლაძის „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“ სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, სახელდობრ: „ქართული საბჭოთა ლიტერატურა“, „ართული ლიტერატურადან“ და „ესთეტიკის საკითხები“.

„ნარკვევების“ პირველი ნაწილი „პოეზიის მხატვრული სახეებით“ იწყება.

ხელოვნების მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში „თუ რა არის საერთოდ სახე, რა დამოკიდებულებაშია იგი სინამდვილესთან, როგორ ელინდება მასში ხელოვნის იდეა და როგორ უნდა შენდებოდეს პოეტური სახეების სამყარო“, დიდა ხანია გამოჩვენდება. აქედან გამომდინარე, „ნარკვევების“ ავტორს მიზნად არ დაუსახავს მხატვრული სახეების გარშემო წარმოშობილი კერძო თეორიების განხილვა და მისი სრული დახასიათება. მართალია გ. ჯიბლაძეს სურს თავის წიგნში გვიყვინოს მხოლოდ „ქართული საბჭოთა პოეზიის მხატვრულ-ისტორიის ძირითადი მონაცემები, აღნიშნოს მათი პლესი და მიზნი, გამოარკვეოს რა ძალით მოქმედებენ ეს სახეები საერთოდ ჩვენს პოეზიაში და რა გავლენას ახდენენ ლიტერატურულ მაჯისცემაზე“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ნარკვევში მოცემული არ იყოს მხატვრული სახის თეორიული ასხნა. „ნარკვევებში“ მხატვრული სახის თეორიული დახასიათება დაკავშირებულია პოეზიის კონკრეტული ფაქტების ანალიზთან. გ. ჯიბლაძემ თავისი შრომის პირველ ნაწილში („პოეზიის მხატვრული სახეები“) ქართული საბჭოთა ლექსის გამოჩენილი ისტორიის კვნილებებში მიხედვით შეაფიოდ გვიჩვენა, თუ როგორი ძალით მოქმედებენ სახეები საბჭოთა პოეზიაში.

საბჭოთა პოეზიაში, ისე, როგორც მხატვრულ პროზაში, სახე ცოცხალი სინამდვილის გამომხატველია. „როცა მხატვრულ სახეში, — წერს გ. ჯიბლაძე, — ხედავენ ცალკე პირის, საგნის, მოვლენის გამოხატვას, რომელშიაც

ხაზგასმულია მისი არსებითი, ტიპური თვისებები, პოეზიაც ამ სფეროს განეკუთვნება. მაგრამ მას მაინც შერჩა სპეციფიკა — გარკვეული ნაწილით განსხვავება ხელოვნების სხვა დარგებისაგან. მაგალითად, მეტაფორა და შედარება პოეზიაში სხვაგვარად წარმოგვიდგება, ვიდრე მხატვრულ პროზაში, ვინაიდან მას ლექსში შეუდარებლად უფრო დიდი ფუნქცია აქვს მინიჭებული, ვიდრე ბელეტრისტიკაში“ (გვ. 6). უდავო დებულებაა, რომ ლიტერატურის მრავალსაფეოვნოანი ისტორია შედარებას ყოველთვის ანიჭებდა ერთერთ საბატიო ადგილს, მაგრამ შედარებებს ზოგიერთი მოსახეზრებელ განმეორებად მიიჩნეოდნენ. მაგალითად, ჰეგელი დიქროზდა, რომ შედარება „მოსაწყენი ზედმეტობაც“ და სხვ. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, ჰეგელისა და მისი ეპიგონების „თეორიების“ სიყალბეს და შედარებებს ცნებათა გაურკვევლობის მიზეზებს.

გ. ჯიბლაძემ — წერილში „პოეზიის მხატვრული სახეები“ დაასაბუთა, თუ როგორ ეხმარება მწერალს შედარებები საგნის წარმოსახვაში და ძლიერი გრძობების გამოწყვევაში, აგრეთვე მან გვიჩვენა, თუ როდენი სიციხველე და ემოციური სიციხველე შეაქვს შედარებას ლექსში, რომანში თუ სხვა ეანის მხატვრულ ნაწარმოებში.

მწერალს თუ პოეტს საბოლოო ანგარიშში შედარებები მხატვრული სახის გამოსაცეითად, გასამაგრებლად ესაჭიროება. მაგრამ უნდა ეიცოდეთ, რომ „...ეცერ ერთი სახე ვერ აღმოჩნდება ჰემმარიტი ხელოვნების სიმალეზე, თუ მხატვრულ სრულყოფილობას სირთულესთან ერთად საფუძვლად არ დაედო სისადავე“ (გვ. 8) ყოველი მწერალი ცდილობს შექმნას ფრაზა და მისი საშეალებით გამოხატოს თავისი მხატვრული წინაფიქრი. მაგრამ საბჭოთა მწერლის თუ პოეტის ამოცანა მარტო სიტყვების შერჩევაში როდი მდგომარეობს. საბჭოთა მწერლის მოვალეობა უფრო დიდი და სასა-

ტია, საბჭოთა პოეტს (ამ შემთხვევაში ვლადიმირ მაიაკოვი მხოლოდ პოეზიაზე) სიტყვების შერჩევა, წინადადების შეკერა, რომელიც მთელ რიგ საბჭოელსთან არის დაკავშირებული, უბრალო სილამაზისათვის კი არა, არამედ დიდი მოვლენების ასახვად და ეპოქის სულის გამოსახატვად ესაჭიროება.

პოეტი, რომელსაც სურს საღ სიტყვებით და ნათელი აზრით შექმნას ყოველმხრივ დაწინაღობილი მხატვრული სახე, ვარჯიშ უნდა იკონობდეს სინამდვილეს. მხატვრული სახის გამოხატვა ცხოვრების დიდ ცოდნას თხოვლობს, ისიც — „არა საერთოდ და ზოგადად, არამედ კონკრეტულად ყველა იმ დეტალსა, რაზედაც მხატვრული სახე შენდება“ (გვ. 19).

შედარებას ყველა პოეტი ერთნაირად რადი იყენებს. შედარება შეიძლება ყოველთვის გამართლებული, მისაღები არ იყოს. გ. ჯობლანს ამის მთელი რიგი მაგალითები მოყავს და დასკვნას, რომ „ყველა პოეტური სახე მოითხოვს ისეთ შედარებებსა და მეტაფორებს, რომ არსებითი, ტიპური მაქსიმალურად იყოს დაპერილი“ (გვ. 19). ამგვარად „მხატვრული სახე თანაზრის გამოთქმა მოითხოვს შედარების ისე დახვეწას, რომ აზრი თვით იქვე სხედ“ (გვ. 21).

ნარკვევში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოხილი ენის საკითხს. რადგან „ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს პოეტური მეტყველების მხატვრობის, სიბოხისა და მონუმენტურობისათვის“. „არა მალე ფილოსოფიური აზრის უნდა გამოხატავდეს პოეტი თავის ნაწარმოებში, რა ძლიერია უნდა იყოს მისი გრძნობათა დღევანდელი როგორი უნაპიროც უნდა იყოს მისი აღტაცება და სიხარული, შრისხანება და სინანული, პოეტურ სახეში თუ ყოველივე ამის ძალდატანების იერმა დაქრა, მაშინ თვით პოეტური სახე განწირულია დსაღდავად. ნამდვილი ხელოვნების განკლადს ჩვენი იქ ვმორდებით, სადაც ძალდატანება და ხელოვნობა თინდაც ოდნავად აგრძნობინებს თავისთავს მკითხველსა და მკითხველს. როცა პოეტურ ნაწარმოებს კითხვობ, უნდა მოგვიჩვენოს, — შენც სწორედ ასე იტყოდი, რომ სხვანაირად ამის თქმა არ შეიძლებოდა. „იზმება“ პოეზიაში, სიმბოლიზმით დაწვებული და ფტერისმით დამთავრებული, დაფტოვებს ისეთი რეალიზმით, რომლებზეც არაერთი და ორი ნიჭიერი პოეტის მხატვრული ენერჯია შეიწირეს, შედგე კი არაღერი მოგვეცეს... ეს იყო სახეების ბუნდოვანება და ენის გაუბუნება... უმადლესი აზრები, უმწვენიერესი მხატვრული სახეები რუსთაველმა გამოხატა არა უჩვეულო სიტყვაქმნადობით და ენის ბუნებრივი სიღლის დარღვე-

ვით, რასაც ის მიიწე ვერ შესძლებდა; ვინაიდან ეს საერთოდ შეუძლებელია ერთმანეთს შეუღობივი სიტყვებით, რომლებზეც უნდა ვსაუბრობოდ ხედება ყურს და არ გაუფიქრებინებს, რომ ისინი შეიღნაზვეარი საუკუნის წინად დაიწერა“. (გვ. 33). ამ ვრცელ ამონაწერიდან სრულიად ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ენის საკითხს ლიტერატურაში.

„ენაში სახიერდება მთელი ეპოქა“. ამიტომ ენას და სიტყვას საარეცენზიო წინაში უარესად სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული.

წიგნის პირველ განყოფილებაში — „ქართული საბჭოთა ლიტერატურა“ მოცემულია ხუთი ქართული მწერლის მხატვრული შემოქმედების სრული ანალიზი. სახელდობრ: შალვა დადიანის, გ. ტაბაძის, ი. გრიშაშვილის, ლ. ქიანთელის და ა. შამაშვილის.

შ. დადიანი ცნობილია არა მარტო როგორც პედაგოგი, არამედ როგორც დრამატურგი, რეჟისორი, აქტიორი და საზოგადო მოღვაწე. „გიორგი რუსის“ ავტორმა ყოველმხრივ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. „როს სუკენის მთქანზე ვაიშალა შალვა დადიანი სრულიად მხატვრული შემოქმედება: იგი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და გრძელდება მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე“ (გვ. 38). შ. დადიანი 1896 წელს ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაბეჭდა წიგნი „ცრელები“. ეს იყო მისი პირველი სერიოზული ხელოვნების შემოქმედება. „წმინდა ცრელების“ შემდეგ წიგნს გ. ჯობლანმა დადიანის შემოქმედებითი გზა ერთნაირად მიიხარებოდა პროზასა და დრამატურგიაში, ხოლო მის პარალელურად თეატრალურ ხელოვნებაში.

შ. დადიანის პიესებს „გეგეკორი“ და სხვ. თვითმპრობელობის მიერ ვანაშაქები ზალბა აღტაცებით ხედებოდა. „შალვა დადიანის დრამები, რომლებიც დაწერილია 1905 წლიდან 1917 წლამდე, დართო სოციალური ტილოებითა. ავტორი თანადროულ თუ ისტორიულ თემატიკაში ორგანიზულად აქსოვს ეპოქის აქტუალურ პრაბლემებს და როგორც სიუჟეტის განვითარება, ისე ევანქების გახსნა და მომქმედ პირთა პერსონაჟული დამოკიდებულება შეიპრობულია დროის ასპექტით“ (გვ. 44). შ. დადიანს კარგად ეზრებება სახეების გამოყვითა, მის დრამებში თუ კომედიებში „ყველა ტიპი თუ მომქმედი პირი მხატვრულად არის დასრულებული“. შალვა დადიანი თავის აღრინდელ დრამებში“ ადვილმისახვედრი თვისებებით გოხატავს ეპოქის რევოლუციურ მაგისტრებს, ყმრომელი ზალბის ბრძოლას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, თანაგრძობის ბრძო-



ლეტარიატს, ზელს უწყობს მას\* (გვ. 42).  
 გ. ჯიბლაძემ შ. დადიანის იდრინდელი ნაწარ-  
 შობების ანალოზის დროს მარქსისტული მეთ-  
 თოდოლოგიით გაარკვია ჩელოზმის ხასიათი  
 და საეცხებით სამართლიანად აღნიშნა, რომ  
 „რეალში არ ნიშნავს სინამდვილის შექანი-  
 ეურ გადმოწერას“ (გვ. 45).

შალვა დადიანის მხატვრულ შემოქმედებით  
 ნივს ფართო ვასაქინი საქართველოში საბჭოთა  
 ზელსეფლების დამყარების შემდეგ მიეცა-  
 „თავისი დიდი მხატვრული ტილოები — წერს  
 გ. ჯიბლაძე — შალვა დადიანმა საბჭოთა ზე-  
 ლსეფლებს წლებში შექმნა. „ნაბერწყლი-  
 დან“, „გიაგრა რუსი“ „კაქალ გულში“, „ჩა-  
 ტებილი ხიდი“, „წინაშვილის გერია“, „თეთ-  
 ნულდი“, ქართული მკითხველისა და მკურ-  
 რებლისათვის ფართოდ არის ცნობილი“ (გვ. 48).  
 უნდა აღინიშნოს, რომ „ქართულ საბჭოთა დრა-  
 მატურგიაში შალვა დადიანმა პირველმა გვი-  
 ჩენმა დიდი სტალინი ს ზელმძღვანელობით  
 საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-  
 ისკრული ორგანიზაციების შექმნის სურათი,  
 შრომელი ხალხის დარაზნეა თვითმპყრობე-  
 ლობისა და ბერეუთიას წინააღმდეგ საბრძოლ-  
 ველად. პიესა „ნაბერწყლიდან“ მონუმენტური  
 მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც დრამა-  
 ტურგმა შექმნა მშხანავ ლაქრეტი  
 ბერიას ბრწყინვალე ნაშრომის საფუძველ-  
 ზე — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანი-  
 ზაციების ისტორიის საკითხისათვის“. „ნა-  
 ბერწყლიდან“ გადიეცა ხალხის საყვარელ დრა-  
 მატულ ნაწარმოებად, მიმზიდველ და აღმა-  
 ფრთოვანებელ სპექტაკლად.

გ. ჯიბლაძე შალვა დადიანის უკანასკნელი  
 პერიოდის დრამატულ ნაწარმოებებს შალვ  
 შეფასებას აძლევს, იგი აღნიშნავს რა შალვა  
 დადიანის დიდ დამსახურებას ქართულ საბ-  
 ჭოთა ლიტერატურის წინაშე, მიუთითებს  
 ცალკეულ ნაყოფანებებზე, რომელიც ახა-  
 საათებს ზოგიერთ მის დრამატულ ქმნი-  
 ლებებს.

გ. ტაბიძემ შეტად საყურადღებო პოეტური  
 ვსა გენელო, „მძიმე დროს, რეაქციის წლებ-  
 ში გამოვიდა ეს დიდი პოეტური შთაგონების  
 ადამიანი ლიტერატურულ ასპარეზზე“ გ. ტა-  
 ბიძემ 1908 წ. დასწერა ლექსი „პირველი  
 მისი“. ამ ლექსში გამოხატულია გამარჯვებ-  
 ბის რწმენა. ეს ვანწყობილება ახასიათებდა  
 ტაბიძის ლექსებს შემდგომად, „მეგრამ, რეაქ-  
 ციამ, შეხუთულმა საზოგადოებრივმა ატმოს-  
 ფერამ პოეტის მსოფლმეცნებაში დაბბადა  
 ძისტიციზმი“ (გვ. 55).

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე  
 ვალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებას პესიმიზ-

მის. ელფერი გადაქრავდა. მისი ლექსთა  
 მკრობელი „შვიე ყოიანი“ (საქართველოს  
 მოსვენებას არ აძლევდა მისი შემოქმედების  
 ვზას, ამ ყოიანმა იგი პესიმიზმადღე — კი  
 შიიფვანა, ჩავდლო სსოწარკვეთილებამი. ოქ-  
 ტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის  
 შემდეგ გ. ტაბიძის შემოქმედებაში სრულიად  
 ახალი ხანა დაიწყო. ოქტომბრის სოციალის-  
 ტურმა რევოლუციამ ვალაქტიონ ტაბიძეს ახა-  
 ლი შემოქმედებითი პათოსი მისცა. ამ პე-  
 რიოდში დაწერილი მისი ლექსი — „დროშების  
 ჩქარა“ — წარმოადგენს უმშვენიერეს მხატვ-  
 რულ ნაწარმოებს, სადაც პოეტი უმღერის  
 დიად აწყოს, კაცობრიობის განთიადს, სიი-  
 დანად იწყება ახალი ვრა“ (გვ. 59).

წიგნში ნათლად არის ნაჩვენები თუ ვალაქ-  
 ტიონ ტაბიძემ როგორ გამოიყენა მე-19 საუ-  
 კუნის ქართული კლასიკური პოეზიის მდიდა-  
 რი ტრადიციები. გ. ჯიბლაძემ გ. ტაბიძეს  
 პოეტური შემოქმედების განმარტვის დროს წა-  
 შიავუნა ნიკოლოზ ბარათაშვილის და გ. ტაბი-  
 ძის პირველი პერიოდის შემოქმედებითი  
 ურთიერთობის საკითხი. გ. ტაბიძის „...მხატვ-  
 რული შემოქმედების პირველ პერიოდსა და  
 ბარათაშვილის პოეზიას შორის ჩვენ ეპოუ-  
 ლობთ ნათესაობას. არა მარტო მხატვრული  
 სახეები და მეტაფორები, არამედ შინაგანი  
 სულიერი ქვეყანაც პოეტისა ამ ფაქტისკენ  
 მიკვიითიებს“ (გვ. 57).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევო-  
 ლუციის შემდეგ გ. ტაბიძის მხატვრული შე-  
 მოქმედების თემატიკით მასალა რევოლუცია  
 და გრანდოზული სოციალისტური მშენებლო-  
 ბის ცხოველყოფილი სინამდილეა“ (გვ. 60).  
 ვალაქტიონ ტაბიძემ ბევრი ვაყეთა ჩვენი  
 პოეტური კულტურის ამაღლებისათვის, მან  
 „ქართულ სიტყვას ლექსში მისცა არა მარტო  
 მეტი კოლორეტი, არამედ მეტი პლასტიკო-  
 ბაი“ (გვ. 62). „ნარკვევებში“ სრულად არის  
 ნაჩვენები გ. ტაბიძის დამსახურება ქართულ  
 პოეზიაში.

ი. გრიშაშვილის პოეზიაში ძველ თბილისს  
 ვარკვეული აღვილი უკავია. „ქველმა თბი-  
 ლისმა, — წერს გ. ჯიბლაძე. — გრიშაშვილის  
 პოეზიაში, მის ლექსალურ ორნამენტებში ისე-  
 თი გამოხატულება პპოვა, როგორიც არცერთი  
 ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ უზო-  
 ვია“ (გვ. 65).

ი. გრიშაშვილი „...თავის ქმნილებებში სამ-  
 შობლოზე ფიქრს და პატრიოტულ გრძნობას  
 რევოლუციამდე ლექსებშიაც გამოხატავდა—  
 სამშობლოს სიყვარული აფლავებდა პოეტის  
 გულის ყველაზე სათუთ სიშებს და საქართვე-  
 ლოს. მრავალსაუცუნოვანი წარსულის ტივი-

ლებში აღიერებდა მრისხანების გრძნობას დაშვილობის წინააღმდეგ მისამართავად" (გვ. 65). უსაზღვრო იყო პოეტის სიყვარული მრავალჯერ აზრებულ, მაგრამ მტკიცე საფუძვლებზე მდგარ თბილისსადმი. ზნორად ეს სიყვარული ეგზოტიკაში გადადიოდა. მაგრამ ა. გრიშაშვილის ძველ თბილისზე წარმოთქმულ სიმღერებს, ისტორიული თვალსაზრისით თავისი ფასი აქვს. აქვე ისიც უნდა გავთვალისწინოთ, რომ რეაქციის შავმა ნისლი ადრეანად დასუსტა ახალგაზრდა პოეტის გულგული ყვევლები და საშუალება არ მისცა პოეტს ბოლომდე დაესრულებია სამოქალაქო მოტივებზე აწყობილი სიმღერები („ტუსილის სიმღერა“, „ზამთარი“ და სხვა). „მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ჰყოვა გრიშაშვილის შადღაანმა პოეტურმა ნიჭმა და ოსტატობამ მოქალაქეობრივი სიმღერა. მის ლექსებში აისახა ახალი ყოფა, ახალი თბილისის შესანიშნავი ზეივნები, მისი იდეალები, ახალი გრძნობები და ფიქრები. პოეტმა შექმნა საბჭოთა სინამდვილის დიდი გრძნობით შთაგონებული ლირიკული სიმღერები“.

გ. ჯიბლაძე წერისში „იონებ გრიშაშვილი“ იძლევა გრიშაშვილის შემოქმედების შიდალი პოეტური ოსტატობის და მისი თანამედროვე ლექსების შიდალიდებობის ბრწყინვალე ახალსა და კონკრეტულ დასაბუთებას.

ლ. ქიაჩელს დიდი მწერლის სახელი ლიტერატურაში „ტარიელ გოლუმი“ დაუმკვიდრა.

„ტარიელ გოლუმი“ პირველად გადაიშალა ლეო ქიაჩელის დიდი მხატვრული ნიჭი, პირველად გამოჩნდა ჩვენს წინაშე ყოფილებობის ეს უხადო მხატვარი, შთაბეჭდილებული რეალისტი და ქართული სინამდვილის ღრმა მკოდნი. ეჭვს გარეშეა, რომ „ქართულ მხატვრულ პროზაში „ტარიელ გოლუმი“ შევიდა როგორც დიდი ეპიკური ტილი, რომელმაც რეალისტურად ასახა პირველი რევოლუციის დროინდელი ქართული სოფელი“.

„ტარიელ გოლუმი“ საუცხოოდ გამოკეთილი ტიპებია. მაგალითად, თვის ტარიელ გოლუმი ისეთ ლიტერატურულ ტიპებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც გამოკეთილად რჩებიან არა მარტო მხატვრულ მწერლობაში, არამედ მკითხველის შესიერებაშიც.

„სისხლი“ „პირველი მსოფლიო ომის წინაპერიოდს გვიხატავს და საინტერესოა როგორც ეპოქის გამოხატველი რომანი“, მაგრამ „სისხლი“ არ შეიძლება ჩაითვალოს უნაკლო ნაწარმოებად. სარკვევნიო წიგნი ერთ მხრივ კარგად არის აღნიშნული ყველა ის ნაკლოვან-

ებები რომლებიც ამძიმებს ამ რომანს, ბოლო მწერის მხრივ ის ღირსებებში მისი მიზნების მიზნობრივობას აძლევს მას სიღრმისეულ გოლუმი“ „პირველად გამოკეთილად ლეო ქიაჩელის ფართო მხატვრული დამაბონი, თუ ამ მოთხრობაში ჩვენ პირველად ვიხილეთ იგი, როგორც სოციალური ტილის ოსტატი, მესამე რომანში ავტორი ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც სოციალური ყოფითი თემატიკის კუშპირიტად დიდი მომღერალი. ჩვენ გლამარაკობთ რომანზე „გვალი ბიგვა“. ეს რომანი დღემდე ერთადერთი სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც ასე ბრწყინვალედ დაგვიხატა საკომუნურნო სოფელი და გვაჩვენა მისი იდეალები“ თემის აქტიულობამ, ცოცხალმა და ლამაზმა მხატვრულმა ენამ, თავიდანვე მიზნობრივი გახდა „გვალი ბიგვა“. გ. ჯიბლაძემ სარკვევნიო წიგნი დაწვრილბით განიხილა ყველა ის ღირსებები, რომელიც სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ამ შესანიშნავ რომანს გააჩნია. ლ. ქიაჩელის შეზღუდვება მარტო სამი დიდი რომანით არ ამოწურება. მის კალამს ეკუთვნის ნოველები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები და სხვა.

ნარკვევში — „ლეო ქიაჩელი“ მოცემულია მწერლის შემოქმედების სრული და პრინციპული გარჩევა. — ანალიზი იმ გზისა, რომელიც განვლო მწერალმა „ტარიელ გოლუმიდან“ „გვალი ბიგვაში“.

„ალიო მამაშვილის ბევრი ლექსი ძლიან პოეტურადია ფართო მასებში. „ალი მამაშვილის ლექსები „მოთხველს უნარგავენ მხრეგულ სიყვარულს სამშობლოსადმი, ათიგზნებენ ხაგმარო საქმეებისათვის, ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას“ (გვ. 101). როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ჯიბლაძე „დიდი პოეტური ექსპრესიით არის დაწერილი ლექსები „ქიში სამშობლოს“ და „დაბადება“, რომელიც მდიდარია მხატვრული სახეებით, ოსტატური შეტადორებით და ძლიერი ეპოეტებით.“

„პოეტის ძირითად იდეას მონახული აქვს შესაფერისი მხატვრული სამკაული, ლოგიკური კატეგორია ამაღლებულია დიდ ზელოვნებად. ბუნება, იდეალები, მთელი გარემო ამ ლექსებში ოსტატურად არის დახატული. მამაშვილის ძირითად ლექსებს, გ. ჯიბლაძის აზრით, სისადავე, ლაკონურობა, იდეური გამოკვეთილობა ახასიათებს. ალ. მამაშვილი, რომელმაც ბევრი ღირსშესანიშნავი ლექსი დასწერა სამამული ომის წლებში, ყოველთვის



აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული საბჭოთა ლექსის განვითარებაში, იგი „ორგანულად არის დაკავშირებული ჩვენი ლიტერატურის შემოქმედების წინსვლასთან“ (გვ. 103).

„შხატრული შემოქმედების ნარკვევებს“ მეორე განყოფილება აღქმანდრე პეშინის განხილვით იწყება. სარეცენზო წიგნში მკაფიოდ არის გამოქვეყნებული პეშინისა და დეკარისტების მეგობრობა და პეშინის დიდი როლი, რომელიც მან შეასრულა რუსული პოეტური მემკვიდრეების განვითარების საქმეში.

„გერცენის შხატრული პროზა“ და „ოგაროვის პოეზია“ სარეცენზო წიგნის თავის მნიშვნელოვანი ნაწილია: ოგაროვმა თავისი სოციალისტური უკანასკნელი წლები გერცენთან ერთად გაატარა. გერცენი და ოგაროვი დიდი რუსი მოღვაწენი, მწერლები და პუბლიცისტები იყვნენ. გერცენმა და ოგაროვმა დაარსეს „ყოლოკოლი“. სარეცენზო წიგნში უმთავრესად ამ ორი ადამიანის შხატრულ ქმნილებებთან გვაქვს საქმე.

შეათვალი, მოცულობით დიდი არ არის სარეცენზო წიგნში მოთავსებული წერილები „ნიკოლოზ ზერინშევსკი“ და „დობროლუბოვი“, მაგრამ ისინი ნათლად აშუქებენ მონარქიის მიერ სხატკად დასჯილი ზერინშევსკისა და დობროლუბოვის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას.

აღქმანდრე ბლოკი იყო არუსი ინტელიგენციადან პირველი პოეტი, რომელიც აღფრთოვანებული შეხვდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

ბლოკი გულწრფელად შივიდა დიდი ოქტომბრის რევოლუციასთან და მიიღო მისი დიდი იდეები. თუ როგორი შინაგანი წინააღმდეგობით შივიდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან, თუ როგორ უტყერდა იგი მას და როგორი პოეტური სკოლა გაიარა ბლოკმა— ვეღვაფერი ეს სარეცენზო წიგნში კარგად არის გამოქვეყნებული.

მეორე განყოფილებაში აგრეთვე მოთავსებულია წერილები „მაქსიმ გორკი“ და „ვლადიმერ მაიაკოვსკი“.

წიგნის მესამე განყოფილება — „ესთეტიკის საკითხები“, „პოეტკით“ იწყება. ამ წერილში მთელ რიგ საუბრადღებთ საკითხებს ეხედებით, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა „ნარკვევებში“ მოთავსებული ორი თეორიული ხასიათის წერილი: 1. „ილია ქვეპეაქე და ხე-

ლოვნების რეალისტური თეორია“ და 2. „აეაკი ესთეტიკური იდეალისტიკის შესახებ“ ილია ქვეპეაქე პეტროვიჩის მიხედვით ილია პირველი ნაზიკი ლიტერატურაში საკმაოდ შეიქმნა, რომ გამოაშკარავებულყო, თუ რომელი ნაწილადღედიდან დიძრა გრივალი, რომელიც გაოლქმნით ეშუქებოდა არსებულს“ (გვ. 198). ილია პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც მის გ. ჯიბლაქე შენიშნავს, დაწერილი იყო ბელინსკის გავლენით. წამოაყენა ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთ დამოკიდებულების შატრეალისტურ-რეალისტური პრინციპები. ილიამ უარყო „წმინდა ხელოვნება“ „ხელოვნების სპეციფიკისა და ფუნქციის განსაზღვრაში ილია შტიციელ მიხვევდა რეალისტურ თეორიას, ბელინსკის გზას.“ სინტიმენტალიზმის ანალიზში ილია ქვეპეაქე ძალიან უახლოვდება ბელინსკის ესთეტიკის საერთოდ „ბელინსკის რეალისტრმა კონცეპციამ ილიას ახროვნების ჩამოყალიბებაში, თვალსაჩინო როლი შეასრულა“ წერილში — „ილია ქვეპეაქე და ხელოვნების რეალისტური თეორია“ შთეული სახტულით არის მოცემული ილია ქვეპეაქის ხელოვნების რეალისტური თეორია და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ილიამ უდიდესი როლი ითამაშა ქართულ ლიტერატურის შემდგომ განვითარების საქმეში. ილიას ამ საქმეში გვერდით ედგა დიდი ქართველი პოეტი აეაკი წერეთელი.

ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხალხს, — ანთიარებს აეაკი ზერინშევსკის სავეარულ თუხის. „აეაკის ესთეტიკა ემსახურებოდა შრომელი ხალხის ინტერესებს. ამან ვეღვაზე შეკუთრი გამოხატულება პოეა პირველი რევოლუციის ეპოქაში, როცა პოეტი აღფრთოვანებული ლექსებით შეხვდა ხალხის ამოძრავებას, გამოლიქებას, მივსალმა უფინას თვითშეკრობელობის დასამზობად და პროლეტარიატს უმღერა ინტერნაციონალი“ (გვ. 214). „ნარკვევებში“ აეაკის ესთეტიკის ახსნა ამ ძირითად პრინციპებიდან გამომდინარეობენ. თუ როგორ გავიო აეაკიმ რეალისმის ბუნება და როგორია აეაკის რეალისმი ამის შესახებ გ. ჯიბლაქე შემდეგს ამზობს: „აეაკი წერეთელი თავიდანვე გამოვიდა რეალისტური ხელოვნების დამცველად და მის თეორიას შემოქმედებითი განსხვავებაც მისცა. თავიდანვე მან სწორად გაიყო რეალისმის არსებითი, ბუნება, გაილამქრა მისი დამახინჯების წინააღმდეგ, განმარტა იგი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი და არა უსიციოცხლო დოგმა.“ აქვე სარეცენზო წიგნის ავტორმა დავანახვა თუ როგორ აფასებდა

აკავა წარსულს და როგორ განსხვავდებიან ამ საკითხში აკავა და რომანტიკოსები, ზეგრი შეტად საყურადღებო საკითხია წამოჭრილი ამ წერილში და გადაჭრილი შეცნიერული თვალსაზრისით.

„მატერულ“ შემოქმედების წარვევები“ საინტერესო და შეტად სმარტული „სტატე-რატერულ-კრატოეული შრევეს“ ლ. ი. ი. ი. ი. ი.

ვლადიმერ ჯიგზობი.

მიტომრ ვაბესპირიანს ლექსები

ვიქტორ გაბესკირიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა პოეზიაში. მიუხედავად ამისა, ეს ნიჭიერი პოეტი ჩვენი კრიტიკის მიერ სათანადოთ არ არის შეფასებული მისი ლექსების წიგნი, რომელიც ამას წინათ „საბჭოთა მწერალმა“ გამოისცა, საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქტორის ავტორზე. ლექსებთან ერთად ამ წიგნში მოთავსებულია სამ მოქმედებებიანი დრამატული პოემა „ქეთევან წამებული“.

ვ. გაბესკირიას ახასიათებს ლექსის კომპოზიციის გრძნობა, საგნების ძლიერად წარმოსახვით უნარიანობა, სიტყვების სიძლიერე, პლურტირობა და, რაც მთავარია — თემატიური აქტუალობა.

წიგნში მრავალი ინტიმური ხასიათის ლექსია შეტანილი, მაგრამ ხშირად ეს ინტიმი სცილდება ვიწრო ჩარჩოებს ერთგვარ განზოგადოებულ სახეს ღებულობს და მის ლექსს აძლევს უფრო შეტ სითბოს. ასეთი ხასიათის ლექსებიდან უპირველეს ყოვლისა შესაძლებელია დავასახელოთ რვა სტრაქიონიანი ლექსი „ტბრა მასი“:

„ღამეა ვბორგავ, ვეღარ ვისვენებ, რაღაც უცნობი ძალა შერევა. ისე ფარულად როგორ მოსულა ასეთი დიდი ბედნიერება! გათუნდა. ზეიშს, ხალხს გამოვეყვი, ისე, ვით ჩრდილა, ზემად ვმოძრაობ. სიხარულია, ერთამულაი! შენ კი... სადა ხარ, ძვირფასო მამო?!

მართალია, ამ ნაწარმოებში ავტორის დიდი სევდაა აშტყველებული, მაგრამ ეს სევდა სრულიადაც არა ჰვავს დეკლენტურის სკოლის პოეტებისათვის დამახასიათებელ სევდას, პირობით ნამდვილი ადამიანური გრძნობა ავტორის, და რაც მთავარია, მკითხველს სულიერად ახილავს და აშტყავებს. ავტორს ამ მომსახდში რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნი-

ლი, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ეს ლექსი სტოვებს. როგორც შემოთ აღნიშნეთ ვ. გაბესკირიას შემოქმედებას პლასტიურობა ახასიათებს. მაგრამ იქ, სადაც ავტორი ცდილობს წარმოგვედგინოს შედარებით ფართო პოეტური პანორამა, ფი ერთგვარ უხერხულობაში ვარდება. დავასახელოთ ლექსად დამერილი ეტრული „შავი ზღვის პირად“. ამ ნაწარმოებში ავტორი საგრძნობლად დალატობს ნათელ, პლასტიურ და პოეტურად აშტყვებულ შეტყველებას. მის ვალითად პოეტი აშტობს:

„ღღესაც უამბეს: თადას, მამამისს, სენმა მუხთალმა აღარ აცოლა, მართა ვადაყვა ჯავრის მისისა და სწორედ წლის თავზე გარდაიცვალა.

ანდა:

„მიღო ბალიშზე თავი, ვეღება თეთუნის ბოლა, ფიქრებში ახვევს“...

აღნიშნული ნაწარმოებიდან შეიძლებოდა კიდევ ზოგიერთი ადგილის მოყვანა, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწარმოები რიტმის, რითმის და პოეტური სისადავის თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოებია.

ცოლიდან „ქველი ლექსები“ ძლიერსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ „ევეკალიპტები“, „შენი სოფელი“, „ნაყნობი ეზო“, „მოხუცა მეთევზე“, „მონადირე“, „ზღვასთან“, „ზამთრის სურათი“, „მავნოლის ზე“, „ღამით“, „ზამთრის დილა სამეგრელოში“, „ტყეში ღამდება“, „ჩვენი ქვეყნის ჭალიშვილები“ და „აკაკის სოფელში“;

ლექსში „ევეკალიპტები“ ავტორი დიდ ემოციურობას აღწევს:

„სალამი მალაღ ზეთა მწვერვალებს, სალამი უცხო ზეების კრებულს!..



ან კიდევ:

„მოგესალმებით, პირველად გვხვდეთ, თეატრის ცისკიდურს შევერთებინართ... მხარეს, ტირიფის და ილიისხეთა თქვენ ისე როგორ შეეყვარებიხართ, რომ ყოველ სახლთან, ყოველ ღობესთან ირხევა თქვენი ჩრდილების რივი? თქვენი შრიალი პირველად მესმა და მინდა კვლავაც მესმოდეს იგი. გამარჯვებულთა დრომ დაურია თქვენი ჩრდილები ჯარების მხარეს. ხენო, მაღალნი, აქაური ვარ, — და დამკვიდრება თქვენი მახარებს!..“

ლექსში „შენი სოფელი“ გაცოცხლებულია ახალი კოლხიდის თვალწარმტაცი პეიზაჟი. აქ იეტორი ოსტატურად უკავშირებს თავის ბიოგრაფიულ წარსულს განახლებულ კოლხიდას. ამგვარი ლექსით პოეტი თავის ლექსს ანიჭებს ერთგვარ ლირიულ სიბზოს და შეიძლება ითქვას დამატებითაც. ასეთივე კოლორიტული ფერებითაა შესრულებული ლექსი „მონადირე“. არ იქნება ზედმეტი თუ რამდენიმე სტრიქონს მოვიყვანთ.

„მას მოღიმარი მეზობლები  
გზაზე ხედებიან,  
მაგრამ როს გზაზე ჩერდება და  
გამწივლს ხელს ართმევს  
მოებევეიან ბავშვები და აჯივრდებიან  
ტყვიის ჩანთაზე დაკიდებულ  
ჩიტებს, ტყის ქათმებს,  
ფსმის ბავშვებში: „ლაშაზია“,  
„ეს არის ვარგა“,  
ზოგზე ფიქრობენ „რუბია“ და  
-გარუჯულია“.

ჩიტებს კი ფრთებში ჩაეყვარო  
გრძელი ნისკარტი  
და თვლები კი დახუჭული აქეთ...  
გიორგი მთელიანი

ციკლიდან „ძველ საქართველოში“ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოკებს ლექსი „ცხრა ძმა ხერხეულძე“. ეს ძმები მუდამ ერთად ყოფილან, ერთად უმუშავიათ სათიბში თუ ყანაში და ახლა მარაბდის ველზედაც ერთად მოსულან მრისხანე მტერთან შესაბამელად, დაკრეს კიდევაც ნაღარა. ისინი გმირულად იბრძვიან ურიცხვი მტრების წინააღმდეგ რავნი მეცბრე ძმას უთვალთვალბენ, ის ყველაზე უმცროსია და გამორუცდელი. მას ძმები შეძახილებით ამხნეებენ. ისიც არ კრთება მტრის წინაშე. იბრძვის თავგანწირულად, მაგრამ ოთხი ძმა გამოაკლდა ცხრა ძმა ხერხეულიძეთ. გატყდა პატარა, მაგრამ ჩკინისებური რაში. უკანასკნელი ძმათაგანი-ღა მოსინანს მტრებს შორის ხმალაპართული. მალე ისიც გმირულად დაეცმა. მტერი კი სთვლავს და სთვლავს დაღუპულ შეომართა გვამებს. ბრძოლის შემდეგ მღვმარე ველზე წამოიპართება ჭრილობებისაგან სისხლგაცილი ჭიარა პაპა და დაღუპულ მეომრებს მიმართავს: „ზეცას განათდესო თქვენი სული“. ეს ლექსი ერთერთი შესანიშნავი ლექსთაგანია ე. გაბესკირიას მიერ ისტორიულ თემაზე დაწერილ ლექსთა შორის.

რაც შეეხება დრამატულ პოემას „ჭეთყვან წამებულს“, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე თავისი ლირიკუბებით უსათუოდ საყურადღებო ნაწარმოებია, მაგრამ ჩვენის აზრით ეს უკვე ცალკე მსჯელობის საგანია და ამასთან ერთად შექმნილებული არის მისი დეტალური გარჩევა ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილში.

შალვა ამისულაშვილი

იოკან მოლზგანაზ გოცბე. ლექსები. თარგმნილი ხარბონ ვადალოშვილის მიერ. „საბავოთა მწიროლი“ გამოსცემა.

მარქსისტული თვალსაზრისით გოცბეს ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ფ. ენგელსის შესანიშნავი და ბრწყინვალე შრომით: „კარლ გრუნი. გოცბეს შესახებ ადამიანური თვალსაზრისით“. ამ შრომაში, აგრეთვე „ლუდვიგ ფიერბახში“ და ზოგიერთ წერილებში, ფ. ენგელსი იძლევა გოცბეს დროინდელ გერმანიის და თვით გოცბეს შემოქმედების ლაკონიურ, მკვეთარ და ამავ

დროს ამომწურავ სოციალ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ესთეტიკურ დახასიათებას. საბჭოთა ლიტერატურადმკოდნეობას მართებს ფ. ენგელსის დებულებათა საფუძველზე, ბერეუაზიულ, მეტადრე გერმანულ, ლიტერატურადმკოდნეობის საწინააღმდეგოდ, მოსულთ ლიტერატურის ამ ერთ-ერთ დიდ მწერლის ცხოვრების და შემოქმედების მარქსისტული სურათი გადაგვიშალოს.



გ. ნადირაძის 24-გვერდიანი წინასიტყვაობა — „გოეტეს ლირიკა“ დაწერილია განსახილველი საგნის უდავო ცოდნით, ცალკეული ბიოგრაფიული და ესთეტიკური მოვლენების სწორი აღნიშვნით, გოეტეს მიმართ გულწრფელი სიყვარულით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზემოთ-მოყვანილ მოთხოვნებსაც იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს. მართალია, მე-13 გვერდზე მოყვანილია ფ. ენგელსის დასაბულებულ შრომიდან ერთი ნაწყვეტი, მაგრამ იგი არაერთადაა კავშირში არ იმყოფება მანამდე და შემდეგ თქმულთან, და წერიათ ავტორი არა ცდისა, თუნდაც იმ ათი სტრიქონის მიხედვით, რომელიც მას ამოღებული აქვს ენგელსის შრომიდან, გაეშუქებინა გოეტეს ცხოვრება და შემოქმედება. გ. ნადირაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ გოეტეს „გოეტების კლასიკურ დახასიათებას გვაძლევს ენგელსი“. და თითქოს სწორედ ამ გაორების ახსნისა და ანალიზისაკენ უნდა მიმართულიყო წერტილის ავტორის მთელი გულისყური, მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. მართალია გ. ნადირაძე გოეტეს ბიოგრაფიას განიხილავს მხოლოდ ლირიკულ შემოქმედებასთან დაკავშირებით, მაგრამ ლირიკა ხომ გოეტეს შემოქმედების ერთ-ერთი უდიდესი მხარეთაგანია და გოეტეს, როგორც შემოქმედის, გაორება, არა-ნაყლების ძალით შედგენილია ლირიკაში, გოეტეს გაორების ახსნა კი მხოლოდ ენგელსის ბრწყინვალე დახასიათებით არის შესაძლებელი.

ცნობილია, რომ გოეტეს დროის გერმანია ფ. ენგელსის მხებელი თქმით „სამარტვიზო პოლიტიკური და სოციალური ეპოქა იყო“, მაგრამ ამავე დროს ენგელსი აღნიშნავს, რომ ეს ეპოქა „გერმანული ლიტერატურის დიდი ეპოქა იყო. დაბლობებით 1750 წელსში დაიბადა გერმანიის ყველა დიდი ადამიანი: პოეტები გოეტე და შილერი, ფილოსოფოსები კანტი და ფიხტე, ოცი წლის შემდეგ კი — უკანასკნელი დიდი გერმანული მეტაფიზიკოსი ჰეგელი“. მაგრამ, გერმანიის პოლიტიკური, ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების განვითარების განსაკუთრებულობა, ენგელსის ახსნით, „გერმანულ ბიურგერობის უბადრულობაში“ მდგომარეობდა. კლასობრივი არაორგანიზებულობის და სისტემის გამო გერმანულ ბურჟუაზიას არა ჰქონდა თავისი უშუალო კლასობრივი ინტერესების შეგრძნება. ენგელსი აღნიშნავს გერმანულ ბურჟუაზიის ქედის მოხარულ ფეოდალურ, თავდა-აზნაურულ და ბიუროკრატიულ სახელმწიფოს წინაშე, იმას, რასაც რუსმა მწერალმა სალტიკოვ-შჩედრინმა შემდეგში მოსწირებულად „начальстволюбие“ უწოდა. განა ენგელსის თქმა, რომ გერმანულ

ბურჟუაზიას „მონობის ფასად მოპოებული სიმშვიდე უფრო სამკობრისაა, ვიდრე თუნდაც მხოლოდ სახელმწიფოებისათვის ბრძოლის პერსპექტივა“, შესანიშნავად არ გამოხატავს გოეტეს ცხოვრების და შემოქმედების ეპიპაზის პერიოდს? გ. ნადირაძე სწერს, რომ „ქარიშხლისა და შეტების“ მღვლავების შემდეგ პოეტი ეძებს დამშვიდებას და ადამიანებად მშვიდი შინაგანი ცხოვრების ბიოგენეზის იზიდავენ. გოეტემ იგი ვაიმარში ვაიცნო“ (გვ. 14), მაგრამ რამ დროსა 26 წლის ახალგაზრდა გოეტე ისე, რომ მას დამშვიდება მოსწყურდა? ამის მიზეზი ისევე იმევე ვერაშანელი სინამდვილის უბადრულობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც „შეტრყელების“ კეთილშობილურ მისწრაფებებს წინაღობდა. და ამიტომ კალამბურად არ ჩაითვლება ენგელსის მხებელი თქმა, რომ „გერმანული ბიურგერი მხოლოდ მოკლე ვაღით, ახალგაზრდაობაში ოცნებობს თავისუფლებათაზე“.

გაორება—ძირითადი თვისებაა გოეტეს ცხოვრებისა და შემოქმედებისა. ერთსადიამვე დროს იგი „დაუმორჩილებელი, დამცინავი, ქვეყნის მოძულე გენიოსია“ და აგრეთვე „ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ეწრაფილისტური“ აქედან; არა ბრძოლა გერმანულ უბადრუკ სინამდვილესთან, არამედ მასთან შერიგება, შეგება: „leb mit der Welt in Frieden“ — იმ რას ქადაგებდა ვიმარის და შემდეგი დროის გოეტე. თავის შრომაში „ლუდვიგ ფეიერბახი“ ფ. ენგელსი, სხვა კონტექსტში, აგრეთვე აღნიშნავს, რომ „ჰეგელი, ისე როგორადაც გოეტე, თავის დარგში ზევთა-ოლიმპიელი იყო, მაგრამ ვერც ერთმა, ვერც მეორემ ვერ შესძლევს გერმანულ ფილისტერიობისაგან სავსებით თავის დაღწევა“.

გ. ნადირაძე, მოჰყავს რა პეტრა ამონაწერს ენგელსის ცნობილ შრომიდან, რატომღაც ერთხანად სწყვეტს თავის ციტატას (გვ. 13) სწორედ იმ ადგილზე, სადაც ენგელსი დაასკვნის, რომ „გერმანული ცხოვრების უბადრულობა გამოარჯევა გოეტეზე“. ასევე გაეშართებოდნენ გ. ნადირაძის მოჰყავს წერილის ბოლოში ენგელსის დახასიათების მხოლოდ ერთი ნაწილი: „ჩვენ არა ერთხელ წარმოგვიდგება იგი ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიულ ქვეყნის მოძულე, დამცინავი და დაუმორჩილებელ გენიოსად“ (გვ. 24) მაშინ, როდესაც ენგელსი სავსებით გასაგებ და გარკვეულ ფორმულას იძლევა, რომელსაც არაერთი ტენდენციური სკალპელი არა სჭირდება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გ. ნადირაძის წინასიტყვაობის მთავარი ნაკლი მდგომარეობს





გოეტეს შიშობი ზედმეტი აპოლოგეტიკობის გამოჩენაში. მარქსისტულ კრიტიკას კი არ ესაძირება ლიტერატურის ისტორიის პროცესების და აღმავლების არც შეღამაზება და არც დამცირება.

ვერს დაეთანხმებით წინასიტყვაობის ავტორს აგრძელებს იმაში, თითქოს ქართული თერგდობიერების მოღვაწეობა გერმანული „ქარიშხალისა და შეტევის“, „ქართული თავისებური“ ვარიანტი ყოფილიყოს (გვ. 16). არ არის აგრეთვე სწორი ავტორის მტკიცება თითქოს 1765 — 1832 წლების, ესე იგი 67 წლის მანძილზე „არც ერთ ზელოვანს არ გამოუხატავს მხატვრულ ქმნილებებში თავისი დროის სულისკვეთება და იდეალური ისეთი სისასესით და სრულყოფილი ფორმით, როგორც ეს იქმნის გოეტეს შემოქმედებაზე“ (გვ. 24). ეს რომ არ არის მართალი, სხვათა შორის, ჩვენს დიდებულ ილია ჭავჭავაძის სიტყვებიდანაც სჩანს, რომელიც თვითონ გ. ნადირაძესაც მოჰყავს, სხვა კონტექსტში (გვ. 16): „ქვეყნის უყვანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის აუკარგი მის მადლს შეზღუდვად ერთ ძარღვსაც არ აატოკებს... განზე გამდგარა, მიუჯარებელია“. მეტიდ დამახასიათებელია, რომ დაახლოებით ასეთივე აზრისა იყვნენ ბელისკიცი, რომელიც აღნიშნავდა გოეტეს პოეზიაში: „Отсутствие исторических и общественных элементов, спокойное довольство действительностью, как она есть“, და ჰაინეც, რომელიც ამბობდა, რომ „გოეტეს პოეზია არ იწვევს მოქმედებას“.

გაუგებარია, თუ რას ჰედლისხმობს გ. ნადირაძე „ლირიკული საიდუმლოების ამოკითხვაში“ (გვ. 8). ავტორის აზრით, გოეტეს პოეზიის გეოლოგიკა ლაიციკში წარმოადგენდა „ამ საიდუმლოებისთან მიახლოებას“ და „როცა ეს პროცესი დასრულდა“ (?) ესე იგი „ლირიკული საიდუმლოება ამოკითხა“, მაშინ გოეტე სტოვებს „უბოგონურ ლაიციკს“ და შტრასბურგში გადადის. მაგრამ, თუ ლაიციკში „გოეტეს შეუქმლავი ეთქვა, რომ ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედების ბუნებაში მისთვის არადგერი აღარ იყო დაფარული და შეუძენობლი“, ესე იგი ლაიციკში უნდა დასრულებულ და გამოცდილ პოეტად გვევლინება, მაშ როგორ მოხდა, რომ „შტრასბურგი გოეტეს პოეტური დახადების გეოგრაფიული ადგილი“ გახდა? (გვ. 9). ცხადია, რომ ლაიციკის ასეთი გადაჭარბებული აღგლი არ უყავია გოეტეს შემოქმედებაში და ხაშდელი გოეტე უფრო შტრასბურგიდან იწვევდა. შეიძლება/კიდევ სხვა არასწორი და შეუსაბამო ადგილის მოყვანა ამ წინასიტყვაობიდან, მაგრამ ისედაც გავივარქმელდა. ამიტომ გადავიდეთ თვითონ ლექსების თარგმანზე.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გოეტეს 75 ლექსის და პოემის თარგმანს *„ქარიშხალი“* პოეტ ხარისხით ვარდობილად *„ქარიშხალი“* მხატვრულად ჩაეთვლება. მართალია, მის თარგმანს ზოგი ნაკლოვანება თან სდევს, რასაც ქვევით აღვნიშნავთ, მაგრამ ღირსებები იმდენად მეტი აქვს, რომ ეს ნაკლოვანება ვერ დაჩრდილავს ამ სასიკეთლო საქმის დიდ მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის. მაგრამ ვიდრე ლექსების თარგმანს შევუბნობდეთ, უნდა აღვნიშნოთ ამ წიგნის გამოცემის ზოგი ნაკლი. ჯერ ერთი არ არის მოყვანილი ლექსების ქართულ სათაურთან მისი გერმანული სათაური, რაც იტყობიანობა უფრო თარგმანში, მაგ. ლექსი „პირველი ღამე“ აქვე უნდა ყოფილიყო გერმანული სათაური „Brautnacht“, ან „ღანდის საღამო“ — „Geistes gruss“ და სხვ. გარდა ამისა, საჭირო იყო ლექსების ქრონოლოგიური დალიგება პოლომდე დაეცლიყო პირველი ლექსი „ჩემს დედას“ 1767 წელს გეტონის, შემდეგი ლექსები წლებს მიხედვით სწორად არიან დალიგებულ, მაგრამ „მინდვრის ვარდი“ 1771 წლის ლექსი რატომღაც 1795 წლის ლექსების შემდეგ არის მოთავსებული (გვ. 83). ლექსი „მინიონ“ 1785 წლისა (გვ. 86) მოთავსებულია 1796 წლის ლექსების შემდეგ. ლექსი „მსგავსება“ 1828 წლისა (გვ. 117) უნდა იყოს „საქმროს“ შემდეგ (გვ. 143) და არა მისზე ადრე. და საეხებით გავუგებარია 1828 წლის ლექსების შემდეგ მთელი კრებული დაბოლოება 1771 წლის ლექსით „არწივი და მტრედი“.

ახლა, რაც შეეხება ზოგიერთ ლექსის თარგმანს. ლექსში „მშვენიერი ღამე“ (გვ. 3) რატომღაც „schönen Sommernacht“ თარგმნილია, როგორც „მკრთალი ღამე“, ლექსში „შეხვედრა და განშორება“ (გვ. 7) გოეტეს ლაიციკური თქმა „Dich sah ich“ ქართულად გართულებულია „გაიპოვე, გვერტედი“. ლექსში „მგზავრის სიმღერა ქარიშხალში“ მე-11 გვერდზე გამოტოვებულია რატომღაც ექვსი სტრიქონი. „მგზავრი და სოფელი დედაკაცი“ (გვ. 15) — „hast du nicht gefügt“ თარგმნილია „განა შენ შექმენ“, მაშინ როდესაც უნდა იყოს „განა შენ არ შექმენ“, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ სხვა აზრი გამოდის „ქრისტიანში“ (გვ. 34) „გველი მტკიცე, თანაც ხაროს“ ვერ ვადმოსცემს გოეტეს თითქმის აფორისტულ თქმას „Mir ist so wohl, so weh“.

შესანიშნავი ლექსია „ტბაზე“, მით უფრო მეტი მუშაობა იყო საჭირო ამ ლექსის სრულყოფილი ექვივალენტის მოცემისთვის. არ არის სწორად გადმოცემული ის სურათი, რომელიც დახატული აქვს პოეტს: ზეირთები ზომილდს იტრეტიებენ ნიზბის ტაქტთან შეგუებით —

„Die welle wieget unsern Kahn Im Ruder-takt hinauf“, თარგმანში კი: „ატრეტრეტებენ ზო-ზილან ზურთები, ამრიალებენ ჰაელებს ქა-ფიასს“ (გვ. 40), აქვე თარგმნილია „ლურჯი ვარსკვლავი ტალღებში ერთიან“, საიდან მოი-ტრანეო სიტყვა „ლურჯი“ როდესაც ორიგინალშია „schwebende Sterne“ ლექსში „ოქროს გუ-ლისადმი“ (გვ. 41) „am Halse trage“ უნდა იყოს „ველებზე ჩამოკიდული“ და არა „მკერდით გატარებ“. ლექსში „მთვარისადმი“, სადაც მოვი-არის სხივების უდიდესი პოეზიაა ვადმოკემული, ახაფერ შუაშია სიტყვა „შვე“, რაც ორიგინალ-ში არც არის მოხსენებული (გვ. 47).

აზიან ლექსები, რომელნიც გოეტეს ლირიკის ფლავო შედევრებს წამოადგენენ, მაგ. ზემოთ-ხახსენები „ტბაზე“. ასეთივეა „მინიონ“ — „იცი ქვეყანა“, რომელზედაც ჩვენს აზრით მთარგმ-ნელს კიდევ მართებს მემოთბა, რომ უფრო სრულყოფილი იყოს იგი: მაგ. „Im dunkeln Laub“ არ იქნება „მწვანე ფოთლებში“ (გვ. 67) შემდეგ „ქანდაკი ახელენ თვალებს დარდიანს“, რატომ დარდიანს? ეს სრულებით არ შეეფერე-ბა გოეტეს შეხედულებას იტალიასა და მის შე-სანიშნავ მარმარილოს ქანდაკებებზე: „Und Marmorbilder stehn und sehn mich an“. ამავე ლექსში, „მწველ აღმტრში მიიკვლავს გზას სახედაი“, რაღაც არ ეგუება ნისლით მო-ზურულ მთას: „Das Maultier sucht im Nebel seinen Weg“. „ყოფტრეი ლექსი“ (გვ. 70) მთლი-ანად კარგად არის თარგმნილი, მხოლოდ საი-დან განდღენ ნილოსთან „კატაკომბები“. ჯერ ერთი „ägyptischer grufte“ არ ნიშნავს „კატა-კომბებს“, მეორეც, ეგვიპტეში, როგორც ცნო-ბილია, კატაკომბები არ არსებობენ. „კორინთე-ლი დანიშნული“ მთლიანად ქრისტიანობის სა-წინააღმდეგო განწყობილებითაა გაქდნითილი, საიდან განდა აქ „ლეთისშობლის ტაძარი“ (გვ. 99), მაშინ როდესაც გოეტეს აქვს „Venus Tempel“, ვენერასადმი მიძღვნილი ტაძარი. ლექსი „სამყაროს სული“ — გოეტეს ფილოსო-ფიური ლირიკის ერთერთი შესანიშნავი ნიმუ-ში, სამწუხაროდ ვერ არის კარგათ თარგმნილი. „ღამის სიმღერა“ (გვ. 112) მთლიანად კარგად არის თარგმნილი, კარგია „იძინე ტბილად, რაღა გსურს მეტი“, მხოლოდ ვერ არის გადმო-ცემული იმ ტკბილი ძილის სურათი, რომელზეც გოეტემ დაგვიხატა: სატრფოს რბილ ბალიშზე აქვს თავი დადებული და ძილში მას ესმის ზოეტის ჩანგის საამური ზმა — „Achl Auf dem weichen Pfühle schlafe!“ და სხვა. „ვანშორე-

ბაში“ (გვ. 116) უკეთესი იქნებოდა „ოქანეს“ მაგიერ „ზღვა“ რომ ყოფილყოფილქნესქნესქნეს აქ ხარ“ (Gegenwart“) მწვანეგარისქნესქნესქნეს გნვილი, მხოლოდ „Lilien“ უნდა იყოს „ზამბა-ხი“. „ტრილოგია ვენისის“, მიუხედავად მისი სიძველისა, ძირითადში კარგად არის თარგმნი-ლი, მხოლოდ რატომ არის „am blauen Ather“ თარგმნილი როგორც „მწვანე ვთერი“?

ცალკე უნდა შევჩერდეთ ისეთ ცნობილ ლექსებზე, როგორიცაა „მგზავრის“ ლამეული სიმღერა“ და „მინდვრის ვარდი“, რადგან ამ ლექსების თარგმანზე ქართულ პოეტებს უკვე უმუშავიათ. „მგზავრის ლამეული სიმღერის“ თარგმანა უკვე შევითხე ედას წარმოადგენს, სააწუხაროდ ესეც მთლიანად დამაკმაყოფილე-ბელი არ არის. „შევი ბურუსი ტყეს ვფინება“ არ შეეფერება ლექსის მთლიან განწყობილებას. კარგია, რომ ხ. ვარდთშვილი აღარ ხმარობს ვა-შოთქმას „დაცხრები შენცა“, როგორც აქამდე სთარგმნიდნენ, მაგრამ „დაკვირება“ მაინც არ გამოხატავს ორიგინალის „ruhest du auch“. ძილი აქ არაფერ შუაშია, უფრო უკეთესია „დამშვიდდები“. ლექსი „მინდვრის ვარდი“ მთლიანად კარგად არის თარგმნილი, მხოლოდ უფრო უკეთესი იქნებოდა „Ich breche dich“ თარგმნილი ყოფილიყო არა როგორც „მოგ-წყვეტ“, რაც არ შეეფერება ვარდის ტოტის ვა-დატეხის აზრებს. მაგ. რუსულ ენაზე ვეინბერგ-საც (ქველი თარგმანი) და უსოსაც (საბჭოთა დროის თარგმანი) აქვთ „Я сломаю тебя“, რაც უფრო გამოხატავს პოეტის აზრს.

კარგად თარგმნილია ისეთი ლექსები, რო-გორც „მამამადის სიმღერა“, „განამედი“, „ქრის-ტელ“, „თელეს მეფე“, „მეთევზე“, „აკობრი-ობის საზღვარი“, „სილფების სიმღერა“, „სას-შური“, „ტყის მეფე“, „ალექსის და დორა“, „ვანძის მამიებელი“, „კორინთელი დანიშნუ-ლი“, „ბედნიერი ცოლქმარი“, „ყოში მთაზე“, „ნაპოენი“ და სხვ.

მთლიანად უნდა ითქვას, რომ გოეტეს ლირი-კის თარგმანი კარგი შენაძენია ქართულ ლიტე-რატურისათვის. მართალია, ხ. ვარდთშვილს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს ამ დიდი საქმისათვის, მაგრამ მაინც იმედი უნდა გავო-ნით, რომ მთარგმნელი ამით არ დამაკმაყოფილ-დება, ზოგ უკვე თარგმნილს უფრო გააუმჯო-ბესებს, და აგრეთვე ახალი ლექსების თარგმანს წიაწოდებს ქართულ საზოგადოებას.

შალვა ალხაჯიშვილი

ქუთაისის თეატრის საცხოვრებელი დიდი და ვრცელი გზა აქვს განვლილი. მან 1940 წელს იღვწასწავლა თავისი სახელოვანი არსებობის 60 წლისთავი. ქუთაისის თეატრის სცენაზე მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მსახიობები, პიესებს დგამდნენ ცნობილი ქართველი რეჟისორები. ქუთაისის თეატრალური ზელოვნების დიდი და მდიდარი ტრადიცია აქვს.

ქუთაისელი მსახიობები არაერთხელ დამტყვარა ისეთი პიესების ნაჭივით, როგორცია: „კაი გრაჯი“, „ჟან და მადლენა“, „რძი ზღაზი“, „ეკიმე შტოქანი“, „ფეიქრები“, „არსენა“, „ალატი“, „სამშობლო“, „რევიზორი“, „ყაიღები“, „ვერაგობა და სივარული“, „იონეს ზენიერება“ და სხვ.

ქუთაისის თეატრის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზების შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს ს. გერსამია თავის წიგნში — „ქუთაისის თეატრი“, რომელიც ამ დღეებში გამოცემა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შ. აგნაძის რედაქციით.

ს. გერსამია ნარკვევისათვის მოზრზრებულად იყენებს ძველ გურნალ-გაზეთებს, კერძო წერილებს, საარქივო მასალებსა და სხვა დოკუმენტებს ქუთაისის თეატრის ისტორიის აღწერილ პერიოდების დასადგენად. თეატრის მკითხველის წინაშე აღადგენს გარემოებებსა და ფაქტებს, თვალათლივ გვიხსიათებს ქუთაისში თეატრალური ცხოვრების დასაწყის პერიოდს.

ს. გერსამია სწერს:

„გ. ერისთავის თეატრის მოქმედების პერიოდში ქუთაისში წარმოდგენები არ იმართებოდა და სცენებელი თეატრის შესახებ ცნობები მხოლოდ კანტი-კუნტად თუ ჩადიოდა იქ. სამოციან წლებში, როცა თბილისში პროფესიული თეატრის აღდგენისათვის დაიწყო სამუშაო, წარმოდგენების შესახებ პირველად მან აღნიშნა საქართველოს მეორე კულტურული ცენტრმა — ქუთაისმა. აქ პირველი წარმოდგენა 1861 წლის 3 მარტს გაიმართა. დადგენ გ. ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა“, წარმოდგენის ორგანიზატორი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (1827 — 1890). წმინდა შვილისავალი ვადიდა იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიის „კალმასობის“ გამოცემის ფონდის გასაძლიერებლად.“

შემდეგ წიგნში აღნიშნულია, რომ 1862 წელს მეორე წარმოდგენა დაიდგა ზ. ანტონოვის განთქმული კომედია „შის დაბნელება სე-

ქართველოში“, რომლის ინიციატორი დორგანიზატორი იყო აკაკი წერეთელი.

ს. გერსამია თავის წიგნში დაწერილებით მოგვითხრობს 1861 წლიდან 1920 წლამდე ქუთაისის თეატრის შემოქმედების გზას, რომელიც სავეე იყო წინააღმდეგობით, სიმწიკვით, შევიწროებითა და მატერიალური ზღოქოულობით; წიგნს საინტერესო საკითხივად ზღის ის გარემოება, რომ ზუსტადია აღდგენილი სხვადასხვა სუზონები, მსახიობთა და დამდგმელ რეჟისორთა გეარები და რეპერტუარი.

წიგნში ფართოდაა დახასიათებული ის ამგი და შრომა, რომელიც თეატრის მშენებლობის საქმეს დასდეს ეფრო კლდიაშვილმა, კოტე მესხმა, ვასო ბალანჩიავამ, ლადო მესხიშვილმა, შალვა დიდიანმა, აღ. იმედაშვილმა, ი. ზარდალიშვილმა, ვ. გენიამ, მიხეილ ქორელმა და სხვებმა.

საინტერესოდაა დაწერილი ის განყოფილება, რომელიც ქართული სცენის ნიჭიერი მსახიობისა და რეჟისორის ლადო მესხიშვილის მოღვაწეობას შეეხება.

როგორც ცნობილია, ლ. მესხიშვილი ქუთაისის თეატრს სათავეში ჩადგა 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. „მან, როგორც პროგრესიული მოაზროვნე და იდეურად მოწინავე ადამიანი, ეპოქის მოთხოვნებს ანგარიში გაუწია და ჩამდგნადაც შეეძლო თეატრი რევოლუციური მუშაობის სამსახურში ჩააყენა“. წიგნში აღნიშნულია რომ ლ. მესხიშვილმა სცენიდან განდგენა იაფოსიანი მელიორაქები და ვოდევლები, გზა გაუხსნა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კლასიკურ დრამატულ მუერლობას. ლ. მესხიშვილი „დგამდა მის დროინდელი ცხოვრების სინამდვილის აშახველ დრამატულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ნაწვევები იყო გზები, თუ როგორ უნდა მიეღწია თავი მშრომელ ხალხს ეკონომიური და პოლიტიკური მთლიონობისათვის, როგორ უნდა შეზრძოლებოდა და დაემარცხებოდა მტერი, დგამდა პიესებს, რომლებიც აწივლიდა მსახიობებს გმირობას, რაინდობას, ზალხისა და სამშობლოსათვის თავდადებას.“

ლ. მესხიშვილის მშრტნელობით აღიზარდნენ და დაწინაურდნენ ქართული თეატრის მუშაინაწვეი მუშაკები, როგორც, მავალითად, აღ. წუწენავა, ი. ზარდალიშვილი, ა. მერუსიძე, ვ. შალიკაშვილი, ლ. გუჯაბაძე, ნინო ჩხვი-

ძე, მ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ალ. ამედა-  
შვილი ნ. გვარამე და ბევრი სხვა.

წიგნში დაბეჭდილია საარქივო მასალა, რო-  
მელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რო-  
გორ ემსახურებოდა თეატრი რევოლუციურ  
მოძრაობას, ქუთაისის გუბერნიის განდარბთა  
სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ-ნიკოლა-  
ევის მიწერილობა კავკასიის პოლიციის უფრო-  
სის სახელზე ჩვენ წარმოგვიდგენს ლადო  
მესხიშვილს როგორც უშიშარ მებრძოლსა და  
სამშობლოსადმი თავდადებულ პატრიოტს.  
1905 წლის რევოლუციის დღეებში „ლ. მესხი-  
შვილს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით  
ქუთაისის თეატრის მუშაკებმა გამოიტანეს დე-  
კორაციები, ავეჯეულობა და თეატრის გასწე-  
რავ ქუჩაზე მოაწყვეს ბარიკადა. ამ ბარიკადის  
იარაღით ხელში ამოეფარა თვით თეატრის მუ-  
თაფრი ლადო მესხიშვილი, რომელსაც გვერდ-  
ში უდგან შეიარაღებული თეატრისავე თანა-  
შრომელნი და მსახიობები“.

უძლეური მენშევიკების ბატონობის პერიოდ-  
ში როგორც მთელ საქართველოში, ისე ქუთაის-  
ში თეატრალური კულტურა ერთ წერტილზე  
გაიყინა. შ. დადიანმა დიდი გაპირვებით შეად-  
გინა დასი, რომელშიც შედიოდნენ ე. ანდრონი-  
კაშვილი, ივერიელი, ნ. მაჭავარიანი, ე. ბალანი-  
ვაძე, ვ. შატრაძე, შ. ჯაფარიძე, მიხეილ ნემო,  
გ. თეთბერიძე და სხვ. დადგმული იქნა „ბრუ-  
ნარ-ძასიხიძობა“, „ფრამოტეხილი ყორანი“,  
„№ 21 ჯვართ“, „მოლოდულ გზაზე“, შალვა  
დადიანის ისტორიული დრამა „ვარამი“

„ამ სეზონში, — აღნიშნავს ავტორი, — მზი-  
რად იყო ისეთი მომენტები, როცა თეატრის არ-  
სებობის ბედი ბეწვზე ეკიდა... მაგრამ მსახიობ-  
თა ენერგიულმა მუშაობამ და შ. დადიანის  
ავტორიტეტმა ქუთაისი ამ მარცხს გადაარჩინა  
და თეატრმა ვაივაგლობით მიადგინა საქართვე-

ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე“.  
წიგნი სიყვარულით და კულტურულად არის  
დაწერილი, საინტერესო და მჭიდროდ მასალას  
აძლევს ქართული თეატრის მსახიობთა შესახებ.  
ნარკვევში დაბეჭდილია ქუთაისის თეატრის  
მოღვაწეთა და მუშაკთა პორტრეტები (აკაცი  
წერეთელი, ვერო კლდიაშვილი, კოტე მესხი,  
ლადო მესხიშვილი, ვ. გენია, შ. დადიანი, ე. ბა-  
ლანივაძე, ე. შალიკაშვილი, მ. ქორელი, ვ. აბა-  
შიძე, ნ. ჩხეიძე, ალ. წუწუნავა, ალექსანდრე  
იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, კოტე  
ძაჯავახიშვილი, დოდო ანთაძე), ქუთაისის თეატ-  
რის შენობა და 1947 წლის დასის შემად-  
გენლობა

საჭიროა ზოგიერთი შენიშვნა: ჩვენი ფიქრით  
კარგი იქნებოდა ავტორის ერთ წიგნში მოეცია  
საბჭოთა პერიოდის ქუთაისის თეატრის მოღვა-  
წეთა, მათ უმეტეს ისტორიული ცნობები ასე  
თუ ისე ჩვენ მოგვემოგება 1940 წელს გამოცე-  
მულ წიგნში. ავტორი მართალია, როცა სწერს:  
„ამ უკანასკნელი პერიოდის თეატრმა დიდი მუ-  
შაობა ჩაატარა როგორც სასცენო შემოქმედე-  
ბითი განვითარების, ისე ახალგაზრდა კადრების  
შიზილვა-ალზრდის საქმეში“, და სწორედ ამ მუ-  
შაობის გამოქვეყნება აქტიურად საჭიროებას წარ-  
მოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ ნაშრომი არ არის თავისუ-  
ფალი სტილისტურე, ენობრივ-გრაფიკული და  
ზოგან ფაქტურე შეკლომებისაგან. წიგნში  
თითქმის არაფერია ნათქვამი თეატრის შემოქმე-  
დების შესახებ.

საერთოდ ს. გერსამიას წიგნი „ქუთაისის  
თეატრი“ ფართოდ და მიმზიდველად აღწერს  
თეატრალური ხელოვნების ჩასახვისა და განვითარებას  
ქუთაისში, იგი სასარგებლო და საჭი-  
რო ნაშრომია.

გიორგი ნაშაბაძე

შინაარსი

დომენა შენგელაია — წითელი ყაყაზი, რომანი, პირველი ნაწილის დასასრული . . . . .	3
ოვ. თუმანიანი — საათნოვა, ლექსი, თარგმანი თ. გრიშაშვილისა; სატრფოს, ლექსი, თარგმანი ვ. რ. ცეცხლაძისა . . . . .	24
ლიმ ძინაჩილი — ჯოტოს მამა, რომანი, გავრძელება . . . . .	25
ქალე ბოზოხიძე — შრომის გმირებს, ლექსი . . . . .	48
სანდრო შანშიაშვილი — ურჩი მფლობელი (იმერეთის ლაშქები), პიესა . . . . .	49
კოლაუ ნადირაძე — ამერიკელ ომისგამჩაღებლებს, ლექსი . . . . .	105
ოთარ გამფორია — ორი ლექსი . . . . .	106
პავლე ანტოკოლსკი — შეილი, პოემა, დასასრული, თარგმანი ქარლო ქალაძისა . . . . .	108
ელიზბარ ზედაზინიძე — საინვილოში, ნარკვევი . . . . .	118



ლ. გორბილაძე — ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისათვის, წერილი . . . . .	124 ✓
ანა ნიკოლაძე — გორკი და საქართველო, წერილი . . . . .	147



+ ვლადიმერ ჯიბუბი — „გიორგი ჯიბლაძე — მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	163 ✓
+ შალვა ამისულაშვილი — „ექტორ გაბესკირიას ლექსები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	168 ✓
შალვა ამისულაშვილი — „იოჰან ვოლფგანგ ვოგტე — ლექსები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	169
ნიმუზი სამხარაძე — „ს. გერსამია — ქუთაისის თეატრი“, ბიბლიოგრაფია . . . . .	173 ✓





პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბარბაქაძე, გვამყარაძე ინგოგოგია, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირიანაშვილი (გაზეთის რედაქტორი), გუბარიაშვილი ზენტი, ბალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიმიტრი შანშიაშვილი.

---

ხელმოწერილია დასაბუთად 16/IV-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. № 00467.  
შეკ. № 454. ტირაჟი 10.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა  
სამმართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: შანაბლას ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.

3360 в 825.

2 9

МЕТОД КАР.  
ВИД. РЕДЕНИЯ  
2. 1.12 МН

საქართველოს  
საბავშვო  
საბიბლიოთეკო



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ